გახდი თანამონაწილე

გზამკვლევი
ახალგაზრდებისთვის

გახდი თანამონაწილე

პრაქტიკული გზამკვლევი
ახალგაზრდებისთვის

გამომცემლობა „საიმედო“
თბილისი 2012

გზამკვლევი შემუშავებულია პროექტის „გახდი თანამონაწილე“ ფარგლებში

ავტორები: შალვა ტაბატაძე

ნათია გორგაძე

რედაქტორი : კახა გაბუნია

ირინე შუბითიძე

ISBN 978-9941-0-4741-1

პროექტი „გახდი თანამონაწილე“ ხორციელდება ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საშუალებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია “სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი” და იგი არ ასახავს საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან ამერიკის მთავრობის შეხედულებებს.

სარჩევი

წინასიტყვაობა **5**

შესავალი **7**

თავი პირველი: ახალგაზრდული პოლიტიკა საქართველოში **22**

შესავალი 22
1. ახალგაზრდების სახელმწიფო პოლიტიკა 27
2. სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროგრამები 29
   ა. პროგრამა „პატრიოტი“ 29
   ბ. პროგრამა საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტი 30
   გ. პროგრამა “Speak up Georgia" 32
3. ახალგაზრდული სერვისების მონაცემთა ბაზა 32
4. პროგრამა „ალიანტე“ 34

თავი მეორე: სამოქალაქო და ეკონომიკური მონაწილეობა **36**

შესავალი 36
1. ორგანიზაციის წესდების ნიმუში 38
2. ეკონომიკური მონაწილეობა 48
3. კორპორატიული, სოციალური პასუხისმგებლობა 48
4. ეკონომიკური საქმიანობა 49
5. ინდივიდუალური მეწარმის რეგისტრაცია 55
6. ბიზნესგეგმის სტრუქტურა 58
7. ტიპური ბიზნესგეგმის შემადგენელი ნაწილები 59
8. ბიზნესგეგმის ნიმუში 65
9. სასარგებლო ლინქები და რესურსები 72

თავი მესამე: დაფინანსების წყაროების შერჩევა **76**

1. დაფინანსების წყაროები 76
2. დაფინანსების წყაროების განსაზღვრა 77
3. პროექტის იდეის გენერირება 78
4. წინასწარი საპროექტო წერილი ან განაცხადი 81
5. ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე დონორი ორგანიზაციები 84
6. პროექტის განზრახულობათა განაცხადი 95
7. ლოგიკური ჩარჩო 100
8. საჭიროებების შეფასება /საკითხის დასმა 104
9. პროექტის განხორციელების გზებისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრა 119
10. პროექტის საქმიანობები და სამოქმედო გეგმა 119

11. პროექტის ბიუჯეტი 122
12. პროექტის შეფასება და მონიტორინგი 132

თავი მეოთხე: სტუდენტური ორგანიზაციები 138

შესავალი 138
1. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების რეალიზების ინსტრუმენტები: 138
ა. სტუდენტური კლუბები 139
ბ. სტუდენტური გაზეთები და ჟურნალები 144
ბ. ონლაინ მედია 145
3. სტუდენტური თვითმმართველობები 146
4. სტუდენტური ასოციაციები 149
5. სტუდენტური ორგანიზაციებისა და სტუდენტური თვითმმართველობების საქმიანობა საზღვარგარეთ 151

თავი მეხუთე: ახალგაზრდების თანამშრომლობა ადგილობრივ თვითმმართველობის სტრუქტურებთან 156

შესავალი 156
1. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტიური დაყოფისა და მართვის პრინციპები 156
2. თვითმმართველობის უფლებამოსილებები და ვალდებულებები 159
3. თანამშრომლობის მიმართულებები ადგილობრივ ხელისუფლებასა და ახალგაზრდებს შორის 163
4. ორგანიზაციები, რომლებიც ადგილობრივ ხელისუფლებასა და ახალგაზრდებს შორის თანამშრომლობას უწყობს ხელს 164
5. პრაქტიკული მაგალითები 166
6. დასკვნა 170

ბოლოსიტყვაობა 171

გამოყენებული ლიტერატურა 173

წინასიტყვაობა

დღეს ბევრს საუბრობენ ახალგაზრდების როლსა და ფუნქციებზე დემოკრატიული რეფორმების ხელშეწყობისა და ქვეყნის ტრანსფორმაციის საქმეში.

ახალგაზრდული ჩართულობა მთელ მსოფლიოში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და დიდ როლს თამაშობს, როგორც სოციალიზაციის, ასევე პოლიტიკის შექმნისა და განხორციელების ყველა ეტაპზე. მეტიც, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ბოლოდროინდელი ტენდენციების მიხედვით, ახალგაზდული გაერთიანებები თავად იღებენ ვალდებულებასა და პასუხისმგებლობას არა მხოლოდ ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისათვის, არამედ აქტიურად არიან ჩართულები ყველა იმ ინიციატივაში, რომლებიც მათზე და ქვეყნის სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ პოლიტიკაზე ახდენს ზეგავლენას.

საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლამ ღირებულებათა გადაფასების შეუქცევად პროცესს დაუდო სათავე, რაც ყველა მოქალაქის ცხოვრებას შეეხო. გაუქმდა ის კავშირები, რომლებიც ახალგაზრდების ცხოვრების სულიერი და იდეოლოგიური კონტროლის მექანიზმს წარმოადგენდა, სადაც გაწევრიანება, ფაქტობრივად, სავალდებულო იყო თითოეული ინდივიდისათვის, რომელიც სამოქალაქო, საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლასა და აქტიურ მონაწილეობას გეგმავდა. მეორე მხრივ, საბჭოთა პერიოდის ახალგაზრდული ინსტიტუციები – პიონერია, კომკავშირი – იმ ტიპის ინსტიტუტებს წარმოადგენდა, რომელთაც კოორდინაციის მძლავრი და კარგად განვითარებული მექანიზმები გააჩნდა. ამ პერიოდში წარმოიშვა ის გარდამავალი ეტაპი, რომელიც გარკვეულ ვაკუუმს გულისხმობდა ახალი მექანიზმის აუცილებლობის დანახვამდე. თუმცაღა, პირველი ახალგაზრდული, საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩამოყალიბება საქართველოში ჯერ კიდევ 90-იან წლებში, დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე დაიწყო. ეს კი, გარკვეულწილად განპირობებული იყო იმ ახალი რეალობით, რომელიც ეროვნული ღირებულებითი სისტემების ჩამოყალიბებას გულისხმობს და რაც მოქალაქეთა ახალ მისწრაფებებსა და ინტერესებს აერთიანებს. 2003 წლის რევოლუცია და მისი შემდგომი პერიოდი კიდევ ერთი სერიოზული გამოცდა აღმოჩნდა ჩამოუყალიბებელი სამოქალაქო საზოგადოებისა და მისი შემდგომი ფორმირებისათვის. ახალმა ეტაპმა ახალი გამოწვევების, ტენდენციების, სირთულეებისა და ამოცანების წინაშე დააყენა ახალგაზრდა მოქალაქეები და მათი სამოქალაქო გაერთიანებები,

რომლებიც ყველაზე სენსიტიურ თაობას წარმოადგენს. ამ პერიოდში განსაკუთრებით გაძლიერდა სტუდენტური მოძრაობები. საგულისხმოა, რომ ცვლილებები, რომლებიც ბოლო წლებში საგრძნობია, ახალგაზრდების გაერთიანებისა და კოორდინაციის შედეგად განხორციელდა.

გზამკლვევის მიზანია, პრაქტიკული მაგალითების საშუალებით დაგანახოთ ახალგაზრდული საქმიანობის სხვადასხვა მიმართულება და სამოქალაქო მონაწილეობის მექანიზმები. აქ მოცემულია ის პრაქტიკული ინფორმაციაც, რომელიც დაგეხმარებათ თქვენი ინტერესების, საჭიროებებისა და მიზნებიდან გამომდინარე, ზუსტად განსაზღვროთ, რომელ ორგანიზაციას, უწყებას ან სტრატეგიას უნდა მიმართოთ ან ვისთან ითანამშრომლოთ ეფექტური შედეგების მისაღწევად.

გზამკვლევი ხუთი, თემატურად დაყოფილი თავისაგან შედგება და საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის ფარგლებში, ეკონომიკური და სამოქალაქო მონაწილეობის, ახალგაზრდულ ორგანიზაციებში გაერთიანებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ეფექტური თანამშრომლობის დაგეგმვისათვის სასარგებლო ინფორმაციას მოიცავს.

შესავალი

როდესაც მოქალაქეობასა და სამოქალაქო ჩართულობაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში, ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებას უნდა შევეხოთ. ადამიანის უფლებათა თეორიისათვის ძირითად კონცეფციად თანდაყოლილი ადამიანური ღირსების ცნება მიიჩნევა. ადამიანის უფლებები და თავისუფლება არ არის სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სიკეთე. ისინი სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად არსებობენ. ადამიანის უფლებები ზნეობრივი და სამართლებრივი ნორმების ერთობლიობაა, რომელიც, ერთი მხრივ, ეროვნულ საკონსტიტუციო და საერთაშორისო სამართლებრივ სივრცეში აისახება, ხოლო, მეორე მხრივ კი, განსაზღვრავს ადამიანის საზოგადოების წევრებთან და სახელმწიფოსთან თანაცხოვრებისა და ურთიერთმიმართების პირობებს.

ადამიანის უფლებების პატივისცემისა და დაცვის მოძრაობა თითოეული მოქალაქის უფლებებს საერთაშორისო დონეზე განსაზღვრავს და ისწრაფვის გლობალური სტანდარტიზაციისაკენ. საერთაშორისო ნორმებით განსაზღვრული ადამიანის უფლებები კი ერთნაირად ეხება კენიის, ინდოეთის, იემენის, ბელგიისა და საქართველოს მოქალაქეებს...

თუ კარგად გავაანალიზებთ, ადამიანის უფლებები და თავისუფლება ის მინიმალური სტანდარტია, რომელიც საშუალებას აძლევს ნებისმიერ სახელმწიფოსა და მთავრობას, რომ მასზე, ეროვნული ფასეულობების შესაბამისად, დააფუძნოს სამართლებრივი და პოლიტიკური გადაწყვეტილებები. სახელმწიფოს საშუალება ეძლევა, ამ მინიმალური სტანდარტის გათვალისწინებით, დემოკრატიული გადაწყვეტილებები მიიღოს, განახორციელოს და ეს სტანდარტი საზოგადოებრივი მსოფლმხედველობის, მორალის, რელიგიური მრწამსის, კულტურული თვითმყოფადობის შესაბამის კანონებში ასახოს. დემოკრატიულ სახელმწიფოებში განსაკუთრებით დიდი ყურადღება ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლებების განსაზღვრასა და დაცვას ენიჭება. ამასთან, ნებისმიერი მთავრობის ძირითადი ვალდებულებაა უზრუნველყოს ყველა მოქალაქის (განურჩევლად ასაკისა და სოციალურ-ეთნიკური სტატუსისა) უსაფრთხოება და პირადი კეთილდღეობა ისე, რომ დაიცვას სხვა მოქალაქეების ანალოგიური უფლებები. სახელმწიფო ვალდებულება ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებასთან მიმართებით, სამ კომპონენტად იყოფა:

1. პატივისცემის ვალდებულება, რომელიც ადამიანის ღირსების პატივისცემას გულისხმობს;

2. დაცვის ვალდებულება სახელმწიფოს ავალდებულებს, საკონონმდებლო დონეზე ასახოს და აღიაროს ადამიანის უფლებები და თავისუფლება;
3. შესრულების ვალდებულება, რომელიც სახელმწიფოსგან საკანონდებლო დონეზე აღიარებული უფლებების დასაცავად, ხელშეწყობისა და უზრუნველყოფისათვის გარკვეული მექანიზმების შემუშავებას გულისხმობს.

ადამიანის უფლებათა ზოგადი კონცეფცია გარკვეულ ღირებულებებს ეფუძნება, როგორებიცაა: **ღირსება, თავისუფლება, თანასწორობა, ტოლერანტობა, დემოკრატია და სამართლიანობა.** ხოლო სახელმწიფოებრივი ჩარჩოები კი შემდეგ პრინციპებს აერთიანებს:

- ადამიანის უფლებები თანდაყოლილი, განუყოფელი და ხელშეუვალია;
- ადამიანის უფლებები და თავისუფლება სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე ერთიანი უნდა იყოს;
- ადამიანის უფლებები და თავისუფლება გამორიცხავს რომელიმე ნიშნით დისკრიმინაციას;
- ადამიანის უფლებები და თავისუფლება საშუალებას აძლევს მოქალაქეს, განახორციელოს და შეზღუდოს ძალაუფლების კონტროლი, რათა სახელმწიფომ არ უგულვებელყოს ან არ გადალახოს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების საზღვრები;
- ადამიანის უფლებების სხვადასხვა ასპექტები, როგორებიცაა: სოციალური, კულტურული, პოლიტიკური თუ ეკონომიკური - თანაბრად ფასეულია;
- ადამიანის უფლებები უნდა დარეგულირდეს კანონმდებლობით;
- ადამიანის უფლებების შეზღუდვა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევებისა და ვითარებების საფუძველზე, რომლებიც აღწერილია კონსტიტუციასა და საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოება, ჯანმრთელობის საფრთხე და სხვ.), თუმცა ამგვარი შეზღუდვები ვითარების ადეკვატური პროპორციით უნდა ხორციელდებოდეს და მოიხსნას ვითარების ნორმალიზაციისთანავე;
- ადამიანის უფლებები და თავისუფლება უნივერსალური ღირებულებებია და თანასწორობის პრინციპზეა დაფუძნებული;
- კოლექტიური უფლებები არ უნდა ზღუდავდეს და ეწინააღმდეგებოდეს ინდივიდუალურ უფლებებსა და სტატუსს.

ადამიანის უფლებების მდგომარეობა ყველაზე ზუსტ და ცხად წარმოდგენას იძლევა სახელმწიფოს განვითარების ეტაპის შესახებ,

რადგან სწორედ მოქალაქისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართება არის საზომი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს სამართლებრივ თუ არასამართლებრივ ბუნებას.

საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვისა და განვითარების მდგომარეობას ყოველწლიურად აფასებენ გავლენიანი, სანდო და მნიშვნელოვანი საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები. შეფასების ინტენსიურობა, მრავლობითობა და შეფასებული ასპექტების მრავალმხრივობა საშუალებას იძლევა, დასკვნები გამოვიტანოთ არსებული მდგომარეობის დინამიკის, ცვლილების ტენდენციების, პროგრესისა და რეგრესის, განსაკუთრებით მტკივნეული და სუსტი მხარეების შესახებ.

თუმცა, მეორე მხრივ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ რამდენად იცნობს და აცნობიერებს თავად მოქალაქე ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, საკუთარ ან სხვათა კულტურას. სწორედ ეს განაპირობებს მოქალაქის მოთხოვნასა და შესაძლებლობას, აკონტროლოს და შეაფასოს პოლიტიკური ლიდერების სამართლებრივი და ზნეობრივი დონე, პოლიტიკური რეჟიმი, სოციალურ-პოლიტიკური ქმედებები, ჰუმანიტარული საქმიანობის ხარისხი. კარგად გაცნობიერებულ მოქალაქეს მეტად შესწევს უნარი, დაიცვას საკუთარი და სხვათა უფლებები და განთავისუფლდეს სახელმწიფოზე ზედმეტად დამოკიდებულებისაგან. მხოლოდ გაცნობიერებულ მოქალაქეს შეუძლია საკუთარი წვლილის შეტანა სამოქალაქო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ჯგუფთა შორის კონფლიქტების პრევენციასა და მოგვარებაში, მის კონსოლიდაციაში. მხოლოდ გაცნობიერებული მოქალაქე ახერხებს საკუთარი უფლებებისა და თავისუფლების იმგვარად დაცვას, რომ არ შელახოს სხვისი ღირსება და საკუთარი კეთილდღეობა ზნეობრივ პრინციპებს დააფუძნოს. მეორე მხრივ კი, სამოქალაქო თვითშეგნება და ცნობიერება ერთ დღეში არ ყალიბდება. ეს ხანგრძლივი და ინტენსიური პროცესია, რომელიც ბავშვობის ასაკიდან იწყება და ახალგაზრდულ პერიოდში უკვე ინდივიდუალური ცნობიერების, პრინციპებისა და ფასეულებების განმტკიცების შედეგად თითოეულ ინდივიდს დამოუკიდებელ, მეტ-ნაკლებად აქტიურ, ინფორმირებულ და სახელმწიფო პროცესებში მონაწილე მოქალაქედ აყალიბებს.

აქტიური მოქალაქის კონცეფციები

მოქალაქეობრივი აქტიურობა ან, გნებავთ, აქტიური მოქალაქის კონცეფცია მრავალმხრივი და მრავალფუნქციურია და მისი დახასიათებისა და ჩამოყალიბებისათვის ბევრი ერთმანეთის შემავსებელი და გამომრიცხველი მოსაზრება შეიძლება მოვიყვანოთ. თუმცა, ამ საკითხის განხილვა ბევრად უფრო გამარტივდება, თუ პირველ ეტაპზე ზოგადად მოქალაქის კონცეფციას განვიხილავთ. ძირითადად, მოქალაქის რაობა სამ სხვადასხვა ჭრილში განიხილება:

- მოქალაქეობა - სამართლებრივი სტატუსი;
- უფლებები და პასუხისმგებლობები - რის გაკეთება შეუძლია ან არ შეუძლია მოქალაქეს. ეს კონცეფცია პრაქტიკულად სახელმწიფოს მიერ მოქალაქეობის სტატუსს არეგულირებს სამართლებრივ ფარგლებში;
- რას მოიმოქმედებს მოქალაქე - გამოცდილება და პრაქტიკა, რითაც მოქალაქე საზოგადოებასთან მიკუთვნებისა და მისი წევრობის დემონსტრირებას ახდენს.

აბსოლუტურად ცხადია, რომ სამივე კონცეფცია ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. პირველი აღწერითი ხასიათისაა, თუმცა მეორე და მესამე კონცეფციები, ფაქტობრივად, აყალიბებენ მოქალაქის სამართლებრივ-საზოგადოებრივ ხასიათს და მის მოქალაქეობრივ მსოფლმხედველობას. ღირსებისა და თანასწორობის პრინციპებისგან დამოუკიდებლად, რაც ადამიანის უფლებების საფუძველია და ასევე ინდივიდის გარკვეული, კარგად გაცნობიერებული პასუხისმგებლობაც. ეს პასუხისმგებლობებია:

1. ადამიანი, რომელიც საზოგადოების სიკეთეებითა და შესაძლებლობებით სარგებლობს, ამ რესურსების საკუთარი კეთილდღეობისათვის გამოსაყენებლად უნდა ითვისებდეს და ემორჩილებოდეს საზოგადოებაში თანაცხოვრების წესებსა და პრინციპებს;
2. თუ ინდივიდი სრულად ან ნაწილობრივ ახდენს საკუთარი უფლებების განხორციელებას, მაშინ მან იმავეს კეთების საშუალება უნდა მისცეს სხვებსაც. ამ პრინციპის დაუცველობის შემთხვევაში, ყველას ექნება უფლება, შეზღუდოს სხვათა უფლებები.

სხვადასხვა სახელმწიფო მოქალაქეობის ამგვარ კონცეფციას სხვადასხვაგვარად უწოდებს: „მაღალი სამოქალაქო ცნობიერების“, „მოქალაქეობრივი მოწოდების“, „აქტიური მოქალაქის“ არსებობა საზოგადოებრივი კეთილდღეობის აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევა. ამგვარად, მოქალაქე საზოგადოებრივ ინტერესებს ვიწრო, კერძო ინტერესებზე მაღლა აყენებს. ამგვარი მსოფლმხედველობის მქონე

მოქალაქეების სიმრავლე, მათ მიერ განხორციელებული სახელმწიფო მართვა განაპირობებს დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებასა და დინამიურ განვითარებას.

შესაბამისად, აქტიური მოქალაქე იმგვარ ინდივიდს წარმოადგენს, რომელიც, ერთი მხრივ, იზიარებს საზოგადოებრივ ღირებულებებს, ხოლო, მეორე მხრივ კი, თავად იღწვის საზოგადოების განვითარებისათვის. ეს კონცეფცია მორალური და ეთიკური პრინციპებიდან გამომდინარეობს და პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების გრძნობას უკავშირდება საზოგადოების წინაშე. ამ პრინციპების მიხედვით, საზოგადოებრივი სიკეთის შექმნაში მონაწილეობა მოქალაქეობის კარგად გაცნობიერებული, სრულუფლებიანი წევრობის სურვილის მქონე ინდივიდებს ძალუძთ, რომლებიც, ერთი მხრივ, საკუთარ სარგებელს სახალხო სიკეთისა და შესაძლებლობების სამართლიანად და დამსახურებულად გამოყენებაში ხედავენ, ხოლო, მეორე მხრივ კი, სურთ სხვებმაც ისარგებლონ იდენტური სიკეთეებითა და შესაძლებლობებით.

მიუხედავად იმისა, რომ აქტიური მოქალაქეობა მრავალი ტიპის ჩართულობასა და მონაწილეობას აერთიანებს, თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოების გამოცდილებასა და მაგალითზე დაყრდნობით, აქტიური მოქალაქეობის 7 ძირითადი ინდიკატორი გამოიყოფა, ესენია:

1. მოხალისეობრივი მუშაობა ორგანიზაციებსა და ქსელებში;
2. ღონისძიებების ორგანიზება და საქმიანობის წარმართვა თემისა და საზოგადოებისათვის;
3. არჩევნებში მონაწილეობა;
4. პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობა;
5. ინტერესის ჯგუფებში ჩართულობა;
6. მშვიდობიან პროტესტებში მონაწილეობა;
7. საჯარო დებატებში მონაწილეობა.

მოქალაქეობრივი აქტივობა ადამიანის ბუნებიდან, მისი თანამონაწილეობის სურვილიდან, მოთხოვნილებებისა და საჭიროებებიდან გამომდინარეობს. მაღალი სამოქალაქო ცნობიერების, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის და ზოგადად მოქალაქის ჩამოყალიბება თავისთავად არ ხდება. ამისათვის ინდივიდის, როგორც მოქალაქის აღზრდაა აუცილებელი. მოქალაქეობრივი აღზრდა კი გულისხმობს დემოკრატიული პრინციპების, უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების, უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას და ამ გზით მოქალაქის ფორმირებას. სამოქალაქო განათლების მთავარი მიზანი კი მოქალაქის სულიერი, მორალური, სოციალური და კულტურული

თვითშეგნების ამაღლებაა. ფუნდამენტური საკითხები, რომლებიც მოქალაქეობრივი ცნობიერებისა და მაღალი თვითშეგნების არსებობას ადასტურებს, შემდეგია:

- პოლიტიკური წიგნიერება, რომელიც იდეოლოგიური თეორიების პრაქტიკაში ასახვის შესაძლებლობის, განვითარებისა და შედეგების დანახვის უნარს, ეთიკური და მორალური პოლიტიკის კონცეფციის გაცნობიერების, მიღებისა და აღსრულების სურვილს აერთიანებს;
- სოციალური და მორალური თვითშეგნება, ასევე სამართლიანობის განცდა, რომელიც მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის სისტემებს აერთიანებს;
- მონაწილეობის/ჩართულობის სახეები და პრინციპები, რომლებიც ინდივიდის მიერ ცხოვრებისეული მიზნებისა და საზოგადოებრივი ფასეულობების გათავისების უნარებს აერთიანებს;
- მრავალფეროვნებისა და განსხვავებულობის პატივისცემა უფრო და უფრო აქტუალური ხდება ცალკეული ჯგუფების თავისებურებების მიმღეობის, მიკუთვნებულობის სურვილის, საკუთარი როლის, ფასეულობების, ხედვის მასშტაბურობისა და ერთიანობის პირობებში;

შინაარსობრივი და არსობრივი ცნობიერების გარდა, აქტიური თუ ეფექტური მოქალაქეობის მისაღწევად აუცილებელია, ადრეული ასაკიდანვე ისეთი კომპლექსური უნარების განვითარება, როგორებიცაა:

- *კომუნიკაციური,* რომლებიც კვლევისა და ანალიზის შედეგების, საკუთარი შეხედულების ჩამოყალიბების/ფორმირების, დებატებისა და დისკუსიის წარმართვის უნარ-ჩვევებს აერთიანებს;
- *საზროვნო,* რომლებიც დასაბუთების, რეფლექსიის და სინთეზირების, ანალიზის, შეფასების უნარ-ჩვევებს აერთიანებს;
- *თანამშრომლობითი,* რომლებიც გუნდში მუშაობის, საკუთარი როლისა და ფუნქციის დანახვისა და შესრულების, გუნდის წევრთა დაფასებისა და განვითარების უნარ-ჩვევებს აერთიანებს;
- *პრობლემის გადაჭრის,* კონფლიქტების პრევენციისა და დარეგულირების, მედიატორის, ფასილიტატორის უნარ-ჩვევებს აერთიანებს;
- *შრომითი,* რომლებიც საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის საკუთარი პროდუქტიულობისა და ეფექტურობის უნარ-ჩვევებს, ეკონომიურ-სოციალური კავშირების გააზრებას მოიცავს.

სამოქალაქო მონაწილეობა ორი ტიპის ჩართულობას გულისხმობს:

- *ჰორიზონტალური,* რომელიც სათემო-საზოგადოებრივ დონეზე მონაწილეობით ხასიათდება (საზოგადოებრივი);
- *ვერტიკალური,* რომელიც პოლიტიკურ პროცესებში თანამშრომლობისა და სახელმწიფო ინსტიტუციებში ჩართულობით

ან ინსტიტუციებთან კავშირების არსებობით ხასიათდება (სამოქალაქო).

ამასთან, ჰორიზონტალური მონაწილეობა მეტწილად ვერტიკალურის წინაპირობაა. ეს გარდამავალი ნაბიჯი, არც ძალდატანებითია და არც აუცილებელი. თუმცა, ვერტიკალური მონაწილეობა რთულდება იმ საზოგადოებრივი კავშირების სისუსტის ან არარსებობის შემთხვევაში, რომელთაც ჰორიზონტალური მონაწილეობა წარმოშობს.

საინტერესოა ასევე ის 4 ჭრილი, რომლებშიც მოქალაქეობის კონცეფციაზე მსჯელობა უნდა მოხდეს, ესენია:

- *სტრუქტურა:* როგორია სამოქალაქო საზოგადოების შემადგენლობა? რამდენად ფართო, ცოცხალი და რეპრეზენტატულია იგი? რა საკვანძო ურთიერთკავშირები არსებობს საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის? რა რესურსებია მათ ხელში?
- *სივრცე/გარემო*: რა პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ და სამართლებრივ გარემოში არსებობს სამოქალაქო საზოგადოება? ამ ფაქტორებიდან თუ ახდენს რომელიმე სამოქალაქო საზოგადოებაზე სერიოზულ დადებით ან უარყოფით გავლენას?
- *ღირებულებები:* რა ღირებულებების მატარებელია სამოქალაქო საზოგადოება და რომელი ფასეულობების დამკვიდრებას ისახავს უპირველეს მიზნად?
- *გავლენა:* რამდენად ძლიერ გავლენას ახდენს სახელმწიფო ცხოვრებაზე სამოქალაქო საზოგადოება? რამდენად ეფექტურია იგი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების მოგვარებასა და სახალხო დოვლათის შექმნაში? რამდენად აქვს საჯარო პოლიტიკაზე ზეგავლენა?

ეჭვგარეშეა, რომ აქტიური მოქალაქეობა თანაბრად სასარგებლოა, როგორც პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის, ასევე საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური ჩართულობის პირობებშიც. ამგვარად, თუ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის ფორმებს უფრო დეტალურად დავახასიათებთ, დავინახავთ, რომ პოლიტიკური მონაწილეობის ძირითად ფორმებს წარმოადგენს:

- ხმის მიცემა არჩევნებზე;
- პოლიტიკურ დიალოგსა და დებატებში მონაწილეობა;
- მშვიდობიანი პროტესტის სხვადასხვა ფორმები, მაგ.: პეტიციების შემუშავება ან მათი ხელმოწერა;
- პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერა თავად პარტიის ან კანდიდატისათვის ფინანსური დახმარების ან საინფორმაციო/საარჩევნო კამპანიაში ჩართვის გზით;
- დამოუკიდებელი გამოძიების წარმართვა ხელისუფლების ან პოლიტიკური პარტიის დარღვევების აღმოჩენისათვის;

- მუშაობა საჯარო სამსახურში;
- სხვადასხვა ფორმით სამოქალაქო დაუმორჩილებლობის გამოხატვა.

თუმცა, მონაწილეობის ყველა ის ფორმა, რომელიც ზემოთ არის აღწერილი, დემოკრატიული სახელმწიფოებისათვის არის დამახასათებელი. თანამედროვე პოლიტიკური დემოკრატია გულისხმობს იმ მინიმალური პროცედურული პირობების არსებობასა და დაკმაყოფილებას, რომელიც შემდეგ საკითხებს მოიცავს:

(1) მთავრობის გადაწყვეტილებები კონტროლდება არჩეული პირების მიერ;
(2) არჩევნები ტარდება ხშირად და სამართლიანად;
(3) სრულწლოვან მოქალაქეთა აბსოლუტური უმრავლესობა უფლებამოსილია მისცეს ხმა;
(4) სრულწლოვან მოქალაქეთა აბსოლუტურ უმრავლესობას ეძლევა შესაძლებლობა არჩეულ იქნეს;
(5) მოქალაქეებს აქვთ ინფორმაციის მოძიების სხვადასხვა, ალტერნატიული წყაროები;
(6) ინდივიდებს აქვთ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება;
(7) მოქალაქეებს აქვთ დამოუკიდებელი კავშირებისა და ჯგუფების შექმნის უფლება;

ამ პირობების გათვალისწინებით, გამოდის, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში მოქალაქეები და მოქალაქეთა ჯგუფები, განსაკუთრებით კი აქტიური და მაქსიმალისტი ახალგაზრდები, თავისუფლად გამოხატავენ თავიანთ ინტერესებს, ისინი მონაწილეობენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ შემთხვევაში მოქალაქეები ფლობენ მრავალმხრივ და ალტერნატიულ ინფორმაციას, რომელიც საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისათვის არის აუცილებელი. შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიტიკური გადაწყვეტილებები არ არის ერთპიროვნული, იგი სხვადასხვა ჯგუფის თანამშრომლობისა და ურთიერთქმედების შედეგად მიიღება. ხოლო ხელისუფლება და პასუხისმგებლობა კი სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებს შორის ნაწილდება. ამგვარი მოდელი უფლებამოსილსა და პასუხისმგებელს ხდის არასამთავრობო სექტორს, აკონტროლოს ხელისუფლება და ხელი შეუწყოს კონკურენტუნარიანი პოლიტიკური გარემოს და საჯარო პოლიტიკის განვითარებას.

დემოკრატიული სახელმწიფოს პირობებში არსებობს მთავრობის ნება და მზაობა, ხელი შეუწყოს და უფლებამოსილი გახადოს მოქალაქე, ჩაერთოს ქვეყნის პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა და განხორციელების პროცესებში იმ ხარისხით, რამდენადაც ეს ხელეწიფება მოქალაქეს, აქვს ამის მზაობა, აცნობიერებს ამის აუცილებელობას ან ხედავს საკუთარ პიროვნულ და საზოგადოებრივ სარგებელს.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) შეიმუშავა 10-პუნქტიანი რეკომენდაცია, რომელიც ერთგვარ სახელმძღვანელოს წარმოადგენს მთავრობებისათვის ღია და მრავალმხრივი პოლიტიკის შემუშავების პროცესში, რაც ყველაზე ეფექტურ ინსტრუმენტს წარმოადგენს ქვეყნის პოლიტიკის ეფექტურობისა და მთავრობის ანგარიშვალდებულებისათვის. ეს ორგანიზაცია აერთიანებს 30 განვითარებულ ქვეყანას. OECD-ის ასევე თანამშრომლობს 70 არაწევრ ქვეყანასთან, მათ შორის საქართველოსთანაც. აღნიშნული ორგანიზაციის მიზნებია წევრი და არაწევრი ქვეყნებისათვის მდგრადი ეკონომიკური განვითარების, ცხოვრების მაღალი დონის უზრუნველყოფა, სამუშაო ადგილების შექმნა, ფინანსური სტაბილურობა და მსოფლიო ეკონომიკის განვითარება. ჩვენს საზოგადოებაში, რომელიც სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება, აუცილებელია, უზრუნველყოფილ იქნეს ადამიანებსა და პლურალური/მრავალფეროვანი და დინამიური კულტურული იდენტობის მქონე ჯგუფებს შორის ჰარმონიული ურთიერთქმედება, ასევე მათი მისწრაფება თანაცხოვრებისკენ. პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს ყველა მოქალაქის ჩართულობასა და მონაწილეობას, სოციალური ერთიანობის, ასევე სამოქალაქო საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობისა და მშვიდობის გარანტიაა. ამ თვალსაზრისით, კულტურული პლურალიზმი წარმოადგენს პოლიტიკურ პასუხს კულტურული მრავალფეროვნების რეალიებზე.

კულტურული პლურალიზმი, რომელიც დემოკრატიის განუყოფელი ნაწილია, საუკეთესო პირობებს ქმნის კულტურული გაცვლებისა და შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარებისათვის, რაც საზოგადოების მასაზრდოებელი რესურსია.

მონაწილეობის კიბე

მონაწილეობის კიბე თვალსაჩინოს ხდის სამოქალაქო მონაწილეობის ხარისხს პოლიტიკურ და სამოქალაქო გადაწყეტილებებში. კიბის პრინციპით მონაწილეობის ხარისხის განსაზღვრა შერი არშტეინს ეკუთვნის, თუმცა დროთა განმავლობაში მის მიერ განვითარებულმა მოდელმა სახეცვლილება განიცადა. ქვემოთ მოტანილია გამარტივებული მონაწილეობის ხარისხობრივი კიბე, რომელიც ჩართულობის საკვანძო ფორმებზე ამახვილებს ყურადღებას.

ინფორმირება: მოქალაქეებს აწვდიან ინფორმაციას გეგმების შესახებ.

კონსულტაცია: ხდება სხვადასხვა საკითხებზე განსხვავებული მოსაზრებების გაზიარება. ამასთან, უკუკავშირი გარანტირებულია და საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ საზოგადოება ინფორმირებულია.

ერთობლივი გადაწყვეტილების მიღება: ხელისუფლება წაახალისებს საზოგადოების წევრებსა და დაჯგუფებებს წარმოადგინონ საკუთრი იდეები და მოსაზრებები. საუკეთესო ალტერნატივა ერთობლივად მიიღება.

ერთობლივი ქმედება: სამოქალაქო საზოგადოების წევრები და დაჯგუფებები არა მხოლოდ განიხილავენ საუკეთესო შესაძლებლობებს გარკვეულ საკითხთან მიმართებით, არამედ ქმნიან ერთიან კოალიციას სამოქმედოდ.

დამოუკიდებელი საზოგადოებრივი იდეების მხარდაჭერა: ხელისუფლება ეხმარება საზოგადოებას საკუთარი ინიციატივის განხორციელებაში. მხარდაჭერა შეიძლება ფინანსური, ადამიანური, ექსპერტული და ეკონომიკური ხასიათისა იყოს. სრულ ინფორმაციას ყველა ჩართული მხარე ფლობს, თუმცა ეს არ გულისხმობს ყველა მხარის თანაბარ ჩართულობას.

მონაწილეობის მაღალი ხარისხი ინიციატორს აძლევს საშუალებას მართოს მსვლელობის სადავეები. არადა სასურველი შედეგი რეალურად ერთობლივი გადაწყვეტილების მიღებისა და ერთობლივი ქმედების ხარისხით არის განპიროვნებული.

ნაკლებდემოკრატიულ ან ტრანზიტული დემოკრატიის ქვეყნებში პოლიტიკური მონაწილეობის სურვილი ძირითადად კანონისა და ხელისუფლების არასამართლიანობის ნიადაგზე წარმოიშობა. ეს პროცესი ხანგრძლივი მორჩილებისა და მოთმინების შედეგია. მოქალაქეს უჩნდება შეგრძნება, რომ ის არ არის ვალდებული, დაემორჩილოს იმ გადაწყ-ვეტილებებსა და კანონებს, რომლებიც არასწორად და არასამართლიანად მუშაობს. ხელისუფლების მიერ მოქალაქეთა წინაშე უსამართლობის, ბოროტების განხორციელების ხანგრძლივი პერიოდი სამართლებრივი ჩარჩოებიდან გამოსვლას იწვევს და რევოლუციებისა და აჯანყებების

სახით გამოიხატება. ამგვარი პოლიტიკური მონაწილეობის სურვილის არსებობის ყველაზე დიდი საფრთხე არსებობს ბოროტებისა და უსამართლობის ძალადობით დამარცხების მცდელობაში. ეს კი ყოველთვის წარუმატებელია და მეტწილად ტრაგიკული შედეგებით მთავრდება. ამის ნათელი მაგალითი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენებია. თუმცა, ჩვენს პრაქტიკაში ბევრია მაგალითები, როდესაც მოქალაქეები შეგნებულად არღვევენ კანონს და მზად არიან დაისაჯონ, მაგალითად, დაპატიმრებულ იქნენ. ამგვარი ქმედებით ისინი სამოქალაქო საზოგადოების ფასეულობების წინ წამოწევასა და სამართლიანობის მიღწევის სურვილის გამძაფრებას ცდილობენ. თუ უფრო სიღრმისეულად შევხედავთ ამგვარი დაუმორჩილებლობის გამოხატულებას, შეიძლება იმაზე ფიქრიც, რომ სწორედ ამგვარი ფორმებით გამოიხატება კანონისა და მისი უზენაესობის წინაშე განსაკუთრებული პატივისცემის დაფიქსირება, რაც პოლიტიკური მონაწილეობის სურვილის არაძალადობრივი პროტესტის გამოხატვასა და მშვიდობიანი დაუმორჩილებლობის ფორმით ხდება.

აქტიური მოქალაქეობა არა მხოლოდ პოლიტიკური მონაწილეობით, არამედ საზოგადოებისათვის საკუთარი სამსახურის გაწევითაც არის შესაძლებელი. ამგვარი მონაწილეობის ფორმა ძალიან ბევრია და შეიძლება გამოიხატებოდეს:

- საგანმანათლებლო საქმიანობით;
- სხვადასხვა ტიპის ძალადობის ან დისკრიმინაციის წინაამღდეგ მიმართული მეთოდების დანერგვითა და განხორციელებით;
- ცნობიერების ამაღლებითა და მოქალაქეთა ინფორმირებით;
- საზოგადოების განვითარების, პრობლემების, საჭიროებების, დილემების და მოთხოვნილებების კვლევით და მათ საპასუხოდ სტრატეგიების დასახვით.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ყველა ადამიანი კანონის წინაშე თანასწორია. სამწუხაროდ, არსებული ვითარება დიდად განსხვავდება კონსტიტუციური მოთხოვნისგან. სახელმწიფო სრულად და მეტწილად ვერ იცავს მოქალაქეთა უფლებებს. არ არსებობს სოციალური გარანტიები, რომლებიც სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის არაეფექტურობით, საბიუჯეტო თანხების დეფიციტით, გაუმჭვირვალე სისტემით და ინფლაციის მაღალი დონითაა განპირობებული. არ ხდება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვა და მათი განხორციელება. მეტიც, ხშირად მოქალაქეთა მცდელობა, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო მართვაში, ძალადობრივი მეთოდებით არის ჩახშული. საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს ობიექტური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. თვალშისაცემია მასმედიის საშუალებების რადიკალური პოლარიზება. NDI-ის მიერ ჩატარებული

კვლევის შედეგების მიხედვით[1], ტელევიზიები: "რუსთავი2", "იმედი" და "I საზოგადოებრივი მაუწყებელი" - ძირითადად მთავრობის, "მაესტრო" და "კავკასია" კი ოპოზიციის ინტერესების გამტარებელ მედია საშუალებებად მიიჩნევა. საკმაოდ ხშირია საკუთრების უფლების უპატივცემულობისა და შელახვის ფაქტებიც. ბოლო წლებში განსაკუთრებით გაძლიერდა ძალოვან სტრუქტურათა როლი სახელმწიფო საქმიანობაში. ამ ფონზე ნიშანდობლივია ის სამოქალაქო ნიჰილიზმი და აპათია, რომელიც მოქალაქეებს არა დემოკრატიულ პროცესებში აქტიურად ჩართულ სუბიექტებად, არამედ სახელმწიფოზე უკიდურესად დამოკიდებულ პიროვნებებად აყალიბებს. კვლევების თანახმად[2], ახალგაზრდების 79% საერთოდ არ იღებს მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ხოლო რესპოდენტთა 88% კი - პოლიტიკურ აქტივობებში. ეს ტენდენცია განსაკუთრებით საგულისხმოა, რადგან საქმე ახალგაზრდობას ეხება. სწორედ ახალგაზრდები წარმოადგენენ ყველაზე დიდ ფასეულობას ქვეყნის გრძელვადიანი დემოკრატიული განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის თვალსაზრისით და სწორედ ახალგაზრდების განათლებაში, მათ სოციალურ და ეკონომიკურ ინტეგრაციაში ახდენენ დემოკრატიული სახელმწიფოები ყველაზე დიდ ინვესტირებას.

ქვემოთ ვისაუბრებთ სამოქალაქო მონაწილეობის იმ ფორმებზე, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებისა და ასოციაციური გაერთიანებისათვის არის დამახასიათებელი.

სამოქალაქო საზოგადოება: კონცეფციები და რეალობა

რა განსხვავებაა სამოქალაქო საზოგადოებასა და ადამიანთა ჯგუფს შორის? რა ფაქტორები განასხვავებენ ან აერთიანებენ ამ ორ ცნებას? პრაქტიკული თვალსაზრისით, სამოქალაქო საზოგადოება ადამიანთა სხვადასხვა ზომისა და მოცულობის ჯგუფია. თუმცა, ამავე დროს, მისი მთავარი მახასიათებელი ისაა, რომ სამოქალაქო საზოგადოებას საკუთარი თავისათვის დაწესებული წესები, მორალური და ეთიკური კანონები გააჩნია, რომლებიც ერთგვარად „ზღუდავს“ მას და ჩარჩოებში აქცევს, რაც უსაფრთხო და პროდუქტიული თანაცხოვრების გარანტიას იძლევა. გამოდის, რომ სამოქალაქო საზოგადოება ადამიანთა გაერთიანების იმგვარი ფორმაა, რომელიც შეთანხმებისა და ერთსულოვნების პრინციპზეა აგებული. სამოქალაქო საზოგადოების ამგვარი განმარტება ლიბერალური მსოფლმხედველობის საწყისებზეა აგებული. მისი მთავარი

[1] ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საზოგადოებრივი აზრის კვლევა, 2012
[2] საქართველოს ახალგაზრდობის კვლევის ანგარიში, 2009

მახასიათებელი ნებაყოფლობითი ხასიათის გაერთიანებაა და სწორედ ეს ნების თავისუფლება განაპირობებს მის კანონიერებას.

გარდა ფილოსოფიური ხედვისა, სამოქალაქო საზოგადოებას ერთგვარი „ფუნქციური“ განმარტებაც გააჩნია.

ამგვარი განმარტების მიხედვით, სამოქალაქო საზოგადოება ადამიანთა და ინსტიტუციების იმგვარი დაჯგუფებაა, რომელიც დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის საფუძველს წარმოადგენს. რაც უფრო მეტად არის სამოქალაქო საზოგადოება განვითარებული, მით უფრო დემოკრატიული ნიშნით ხასიათდება პოლიტიკური ხელისუფლებაც. ხშირად მსჯელობენ იმაზე, თუ ადამიანთა დაჯგუფებებისა და ინსტიტუციების რა ნაწილი არ შეიძლება, რომ სამოქალაქო საზოგადოების ნაწილად იქნეს განხილული. ცალსახაა, რომ სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც ძალაუფლების განმახორციელებელია, ვერ იქნება სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი. თუმცა, მეორე მხრივ, პოლიტიკური გაერთიანებები, რომლებიც ერთგვარ დამაკავშირებელ ხიდს წარმოადგენენ სამოქალაქო საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის, ერთი მხრივ თავად ილტვიან ხელისუფლებისაკენ, მაგრამ მეორე მხრივ კი, თავისი ბუნებით, სამოქალაქო ინსტიტუციის თვისებებს ატარებენ. ასევე, ნაწილობრივ გამიჯნულია სამოქალაქო საზოგადოებისაგან კომერციულ ინტერესებზე აგებული და მოგებაზე ორიენტირებული დაჯგუფებები, კერძო სექტორი. მაშინ გამოდის, რომ მასმედია, რომელიც უდავოდ კომერციული ინტერესების მატარებელია, არ არის პირდაპირი სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი, თუმცა, მეორე მხრივ კი, საზოგადოებრივი ღირებულებებისა და ინტერესების ფართო ტირაჟირებას სწორედ ის ახდენს, რაც პოლიტიკური და კულტურული ღირებულებების ჩამოყალიბების, გადაფასებისა და განმტკიცების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. შესაბამისად, მედია საზოგადოების ინტერესებისა და საერთო საკითხების გარშემო მობილიზაციის უმნიშვნელოვანესი რგოლია. ასევე, განსაკუთრებული ადგილი უკავია რელიგიურ და რწმენაზე დაფუძნებულ ინსტიტუციებს, რომლებიც, ერთი მხრივ, სამოქალაქო საზოგადოების დიდ ჯგუფებს აერთიანებენ, თუმცა, მეორე მხრივ, საკუთარი ფასეულობების დამკვიდრებას ცდილობენ საზოგადოებაში. მიუხედავად ამ გარემოებებისა, ზემოაღნიშნული ინსტიტუტების სრულად მოწყვეტა სამოქალაქო საზოგადოებიდან და მისი ცალკე, დამოუკიდებელ ჯგუფებად განხილვა არ იქნებოდა მართებული. ზემოთ ჩამოთვლილი ჯგუფების შემთხვევაში, ფუნდამენტური განსხვავება ისაა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ნაწილად არსებობა არ არის ამ ინსტიტუტებისა და ჯგუფების არსებობისათვის აუცილებელი პირობა. ისინი ნებაყოფლობით

შეადგენენ სამოქალაქო საზოგადოების ნაწილს, რომელიც დემოკრატიული და ნებაყოფლობითობის ჩართულობის პრინციპებზე აგებული მონაწილეობაა.

რეალურად, სამოქალაქო საზოგადოება ოჯახური ნიშნით არ განისაზღვრება და, შესაბამისად, პერსონალურზე უფრო ფართო კავშირებს მოიცავს. ეს ადამიანთა და ინსტიტუციების ერთიანობაა, რაც პიროვნულ სივრცეს სცილდება და სახელმწიფოებრიობის გარანტად გვევლინება. სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობა, ერთი მხრივ, სახელმწიფოებრივი ძალაუფლებისა და მმართველობის კონტროლზე, ხოლო, მეორე მხრივ კი, ეკონომიკურ, კულტურულ, სოციალურ და პოლიტიკურ საქმიანობაზე ორიენტირებულ ადამიანთა ერთობლიობაა. ეს არის ასოციაციური ცხოვრება ან ასოციაციისა და ჯგუფების ერთობლიობა სახელმწიფოებრივ საჯარო სივრცეში, რომელიც ერთნაირი ან დაახლოებული სოციალური, კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების მატარებელ ინდივიდებს აერთიანებს.

სამოქალაქო საზოგადოებას სამი განზომილება გააჩნია:

სამოქალაქო საზოგადოება, როგორც „ეფექტური საზოგადოება“	საზოგადოება, რომელსაც სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება აქვს მიზნად დასახული.
სამოქალაქო საზოგადოება, როგორც ასოციაციური თანაცხოვრება	საზოგადოების ნაწილი, რომელიც მოხალისეობრივი ასოციაციებისა და ორგანიზაციებისგან შედგება და საშუალებას აძლევს ადამიანებს, ერთობლივად იმოქმედონ იმგვარ გარემოში, სადაც სამოქალაქო ღირებულებებისა და უნარების განვითარება ხდება.
სამოქალაქო საზოგადოება, როგორც საჯარო სფერო	სივრცე დებატებისა და მსჯელობისათვის, სადაც ადამიანები გამოხატავენ საკუთარ მოსაზრებას და თანხმდებიან საერთო ინტერესებისა და ღირებულებების გარშემო.

იმისათვის, რომ საქართველოს რეალობაში არსებული სამოქალაქო საზოგადოების ანალიზი გახდეს შესაძლებელი, უნდა ვიცოდეთ მისი განვითარებისათვის ფუნდამენტალური მნიშვნელობის კომპონენტები. ესენია:

- განათლებული, ინფორმირებული, ღირსეული და შეგნებული მოქალაქე;
- ძლიერი არასამთავრობო სექტორი, რომელიც საზოგადოების სხვადასხვა, მათ შორის, მოწყვლად და ნაკლებად რეპრეზენტატიულ ჯგუფებს წარმოადგენს და ამ ჯგუფების ინტერესებს იცავს თავისი მრავალფეროვანი საქმიანობით;

- დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მედია, რომელიც ობიექტური ინფორმაციის საშუალებით, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას ემსახურება;
- სამართლიანი და დამოუკიდებელი სასამართლო;
- პოლიტიკური სპექტრი, რომელიც მრავალი პარტიით არის წარმოდგენილი და ხელისუფლებისკენ სწრაფვა საზოგადოებრივ ინტერესებზე ორიენტირებული და რეალისტური პროგრამებით, მკაფიო იდეოლოგიური ხედვითა და რეალური საზოგადოებრივი მხარდაჭერით არის განმტკიცებული;
- კერძო სექტორი, რომელიც არ არის ხელისუფლების კეთილგანწყობაზე დამოკიდებული, გააჩნია კარგად განვითარებული სოციალური კორპორაციული პასუხისმგებლობა და წარმოადგენს საზოგადოების კეთილდღეობის გარანტს.

ამ გზამკვლევის ადრესატები ახალგაზრდები არიან. სწორედ მათ უნდა განავითარონ ეს კომპონენტები. სწორედ მათ აქტივობაზე, სამოქალაქო ცნობიერებაზე, მათ მონაწილეობაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად სწორად ვიმოძრავებთ ერთად ზოგადსაკაცობრიოდ აღიარებული დემოკრატიული ფასეულობების დასამკვიდრებლად საქართველოში.

თავი პირველი
ახალგაზრდული პოლიტიკა საქართველოში

შესავალი

ახალგაზრდობის განვითარება დასავლური ტიპის ყველა წარმატებულ ქვეყანაში პრიორიტეტადაა მიჩნეული. ყველა სახელმწიფო, რომელსაც საკუთარი მომავლის მკაფიო ხედვა აქვს, აცნობიერებს, რომ ახალგაზრდობის განვითარებაში ჩადებული ინვესტიცია მომავლისათვის საუკეთესო კაპიტალდაბანდებაა.

მსოფლიოს მასშტაბით ახალგაზრდული პოლიტიკა ერთ-ერთ პრიორიტეტულ პოლიტიკად იქცა. ამას გარკვეულწილად განაპირობებს დემოგრაფიული ვითარებაც. მოსახლეობის ყველაზე დიდ სეგმენტს სწორედ ახალგაზრდები წარმოადგენენ. გარდა ამისა, ახალგაზრდული პოლიტიკა დიდწილად უკავშირდება ქვეყნების სამომავლო განვითარების პერსპექტივებს. შესაბამისად, სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება ერთ-ერთ პრიორიტეტად იქცა, მათ შორის - საქართველოშიც.

საქართველოში ახალგაზრდული პოლიტიკითა და პროგრამებით არაერთი სახელმწიფო სტრუქტურა და საჯარო სამართლის იურიდიული პირია დაკავებული. ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავთ ახალგაზრდული პოლიტიკის შემმუშავებელ და განმახორციელებელ სახელმწიფო სტრუქტურებზე ინფორმაციას. აგრეთვე ვისაუბრებთ სახელმწიფო სტრუქტურების, სტუდენტური და ახალგაზრდული ორგანიზაციების თანამშრომლობის მნიშვნელობაზე, შესაძლებლობებსა და პრაქტიკაზე.

საქმიანობის აღწერა	**საკონტაქტო ინფორმაცია**
დასახელება: **1. სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო**	
(ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს ბავშვთა, ახალგაზრდობისა და ახალგაზრდა ოჯახების სოციალური, ეკონომიკური, კულტურულ-საგანმა-ნათლებლო, დასაქმების, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა პრობლემების გადაჭრის მიზნით, ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნების გათვალისწინებით, ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება; (ბ) განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და უზრუნველყოფას ზედამხედველობს სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის საორგანიზაციო

ახალგაზრდების, ახალგაზრდა მეცნიერთა, სპორტსმენთა და შემოქმედთათვის სახელმწიფო მხარდაჭერა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროში სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და შესაბამის უწყებებთან ერთად მათი განხორციელება; (გ) ბავშვებსა და ახალგაზრდებს შორის დამნაშავეობისა და სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების შესამუშავებლად სახელმწიფო პროგრამების მომზადება სხვა შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით; (დ) ბავშვთა შრომითი საქმიანობის კონტროლის დაწესება, ავადმყოფი, ინვალიდი და სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმის ხელშემწყობი პირობების შექმნა; (ე) საბავშვო და ახალგაზრდული კულტურული, სამეცნიერო, სპორტული და სხვა ღონისძიებების ორგანიზება და სხვა პირებისათვის ამგვარ ღონისძიებათა მოწყობის მხარდაჭერა;	უზრუნველყოფისა და რესურსების მართვის სამმართველოს უფროსი - ნატო უდესიანი. ტელ: 832 2 23 50 06 ელ.ფოსტა: nato. udesiani@msy.gov.ge --- სამინისტროში შესაბამის თანამდებობის პირებთან მოქალაქეთა მიღების დღეებია: ფიზიკურ პირთათვის - სამშაბათი 11:00სთ - 15:00სთ იურიდიულ პირთათვის - ხუთშაბათი 11:00სთ - 15:00სთ **სამინისტროს აპარატი:** ტელ: (995 32) 2 23 54 33 ელ.ფოსტა: office@msy.gov.ge **საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო:** ტელ: (995 32) 2 23 54 33 ელ.ფოსტა: pr@msy.gov.ge **ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი:** ტელ: (995 32) 2 23 59 43 ელ.ფოსტა: youth@msy.gov.ge **რეგიონული დეპარტამენტი:** ტელ: (995 32) 2 29 00 38 ელ.ფოსტა: regions@msy.gov.ge **ადმინისტრაციული დეპარტამენტი:** ტელ: (995 32) 2 23 50 48 ელ.ფოსტა: administration@msy.gov.ge
2. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საპარლამენტო კომიტეტი	
(ა) შეიმუშავებს და განსაზღვრავს ახალგაზრდული პოლიტიკის პრიორიტეტებს და საკანონმდებლო ბაზას; (ბ) განიხილავს და პარლამენტის პლენარული	0118, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N8 ტელ: (995 32) 2-28 17 26

სხდომისათვის ამზადებს კანონების, პარლამენტის დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებების პროექტებს ახალგაზრდობის საკითხებზე; (გ) განიხილავს ბიუჯეტის პროექტს და შეიმუშავებს დასკვნას ახალგაზრდობის და სპორტის მიმართულებით; (დ) ახორციელებს კონტროლს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სახელმწიფო ორგანოებისა და მთავრობის საქმიანობაზე თავისი კომპეტენციის სფეროში.	ფაქსი: (995 32) 2-92 12 83 ელ-ფოსტა: sports@parliament.ge
3. საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი	
(ა) საქართველოს მოქალაქეთა, საქართველოში მყოფ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა, არასამთავრობო ორგანიზაციათა განცხადებებსა და საჩივრებზე რეაგირება, რომლებიც ეხება საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ უფლებათა და თავისუფლებათა, აგრეთვე იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებებით დადგენილ უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევებს, რომელთა მონაწილეც არის საქართველო; (ბ)დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შემოწმება; (გ) საგანმანათლებლო საქმიანობა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში.	სახალხო დამცველის ოფისები მდებარეობს: თბილისი: ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179. ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877 ფაქსი: +99532 922470 ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge ვებ-გვერდი: www.ombudsman.ge ბათუმი: მაზნიაშვილის ქ. 9 ტელ.: 0422 27 05 44 მობ.: 577 50 52 31 ქუთაისი: რუსთაველის ქ. 18 ტელ.: 0431 25 33 50 მობ.: 577 55 33 81 ზუგდიდი: კოსტავას 58 მობ.: 577 50 52 34 ტელ.: 0415 22 36 11 გორი: სამების ქ. N1 მობ.: 577 78 27 42 ტელ.: 0370 27 05 49 ახალქალაქი, ჭავჭავაძის ქ. 4 მობ.: 577 12 27 70 ; 577 12 27 71 ტელ.: 0362 22 32 83 მარნეული: რუსთაველის ქ. 51

4. სსიპ- ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი	
- ფონდის მიზანი ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების მხარდაჭერა, ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება, მათ მიერ დაგეგმილი პროექტების დაფინანსება, ღონისძიებების ორგანიზება და განხორციელებაა. - 2010 წლიდან ფონდზე ადმინისტრაციულ კონტროლს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ახორციელებს.	www.fondi.ge
5. საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო	
პროგრამის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პრეზიდენტის ინიციატივით ახორიელებს სტუდენტთა საზაფხულო დასაქმების პროგრამას "Summer Job". პროექტი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ზაფხულის არდადეგების პერიოდში 20 ივლისიდან 20 აგვისტომდე გაგრძელდება. მასში მონაწილეობის მიღება შუძლიათ საქართველოში ავტორიზებული უნივერსიტეტების ბაკალავრიატის სტუდენტებს: - პროექტის ფარგლებში დასაქმდება ოცდახუთი ათასი სტუდენტი; - თითოეულ დასაქმებულ სტუდენტზე სახელმწიფოს მიერ გამოყოფილია 500 ლარი (დარიცხული); - სტუდენტის სურვილის შემთხვევაში მას მიეცემა შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა პროგრამა "Summer Job"-ში და აირჩიოს შეთავაზებული 70-მდე სამუშაო სახეობიდან სასურველი ერთი ვაკანსია (სამშენებლო ორგანიზაციებში, იურიდიულ კომპანიებში, მუზეუმებში, საავადმყოფოებში, თვითმმართველობის ორგანოებში და ა.შ.); - დარეგისტრირება შესაძლებელი იქნება ელექტრონულ მისამართზე www.summerjob.ge პროგრამა "Summer Job" მიზნად არ ისახავს	www.mes.gov.ge

სტუდენტის დასაქმებას პროფესიის მიხედვით. შესაძლოა, სტუდენტს გაუმართლოს და მისი პროფესია იყოს ვაკანტური ადგილის სიაში. თუმცა, სტუდენტთა ძირითადი ნაწილი დასაქმდება არა პროფესიის მიხედვით, იმ მარტივი მიზეზით, რომ მისი პროფესია არ არის დამსაქმებლების მიერ შემოთავაზებული და მოთხოვნილი. (ბ) არაქართულენოვან სკოლებში, ქართული ენის ფლობის დონის გაუმჯობესების მიზნით, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის არაქართულენოვან სკოლებში იგზავნებიან ბაკალავრის ხარისხის მქონე ახალგაზრდები პროგრამის მონაწილეები ცხოვრობენ ადგილობრივ ოჯახებში და მათაც ეხმარებიან ენის სწავლის პროცესში. პროგრამის მონაწილეები არაქართულენოვან სკოლებში რჩებიან ერთი აკადემიური წლის განმავლობაში. პროგრამის მიხედვით სასწავლო პროგრამის ბაკალავრ მონაწილეებს, მათი სურვილის შემთხვევაში, სახელმწიფო დაუფინანსებს მაგისტრატურაში სწავლის ხარჯებს.	
6. სსიპ-ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი	
- ცენტრის მიზანია ახალგაზრდობის ინტელექტუალური, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენის, ფორმირებისა და სრულყოფისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; - სხვადასხვა კატეგორიის სოციალურად დაუცველ ბავშვებზე ზრუნვა; - ბავშვებსა და ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და პოპულარიზაცია.	www.cync.ge
7. მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე	
- მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე მრავალპროფილიანი, საგანმანათლებლო და სასწავლო დაწესებულებაა, რომელიც სტრუქტურით, მრავალი მიმართულებით ემსახურება	www.youthpalace.ge

სასკოლო ასაკის მოზარდისა და ნებისმიერი ინტერესის მქონე ბავშვის არასასწავლო, თავისუფალი დროის გონივრული გამოყენებისა და სკოლისშემდგომი დამატებითი განათლების მიღების საქმეს.	

1. ახალგაზრდობის სახელმწიფო პოლიტიკა

საქართველოში ახალგაზრდული პოლიტიკის განმსაზღვრელ და გამტარებელ მთავარ უწყებას წარმოადგენს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ 2011-2012 წლებში შეიმუშავა ახალგაზრდული პოლიტიკის პროექტი. სწორედ ამ დოკუმენტის დამტკიცების შემდეგ, ამ დოკუმენტზე დაფუძნებით განხორციელდება ახალგაზრდული პოლიტიკა საქართველოში.

დოკუმენტის შესაბამისად საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის პრინციპებია:

- **სამართლიანობა,** ანუ სახელმწიფოს მხრიდან ახალგაზრდული სექტორის მართვა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მეშვეობით უნდა განხორციელდეს, იმ საჯარო პრინციპების დაცვით, რომლებიც ახალგაზრდობის მიმართ სამართლიანი მიდგომის ერთგვარ გარანტად და წინაპირობად იქცევა;
- **თანასწორობა** - თანასწორი მოპყრობა განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, რასისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვა;
- **გამჭვირვალობა** - სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განმახორციელებელი ინსტიტუტების საჯაროობა;
- **მონაწილეობა** - ახალგაზრდული გაერთიანებების წარმომადგენლების მონაწილეობითა და მათთან შეთანხმებით ახალგაზრდული პრობლემების მოგვარებასთან დაკავშირებული ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღება, ასევე ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველყოფა მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრის პროცესში;
- **მიუკერძოებლობა** - ახალგაზრდული პოლიტიკის გატარებისას სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტული საზოგადოებრივი ჯგუფის ან ახალგაზრდული ორგანიზაციის მიმართ რაიმე უპირატესობის მინიჭების დაუშვებლობა;

- **ინფორმირება** - სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და დაწესებულების მიერ, ახალგაზრდობისათვის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება;
- **კოორდინირებულობა** - როგორც სახელმწიფო სტრუქტურებში, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, ეფექტური კომუნიკაცია და შეთანხმებული ურთიერთობა.

ამავე დოკუმენტის მიხედვით, სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის შემდეგი პრიორიტეტები აქვს განსაზღვრული:

- სამართლებრივი გარემოს ფორმირება ახალგაზრდების მხარდაჭერისთვის;
- ახალგაზრდების ინფორმირება მათ ხელთ არსებული შესაძლებლობების შესახებ, აქტიური საინფორმაციო უზრუნველყოფის გზით;
- ახალგაზრდებისთვის არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობით უზრუნველყოფა;
- ახალგაზრდებში სახელმწიფობრივი აზროვნების, სამოქალაქო და დემოკრატიული ღირებულებების პატივისცემის დანერგვის, აქტიური მოქალაქეობის, მოხალისეობის, მოქალაქის ვალდებულებების დაცვის, კანონის პატივისცემის, სასიამოვნო გარემოში ცხოვრებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის იდეის პოპულარიზება;
- ახალგაზრდული არასამთავრობო სექტორის განვითარება სასწავლო და საგრანტო პროგრამებით უზრუნველყოფის გზით;
- ახალგაზრდების ჩართვა ყველა დონის გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ჩართულობის უზრუნველყოფისათვის საჭირო ეფექტური მექანიზმების შექმნა;
- ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლა, შეფასება, კვლევა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

ახალგაზრდობის საჭიროებები და გამოწვევები

ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს აგრეთვე იმ ძირითად საჭიროებებსა და გამოწვევებს, რომლებიც ახალგაზრდების წინაშე დგას და რომელთა გადაჭრაზეც იქნება ორიენტირებული საქართველოში ახალგაზრდული პოლიტიკა.

ახალგაზრდობის საჭიროებები:

- უსაფრთხოება;
- განათლება (ფორმალური, არაფორმალური);
- დასაქმება;
- სამედიცინო მომსახურება;
- საზოგადოებაში რეალიზაცია;
- დაოჯახება;
- ინფორმირებულობა საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების, შესაძლებლობების შესახებ;
- სამეწარმეო, შემოქმედებითი, პოლიტიკური და საზოგადოებრივი საქმიანობა;
- დასვენება, გართობა, მოგზაურობა.

ყველა აღნიშნული მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა თუ გარემო პირობების განვითარებისთვის სახელმწიფო ახალგაზრდებს (ისევე, როგორც თითოეულ მოქალაქეს) უზრუნველყოფს სახელმწიფო პროგრამებით.

საქართველოში ახალგაზრდული პოლიტიკა და პროგრამები რამდენიმე ძირითადი მიმართულებით ხორციელდება:

- ახალგაზრდების დასაქმება;
- ფორმალური და არაფორმალური განათლება;
- სახელმწიფო სერვისებით სარგებლობის უკეთესი შესაძლებლობის შექმნა;
- ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავთ იმ ახალგაზრდულ პროგრამებს, რომელთაც საქართველოს ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტრო ახორციელებს და რომლებშიც აქტიურად ჩართვა შეუძლიათ ახალგაზრდებს.

2. სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროგრამები

ა. პროგრამა „პატრიოტი“

საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 7 მაისის #345 განკარგულებით შეიქმნა პროგრამა „პატრიოტი". პროგრამა მიზნად ისახავს ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებას, არაფორმალური განათლების ხელშეწყობასა და ახალგაზრდობის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას.

- „პატრიოტი 2012-ში" მონაწილეობას იღებენ მხოლოდ საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდები;
- ევროპიდან და ამერიკიდან ჩამოსული ტრენერები ახალგაზრდებს, ლიდერობისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევების ამაღლების მიზნით, პრაქტიკულ ტრენინგებს ჩაუტარებენ;
- ბანაკში ამოქმედდება მონაწილეთა თვითმმართველობა, რომელიც ყოველ ნაკადზე არჩევნების გზით, პროგრამის მონაწილეებით დაკომპლექტდება. თვითმმართველობა, ბანაკის ადმინისტრაციასთან ერთად, ბანაკის ყოველდღიური ცხოვრების სხვადადასხვა საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს მიიღებს.

მონაწილეობა

,,პატრიოტში" მსურველები ავსებენ ონლაინ სააპლიკაციო ფორმას: იხილეთ ბმული:
https://docs.google.com/a/kent.edu/spreadsheet/viewform?formkey=dF9zdTctVkloOUp6UHp0bXZlZ01FYnc6MA (სააპლიკაციო ფორმა 15-17 წლის მონაწილეთათვის)
https://docs.google.com/a/kent.edu/spreadsheet/viewform?formkey=dHJwajZuQWxMcW43bElXS0FxSE9lcEE6MA (სააპლიკაციო ფორმა 18-20 წლის მონაწილეთათვის).

ბ. პროგრამა საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტი

საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტის მიზანია საქართველოს რეგიონებში აქტიური, ნიჭიერი ახალგაზრდების აღმოჩენა და ჩართვა აკადემიურ-პრაქტიკულ ღონისძიებებში - საპარლამენტო სესიებში. პროექტის ამოცანაა 16-20 წლამდე ქართველი ახალგაზრდების აკადემიური აქტივობის გაზრდა; მათი ცოდნის პრაქტიკაში რეალიზების ხელშეწყობა; დებატების კულტურის ჩამოყალიბება; სამოქალაქო თვითშეგნების გაზრდა, რაც საბოლოოდ ქვეყანაში პარლამენტარიზმის კულტურის ამაღლებას და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას ემსახურება.

საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტის მუშაობის პრინციპი ეფუძნება არაფორმალური განათლების მეთოდოლოგიას, რომელიც გულისხმობს, როგორც თეორიული ცოდნის მიღებას (კომიტეტებში რეზოლუციაზე მუშაობა, დამატებითი თემატური მასალის გაცნობა), ასევე პრაქტიკული უნარების გამომუშავებას (დებატები პლენარულ სხდომაზე, კრიტიკული აზროვნების გამომუშავება, სახალისო თამაშები გუნდური მუშაობის პრინციპის გათავისებისათვის).

საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტის სესიები წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის იმიტირებულ სხდომებს, რომლებიც გაიმართება საქართველოს 16 ქალაქში და ყველა რეგიონს მოიცავს. პროექტში მონაწილეობას მიიღებენ რეგიონში მცხოვრები 16–დან 20 წლამდე ახალგაზრდები. თითოეულ სხდომაში მონაწილეობას მიიღებს 120 ახალგაზრდა. საბოლოოდ, პროექტის ბენეფიციართა რაოდენობა 1 წლის განმავლობაში 2000 ადამიანს შეადგენს.

პროექტი ხორციელდება შემდეგ ქალაქებში: გურჯაანი, თელავი, რუთავი, გორი, ბათუმი, ქუთაისი, ლანჩხუთი, ბორჯომი, ახალციხე, ზესტაფონი, ამბროლაური, ზუგდიდი, დუშეთი, თბილისი.

თითოეული სხდომისათვის სპეციალურად ირჩევა კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც ფასილიტაციას გაუწევს ახალგაზრდა პარლამენტარების მუშაობის პროცესს. მონაწილეები კომიტეტების კომპეტენციის ფარგლებში განიხილავენ აქტუალურ საკითხს და გუნდური მუშაობით იღებენ დადგენილებებს, რომლებიც რეკომენდაციის სახით გადაეგზავნება საქართველოს პარლამენტს.

მიღებულ დადგენილებებს ახალგაზრდა პარლამენტარები განიხილავენ პლენარულ სხდომაზე, რომელსაც უძღვება მონაწილეთაგან შერჩეული სპიკერი და 2 ვიცე-სპიკერი. წინასწარ განსაზღვრული პროცედურების გათვალისწინებით (რაც მოიცავს დადგენილების გაცნობას, მათ ირგვლივ მიღებულ შენიშვნებს, შემაჯამებელ სიტყვას და კენჭისყრას) ხდება დადგენილების განხილვა დებატისა და მრავალმხრივი თემატური კომენტარების შემდგომ.

ახალგაზრდულ პარლამენტში მუშაობს 7 კომიტეტი: ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი; განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტი; საგარეო ურთიერთობათა და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი; სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი; თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი; დარგობრივი ეკონომიკის, ეკონომიკური პოლიტიკისა და აგრარულ საკითხთა კომიტეტი.

პარლამენტის იმიტირებული სხდომა 3 დღის განმავლობაში მიმდინარეობს. პირველი ორი დღე ეთმობა საკომიტეტო მუშაობას და დადგენილებების შემუშავებას, ხოლო მესამე დღეს ხდება დადგენილებების სხვა კომიტეტებისათვის გაცნობა და იმართება კენჭისყრა.

გ. პროგრამა „Speak Up in Georgia"

პროგრამა „Speak Up in Georgia" არის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდობის პრაქტიკული ინგლისური ენისა და ლიდერული უნარ-ჩვევების განვითარებას. იგი გაგრძელდება 2012 წლის აგვისტოს თვის ბოლომდე. პროექტის ფარგლებში ჩატარდება 16 სესია **ახალგაზრდებისათვის საინტერესო თემატიკაზე** პროგრამაში მონაწილეობა არის უფასო.

თემატიკა: რატომ უნდა შევისწავლოთ ენები? თვითბრენდინგის ხელოვნება; განსხვავებული (მრავალფეროვანი) ცხოვრების სტილი; მიზნის დაგეგმვის გზები; რეზიუმეს წერა/ინტერვიუები; იდეალური სამსახური; საჯარო გამოსვლები; დებატები; ხელოვნება ჩვენს ცხოვრებაში; პროექტის მენეჯმენტი; ლიდერობა ახალგაზრდებში; PR მენეჯმენტი; კონფლიქტების მენეჯმენტი; მულტიკულტურალიზმი; ინგლისური ენის სწავლების ეფექტური გზები; კონფერენციები...

პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 17-26 წლამდე ახალგაზრდებს, რომლებიც ინგლისურ ენას საშუალო დონეზე ფლობენ. პროგრამა საქართველოს 8 ქალაქში - თელავში, მცხეთაში, ქუთაისში, ზუგდიდში, ბათუმში, რუსთავში, გორსა და ბორჯომში ტარდება და მასში 1000 ახალგაზრდა ჩაერთვება.

პროგრამაში მონაწილეობის მსურველებმა უნდა მიმართონ ქალაქის მუნიციპალიტეტს ან შეავსონ ონლაინ სარეგისტრაციო ფორმა გვერდზე: www.speakup.ge

3. ახალგაზრდული სერვისების მონაცემთა ბაზა

პროექტის მიზანი

პროექტის მიზანია, შევქმნათ ახალგაზრდული სერვისების/მომსახურების ერთიანი მონაცემთა ბაზა, რომელშიც თავმოყრილი იქნება ინფორმაცია საქართველოს მასშტაბით სამოქალაქო, კერძო, სამთავრობო და საერთაშორისო სექტორში ახალგაზრდებისათვის განკუთვნილი მომსახურების შესახებ.

მონაცემთა ბაზაში/ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია ორგანიზაციების მიერ ახალგაზრდებისთვის შემუშავებული სერვისების შესახებ:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;
- კომპიუტერული კურსები;
- ხელოვნებისა და სპორტის წრეები;
- იურიდიული და ფსიქოლოგიური დახმარება;

- გასართობი დაწესებულებები;
- დღის ცენტრები;
- მრავალი სხვა პროგრამა.

ახალგაზრდული სერვისების საძიებო სისტემა - www.cync.ge/e-service
მონაცემთა ბაზას ჩაშენებული აქვს საძიებო სისტემა, რომლის საშუალებითაც მომხმარებლებს სასურველი სერვისის მოძებნა გაუადვილდებათ. საძიებო სისტემას აქვს ფილტრი, ანუ თუ მომხმარებელს აინტერესებს მხოლოდ ხელოვნების პროგრამები, მას საშუალება აქვს, მოძებნოს სერვისი მხოლოდ ამ კატეგორიაში. ასევე, აღსანიშნავია, რომ ბაზას აქვს სამიზნე ჯგუფებისა და მომსახურების საფასურის ფილტრიც. თუ მომხმარებელი არის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი ან სოციალურად დაუცველი და მას აინტერესებს მხოლოდ მისთვის განკუთვნილი მომსახურება, "ახალგაზრდულ სერვისებს" აქვს ფუნქცია, მოძებნოს კონკრეტული ჯგუფისთვის განკუთვნილი მომსახურება.

პროექტის ეტაპები

პროექტი რამდენიმე ეტაპისგან შედგება და "ახალგაზრდული ელექტრონული სერვისების" 2012 წლის იანვარში ამოქმედდა. პირველ ეტაპზე პროექტის ორგანიზატორებმა უკვე შეაგროვეს 10 ქალაქში: თბილისში, რუსთავში, ფოთში, მარნეულში, ქუთაისში, ახალქალაქში, გორში, ბათუმში, ზუგდიდსა და თელავში არსებული 100-მდე ორგანიზაციის 400-მდე მომსახურება.

სერვისების მოძიება და განახლება

ახალგაზრდული სერვისების შესახებ ინფორმაციის მოძიებაში პროექტის ორგანიზატორებს აქტიურად ეხმარებოდა ზემოთ ხსენებული ქალაქების ადგილობრივი ხელისუფლება. მათ გამოყვეს წარმომადგენლები, რომლებსაც ინფორმაციის მოძიებასთან დაკავშირებით, შესაბამისი ტრენინგი ჩაუტარდათ. მოგვიანებით, უწყებების უფლებამოსილების ფარგლებში, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ინფორმაცია შეაგროვეს.

ბუნებრივია, ამ ეტაპზე მონაცემთა ბაზაში ვერ მოხვდა საკმაოდ ბევრი ორგანიზაცია, რომლებსაც აქვთ საინტერესო სერვისები. ამას ობიექტური მიზეზი აქვს - ადამიანური რესურსის ნაკლებობა. მაგრამ პროექტის ორგანიზატორებმა ეს დეტალიც გაითვალისწინეს. ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელიც ვერ მოხვდა ბაზაში, თავად შეუძლია შეავსოს

ელექტრონული განაცხადი დაწესებულებაში არსებული მომსახურებების შესახებ. ამისთვის, ორგანიზაციის წარმომადგენელმა უნდა გაიაროს რეგისტრაცია. "ახალგაზრდული ელექტრონული სერვისების" ვებ-გვერდზე **www.cync.ge/e-service**. ამის შემდეგ, პროექტის ორგანიზატორები გადაამოწმებენ აღნიშნული ინფორმაციის სისწორეს და მომსახურება აისახება მონაცემთა ბაზაში. ეს არის საკმაოდ მოქნილი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა ბაზის მუდმივ განახლებას.

4. პროგრამა „ალიანტე“

საერთაშორისო კონკურს ,,ალიანტეს“ 11-წლიანი ისტორია აქვს და ის პირველად ჩეხეთის რესპუბლიკაში ჩატარდა. კონკურსის მიზანია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება ნატოსა და უსაფრთხოების საკითხებზე.

საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ 15–დან 19 წლამდე ასაკის მოზარდებს. ამრიგად, ,,ალიანტე 2011“–ში მონაწილეობის მსურველები დაბადებული უნდა იყვნენ 1/08/1991–31/05/1996 დროის შუალედში და უნდა ცხოვრობდნენ შემდეგ 5 ქვეყანაში: საქართველოში, ლიტვაში, მონტენეგროში, პოლონეთში ან სლოვაკეთში.

საქართველო კონკურსში 4 წელია, რაც ჩაერთო და ამ დროის განმავლობაში, ჩვენი ქვეყნიდან 5 000–ზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა. სწორედ კონკურსით დაინტერესებული მოზარდების აქტივობის დონემ განაპირობა, რომ 2010 წელს, ,,ალიანტეს“ ისტორიაში პირველად, კონკურსის საერთაშორისო ფინალი ნატოს არაწევრ ქვეყანაში, საქართველოში გაიმართა (საჩხერის სამთო მომზადების ბაზა).

ეროვნული კონკურსის მიზანია 15-19 წლის ასაკის მოსწავლეების ცნობიერების ამაღლება ნატოსა და უსაფრთხოების საკითხებზე.

ეროვნული კონკურსი შესაძლებლობას აძლევს მონაწილეებს, გამოავლინონ საკუთარი ცოდნა ისტორიის, გეოგრაფიის, პოლიტიკის შესახებ, ასევე გამოცადონ ფიზიკური ძალები რთულ პირობებში.

პროექტი ,,ალიანტე 2012" დაფინანსებულია სსიპ ,,**ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის** მიერ. კონკურსის პარტნიორებია:

- ნატოს სამეკავშირეო ოფისი საქართველოში;
- საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- საჩხერის სამთო მომზადების სკოლა;
- საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ.

ეროვნული კონკურსი 4 ეტაპისგან შედგება.

პირველ ეტაპზე უნდა შექმნან 2 კაციანი გუნდები და დარეგისტრირდნენ ვებ-გვერდზე **www.aliante.ge**. ამავე ტურში მონაწილეებმა ონლაინ-რეჟიმში პასუხი უნდა გასცენ დახურული ტიპის კითხვებს. კითხვები შეეხება ნატოსა და უსაფრთხოების საკითხებს. ისინი, ვინც ყველაზე მეტ სწორ პასუხს დააგროვებენ, კონკურსის მეორე ეტაპზე გადავლენ.

მეორე ეტაპზე გადასულმა გუნდებმა პასუხი უნდა გასცენ ღია ტიპის კითხვებს, ამჯერად - წერილობით. პასუხებს ნატოსა და უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ექსპერტები შეაფასებენ.

მესამე ეტაპზე ჩატარდება ნახევარფინალები, სადაც მონაწილეები ინტელექტუალურ და ფიზიკურ მომზადებაში შეერკინებიან.

მეოთხე ეტაპი - ეროვნული ფინალი.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს გარდა, ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვან პროექტებს ახორციელებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, აგრეთვე სხვადასხვა პროგრამებს ახორციელებენ ადგილობრივი მმართველობის ორგანოები. ამ პროგრამაში ჩართვის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიღება ახალგაზრდებს შეუძლიათ შესაბამისი ორგანოების ვებ-გვერდების მეშვეობით.

თავი მეორე
სამოქალაქო და ეკონომიკური მონაწილეობა

შესავალი

სამოქალაქო და ეკონომიკური მონაწილეობის უზრუნველყოფისთვის არაერთი მექანიზმი არსებობს. აღნიშნულ თავში განვიხილავთ სამოქალაქო და ეკონომიკური მონაწილეობისთვის საწყის ეტაპზე მოქალაქის და სახელმწიფოს ურთიერთობის მნიშვნელოვან ასპექტებს. წარმოგიდგენთ პროცედურებს, მაგალითებს და რეკომენდაციებს სამოქალაქო, ეკონომიკური და პოლიტიკური ჩართულობისთვის.

ეკონომიკური მონაწილეობის გარდა, მნიშვნელოვანია ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში არაკომერციული ორგანიზაციების საშუალებით ჩართულობა. საქართველოს კანონმდებლობა არეგულირებს არაკომერციული ორგანიზაციების დაფუძნებასა და საქმიანობას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, საგადასახადო კოდექსის, შრომითი კოდექსის, გრანტების შესახებ კანონითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

არაკომერციული იურიდიული პირის საქმიანობის დასაწყებად მნიშვნელოვანია მისი რეგისტრაცია. ორგანიზაციის დასარეგისტრირებლად დაინტერესებული პირი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ განცხადებას წარუდგენს მარეგისტრირებელ ორგანოს.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში განცხადებას უნდა დაერთოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერილი და სანოტარო წესით დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტი (წესდება/წევრთა შეთანხმება), რომელშიც უნდა მიეთითოს:

ა) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდება;

ბ) მონაცემები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ადგილსამყოფლის (იურიდიული მისამართის) შესახებ;

გ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის მიზანი;

დ) მონაცემები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლის (დამფუძნებლების) შესახებ (ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი,

ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – სრული სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, რეგისტრაციის რეკვიზიტები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები)); თითოეული დამფუძნებლის შესახებ მონაცემები შეიტანება ცალ-ცალკე;

ე) მონაცემები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს (ორგანოების) შესახებ;

ვ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს (ხელმძღვანელი პირის) შექმნის (არჩევის) წესი და უფლებამოსილების ვადა;

ზ) მონაცემები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი პირის შესახებ (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პირადი ნომერი);

თ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს (ხელმძღვანელი პირის) მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი და პროცედურა;

ი) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები), მისი (მათი) არჩევის წესი და უფლებამოსილების ვადა;

კ) მონაცემები წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) შესახებ (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), დაბადების ადგილი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პირადი ნომერი);

ლ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრად მიღების, წევრობიდან გასვლისა და გარიცხვის წესი, თუ იგი წევრობაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია;

მ) რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს (პირის) დასახელება, გადაწყვეტილების მიღების წესი და პროცედურა, თუ იგი განსხვავდება ამ ნაწილის „თ“ ქვეპუნქტში მითითებული წესისა და პროცედურისაგან.

რეგისტრაციის შესახებ განცხადებას აგრეთვე უნდა დაერთოს:

ა) მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) ხელმოწერის ნიმუში, რომელსაც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) გამოიყენებს (გამოიყენებენ) საქმიან ურთიერთობებში;

გ) ცნობა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ადგილსამყოფლის (იურიდიული მისამართის) შესახებ –

ადგილსამყოფლის მესაკუთრის სანოტარო წესით დადასტურებული თანხმობა ან ადგილსამყოფლით სარგებლობის თაობაზე დადგენილი წესით გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულება.

ქვემოთ მოცემულია ორგანიზაციის წესდების ნიმუში, რომელშიც კარგად ჩანს ორგანიზაციის ფუნქციონირების, მართვის, სტრუქტურის მახასიათებლები. აღნიშნული ნიმუში დაგეხმარებათ საკუთარი წესდების შემუშავებაში, მიზნისა და ამოცანების განსაზღვრაში, ორგანიზაციის სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შექმნაში.

1. ორგანიზაციის წესდების ნიმუში

წესდების ნიმუში

მუხლი 1

ზოგადი დებულებები

1.1. სტუდენტური ასოციაცია „გახდი თანამონაწილე“ წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

1.2. სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

1.3. საზოგადოების სახელწოდება: სტუდენტური ასოციაცია „გახდი თანამონაწილე“.

1.4. სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

1.5. იურიდიული მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი 1 შესახვევი, შეს N3, ბინა 144.

1.6. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თავისი წევრის (წევრების), აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ვალდებულებებისათვის მისი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საკუთარი წევრების, აგრეთვე თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) ვალდებულებებზე.

1.7. საზოგადოების საქმიანობის მიზნები:

1. უმცირესობათა წარმომადგენელი სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების წარმოდგენა, როგორც უნივერსიტეტში, ისე მის ფარგლებს გარეთ;

2. სტუდენტებისთვის მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების განხორციელებაში დახმარება; მათი უფლებებისა და თავისუფლებების

პრაქტიკულ რეალიზაციაში ხელშეწყობა;
3. სტუდენტებისთვის მაღალკვალიფიციური განათლების მიღება, თვითრეალიზებისა და დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
4. სტუდენტებისთვის სწავლის პერიოდში პროფესიული უნარ-ჩვევებისა და კონკურენტუნარიან პროფესიონალად ჩამოყალიბებაში დახმარების გაწევა;
5. სტუდენტებში სამართლებრივი თვითშეგნების დონისა და კანონისადმი პატივისცემის ამაღლების, საქართველოში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის ხელშეწყობა;
6. უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის საფუძველზე, სასწავლო პროცესთან და მატერიალურ მხარესთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის ხელშეწყობა;
7. ფაკულტეტის წინაშე სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად წინადადებების შემუშავება და ფაკულტეტის საბჭოს, წარმომადგენლობით საბჭოსა ან/და აკადემიურ საბჭოს წინაშე წარდგენა;
8. სტუდენტური ქსელებისა და ალიანსების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა;
9. სტუდენტური ასოციაციის თანამშრომლობისა და ინტეგრაციის ხელშეწყობა საერთაშორისო სტუდენტურ ორგანიზაციებთან;
10. სამოქალაქო და კომერციულ სტრუქტურათშორისი თანამშრომლობისა და საქმიანობის ხელშეწყობა და წახალისება;
11. საქართველოს სახელმწიფოში უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა;
12. სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ხელშესაწყობად შესაბამისი პროექტების, პროგრამების მომზადება და განხორციელება;
13. უმცირესობათა უფლებების დაცვა;
14. ინფორმაციის გავრცელება უმცირესობების უფლებების შესახებ;
15. საზოგადოებაში პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალებება ეთნიკური უმცირესობების მიმართ;
16. ეთნიკურ უმცირესობათა ადამიანური რესურსების მობილიზება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართვა;
17. უმცირესობათა ენების შენარჩუნებისა და განვითარებისთვის ხელშეწყობა;
18. საგანმანათლებლო და სხვა ტიპის პროექტებისა და პროგრამების მომზადება და არაქართულენოვანი სკოლების რეფორმირების ხელშეწყობა;
19. ეროვნებათშორისი დიალოგის ხელშეწყობა;
20. კონფლიქტების პრევენციის და გადაწყვეტის ხელშეწყობა;
21. საგამომცემლო-ბეჭდვითი საქმიანობა.

1.8. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია, ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების

განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

1.9. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

მუხლი 2
საზოგადოების დამფუძნებლები

2.1. საზოგადოების დამფუძნებლები არიან:

მუხლი 3
საზოგადოების მართვა

საზოგადოების უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს დამფუძნებელთა/წევრთა საერთო კრება.

3.1. საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა წევრთა საერთო კრება, რომელიც გამგეობის მოწვევით იკრიბება წელიწადში ერთხელ.

3.2. საერთო კრებაზე გამგეობის თავმჯდომარის მოწვევით, სათათბირო ხმის უფლებით, შესაძლებელია მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეები, უცხოეთის წარმომადგენლობების ან საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

3.3. საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული ხმის უფლების მქონე ნახევარზე მეტი.

3.4. გადაწყვეტილებების მიიღება დამსწრე ხმის უფლების მქონე წევრთა მიერ, ხმების უბრალო უმრავლესობით, ხოლო გადაწყვეტილება წესდებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე დამსწრეთა 2/3-ის უმრავლესობით, გადაწყვეტილება საზოგადოების მიზნის შეცვლის შესახებ 4/5-ის უმრავლესობით.

3.5. საერთო კრება:

ა) ამტკიცებს წესდებას და ცვლილებები შეაქვს მასში;

ბ) ირჩევს ან ამტკიცებს გამგეობის წევრებს, ამტკიცებს მათ რაოდენობას და წყვეტს მათი მონაცვლეობის საკითხს;

გ) განსაზღვრავს საზოგადოების საერთო კურსს და სტრატეგიას;

დ) ამტკიცებს გამგეობის მიერ შემოთავაზებულ გრძელ და მოკლევადიან პროგრამას;

ე) ისმენს გამგეობის ანგარიშებს;

ვ) ამტკიცებს საერთო კრების პროცედურულ ნორმებს და დღის წესრიგს.

3.6. რიგგარეშე საერთო კრება მოიწვევა გამგეობის გადაწყვეტილებით ან ხმის უფლების მქონე წევრთა მეოთხედის წერილობითი მოთხოვნითა და საერთო კრების დღის წესრიგის მითითებით.

მუხლი 4
საზოგადოების ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

4.1. გამგეობა წარმოადგენს საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს.
4.11. გამგეობა შედგება საერთო კრების მიერ ოთხი წლის ვადით არჩეული წევრებისაგან, რომელთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ოცდათერთმეტს და არ უნდა იყოს ხუთ წევრზე ნაკლები.
4.12. გამგეობა წარმართავს საზოგადოების მუშაობას.
4.13. გამგეობა ამტკიცებს საზოგადოების ბიუჯეტს.
4.14. გამგეობა:
ა) თავისი შემადგენლობიდან 1 წლის ვადით ირჩევს გამგეობის თანათავმჯდომარეებს;
ბ) საერთო კრების სხდომებს შორის მიმდინარე საკითხებზე ოპერატიული რეაგირებისათვის გამგეობას თანათავმჯდომარის/ების წარდგინებით, გამგეობას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, რომელსაც საერთო კრების დადგენილების ძალა აქვს. აღნიშნულ გადაწყვეტილებას განიხილავს საერთო კრების უახლოესი სხდომა;
გ) განსაზღვრავს უცხოეთის წარმომადგენლობების, ფილიალებისა და საზოგადოების სხვა ორგანოების სამოქმედო პროგრამას, სტატუსსა და დებულებებს;
დ) ამტკიცებს მიმდინარე სამოქმედო პროგრამას;
ე) წყვეტს საერთაშორისო წევრების გაწევრიანების საკითხს.
4.15. გამგეობა იკრიბება სამ თვეში ერთხელ, ასევე, საჭიროებისამებრ.
4.16. გამგეობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება კონსენსუსის საფუძველზე ან დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია გამგეობის თანათავმჯდომარის ხმა.
4.17. სხდომას იწვევს და უძღვება გამგეობის ერთ-ერთი თანათავმჯდომარე;
4.18 გამგეობის თანათავმჯდომარეები არიან კრების ხელმძღვანელები და უძღვებიან საერთო კრების სხდომებს. გამგეობის თანათავმჯდომარე აირჩევა გამგეობის წევრთაგან, საერთო კრების შემდგომ გამგეობის პირველსავე სხდომაზე ერთი წლის ვადით, გამგეობის წევრთა 2/3-ის უმრავლესობით.
4.19 საზოგადოებას ჰყავს ორი თანათავმჯდომარე.
4.20 გამგეობის თანათავმჯდომარე (ები) ერთობლივად და ცალ-ცალკე:
ა) იწვევს და უძღვება გამგეობის სხდომებს;
ბ) წარმოადგენს საზოგადოებას საზოგადოებრივ ურთიერთობებში. იგი ვალდებულია, იზრუნოს ორგანიზაციის იმიჯის განვითარებაზე და ხელი შეუწყოს საზოგადოების საშინაო და საგარეო საქმიანობის წარმართვას;
გ) ხელს აწერს საზოგადოების ოფიციალურ დოკუმენტებს;
დ) ამტკიცებს გამგეობას სხდომის სავარაუდო დღის წესრიგსა და ორგანიზებას უკეთებს გამგეობის სხდომებს.
4.21. საზოგადოების წესდების ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევაში გამგეობის წევრთა კვალიფიციური უმრავლესობის თანხმობით, გამგეობის

თანათავმჯდომარე თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან.
4.22. გამგეობის თანათავმჯდომარე თავისი და გამგეობის საქმიანობის თაობაზე ყოველწლიურად ანგარიშს წარუდგენს საერთო კრებას.
4.23. თანათავმჯდომარედ ერთი და იგივე პირი შეიძლება აირჩეს მხოლოდ ორჯერ.

4.3. გამგეობის წევრები.

4.3.1 **გამგეობის თავმჯდომარე.**
4.3.2 **წევრები.**

მუხლი 5
დამფუძნებელთა/წევრთა უფლებები და მოვალეობები

წევრობა
5.1. საზოგადოება ყალიბდება წევრობის ინდივიდუალური და ორგანიზაციული ფორმით.
5.2. საზოგადოების წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი არაპოლიტიკური ორგანიზაცია, მიუხედავად რეგისტრაციის ადგილისა, რომელსაც გააჩნია საზოგადოებასთან გრძელვადიანი თანამშრომლობის სურვილი და წარადგენს წერილობით თხოვნას გაწევრიანების შესახებ გამგეობის სახელზე.
5.3. საზოგადოების ინდივიდუალური წევრი შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქე 16 წლის ასაკიდან, რომელიც იზიარებს საზოგადოების მიზნებსა და პრინციპებს, გამოთქვამს ორგანიზაციაში გაწევრიანების სურვილს, გადაიხდის დადგენილ საწევროს.
5.4. ინდივიდუალური წევრობის ფორმებსა და საწევროს ოდენობას განსაზღვრავს დებულება.
5.5. საზოგადოების წევრობის განსაკუთრებული ფორმებია:
საერთაშორისო წევრი – არის ნებისმიერი სახელმწიფოს სრულწლოვანი მოქალაქე, რომლის ოფიციალურ თხოვნას გაწევრიანების შესახებ დააკმაყოფილებს გამგეობა. საერთაშორისო წევრი სარგებლობს საკონსულტაციო ხმის უფლებით კონგრესზე.
საპატიო წევრის სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გამგეობა.
საპატიო წევრი სარგებლობს საპატიო ხმის უფლებით საერთო კრებაზე. მასზე არ ვრცელდება ამ წესდებით დადგენილი უფლება-მოვალეობანი.
5.6. საზოგადოების წევრი უფლებამოსილია:
იქონიოს ხმის უფლება საერთო კრებაზე, თუ კრების მოწვევის დღისათვის არის საზოგადოების წევრი და გადახდილი აქვს საწევრო; ამავე დროს, თავისი საქმიანობით ხელს უწყობს საზოგადოების განვითარებასა და მისი მიზნების განხორციელებას. ხმის უფლების მინიჭება ხდება გამგეობის მიერ წევრის სურვილის საფუძველზე;
იყოს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა ორგანიზაციის წევრი;

აირჩიოს და არჩეულ იქნეს საზოგადოების მმართველ ორგანოებში;
მიიღოს ინფორმაცია საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოებისა და პირებისაგან მათი საქმიანობის შესახებ;
ისარგებლოს საზოგადოების საკუთრებაში არსებული ინფორმაციით და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით საზოგადოების მიზნებისა და ინტერესების შესაბამისად;
დამკვირვებლის სტატუსით დაესწროს საზოგადოების ორგანოების სხდომებს.
5.7. საზოგადოების წევრი ვალდებულია:
გადაიხადოს გამგეობის მიერ მიმდინარე წლისათვის დადგენილი საწევრო გადასახადი;
შესაძლებლობისა და ინტერესების შესაბამისად მონაწილეობდეს საზოგადოების საქმიანობაში;
გაუფრთხილდეს და იცავდეს საზოგადოების ღირსებასა და ავტორიტეტს;
იცავდეს და პატივს სცემდეს საზოგადოების წესდების დებულებებსა და ოფიციალურ ატრიბუტიკას.
5.8. საზოგადოების ნებისმიერი წევრი შეიძლება გაირიცხოს საზოგადოებიდან გამგეობის, გამგეობის თავმჯდომარის ან სარევიზიო კომისიის წარდგინებით და საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე წესდების დარღვევის და საზოგადოების ღირსებისა და ავტორიტეტის შელახვის შემთხვევაში.

მუხლი 6
საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

6.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6.2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაცია ხორციელდება მიზნის მიღწევის შედეგად, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, გაკოტრებისას ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 381–ე მუხლის შესაბამისად.
6.3. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.
6.4. დამფუძნებელთა/წევრთა გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.
6.5. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლები/წევრები. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:
ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;

ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;
გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.
6.6. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.
6.7. თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებმა/წევრებმა არ განსაზღვრეს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორიც ლიკვიდირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.
6.8. ლიკვიდაციას ახორციელებს გამგეობა ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

მუხლი 7
დასკვნითი დებულებები

7.1. წინამდებარე წესდება (დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმება) ძალაში შედის ყველა დამფუძნებლის/წევრის მიერ ხელმოწერის მომენტიდან.
7.2. თუ ამ წესდების (დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმების) რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.
7.3 ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შირის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

/_____/ (დამფუძნებლის/წევრის სახელი, გვარი)
(ხელმოწერა)

/_____/ (დამფუძნებლის/წევრის სახელი, გვარი)
(ხელმოწერა)

/ _____/ (დამფუძნებლის/წევრის სახელი, გვარი)
(ხელმოწერა)
(ხელმოწერა)

. /_____/ (წევრის სახელი, გვარი)

/_____/

(ხელმოწერა)

თანათავმჯდომარეები:

საქართველოს პარლამენტის მიერ 2012 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, რელიგიურ გაერთიანებებს შეუძლიათ დარეგისტრირდნენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად. ამ კანონის ამოქმედების შესახებ არაერთი რელიგიური გაერთიანების დარეგისტრირება მოხდა საქართველოს საჯარო რეესტრში. ქვემოთ გთავაზობთ რელიგიური გაერთიანების დასაფუძნებლად დამფუძნებელ წევრთა შეთანხმების ნიმუშს, რომლის შესაბამისად, რელიგიურ ორგანიზაციებს შეუძლიათ წესდების შემუშავება და საჯარო რეესტრში დარეგისტრირება.

რელიგიური გაერთიანების დამფუძნებელ წევრთა შეთანხმება
ნიმუში
მუხლი 1

ზოგადი დებულებები

1.1. _____ წარმოადგენს საქართველოს
(სუბიექტის სახელწოდება)
სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილ რელიგიურ გაერთიანებას საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით.

1.2. სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

1.3. რელიგიური გაერთიანების სახელწოდება:
_____
_____,
რომელიც განეკუთვნება _____
(მიუთითეთ, რელიგია, კონფესია, მიმდინარეობა და ა.შ)

1.5. რელიგიური გაერთიანების სამართლებრივი ფორმაა საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

1.6. იურიდიული მისამართი
_____

1.7. საზოგადოების საქმიანობის მიზნები:
1. _____
2. _____
3._____

1.7. **რელიგიური გაერთიანება** უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს **რელიგიური გაერთიანების**ს მიზნების რეალიზებას.

მუხლი 2

საზოგადოების დამფუძნებლები

2.1. საზოგადოების დამფუძნებლები არიან:

1. _____

(სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);
იურიდიული პირის შემთხვევაში საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი, რეგისტრაციის თარიღი, საიდენტიფიკაციო ნომერი და მონაცემები მისი წარმომადგენლების შესახებ)

2. _____

(სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);
იურიდიული პირის შემთხვევაში საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი, რეგისტრაციის თარიღი, საიდენტიფიკაციო ნომერი და მონაცემები მისი წარმომადგენლების შესახებ)

3. _____

(სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);
იურიდიული პირის შემთხვევაში საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი, რეგისტრაციის თარიღი, საიდენტიფიკაციო ნომერი და მონაცემები მისი წარმომადგენლების შესახებ)

მუხლი 3

რელიგიური გაერთიანების მართვა

რელიგიური გაერთიანების მმართველობით ორგანოს/ორგანოებს წარმოადგენს:

_____

_____

_____

(მიუთითეთ მმართველობითი ორგანოს მოწვევის წესი, ინტენსივობა, პროცედურა, ფუნქციები, გადაწყვეტილების მიღების უნარიანობა, გადაწყვეტილების მიღების წესი და პროცედურა)

მუხლი 4

რელიგიური გაერთიანების ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

4.1_____

_____

(მიუთითეთ რელიგიური გაერთიანების ხელმძღვანელი ორგანო (ორგანოები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რელიგიური გაერთიანების ხელმძღვანელი ორგანოს (ხელმძღვანელი პირის) შექმნის (არჩევის) წესი და უფლებამოსილების ვადა, რელიგიური გაერთიანების ხელმძღვანელი ორგანოს (ხელმძღვანელი პირის) მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი და პროცედურა.

4.2_____

_____

_____

მიუთითეთ მონაცემები რელიგიური გაერთიანებას ხელმძღვანელი ორგანოს წევრების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ხელმძღვანელი პირის (პირების) შესახებ (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პირადი ნომერი).

4.3_____

_____

_____

მიუთითეთ მონაცემები რელიგიური გაერთიანების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) შესახებ (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), დაბადების ადგილი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პირადი ნომერი).

მუხლი 5
დამფუძნებელთა/წევრთა უფლებები და მოვალეობები

_____

_____

_____

მიუთითეთ დამფუძნებელთა/წევრთა უფლებები და მოვალეობები ასევე რელიგიური გაერთიანების წევრად მიღების, წევრობიდან გასვლისა და გარიცხვის წესი.

მუხლი 6
ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

6.1. რელიგიური გაერთიანების სამართლებრივი ფორმის შეცვლა დაუშვებელია, ხოლო გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა), შერწყმა (გაერთიანება, მიერთება) და ლიკვიდაცია ხორციელდება ლიკვიდაციის/რეორგანიზაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.2. დამფუძნებელთა/წევრთა გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის/რეორგანიზაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

მუხლი 7
დასკვნითი დებულებები

7.1. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის ყველა დამფუძნებლის მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

7.2. თუ ამ შეთანხმების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

7.3 ამ შეთანხმებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

_____ /_____/

(დამფუძნებლის/წევრის სახელი, გვარი)
(ხელმოწერა)

_____ /_____/
(დამფუძნებლის/წევრის სახელი, გვარი)
(ხელმოწერა)

_____ /_____/
(დამფუძნებლის/წევრის სახელი, გვარი)
(ხელმოწერა)

(წესდება ხელმოწერილი უნდა იყოს ყველა დამფუძნებლის/წევრის მიერ, ხელმოწერები უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით ან შესრულდეს მარეგისტრირებელ ორგანოში)

2. ეკონომიკური მონაწილეობა

როდესაც ეკონომიკურ საქმიანობაზე ვსაუბრობთ, უნებლიეთ ჩნდება კითხვა - რა კავშირშია ერთმანეთთან ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც მოგებაზეა ორიენტირებული და მოქალაქეობა? რატომ შეიძლება ეკონომიკური საქმიანობა სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაზე იყოს ორიენტირებული?

ამ კითხვაზე რამდენიმე პასუხი არსებობს:

1. რადგან სამოქალაქო საზოგადოება ნებაყოფლობით გაერთიანებას გულისხმობს და ბიზნესი ნებაყოფლობით მიაკუთვნებს თავს საზოგადოებას, იგი არ შეიძლება სრულად გაიმიჯნოს;
2. ეკონომიკური განვითარება და წინსვლა სამოქალაქო საზოგადოებისა და თითოეული მოქალაქის წინსვლას განაპიროებებს;
3. ეკონომიკური საქმიანობა ემყარება ეთიკური ბიზნესის პრინციპებს და ავითარებს კორპორატიულ სოციალურ პასუხისმგებლობას სამოქალაქო საზოგადოების გარკვეული სეგმენტებისა ან სრულიად საზოგოდოების წინაშე;
4. სამოქალაქო მონაწილეობა გულისხმობს ეკონომიკურ მონაწილეობასაც ქვეყნის განვითარებაში ეკონომიკური პროდუქციის შექმნის გზით.

3. კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა

კორპორატიულ სოციალურ პასუხისმგებლობას სხვაგვარად კორპორატიულ მოქალაქეობას ან მდგრად პასუხისმგებლობასაც უწოდებენ. კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა მიზნად ისახავს, ორგანიზაციის კომერციული საქმიანობის დროს პოზიტიური გავლენა მოახდინოს და ხელი შუწყოს სოციალური გარემოს, გარემოსდაცვით, საზოგადოების, საკუთარი თანამშრომლებისა და სხვა

საჯარო სფეროების განვითარებას. ამასთან, კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის გამტარებელი ბიზნესი ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სფეროს და მათში გაერთიანებულ მხარეებს საკუთარ მოკავშირედ განიხილავს.

კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ნათელ მაგალითს წარმოადგენს „ნატახტარის“ აქცია. ალბათ ყველას გახსოვთ რეკლამა, სადაც ნატახტარი მომხმარებელს აუწყებს, რომ ყოველ ნაყიდ ბოთლ ნატახტარის პრუდუქციაზე გადახდილი საფასურის 1-5 თეთრი მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლებს გადაერიცხებოდა. როგორც ხედავთ, კომპანია საკუთარი წარმატების ფონზე, სამოქალაქო საზოგადოების მოწყვლად ფენაზე ზრუნავს და სწორედ ამით ავლენს საკუთარ კორპორატიულ-სოციალურ პასუხისმგებლობას სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე.

4. ეკონომიკური საქმიანობა

ჩვენ ხშირად მოგვისმენია ჩვენი ნაცნობებისგან: „მე ვმუშაობ სამშენებლო ფირმაში ან ფარმაცეფტულ კომპანიაში“ და ა.შ. თუმცა, ფირმა, კომპანია - ეს ზოგადი სახელწოდებაა, რომელიც საქმიანობის კომერციულ ხასიათს აჩვენებს და რომელსაც ნებისმიერი ტიპის სამეურნეო საწარმოს მიმართ იყენებენ. ფირმა - ეს სამრეწველო, ინოვაციური, სერვისული, სავაჭრო საწარმოა ან ცალკეული ბიზნესმენი, რომელიც იურიდიული პირის უფლებებით სარგებლობს. ფირმის სახელწოდება, ისევე, როგორც ფირმის ცნება, არ ასახავს საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივ სტატუსს, თუმცა ზუსტად ეს სტატუსი გაინტერესებთ თქვენ, როგორც საკუთარი საწარმოს ორგანიზებისას, ასევე პარტნიორთან ურთიერთობისას, როდესაც თქვენ უნდა დაადგინოთ, თუ რა უფლებებით სარგებლობს ის და რა მოვალეობები (ვალდებულებები) გააჩნია მას. ფირმის იურიდიული სტატუსი მისი საქმიანობის ხასიათის, მოცულობისა და მიზნების მიხედვით განისაზღვრება. კომპანია ასევე ზოგადი სახელია, რომლითაც აღნიშნავენ ნებისმიერ საწარმოს - სავაჭრო, ლოჯისტიკურ ან კომპანის საქმიანი ადამიანების გაერთიანებას, რომლებიც ერთობლივ საქმიანობას ეწევიან.

საქართველოს კანონმდებლობის განსაზღვრების მიხედვით, საწარმო დამოუკიდებელი სამეურნეო სუბიექტია. საწარმო შეიძლება შეიქმნას ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით:

- ინდივიდუალური საწარმო;
- სოლიდარული პასუხისმგებლობის საწარმო (სპს);
- კომანდიტური საზოგადოება (კს);

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს);
- სააქციო საზოგადოება (სს).

ამ საწარმოების საერთო მახასიათებელი ისაა, რომ ნებიხმიერი სახით სამეწარმეო საქმიანობას სჭირდება რეგისტრაცია. თუ საქმიანობა ხორციელდება დამატებითი კადრების მოზიდვის გარეშე, მაშინ ეს ინდივიდუალური შრომითი საქმიანობაა. მხოლოდ დამატებითი მუშა-ხელის მოზიდვის შემთხვევაში კი, საქმე გვაქვს საწარმოს არსებობასთან.

საჯარო რეესტრში ხორციელდება კომერციული ანუ ბიზნეს ორგანიზაციების რეგისტრაცია. აღნიშნულ გზამკვლევში წარმოგიდგენთ ყველაზე მეტად გავრცელებული ორი ტიპის სამეწარმეო პირის რეგისტრაციის პროცედურას: ინდივიდუალური მეწარმე და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

შპს–ის პარტნიორთა პასუხისმგებლობა შემოიფარგლება საზოგადოების კაპიტალში განხორციელებული შენატანის პროპორციულად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების რეგისტრაციისთვის საქართველოს საჯარო რეესტრში შემდეგი პროცედურებია გათვალისწინებული:

ერთ–ერთი პარტნიორი/დამფუძნებელი, (ხელმძღვანელობა ან წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი) ან დაინტერესებული პირი/წარმომადგენელი მიმართავს საჯარო რეესტრს რეგისტრაციის მოთხოვნით.

რეგისტრაციის მოთხოვნის განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება (ელექტრონული განცხადება ივსება ფრონტ ოფისის ოპერატორის მიერ);
2. თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
3. ყველა პარტნიორის/დამფუძნებლის მიერ ხელმოწერილი და სათანადო წესით დამოწმებული შეთანხმება/წესდება;
4. სარეგისტრაციო მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (გადახდა შესაძლებელია ადგილზე).

აქვე გთავაზობთ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წესდების/შეთანხმების ნიმუშს, რომელიც გაგიადვილებთ საკუთარი ბიზნეს ორგანიზაციის წესდების შემუშავებას და რეგისტრაციას:

წესდება/პარტნიორთა შეთანხმება **„შ.პ.ს „საიმედო+“** **მუხლი 1** ზოგადი დებულებები 1.1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება“ საიმედო“+“

წარმოადგენს ,,მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ იურიდიულ პირს.

1.2. სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

1.3. საწარმოს სახელწოდება/საფირმო სახელწოდება: „საიმედო+“.

1.8. საწარმოს სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

1.5. საწარმოს იურიდიული მისამართი: თბილისი, გამრეკელის ქუჩა 9.

1.6. საწარმოს პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით.

1.7. საზოგადოების საქმიანობის საგანი:

1. ბეჭდვითი საქმიანობა;
2. პოლიგრაფიული საქმიანობა და დიზანი;
3.საგამომცემლო საქმიანობა.

შენიშვნა: თუ საწარმოს საქმიანობა დაკავშირებულია სურსათის/ცხოველის საკვების წარმოებასთან, გადამუშავებასთან, დისტრიბუციასთან, რეალიზაციათან, საკვებწარმოების ობიექტებთან, აღნიშნულის მითითება სავალდებულოა).

1.8. საზოგადოებას უფლება აქვს, მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული. ის საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის საფუძველზე, დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის მიღების მომენტიდან.

მუხლი 2

საზოგადოების დამფუძნებლები

2.1. საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორები არიან:

1. გიორგი ხვედელიძე, პირადი ნომერი: 00102071123, მცხოვრები თბილისში გამრეკელის ქუჩა #9;

2. არასამეწარმეო იურიდიული პირი „პროფესიული განვითარების ფონდი“, იურიდიული მისამართი: თბილისი, გამრეკელის ქუჩა 11, დაფუძნებული 2005 წლის 16 თებერვალს მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ, საიდენტიფიკაციო კოდი: 205051241, წარმომადგენელი ბეჟან ბაღდავაძე.

2.2. შ.პ.ს „საიმედო+“ პარტნიორთა წილები კაპიტალში განისაზღვრა შემდეგნაირად:

1. გიორგი ხვედელიძე 00102071123 – 45 %;
2. პროფესიული განვითარების ფონდი , ს/ნ 20505124 – 55 %.

მუხლი 3

საზოგადოების მართვა

3.1. საზოგადოების უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება.

3.2. პარტნიორთა საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც. საწარმოს ყოველ პარტნიორს ან/და დირექტორს, შეუძლია ერთი კვირის ვადაში მოიწვიოს პარტნიორთა საერთო კრება ყველა პარტნიორისათვის დაზღვეული წერილის გაგზავნით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა ადრესატის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების საშუალებას. წერილი უნდა შეიცავდეს დღის წესრიგის პროექტს. მოწვევის მიღებიდან 3 დღის ვადაში პარტნიორებს შეუძლიათ დამატებათა შეტანა დღის წესრიგში.

3.3. კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ კრების მომწვევს შეუძლია იმავე წესითა და იმავე დღის წესრიგით ხელახლა მოიწვიოს კრება. მეორე კრება გადაწყვეტილებაუნარიანია მაშინაც კი, თუ მასზე არ გამოცხადდება ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები).

3.4. პარტნიორთა კრების მონაწილენი თავიანთი შემადგენლობიდან ხმების უბრალო უმრავლესობით ირჩევენ თავმჯდომარეს. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების მიღებისთანავე, თავმჯდომარე ადგენს და ხელს აწერს კრების ოქმს.

3.5. თუ გადაწყვეტილება შეეხება საზოგადოებასა და ერთ-ერთ პარტნიორს შორის დავას, მაშინ ამ პარტნიორს ხმის უფლება არ აქვს.

3.6. პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:

ა) წარმოების სახეებისა და სამეურნეო საქმიანობის დაწყება და მათი შეწყვეტა;

ბ) საწარმოს სარეგისტრაციო განცხადების მონაცემებსა და წესდებაში ცვლილებების მიღება;

გ) ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;

დ) ინვესტიციების შესახებ, რომელთა ღირებულება ცალკე ან მთლიანად ერთ სამეურნეო წელიწადში აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს;

ე) ვალდებულებათა აღება, რომლებიც ცალკე ან მთლიანად აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს;

ვ) ვალდებულებათა უზრუნველყოფა, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას და რომელთა ღირებულება აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს;

ზ) პროკურის გაცემა და გაუქმება;

თ) წლიური შედეგების დამტკიცება;

ი) აუდიტორის არჩევა;

კ) საწარმოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

ლ)ხელმძღვანელ პირთათვის მოგებასა და საერთო შემოსავალში მონაწილეობისა და პენსიის მიცემის პრინციპების განსაზღვრა;

მ) იმ დამატებითი უფლებების გამოყენება, რომლებიც საზოგადოებას დაფუძნებიდან ან საზოგადოების მართვიდან გამომდინარე აქვს დირექტორის ან/და პარტნიორის მიმართ, ასევე საზოგადოების წარმომადგენლობა იმ პროცესებში, რომლებსაც იგი დირექტორების წინააღმდეგ წარმართავს;

ნ) შენატანების მოთხოვნა;

ო) დამატებითი შენატანების უკან დაბრუნება;

პ) დირექტორების დანიშვნა და გამოწვევა, მათთან ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა, აგრეთვე მათი ანგარიშების დამტკიცება;

ჟ) სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

რ) ახალი/დამატებითი შენატანების გზით საწარმოს კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

3.7. ყველა გადაწყვეტილება, რომელთა მნიშვნელობა სცილდება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას, მოითხოვს ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილებას.

3.8. კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, როცა ყველა პარტნიორი წერილობით დაეთანხმება განსახილველ საკითხს. წერილობითი თანხმობა კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად.

3.9. პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება მიიღება მონაწილეთა ხმების უმრავლესობით, თუ ,,მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული არ არის გადაწყვეტილების ერთხმად მიღება და, თუ ამ გადაწყვეტილების შინაარსი არ ქმნის არათანაბარ მდგომარეობას რომელიმე პარტნიორისათვის ანდა არ ხელყოფს პარტნიორის არსებით ინტერესებს.

3.10. პარტნიორთა საერთო კრებაზე პარტნიორებს აქვთ მათი წილის პროპორციული ხმათა რაოდენობა.

3.11. პარტნიორთა კრების, გადაწყვეტილებათა გასაჩივრება შესაძლებელია შესაბამისი ოქმის შედგენიდან 2 თვის ვადაში, ხოლო თუ კრება (სხდომა) მოწვეულ იქნა ან ჩატარდა კანონის ან წესდების ნორმათა უხეში დარღვევით, ამ შემთხვევაში გასაჩივრება დასაშვებია ერთი წლის ვადაში.

მუხლი 4

საზოგადოების ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

4.1. საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება აქვს დირექტორს.

გიორგი ხვედელიძეს, პირადი ნომერი: 00102071123, მცხოვრები თბილისში გამრეკელის ქუჩა #9.

(შესაძლებელია დირექტორის ვინაობა წესდებაში არ მიეთითოს და განისაზღვროს ცალკე დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს ყველა პარტნიორის მიერ და უნდა დამოწმდეს სათანადო წესით)

4.2. დირექტორი საზოგადოებრივ საქმეებს უნდა გაუძღვეს კეთილსინდისიერად, ის უნდა მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ის ჯეროვნად არ შეასრულებს აღნიშნულ მოვალეობას, პასუხს აგებს კომპანიის წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პირადად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

4.3. დირექტორის ხელმძღვანელობის უფლება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში საწარმოს სახელით გადაწყვეტილებების მიღების უფლებას.

4.4. დირექტორი უფლებამოსილია, მინდობილობის გარეშე დამოუკიდებლად იმოქმედოს საზოგადოების სახელით და წარმოადგინოს საზოგადოება მესამე პირებთან ურთიერთობაში.
4.5. დირექტორის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შესაძლებელია შეიზღუდოს მხოლოდ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.
4.6. ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირებს არ აქვთ უფლება, პარტნიორების თანხმობის გარეშე განახორციელონ იგივე საქმიანობა, რომელსაც ეწევა საზოგადოება, ან მონაწილეობა მიიღონ მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში, როგორც პერსონალურად პასუხისმგებელმა პარტნიორმა ან დირექტორმა.
4.7. საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილების რეგისტრაციის უზრუნველყოფის ვალდებულება ეკისრება საწარმოს დირექტორს. ეს ვალდებულება არ ზღუდავს პარტნიორის (პარტნიორების) და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ან სხვა დაინტერესებული პირების უფლებამოსილებას, უზრუნველყონ ცვლილების რეგისტრაცია.

მუხლი 5

პარტნიორის უფლებები და მოვალეობები

1. საზოგადოების პარტნიორს გააჩნია შემდეგი უფლებები:
   ა) მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების მართვაში;
   ბ) კონტროლი გაუწიოს საზოგადოების ხელმძღვანელობას;
   დ)საზოგადოების მოგებიდან მიიღოს კუთვნილი წილი საზოგადოების კაპიტალში საკუთარი წილის პროპორციულად;
   ე) შეუძლია პირადად გაეცნოს საზოგადოების საქმეებს, საზოგადოების წიგნებსა და ჩანაწერებს;
   ვ) მოსთხოვოს სხვა პარტნიორებს საზოგადოების მიმართ არსებულ ვალდებულებათა შესრულება და ამ შესრულების გამო საკუთარი სახელით წარადგინოს სარჩელი;
   ზ) შეუზღუდავად გაასხვისონ ან დატვირთონ (დააგირავონ) მათ საკუთრებაში არსებული წილი საზოგადოების კაპიტალში.

მუხლი 6

საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

6.1. საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია შესაძლებელია პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე.
6.2. სუბიექტის ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია ხორციელდება ,,მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 7

დასკვნითი დებულებები

7.1. წინამდებარე წესდება (პარტნიორთა შეთანხმება) ძალაში შედის ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერის მომენტიდან.
7.2. თუ ამ წესდების (პარტნიორთა შეთანხმების) რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.
7.3. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შირის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

გიორგი ხვედელიძე /_____/

(ხელმოწერა)

პროფესიული განვითარების ფონდის
წარმომადგენელი ბეჟან ბაღდავაძე /_____/

(ხელმოწერა)

5. ინდივიდუალური მეწარმის რეგისტრაცია

ინდივიდუალური მეწარმე არის ფიზიკური პირი, რომელიც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, მეწარმედ არის რეგისტრირებული რეესტრში და თავისი სამეწარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს პირადად, მთელი თავისი ქონებით.

სამეწარმეო საქმიანობა არის სუბიექტის მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიღების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.

სამეწარმეო საქმიანობად არ ითვლება ფიზიკური პირების სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურული, საადვოკატო ან სანოტარო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის, საგადასახადო კონსულტანტთა), სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა. შესაბამისად, ფიზიკური პირის მიერ ასეთი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, რეესტრში ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაცია სავალდებულო არ არის.

ინდივიდუალური მეწარმეებიც უნდა დარეგისტრირდნენ საჯარო რეესტრში. ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაცია შეუძლია როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეს და მოქალაქეობის არმქონე

პირებს. ინდივიდუალურ მეწარმედ არასრულწლოვანის რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლების (მშობლები, მეურვე, მზრუნველი..) და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანხმობით.

განმცხადებელი რეგისტრაციაზე შეიძლება იყოს უშუალოდ დაინტერესებული პირი (ვინც რეგისტრირდება ინდივიდუალურ მეწარმედ) ან დაინტერესებული პირის წარმომადგენელი.

რეგისტრაციისას ფიზიკურმა პირმა უნდა წარადგინოს საჯარო რეესტრში შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება (ელექტრონული განცხადება ივსება ფრონტ ოფისის ოპერატორის მიერ);
2. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
3. სარეგისტრაციო მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (გადახდა შესაძლებელია ადგილზე);
4. იმ შემთხვევაში, თუ პირი ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირდება პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული მისამართისგან განსხვავებულ მისამართზე, რომელიც არ წარმოადგენს მის საკუთრებას, დამატებით წარმოსადგენი იქნება აღნიშნულ მისამართზე არსებული უძრავი ნივთის მესაკუთრის თანხმობა ან სათანადო წესით შედგენილი და დამოწმებული ხელშეკრულება ამ ნივთით სარგებლობის შესახებ (იჯარის, ქირავნობის, თხოვებისა ან სხვა).

იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრაციას ახორციელებს დაინტერესებული პირის წარმომადგენელი, მაშინ დამატებით წარდგენილ უნდა იქნეს სათანადო წესით დამოწმებული წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

ინდივიდუალური მეწარმის სტატუსით საქმიანობას აქვს გარკვეული უპირატესობები, ისევე, როგორც ნაკლოვანებები. ქვემოთ ცხრილის სახით წარმოგიდგენთ ამ უპირატესობებსა და ნაკლოვანებებს:

ინდივიდუალური მეწარმეობის უპირატესობები	**ინდივიდუალური მეწარმეობის ნაკლოვანებები**
• მთელი მოგება ეკუთვნის ერთ პირს; • მეპატრონე ანგარიშ-ვალდებულია თავისი თავის წინაშე, ამიტომ გადაწ-ყვეტილების მიღება ხდება	• მთელს ოპერაციებს, რაც დაკავშირებულია ბიზნესთან, ასრულებს მეპატრონე (სამუშაოები, ყიდვა-გაყიდვა, დოკუმენტაციის წარმოება); • ცალკეული ფუნქციის შესრულების

სწრაფად; • მას სრული თავისუფლება აქვს სამუშაო გრაფიკის განსაზღვრაში; • იგი მოქმედებს ისე, როგორც თავად თვლის საჭიროდ; • გაადვილებული ბუღალტერია.	დაბალი ხარისხი. მეპატრონე შეიძლება იყოს თავისი საქმის პროფესიონალი, მაგრამ არ გააჩნდეს საკმარისი ცოდნა და უნარი სხვა ფუნქციების შესასრულებლად; • ინდივიდუალური მეწარმის შემოსავალი დამოკიდებულია მხოლოდ მის მუშაობაზე; • მასშტაბურობის უმნიშვნელო ეკონომია. ის იძენს საქონლის მცირე პარტიებს, ამის გამო იხდის უფრო მაღალ ფასს საქონლის ერთეულში, ვიდრე მსხვილი საწარმო. ამიტომ პროდუქტის თვითღირებულება მაღალია. • ინდივიდუალურ მეწარმეს აკისრია ე.წ. შეუზღუდავი პასუხისმგებლობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბიზნესის მეპატრონე საკუთარი ქონებით აგებს პასუხს ნებისმიერი დანაკარგისათვის.

ბიზნესის რეგისტრაცია - ეს არის ეკონომიკური საქმიანობის საწყისი ეტაპი. მნიშვნელოვანი ამ ეკონომიკური საქმიანობის წარმართვისა და განვითარებისთვის შესაბამისი ბიზნესგეგმის შემუშავება და ამ ბიზნესგეგმის მიხედვით საქმიანობა.

ბიზნესგეგმა სამეწარმეო საქმიანობის გეგმაა, რომელიც თავის თავში ასევე მოიცავს ინვესტიციების მოზიდვის და შიდა საფირმო საქმიანობის აღწერის დოკუმენტს. ბიზნესგეგმა ინსტრუმენტია, რომელიც საშუალებას იძლევა, შეფასდეს ბიზნესის პროექტი. ეფექტური ბიზნესგეგმა უნდა იძლეოდეს პასუხებს კითხვებზე:

1. რამდენად ეფექტურია პროექტი, რომელშიც ინვესტიცია უნდა განხორციელდეს;
2. რა კონკრეტულ დანახარჯებთან არის ის დაკავშირებული.

ბიზნესგეგმაში ასევეა აღწერილი ის რისკ-ფაქტორები, რომლებიც ნებისმიერ მეწარმეობას ახლავს თან.

ამასთან, ბიზნესგეგმა, სტრუქტურა პირდაპირ კავშირშია იმ მიზანთან, რისთვისაც იგი არის შედგენილი.

მოდით, გავერკვიოთ, რა შეიძლება იყოს ბიზნესის გეგმის შემუშავებისა და გაწერის მიზანი:

1. თქვენ უნდა მიიღოთ კრედიტი ბიზნესის დაწყებისა და განვითარებისათვის;
2. მოიზიდოთ ინვესტორი;
3. განახორციელოთ პროექტის წინასწარი შეფასება;
4. ბიზნესგეგმა კომპანიის შიდა დაგეგმარებისთვისაა საჭირო.

ამასთან, ბიზნესგეგმის შედგენა დაგეხმარებათ, წინასწარ განსაზღვროთ თქვენი სამოქმედო გეგმა ბიზნესის განხორციელებისთვის:

- ბიზნესგეგმა მოიცავს ბიზნესის დაწყებისთვის საჭირო იმ მიმართულებებსა და პრიორიტეტებს, რომლებიც მიღწევადი უნდა იყოს მომდევნო 3-5 წლის განმავლობაში;
- ბიზნესგეგმის შექმნით საშუალება გეძლევათ ობიექტურად და კრიტიკულად შეხედოთ თქვენს ბიზნესს;
- მიმდინარე ბიზნესგეგმა წარმოადგენს სამოქმედო ინსტრუმენტს, რომელიც გეხმარებათ მართოთ ბიზნესი და უზრუნველყოთ მისი წარმატება;
- ბიზნესგეგმის მეშვეობით შესაძლებელია თქვენი იდეების წარმოჩენა, მათი სისრულეში მოყვანა და დაფინანსების შესაძლებლობების გაზრდა.

6. ბიზნესგეგმის სტრუქტურა

ბიზნესგეგმას, ისევე, როგორც პროექტის განაცხადის ფორმას, განსაკუთრებული ან უნივერსალური ფორმა არ გააჩნია. კომპანიები და ფირმები თვითონ განსაზღვრავენ, თუ რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს, ბიზნესგეგმა, როგორი უნდა იყოს მისი სტრუქტურა, რა ძირითად მიზნებს უნდა ემსახურებოდეს იგი. ეს აბსოლუტურად ბუნებრივია, რადგან ბიზნესში უამრავი სხვადასხვა მიმართულება არსებობს და სხვადასხვა საწარმო და კომპანია განსხვავებულ საქმიანობას ეწევა. ცხადია, სამკერვალო ფაბრიკასა და ტურისტრულ კომპანიას არ ექნება იდენტური სტრუქტურისა და შინაარსის ბიზნესის გეგმები. ასევე გასათვალისწინებელია საწარმოს თუ კომპანიის მასშტაბები. თუ ორი კომპანია ან საწარმო ერთი ტიპის საქმიანობას ეწევა, მათი ბიზნესგეგმები შეიძლება ერთი და იმავე ტიპის ინფორმაციას შეიცავდეს, თუმცა ორგანიზაციისა და ბიზნესის მასშტაბის მიხედვით, ინფორმაციის მოცულობა და დეტალიზაცია განსხვავებულია. ბიზნესგეგმა, ძირითადად, მოიცავს ბაზრის კვლევასა და ანალიზს, კონკურენტების პოზიციებს ბაზარზე და პოტენციურ მომხმარებლებს, საწარმოო პროცესს, ბაზრის ათვისებას, მარკეტინგულ სტრატეგიასა და პროდუქციის/მომსახურების გასაღების გეგმას, ინფორმაციას ბიზნესის

მმართველი გუნდის შესახებ, ინვესტიციების მოზიდვის გზებს, ფინანსურ გეგმას.

ბიზნესგეგმა უნდა იყოს მოკლე, ლაკონიური და იოლად აღქმადი. ტექსტი შეიძლება ილუსტრირებული იყოს გრაფიკული მასალითა და დიაგრამებით.

ბიზნესგეგმა, შეიძლება გავყოთ სამ ძირითად ნაწილად. იგი უნდა შეიცავდეს რეზიუმეს, ძირითად ტექსტს და ფინანსურ გეგმას ფინანსურ ცხრილებთან ერთად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბიზნესგეგმის სტანდარტული ფორმა არ არსებობს. თუმცა, ეფექტური ბიზნესგეგმა აუცილებლად მოიცავს საკვანძო საკითხებს, რომლებიც ქვემოთაა მოცემული:

1. სატიტულო ფურცელი;
2. რეზიუმე;
3. კომპანიის/საწარმოს აღწერა;
4. პროდუქციის/მომსახურების აღწერა;
5. მარკეტინგული გეგმა;
6. საწარმოს გეგმა;
7. სამუშაო პერსონალი;
8. ორგანიზაციის სტრუქტურა;
9. ფინანსური გეგმა;
10. რისკ-ფაქტორების შეფასება;
11. ბიზნესგეგმას თან ახლავს დანართებიც.

7. ტიპური ბიზნესგეგმის შემადგენელი ნაწილები

განვიხილოთ თითოეული ნაწილი:

I. *ბიზნესგეგმა სატიტულო ფურცლით იწყება,* რომელშიც მოცემულია ინფორმაცია კომპანიის სახელის, მისი მისამართის (იურიდიული და ფაქტობრივი), ასევე მისი სხვა რეკვიზიტების, მაგალითად, ვებ-გვერდის შესახებ. ამის შემდეგ უკვე მოცემულია საკონტაქტო ინფორმაცია, რომელიც ოფისის ტელეფონსა და მობილურს, ასევე ელ-ფოსტას და ფაქსს მოიცავს. უნდა მივუთითოთ ასევე კომპანიის მფლობელის/ თანამფლობელის სახელები და საკონტაქტო რეკვიზიტები. ხანდახან სატიტულო ფურცელზევე არის მითითებული ერთი ან რამდენიმე წინადადებით ბიზნეს-პროექტის შინარსი და პროექტის შემუშავების თარიღი.

II. *შემდეგი ნაწილი - პროექტის რეზიუმეა,* რომელიც პროექტის ძირითად კონცეფციას უნდა მოიცავდეს და ნათლად წარმოადგენდეს პროექტის შინაარსსა და ძირითად დასკვნებს. რეზიუმეს დანიშნულებაა, რომ

ინვესტორმა, რომელიც პროექტის დაფინანსებისთვის მოიაზრება, დასაწყისშივე წარმოიდგინოს, თუ რაში აპირებს საკუთარი კაპიტალის ინვესტიციას. რეზიუმე პროექტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რადგან სწორედ ამ ნაწილზეა დამოკიდებული, მოუნდება თუ არა ინვესტორს თქვენს პროექტში კაპიტალის დაბანდება.

რჩევა: ეცადეთ, რეზიუმე მკაფიოდ და სადად იყოს დაწერილი, არ იყოს გადატვირთული სპეციფიკური ტერმინოლოგიით და ენობრივად კარგად იყოს გამართული. ინვესტორს უნდა შეექმნას პოზიტიური შთაბეჭდილება თქვენი განათლებისა და საერთო მომზადების შესახებ.

III. შემდეგი ნაწილია - „კომპანიის/საწარმოს აღწერა". შესაბამისად, ამ ნაწილში კარგად უნდა იყოს გაწერილი ორგანიზაციის დახასიათება. ინფორმაციის მიწოდება იწყება ორგანიზაციის სრული საკონტაქტო რეკვიზიტებით, ხელმძღვანელობის აღწერით, ორგანიზაციის ისტორიით, მიღწევებით, ორგანიზაციული სრუქტურით, გამოშვებული ძირითადი პროდუქციის ან მომსახურების სახეობებით და დახასიათებით, გეოგრაფიული ადგილმდებარეობებით. აქვე ვუთითებთ, თუ რა ადგილი უჭირავს ორგანიზაციას ბაზარზე.

IV. შემდეგ ნაწილში უკვე რაც შეიძლება დეტალური ინფორმაცია უნდა იყოს მიწოდებული პროდუქტის თუ მომსახურების შესახებ. მისი მახასიათებლები, ძირითადი მომხმარებელი, მომხმარებელთა თვისებები, საქონლის განსხვავებული და უნიკალური თვისებები, ინფორმაცია, რომელიც პატენტებსა და ლიცენზიებს ეხება.

V. არ არსებობს ისეთი ბიზნესგეგმა, რომელიც თავის თავში არ მოიცავს მარკეტინგულ ანალიზს. ეს ის ნაწილია, რომელიც თანაბრადაა მნიშვნელოვანი როგორც ინვესტორისათვის, ასევე თავად ორგანიზაციისთვის/ საწარმოსთვის. ამ ნაწილში აუცილებელია ყველა იმ კვლევის შედეგების არგუმენტირებული ანალიზი, რომლებიც თქვენ მიერ შემოთავაზებული პროდუქტის / მომსახურების ანალოგიურთან თქვენს კონკურენტულ უპირატესობას ამტკიცებს. ამ ნაწილში უნდა მოვიხსენიოთ კონკურენტები, მათი ფასები, პროდუქციისა და/ან მომსახურების დახასიათება, მათი მომხმარებლის მოზიდვის სტრატეგია, გაფართოების გეგმა და ა.შ. აქვე უნდა მივუთითოთ, ჩვენი გეგმები იგივე მიმართულებით და ავხსნათ, რატომ გვგონია, რომ ვფლობთ ან შევძლებთ, რომ მოვიპოვოთ რაიმე ტიპის უპირატესობა კონკურენტებთან შედარებით. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ კონკურენტული უპირატესობის მოპოვება შესაძლებელია სხვადასხვა გზითა და მარკეტინგული სტრატეგიით. მარკეტინგული გეგმა შემდეგ კითხვებზე იძლევა ამომწურავ ინფორმაციას:

1. რა არის თქვენი ბაზარი (ანუ, ვინ არიან თქვენი საქონლის/მომსახურების პოტენციური კლიენტები, რა მოცულობისაა

თქვენი ბაზარი, მოსახლეობის რომელი სეგმენტია პოტენციური მომხმარებელი? რა პროცენტს შეიძლება ის მოიცავდეს)?

ცხადია, ამ კითხვებზე პასუხი დიდად არის დამოკიდებული საქმიანობის ტიპზე. თუ თქვენი ბიზნესგეგმა ენის კურსების ორგანიზებას ან გაფართოებას გულისხმობს ენის ფლობის სხვადასხვა დონის შემსწავლელებისათვის, თქვენი ძირითადი მომხმარებელი 40 წლამდე ასაკის ადამიანები იქნებიან, რომლებიც კურსების დიზაინისა და სპეციფიკის, ფასის, შეთავაზებული ხარისხისა და სხვა პირობებიდან გამომდინარე, სხვადასხვა მიზნებს შეიძლება ისახავდნენ კურსებთან მიმართებით. მაგალითად, ეძებდნენ სამსახურს, სადაც უცხო ენის ცოდნა უპირატესობად განიხილება, ან იყვნენ საშუალო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები, რომლებიც ცდილობენ, უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების პერიოდისთვის თავისუფლად ფლობნენ უცხო ენას და მრავალფეროვანი ლიტერატურის გაცნობა მოახერხონ, ან სულაც ის ადამიანები, რომლებიც უცხოეთში საცხოვრებლად გადასვლას გეგმავენ და ამისათვის მზადება უკვე დაიწყეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თქვენს ბიზნესგეგმაში აღწერილია ის ჯგუფები, რომელთა მოთხოვნები და საჭიროებები თქვენ შეისწავლეთ და იცით, რომ ისინი თქვენი ენის კურსების პოტენციური მომხმარებლები არიან.

ბაზრის მოცულობის გამოსარკვევად, საჭიროა კარგად იცოდეთ, რამდენი კომპანია და ფირმა სთავაზობს მომხარებელს ენის კურსებს, რამდენად იდენტურია თქვენს და მათ მიერ შეთავაზებული კურსების ხარისხი, სწავლების მეთოდი, ლიტერატურა. ხომ არ არის მათი მომსახურება უფრო იაფი? თუ უფრო იაფია, სხვა რა უპირატესობა აქვს თქვენს ენის კურსებს? იქნებ უფრო ადვილად მისადგომია ტრანსპორტით? ან იქნებ თქვენს ენის ინსტიტუტს უფრო დიდი და მოხერხებული ბიბლიოთეკა გააჩნია? ან იქნებ თქვენს ინსტიტუტში უფრო კვალიფიციური პედაგოგები მუშაობენ? ცხადია, ამ ინფორმაციის დადგენისათვის, ბაზრის დეტალური კვლევა და ანალიზია საჭირო. სწორედ ამ ანალიზისა და თქვენი რეალური დანახარჯების გამოთვლის საფუძველზე ხდება ასევე მომსახურების/პროდუქტის თქვენთვის ხელსაყრელი ფასის დადგენა.

მარკეტინგული ანალიზის ნაწილი ასევე უნდა გვაძლევდეს დეტალურ ინფორმაციას შემდეგ კითხვებზე:

1.როგორია თქვენი ბაზრის განვითარების ტენდენცია?

2. როგორია თქვენი საბაზრო წილი (და თქვენი წილის შეცვლის ტენდენცია)?

3.როგორ შეიძლება თქვენი საბაზრო წილის გაზრდა? გეგმები, როგორ გავაფართოვოთ ბაზრის წილი?

4. როგორ შეგიძლიათ გაზარდოთ თქვენი რენტაბელობა/სანდოობის ხარისხი/ცნობადობა არსებულ საბაზრო

სეგმენტში? მდგრადობა, კონკურენტუნარიანობა, ბრენდის აღქმული ღირებულება.

VII. ბიზნესის პროექტის შემდეგი ნაწილი უკვე თქვენი ორგანიზაცის/საწარმოს/ფირმის აღწერას დაეთმობა. ალბათ რთული მისახვედრი არაა, რა შემთხვევაშია ბიზნესის გეგმის ეს ნაწილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. მაგ.: თუ თქვენ კომერციული ბიზნესით ხართ დაკავებული და თქვენი ბიზნესი რეალურად ერთ ვებ-საიტსა და მის გამართულობაზეა დამოკიდებული. მაგ.: ხელნაკეთ ნივთებს ჰყიდით ვირტუალურ მაღაზიაში, ცხადია, ძირითადი აქცენტი იმ კავშირებზე გაკეთდება, რომელიც თქვენს მომწოდებლებთან გაგაჩნიათ. თავად ვირტუალურ მაღაზიაზე სალაპარაკო ბევრი არაფერი იქნება. მაგრამ, თუ თქვენი ბიზნესის გეგმა საქონლის წარმოებას ეხება, გეგმის ეს ნაწილი აუცილებლად დაეთმობა საწარმოს დეტალურ აღწერას. აქვე უნდა განვათავსოთ ინფორმაცია ტექნოლოგიაზე, რომელსაც საქონლის წარმოდგენისათვის ვიყენებთ, ტექნოლოგიური პროცესები, რომლებიც სრულდება, მუშაობის სქემა, დანადგარების განთავსება. თუ თქვენ მომსახურების გაწევას აპირებთ, მაგალითისთვის ისევ ენის კურსები ავიღოთ, მაშინ აღწერთ, სად არის თქვენი ინსტიტუტი განთავსებული, რა ფართობი აქვს გამოყოფილი, როგორია თქვენი ინფრასტუქტურა, რამდენად მდიდარია თქვენი ბიბლიოთეკა და თანამედროვეა ლინგაფონის კაბინეტი, რამდენად ხართ ორიერტირებული სწავლის თანამედროვე მეთოდებზე და ამისათვის რა ტიპის ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიები გაქვთ კურსებზე დანერგილი და ა.შ. თუ თქვენი საქმიანობა მშენებლობას ეხება, მაშინ იმ ხელსაწყოებისა და მანქანების გარდა, რომლებიც საქმიანობაში უნდა გამოიყენოთ, აუცილებელია იმ სამშენებლო გადაწყვეტილებებისა და დანახარჯების აღწერა, რაც საქმიანობასთან არის დაკავშირებული. ბიზნესის გეგმის ამ ნაწილში ასევე უნდა ჩამოაყალიბოთ, რა მასალები და ნედლეული დაგჭირდებათ საქმიანობისათვის და რა რაოდენობით. რა არის საჭირო მასალებისა და ნედლეულის მოწოდებისათვის, ვინ იქნება თქვენი მომმარაგებელი. საწარმოს აღწერის ნაწილში ასევე უნდა მივუთითოთ ის დანახარჯები და პერიოდულობა, რომელიც რემონტს, დანადგარების შეკეთებას/განახლებას, ბიბლიოთეკის რეგულარულ გამდიდრებას დასჭირდება.

თუ თქვენი ბიზნესგეგმა სავაჭრო ობიექტის ამუშავებასთან არის დაკავშირებული, ბიზნესგეგმა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას

მომმარაგებელის მიერ მომარაგების მოცულობის, შეღავათებისა და ფასდაკლებების შესახებ საბითუმო მომარაგების შემთხვევაში, ასევე ინფორმაციას იმ ნაგებობებსა და შენობებზე, რომლებიც ვაჭრობისათვის და დასასაწყობებლად გამოიყენება, მათ გეოგრაფიულ მდებარეობას, ერთმანეთისგან დაცილებას და სხვა რელევანტურ ინფორმაციას.

VIII. პერსონალი - ამ ნაწილში აუცილებელია, რომ დეტალურად გავწეროთ მომუშავე პერსონალის რაოდენობა, კვალიფიკაცია. ამ ნაწილშივე შეიძლება გავაანალიზოთ შრომითი ბაზარი და გავაკეთოთ პერსონალის ანაზღაურების გეგმა, გავწეროთ სოციალური სარგებლისა და დაზღვევის პოლიტიკა, კადრების განვითარების სტრატეგიები და წახალისების მექანიზმები.

IX. ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა. ბიზნესგეგმის ამ ნაწილში ორგანიზაციული სტრუქტურა სქემის სახით შეიძლება იყოს მოცემული. თუ ორგანიზაციას ან საწარმოს ფილიალები ან დამხმარე საწარმოები გააჩნია, ამ ნაწილში უნდა დავახასიათოთ ისინი. ასევე, დეტალურად აღვწეროთ მეწილეების, დირექტორთა საბჭოს და ა.შ. მონაცემები, უფლებამოსილებები, ბიოგრაფია და საკონტაქტო ინფორმაცია. ამ ნაწილში ასევე უნდა იყოს აღწერილი გადაწყვეტილების მიღების პროცესი, პრინციპები და მართვის სისტემები.

X. ფინანსური გეგმა - ბიზნესგეგმის შემდეგი ნაწილი უნდა დაეთმოს ფინანსურ გეგმას. ფინანსური ნაწილი პროექტის რეზიუმეს, პროდუქტისა და მომსახურების აღწერას, რაც მარკეტინგულ გეგმაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი და საინტერესოა ინვესტორებისა და კრედიტორებისათვის. ეს ნაწილი პრაქტიკულად იძლევა ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ჩქარა შეიძლება, რომ ინვესტორმა მოგება ნახოს, ხოლო კრედიტორმა კი საკუთრი თანხები დაიბრუნოს. მეტიც, ფინანსური გეგმა იძლევა ამომწურავ ინფორმაციას თანხების ნაკადების მოძრაობისა და მისი რელევანტურობის შესახებ. ფინანსური გეგმა აუცილებლად უნდა შეიცავდეს ფინანსური პროგნოზების მოკლე აღწერას. როგორც წესი, უფრო დეტალური დოკუმენტი ცალკე, დანართის სახით კეთდება. პროგნოზში ასახულია საწარმოს მიერ მოგებაზე გასვლის ვადები, გაყიდვებისა და მოგების ზრდის ტემპები.

ფინანსური პროგნოზების დანართში საჭიროა დეტალურად აისახოს საბალანსო ანგარიში, ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზი 3-5 წლიან პერსპექტივაში (პირველი წლის განმავლობაში - ყოველთვიური, მომდევნო წლებში კი ყოველკვარტალური განაწილებით).

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ თქვენი ფინანსური გათვლები გამყარებული იყოს ბაზრის კვლევის მონაცემებით და მასზე დამყარებული რეალისტური პროგნოზებით. თუ თქვენ არ გაქვთ

ფინანსური ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის ჩვევები, უმჯობესია მიმართოთ სპეციალისტს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანია პროდუქციის/მომსახურების თვითღირებულება და ფასი-აქ უნდა აღიწეროს, თუ როგორ განსაზღვრავთ ფასს თქვენ პროდუქციაზე/მომსახურებაზე.

XI. სრულყოფილი ბიზნესგეგმა ასევე უნდა მოიცავდეს **რისკების ანალიზს.** საჭიროა, რომ გეგმაში აღვწეროთ ყველა ის რისკი, რაც პროექტის შესრულების დროს შეიძლება წარმოიშვას. მსგავსი რისკები შეიძლება განპირობებული იყოს ჩვენსგან დამოუკიდებელი მიზეზებისგანაც. მაგალითად, ინფლაცია, არასასურველი ამინდი, სახელმწიფო პოლიტიკის მკვეთრი ცვლილებები და ა.შ. თუმცა, რისკები ასევე ორგანიზაციის შიგნითაც შესაძლოა არსებობდეს. რისკების გაანალიზებასთან და აღწერასთან ერთად, აუცილებელია, რომ მისი განეიტრალების და გადაჭრის სტრატეგიაც იყოს აღწერილი. სწორედ ამ გეგმის მიხედვით მინიმუმამდე უნდა დავიდეს მოსალოდნელი „უსიამოვნებები“.

XII. ბიზნესგეგმაში შედის ასევე დანართების ჩამონათვალი, რომელიც მოიცავს იმ დოკუმენტებს, რომლებზე დაფუძნებითაც შემუშავდა ბიზნესგეგმა. ეს არის მარკეტინგული კვლევის დოკუმენტაცია, რეგისტრაციისა და ლიცენზიების დოკუმენტები, პროდუქტების დეტალური აღწერა, პრეისკურანტების ასლები და სხვა მრავალი.

ქვემოთ მოცემულია კონკრეტული ბიზნესგეგმა, რომელიც ვიდეოდისკების გაქირავებასა და რეალიზაციას ეხება. ბიზნესის მოცულობიდან გამომდინარე, გეგმა არის ძალიან მოცულობითი და მხოლოდ საკვანძო ინფორმაცია არის მოცემული. თუმცა, ცხადია, სერიოზული ბიზენეს-იდეების გეგმად გაწერის დროს, სასურველია, ამ საქმეში ფინანსისტი, მარკეტოლოგი და სხვა პროფესიუნალები იყვნენ ჩართულები. ფაქტი ერთია, რომ თუ ბიზნესგეგმა კარგად არის გაწერილი და გაანალიზებული, მისი წარმატების, განვითარებისა და გაფართოების ალბათობა ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე სტიქიურად აგებული, მხოლოდ საინტერესო იდეაზე დაფუძნებული ბიზნესისა.

ქვემოთ წარმოგიდგენთ ბიზნესგეგმის ნიმუშს, რომელიც დაგეხმარებათ საკუთარი ბიზნესგეგმის შემუშავებასა და განვითარებაში.

8. ბიზნესგეგმის ნიმუში

ბიზნესგეგმის ნიმუში

ბიზნესგეგმა: ვიდეო-დისკების გაქირავება

1. რეზიუმე

ბიზნესის იდეაა - ვიდეო გაქირავების უზრუნველყობა აუდიო-ვიდეო აპარატურისა და ფოტო მაღაზიაში.

შემოთავაზებული მომსახურების განსაკუთრებულობა ისაა, რომ იგი განთავსდება მაღაზიაში „რეტრო“, რომელიც ფართო ასორტიმენტს სთავაზობს მომხმარებელს და პოპულარობით სარგებლობს.

ბიზნესგეგმის განხორციელებისათვის აუცილებელია ფრენჩაიზინგის ხელშეკრულების მიღწევა კონცერნ „ვიდეო-სერვისთან“ და მისგან გამოცდილების გაზიარება.

ბიზნესის დაწყება გამართლებულია, იმდენად, რამდენადაც ერთ-ერთ ორგანიზატორს მსგავსი საქმიანობის საკმაოდ დიდი გამოცდილება გააჩნია.

ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმაა - შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო. ორგანიზაცია, თავისი ფორმით აბსოლუტურად შეესაბამება ბიზნესის იდეას, რამეთუ იგი მცირე საწარმოა და სარგებლობს გარკვეული საგადასახადო შეღავათებით და პატენტის გამოყენების გამარტივებული წესებით.

საქონლის უზრუნველყოფა მოხდება კონცერნ „ვიდეო-სერვისთან“ გაფორმებული ფრანჩაიზინგის ფარგლებში. შეთანხმების მიხედვით, კონცერნს გააჩნია სააგენტო „ვიდეოლენდის“ სავაჭრო ნიშანზე უფლება, რაც მას საშუალებას აძლევს შემოიტანოს საჭირო საქონელი.

„ვიდეო-სერვისისსა“ და „ვიდეოლენდს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, „ვიდეოსერვისი“ ვალდებულია სააგენტოს გადაუხადოს მოგების 40% ვიდეო-დისკების გაქირავებისა და 10% გაყიდვებისაგან.

კონცერნი „ვიდეო-სერვისი“ თავის მხრივ, მაღაზია „რეტროს“ სთავაზობს მაღაზიის ვიდეო-გაქირავების სტენდის გაფორმებასა და მოწყობას 15%-იანი ფასდაკლებით და ასევე მომსახურების 15%- გამოსყიდვის შესაძლებლობით..

კონცერნ „ვიდეოსერვისის მიერ შემოთავაზებული მომსახურება

დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	
დისკების სტელაჟი (100 დისკზე)	22	500	11000
გონდოლა დისკებისთვის (ეტევა 120 დისკი)	12	300	3600
საკასო აპარატის მაგიდა	1	400	400
საკასო აპარატი	1	560	560
კომპიუტერი	1	1500	1500
სკანერი	1	400	400

საჟანრო ეტიკეტები	20	20	400
საინფორმაციო სტენდი	1	600	600
ქურდობის საწინააღმდეგო აპარატი	1	3200	3200
ლიცენზია	1	1400	1400
რეგისტრაციის დაფა	1	700	700
მაგიდა და სკამები	12	900	10800
საყოფაცხოვრებო ნივთები	1	600	600
ტელევიზორი სადემოსტრაციოდ	12	1500	18000
DVD პლეიერი	12	400	4800
წილობრივი შენატანი	1	10000	10000
სულ			67960

სარეკლამო აქციები, რომლებიც წამახალისებელი პრიზების სახით გაიცემა განსაკუთრებით აქტიურ კლიენტებზე, დადებითად იმოქმედებს მომხმარებლების მოზიდვაზე და პოზიტიურ გავლენას მოახდენს შემოსავლის ზრდაზე არსებული მომხმარებლებისგან.

2. საქმიანობის ტიპის შერჩევის არგუმენტები

მაღაზიის ზოგადი საქმიანობაა - ვიდეო, აუდიო და ფოტო მომსახურება, აპარატურითა და მოწყობილობით ვაჭრობა. შემოთავაზებული ბიზნესგეგმა მაღაზიის საქმიანობის ხაზის განვითარებას გულისხმობს და, შესაბამისად, გამართლებულია, რადგან მაღაზიას მსგავსი საქმიანობის გამოცდილება გააჩნია.

ვიდეო-გაქირავება პრიორიტეტული საქმიანობაა, რადგან მსგავსი ტიპის მომსახურება ქალაქში არ არსებობს. ინტერნეტის სიჩქარე არ იძლევა საშუალებას, სურვილის შემთხვევაშიც კი, ადგილობრივმა მოსახლეობამ განახორციელოს პირატული წესით ფილმების გადმოწერა სხვადასხვა საიტებიდან.

მაღაზიის პოტენციური მომხმარებლის ასაკობრივი პრიორიტეტები არ არსებობს, შემოთავაზებული ვიდეოთეკის ჟანრობრივი მრავალფეროვნებიდან გამომდინარე. ამასთან, ვიდეო-გაქირავებაში არსებული ფილმები მოიცავს როგორც ძველ, საბჭოთა და უცხოურ ფილმებს, ასევე სრულიად თანამედროვე, გამარჯვებული და ნომინირებული ფილმების დიდ არჩევანს.

ამასთან, დამატებით ღირებულებას წარმოადგენს ის სერვისი, რომელსაც მაღაზია თავის მომხმარებელს სთავაზობს. კერძოდ კი, უცხოურენოვანი ფილმებისათვის შეირჩევა რუსული და ქართული სუბტიტრები, რაც ფილმის ყურებისათვის ფართო მომხმარებლებს მოიზიდავს.

ვიდეო-დისკების გაქირავების საფასურს მაღაზია „რეტრო“ ადგენს კონცერნ „ვიდეო-სერვისთან“ ერთობლივად და განსაზღვრავს 3-დან 10 ლარის ოდენობით დისკის ღირებულებისა და მომხმარებლის ინტერესებიდან გამომდინარე.

საფასური დადგენილია თვიური დანახარჯებისა და ქართულ ბაზარზე არსებული ფასების ანალიზის შედეგად. შემოთავაზებული პროდუქცია ლიცენზირებულია, სერტიფიცირებულია და დაცულია პატენტებით.

შემოთავაზებული მომსახურების თვიური დანახარჯი 8 388 ლარია.

3. მარკეტინგული გეგმა

იმ მაღაზიების ანალიზმა, რომლებიც ანალოგიური სისტემით მუშაობენ, აჩვენა, რომ გაქირავების შედეგად მიღებული თანხა 4 000-6 000 ათასი ლარია 18 000-20 000 ათასი ლარის საქონლის მოხმარების შემთხვევაში.

ყოველთვიური სახელფასო დანახარჯის - 8 388 ლარისა და მოგების 0,7 ზრდის კოეფიციენტის, მეორე თვეში 0,8-ის, ხოლო მესამე თვეში კი, 0,9 ზრდის კოეფიციენტისა, შეიძლება თვეების მიხედვით შემოსავლის პროგნოზირება.

პირველი თვე

გაქირავება	13300 ლარი
გაყიდვა	3500 ლარი
ხელფასი	9835 ლარი
შემოსავალი	1446 ლარი

მეორე თვისათვის

გაქირავება	15200 ლარი
გაყიდვა	4000 ლარი
ხელფასი	11240 ლარი.
შემოსავალი	2851 ლარი

მესამე თვისათვის

გაქირავება	17100 ლარი
გაყიდვა	4500 ლარი
ხელფასი	12645 ლარი
შემოსავალი	4256 ლარი

მეოთხე და ყველა მომდევნო თვისათვის

გაქირავება	19000 ლარი
გაყიდვა	5000 ლარი
ხელფასი	14050 ლარი
შემოსავალი	5661 ლარი

4. საწარმოო პროცესი

მაღაზიის ტექნოლოგიური პროგრამა განხორციელდება სკანერის, კომპიუტერისა და პროგრამა C1-ის გამოყენებით. კლიენტები აიღებენ სასურველ დისკებს და

გააფორმებენ ხელშეკრულებას, რომელიც მომხმარებლის ბარათს ნიშნავს მასზე გამოსახული შტრიხ-კოდით. შემდგომში დისკების დაბრუნება-ხელახალი გაქირავება მოხდება ბარათის სკანირების შედეგად. დისკები გამოფენილი იქნება გონდოლებსა და სტელაჟებზე. გარდა ამისა, ვირტუალური პრეისკურანტი საშუალებას მისცემს კლიენტს, შეარჩიოს სასურველი დისკი მოკლე ანოტაციის საფუძველზე, რომელიც პრეისკურანტში იქნება უზრუნველყოფილი თითოეული ფილმისათვის. დისკების მოწოდება მოხდება ფრანჩაიზინგის შეთანხმების საფუძველზე კონცერნ „ვიდეო-სერვისის“ მიერ. ასევე, მოახდენს ტექნიკური მომსახურების უზრუნველყოფას კონცერნი. მაღაზიის განყოფილების გახსნისათვის, კონცერნი უზრუნველყოფს 800 დისკის შემოტანას. პირველი თვის განმავლობაში დისკების რაოდენობა შეივსება 1500 ცალამდე. შემდგომში კი, არაუგვიანეს 1 კვირისა, მოხდება დისკების შევსება ვიდეო-გაქირავებისათვის. საგულისხმოა, რომ ის დისკები, რომლებიც გაიყიდება, ცალკე აღირიცხება კომპიუტერული პროგრამის საშუალებით. შესაბამისად, მათი შევსება მოხდება კვირის განმავლობაში კონცერნისთვის მიწოდებული სპეციალური შეკვეთის საფუძველზე.

შეთანხმების მიხედვით, „რეტრო“ გადაუხდის მოგების 40%-ს გაქირავებიდან და 10%-ს გაყიდვებიდან. თავის მხრივ, კონცერნი უზრუნველყოფს კომპლექსური მომსახურების უზრუნველყოფას, რომელიც მაღაზიის გაფორმებასა და აღჭურვას გულისხმობს. ამასთან, რეტრო შეძლებს აღნიშნული მომსახურების გამოსყიდვას 15%-იანი შეღავათით.

ვიდეო-სერვისის მიერ უზრუნველყოფილი მომსახურების ჩამონათვალი

დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	
დისკების სტელაჟი (100 დისკზე)	22	500	11000
გონდოლა დისკებისთვის (ეტევა 120 დისკი)	12	300	3600
საკასო აპარატის მაგიდა	1	400	400
საკასო აპარატი	1	560	560
კომპიუტერი	1	1500	1500
სკანერი	1	400	400
საჟანრო ეტიკეტები	20	20	400
საინფორმაციო სტენდი	1	600	600
ქურდობის საწინაამღდეგო აპარატი	1	3200	3200
ლიცენზია	1	1400	1400
რეგისტრაციის დაფა	1	700	700
მაგიდა და სკამები	12	900	10800
საყოფაცხოვრებო ნივთები	1	600	600

ტელევიზორი სადემოსტრაციოდ	12	1500	18000
DVD პლეიერი	12	400	4800
წილობრივი შენატანი	1	10000	10000
სულ			67960

დამატებით, მაღაზიაში სექციის გასახსნელად საჭიროა შემდეგი:

დასახელება	რაოდენობა
დისკების სტელაჟი (100 დისკზე)	10
გონდოლა დისკებისთვის (ეტევა 120 დისკი)	6
კომპიუტერი	2
პრინტერი	1
ფაქსი	1
სკანერი - პორტატიული	2
ჟანრული ეტიკეტები	20
საინფორმაციო სტენდი	1
სავარძლები	1
აუდიო-აპარატურა	1
სეიფი	1
დამატებითი ფართი	60 კვ. მეტრი

საშტატო ერთეულები

პოზიცია	პერსონალის რაოდენობა	დარიცხული ხელფასი	სულ
სექციის მენეჯერი	1	1500	1500
გამყიდველი/კონსულტანტი	2	800	3200
სულ	5		4700

მაღაზიის საშტატო ერთეული

პოზიცია	პერსონალის რაოდენობა	ხელფასი, დარიცხული	სულ
დირექტორი	1	12000	10710
ბუღალტერი	1	2500	2500
დამლაგებელი	1	800	800
დაცვა	2	3000	6000
სულ	9		29258

ფიქსირებული და ცვლადი ხარჯები

ხარჯების დასახელება	ლარი
საშემოსავლო გადასახადები	4700
მოგების გადასახადი	1880
არენდა	46400
საკანცელარიო	500
სამეურნეო და კომუნალური გადასახადები	150
გაუთვალისწინებელი	1000
სულ	54630

5. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა, შპს. ფირმა ყველა კრიტერიუმით პასუხობს მცირე საწარმოს სტანდარტებს. ორგანიზაციის უმაღლესი მართვის ორგანოა დამფუძნებელთა კრება. მაღაზიის უშუალო ხელმძღვანელობას ახორციელებს გენერალური დირექტორი.

6. საჭირო აღჭურვილობის თანხები

დასახელება	რაოდენობა	სულ
დისკების სტელაჟი (100 დისკზე)	32	16000
გონდოლა დისკებისთვის (ეტევა 120 დისკი)	18	5400
საკასო აპარატის მაგიდა	1	400
საკასო აპარატი	1	1072
კომპიუტერი	3	4500
სკანერი	2	400
ფაქსი	1	400
პრინტერი	1	1500
საჟანრო ეტიკეტები	40	800
საინფორმაციო სტენდი	2	600
ქურდობის საწინააღმდეგო აპარატი	1	3200
ლიცენზია	1	1400
რეგისტრაციის დაფა	1	700
სკამები	12	6800
მაგიდა	12	4000

სავარძელი	30	6000
აპარატურის დასადგამი	15	6000
ტელევიზორი	12	18000
DVD პლეიერი	12	4800
აუდიო-აპარატურა	1	3000
წილობრივი შესატანი	1	1000
სეიფი	1	700
საკანცელარიო		500
საყოფაცხოვრებო ნივთები		600
სულ		**87772**

იჯარისა და რემონტის ხარჯები

მაღაზიის განლაგება და მოლაპარაკებები მეპატრონესთან იძლევა დამატებით 60 კვ. მეტრი ფართის ქირავნობის საშუალებას.
60 $მ^3$ * (2500/12) = 30 000/თვე
გადახდა ხდება ერთი წლის არენდის.
რემონტრი 25 000
სულ 55 000 $
თავდაპირველი დანახარჯებია: 142772
უზარალობის წერტილი (breakeven)
თვიური 8 388 ლარის დახარჯვის და მოგების გათვალისწინებით, უზარალობის წერტილი გადაიკვეთება 8388/0,7 = 11982 ლარზე.

7. რისკების ანალიზი
სხვა ქალაქებში არსებული იდენტური მომსახურების ანალიზი აჩვენებს, რომ არც ერთ მათგანს არ შეუწყვეტია მუშაობა, მეტიც, მათ გააფართოეს მომსახურების ქსელები და განავითარეს პროდუქტის ხაზი და/ან მოახდინეს დივერსიფიკაცია.
კონცერნი „ვიდეო-სერვისი“ ასევე ამცირებს რისკის ალბათობას იმდენად, რამდენადაც იძლევა 15% შეღავათს წარმოდგენილ მომსახურებაზე, რაც უდრის 10 194 ლარს.

9. სასარგებლო ლინქები და რესურსები

აქვე გთავაზობთ რამდენიმე სასარგებლო ბმულსა და რესურსს იმისათვის, რომ უკეთ შეძლოთ საკუთარი კომერციული იდეების დაგეგმვა და განხორციელება:

- http://www.businessombudsman.ge/
- http://www.bii.ge/?action=page&p_id=82&lang=geo
- http://www.financial.ge/category/Business/
- http://tbilisi.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=3
- http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0001/000357/sakutari%20biznesi%20I%20nac.pdf -

ბიზნესგეგმის შემუშავება და განხორციელება დაგეხმარებათ როგორც თქვენი ბიზნესის სწორად წარმართვაში, აგრეთვე პოტენციურ ინვესტორებთან ურთიერთობებში, რომლებმაც შეიძლება ინვესტიცია გააკეთონ თქვენს ბიზნესში, საკუთარი ინვესტირების სწორად დაგეგმვაში, აგრეთვე კომერციულ ბანკებთან ურთიერთობაში, რომლებიც ბიზნესსესხის გაცემის შემთხვევაში, აუცილებლად დაინტერესდება თქვენი ბიზნესგეგმით და ამის შესაბამისად, მიიღებს გადაწყვეტილებას, გასცეს თუ არა თქვენზე ბიზნესსესხი. ამასთანავე, ქვემოთ შეგიძლიათ იხილოთ ინფორმაცია საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების შესახებ.

საქართველოში ლიცენზირებული მოქმედი კომერციული ბანკები ბანკი	გენერალური დირექტორი (ან მ/შ)	ლიცენზირების თარიღი	მისამართი	ტელეფონი/ფაქსი	ელ.ფოსტა	ვებგვერდი
სს ბანკი „რესპუბლიკა“	კრისტიან კარმანიოლი	04.02.1992 წ., N5	0179, ქ. თბილისი, გრ. აბაშიძის ქ. N2	(995 32) 925 555 (995 32) 925 544	info@republic.ge	www.republic.ge
სს "პრივატბანკი" *(ყოფილი სს „კავკასიონი“, ყოფილი სს "ტაო ბანკი ", ყოფილი სს "პირველი კომერციული ბანკი")*	ბოგდან ლესიუკი	25.02.1992 წ., N10 გენერალური ლიცენზია გაიცა 03.11.1994 წ., N 1–33	0164, ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. N114	(995 32) 350 500 ან 555 555 (995 32) 355 080	bank@taobank.ge	www.taobank.ge
სს „თიბისი ბანკი“	ვახტანგ ბუცხრიკიძე	20.01.1993 წ., N85	0102, ქ. თბილისი, კ. მარჯანიშილის ქ. N7	(995 32) 272 727 (995 32) 772 774	info@tbcbank.com.ge	www.tbcbank.com.ge
სს „საქართველოს ბანკი“	ირაკლი გილაური	15.12.1994 წ., N86	0160, ქ. თბილისი, გაგარინის ქ. N29ა	(995 32) 444 444 (995 32) 444 134	welcome@bog.ge	www.bog.ge
სს "ლიბერთი ბანკი“ *(ყოფილი სს "საქართველოს სახალხო ბანკი")* *(ყოფილი სს "აგრომრეწვბანკი)*	ვლადიმერ გურგენიძე	10.02.1993 წ., N96	0162, ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N74	(995 32) 555 505 (995 32) 555 504	info@libertybank.com	www.libertybank.ge
სს "ბაზისბანკი"	დავით ცაავა	11.04.1993 წ., N173	0103, ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. N1	(995 32) 921 921 ან 922 922 (995 32) 986 548	info@basisbank.ge	www.basisbank.ge

სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია" *(ყოფილი "გაერთიანებული ქართული ბანკი")*	არჩილ კონცელიძე	07.05.1995 წ., N 226-ა	0102, ქ. თბილისი, გ. ჭანტურიას ქ. N14	(995 32) 242 424 (995 32) 954 420	info@vtb.com.ge	www.vtb.com.ge
სს „ბანკი ქართუ“	ნოდარ ჯავახიშვილი	09,01,1997 წ., N229	0162, ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N39ა	(995 32) 925 592 (995 32) 912 279	cartubank@cartubank.ge	www.cartubank.ge
სს „პროკრედიტ ბანკი“ *(ყოფილი სს "საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი")*	მაია მერედოვა	13.05.1999 წ., N233	0112, ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N154	(995 32) 202 222 (995 32) 250 580	info@procreditbank.ge	www.procredibank.ge
სს „ბითიეი ბანკი" *(ყოფილი სს "აბრეშუმის გზა", ყოფილი სს „ბტა სილქ როუდ ბანკი“)*	კაირატ კენჟეგარინი	13.03.2001 წ., N238	0102, ქ.თბილისი, ზაარბრუკენის მოედანი N 2	(995 32) 242 242 (995 32) 242 222	posta@bta.ge	www.bta.ge
სს „ინვესტბანკი“	გიორგი გზირიშვილი	29.09.2003 წ., N241	0108, თბილისი, ბესიკის ქუჩა N4	(995 32) 428 888 ან 922 536; 923 780 (995 32) 922 537	info@investbank.ge	www.investbank.ge
სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი – საქართველო“	სამირ ველიევი	07.02.2007 წ., N0110242	0105 ქ. თბილისი, ლეონიძის ქ.N1 (დროებითი მისამართი: თავისუფლების მოედანი N4ა)	(995 32) 998 545 (995 32) 998 546	info@ibaz.ge	www.ibaz.ge

თ.რ. სს "ზირაათ ბანკის" თბილისის ფილიალი	ჰასან ფერით იუჯეილმაზი	31.03.1998 წ., N231-1	0102, ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N61	(995 32) 943 714 (995 32) 943 078	tbilisi@ziraatbank.ge	www.ziraatbank.com.tr
RSS "კავკასიის განვითარების ბანკის" თბილისის ფილიალი	რავილ კარაევი	02.12.1999 წ., N234-1	0105, ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. N4	(995 32) 923 308; 923 307 (995 32) 923 399	tdb@nbg.gov.ge	www.tdb.ge
სს "ეიჩ ეს ბი სი ბანკი საქართველო"	გაი სტივენ დევიდ ლუისი	30.07.2007 წ., N000226	0108, ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. N15	(995 32) 177 777		www.hsbc.ge
სს "პროგრეს ბანკი"	კონსტანტინე სულამანიძე	31.12.2007 წ., N0110244	0105, ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N8	(995 99) 50 11 44 (995 32) 320 044 388 888	info@progressbank.ge	www.progressbank.ge
სს "კორ სტანდარტ ბანკი"	გიორგი ღლონტი	25.01.2008 წ., N0110245	0112, ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. N3	(995 32) 255 00 00 (995 32) 250 77 07	mail@standardbank.ge	www.standarbank.ge
სს "ხალიკ ბანკი საქართველო"	ნიკოლოზ გეგუჩაძე	29.01.2008 წ., N0110246	0171, ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N74	(995 32) 240 707 (995 32) 362 319	info@hbg.ge	www.halykbank.ge
სს "ბანკი კონსტანტა"	ლევან ლებანიძე	03.07.2008 წ. სსზს უფროსის N130 განკარგულებით	0112, ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. N115	(995 32) 953 020 (995 32) 951 731	head_office@constanta.ge	www.constanta.ge

თავი მესამე
დაფინანსების წყაროების შერჩევა

1. დაფინანსების წყაროები

არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის სტაბილური დაფინანსება ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. არაერთმა კვლევამ დაადასტურა, რომ საქართველოში არასამთავრობო სექტორის დაფინანსების სტაბილურობა სერიოზული გამოწვევაა, რადგან ორგანიზაციათა უმრავლესობისთვის დაფინანსების ერთადერთ წყაროს სხვადასხვა ფონდის მიერ გაცემული გრანტები წარმოადგენს. გრანტების, როგორც ფინანსური რესურსის, ოდენობა კი შეზღუდულია და, შესაბამისად, არასამთავრობო ორგანიზაციათა დიდ ნაწილს დაფინანსების პრობლემა მუდმივად აქვს. ასე რომ, არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის მნიშვნელოვანია საკუთარი დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაცია, რაც უზრუნველყოფს მათ ფინანსურ მდგრადობას. არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების რამდენიმე მნიშვნელოვანი წყარო შეიძლება გამოვყოთ:

- საჯარო ფონდები ანუ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული საჯარო დაწესებულებები, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გასცემენ გრანტებს სხვადასხვა პროექტის განსახორციელებლად. საჯარო ფონდების მაგალითებად შეგვიძლია განვიხილოთ სამოქალაქო ინსტიტუციონალიზმის განვითარების ფონდი, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმირებისა და სწავლების ცენტრი, ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი, განათლების და მეცნიერების სამინისტროს სამეცნიერო ფონდი და ა.შ.;
- კერძო დონორები: ფონდები, კავშირები, კორპორაციები, პროფესიული ასოციაციები გასცემენ გრანტებს კონკრეტული თემისთვის ან კონკრეტული მიმართულებებით. კერძო ფონდები ასოციაციების დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ. კერძო ფონდების მაგალითებად საქართველოში შეგვიძლია განვიხილოთ „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი“, ფონდი “ღია საზოგადოება - საქართველო” და ა.შ;
- საერთაშორისო სახელმწიფო და სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციები;
- საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც გასცემენ გრანტებს საკუთარი მანდატის განსახორციელებლად ადგილობრივი პარტნიორების მეშვეობით.

- კომერციული ორგანიზაციები - სხვადასხვა სფეროში მოღვაწე კომერციული ორგანიზაციები აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის მნიშვნელოვანი დაფინანსების წყაროა. სხვადასხვა კომერციული ორგანიზაცია ახორციელებს სოციალურ პროგრამებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მაგალითად, რამდენიმე კომერციული ბანკი აფინანსებდა დევნილთათვის საგანმანათლებლო და სოციალურ პროგრამებს, ისევე, როგორც ხშირია კომერციული ორგანიზაციების მიერ კულტურული ღონისძიებებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარებისკენ მიმართული პროექტების დაფინანსება. კომერციულ ორგანიზაციებთან ერთობლივი პროექტების განხორციელება დაფინანსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს არასამთავრობო სექტორისთვის, თუმცა საქართველოში აღნიშნული თანამშრომლობა მხოლოდ განვითარების საწყის ეტაპზეა და მხოლოდ მცირედ ნაწილს წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების წყაროებს შორის.
- კომერციული საქმიანობიდან და მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები - არასამთავრობო ორგანიზაციები გარკვეულ მომსახურებას უწევენ სამთავრობო, საერთაშორისო თუ კომერციულ ორგანიზაციებს.
- კერძო ინდივიდების შემოწირულობები ასევე წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციების შემოსავლების წყაროს. კერძო ინდივიდებს ხშირად აქვთ გარკვეული მიმართულებით ინტერესები და ამ მიმართულებით აკეთებენ შემოწირულობებს. კერძო ინდივიდების შემოწირულობები განსაკუთრებით ეფექტურად მუშაობს სხვადასხვა სოციალური პროექტის დასაფინანსებლად.

2. დაფინანსების წყაროების განსაზღვრა

ნებისმიერ დონორს აქვს შეზღუდვები და გარკვეული რეგულაციები, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ გააკეთო შენი პროექტის პროფილი, რათა განსაზღვრო, ვის შეიძლება მიმართო.

პროფილი მოიცავს:

ა) რა არის პროექტის ფუნქცია (კვლევა, განვითარება, ტრენინგი, მომსახურება, ტექნიკური დახმარება, აღჭურვა და ა.შ.);

ბ) არის შენი პროექტი უნიკალური/განსაკუთრებული? - არის პროექტები, რომლებიც ეფუძნება ახალ იდეას, არის პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავენ ორგანიზაციის განვითარებას. დონორთა ნაწილი აფინანსებს ან ერთს ან მეორეს, ძალიან იშვიათად _ ორივეს ერთად:

გ) რა სფეროშია შენი პროექტი;
დ) ვინ ისარგებლებს პროექტის განხორციელებით.

3. პროექტის იდეის გენერირება

პროექტების ორი ტიპი არსებობს: (ა) დამფინანსებელი ორგანიზაციის მოთხოვნების და კონკურსის შესაბამისი; (ბ) ღია კარის წესით შეტანილი.

პროექტის იდეა მოთხოვნის შესაბამისად - როცა დონორი ორგანიზაცია იძლევა მითითებებს, თუ რისი გაკეთება უნდა და ამ მითითებების ფარგლებში შეგაქვთ საპროექტო განაცხადი და ავითარებთ იდეას;

მოთხოვნის გარეშე _ ანუ ღია კარის წესით პროექტი, რომელიც ეფუძნება ორგანიზაციის დამოუკიდებელ იდეას თუ ინოვაციას. აღნიშნული მიმართულებით დაფინანსების მოპოვება საკმაოდ რთულია, რადგან ამ შემთხვევაში გაცილებით უფრო არგუმენტირებულად უნდა დაარწმუნოთ დონორი თქვენი პროექტის აქტუალობაში, პრობლემისა და საჭიროებების რელევანტურობასა და თქვენი იდეის ინოვაციურობასა და განსაკუთრებულობაში. ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია დაფინანსების მოძიების 4 ეტაპს გამოყოფს (2008):



წყარო: ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, 2008, გვ. 38

ა. გამოვლენა და კლასიფიკაცია

ეს მიმართულება გულისხმობს თითოეულ დონორ ორგანიზაციაზე სრულყოფილი ინფორმაციის მოძიებას, რაც გულისხმობს მათი ვებ-გვერდის შესწავლას, მათი მისიის, ხედვისა და ღირებულებების დადგენას და ა.შ. პოტენციური დონორების მოძიების შემდეგ

მნიშვნელოვანია მათი კლასიფიცირება, რათა განსაზღვროთ, ვის რა სახის წინადადებით მიმართოთ და რა მოცულობის თანხები მოითხოვოთ. დონორების კლასიფიკაცია შესაძლებელია მოხდეს ისეთი კრიტერიუმების გამოყენებით, როგორებიცაა ორგანიზაციის ზორმა, პრიორიტეტები და ა.შ. (ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, 2008).

ბ. გეგმის შედგენა

სასურველია, წინასწარ გქონდეთ ინფორმაცია, თუ რომელი დონორი ორგანიზაცია როდის აპირებს საპროექტო წინადადებებისთვის კონკურსის გამოცხადებას ან ღია კარის პრინციპით საპროექტო განაცხადების მიღებას. აღნიშნული ინფორმაცია საშუალებას მოგცემთ, წინასწარ შეარჩიოთ დონორი. წინადადების შეთავაზების შესაფერისი დრო. შეადგინეთ კონკრეტული გეგმა თითოეული პოტენციური დონორისთვის და დაგეგმეთ მათთან კომუნიკაციის ეტაპები (ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, 2008).

სტრატეგიის დასახვა

დონორებთან ურთიერთობის სამოქმედო გეგმის შედგენის შემდეგ მნიშვნელოვანია კონკრეტული სტრატეგიის განვითარებაზე და შემუშავებული სტრატეგიის შესაბამისად, დონორებთან აქტიური ურთიერთობების დაწყება.

ურთიერთობების განვითარება

პოტენციურ დონორთან ურთიერთობის აგება ძალიან მნიშვნელოვანია და გადამწყვეტია დაფინანსების მოსაპოვებლად. აღსანიშნავია, რომ დონორებს არ მოსწონთ, როცა ორგანიზაციის შესახებ მხოლოდ შეტანილი აპლიკაციით შეიტყობენ და აპლიკანტთან არ აქვთ წინასწარი ურთიერთობები, ამიტომ აუცილებელია, საპროექტო განაცხადის მიღებამდე დონორ ორგანიზაციას ჰქონდეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია თქვენი ორგანიზაციის საქმიანობისა და დაგეგმილი პროექტის შესახებ. შესაბამისად, გთავაზობთ გარკვეულ რეკომენდაციებს, რომლებიც უნდა გაითვალისწინოთ დონორთან ურთიერთობის დაწყებისას.

მიიღე მაქსიმალური ინფორმაცია დონორის შესახებ - დონორთან ურთიერთობისას ძალიან მნიშვნელოვანია გქონდეს მაქსიმალურად ბევრი ინფორმაცია დონორის შესახებ. ამით, ერთი მხრივ, ხაზს უსვამ შენს პატივისცემას დონორი ორგანიზაციისადმი და, მეორე მხრივ, საკუთარ პროფესიონალიზმს. შესაბამისად, დონორის კარგად გაცნობის შემთხვევაში, აღარ მიმართავ მას ისეთი შეკითხვებით, რომლის მოპოვებაც პირდაპირ საჯარო ინფორმაციითაც არის შესაძლებელი. აღნიშნული პოზიტიურად განაწყობს პოტენციურ დონორს.

მიმართეთ დონორს გაწერილი პროცედურების შესაბამისად - თუკი დონორი ორგანიზაცია ითხოვს, რომ არ დაუკავშირდეთ ტელეფონზე, დაიცავით ეს მოთხოვნა; თუ დონორი ორგანიზაცია ითხოვს, რომ საგრანტო განაცხადის გაგზავნამდე გააგზავნოთ "მოთხოვნის წერილი", გააგზავნეთ მოთხოვნის წერილი და არა საპროექტო განაცხადი. ანუ მნიშვნელოვანია, რომ მკაცრად დაიცვათ ის მითითებები რაც აქვს დონორს განსაზღვრული და საკუთარი შეხედულებებისამებრ არ დაიწყოთ დონორთან ურთიერთობა.

დატოვეთ კარგი პირველი შთაბეჭდილება - დონორზე პირველი შთაბეჭდილების მოხდენა უმნიშვნელოვანესია. ამიტომ წინასწარ მოემზადეთ და დაგეგმეთ დონორთან პირველი ურთიერთობა. თუ უშუალოდ ხვდებით დონორს, კარგად განსაზღვრეთ განსახილველი საკითხები, სატელეფონო საუბრის შემთხვევაში, ასევე ლაკონიურად და ზუსტად ჩამოაყალიბეთ საკითხები, რომელთა დაზუსტებაც ან გარკვევაც გსურთ დონორთან, ელ-ფოსტით მიმართვის შემთხვევაში წერილი დახვეწილი და პროფესიონალური უნდა იყოს პროფესიონალური წერილისთვის დამახასიათებელი ყველა პარამეტრით. კომუნიკაციის შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ამ სახელმძღვანელოს შესაბამის თავში.

შეეცადეთ ურთიერთობების გაღრმავებას. დონორ ორგანიზაციას არ უნდა ჰქონდეს განცდა, რომ მასთან მხოლოდ თანხასთან დაკავშირებით ურთიერთობთ. მნიშვნელოვანია, დონორი გრძნობდეს, რომ თქვენ მას განიხილავთ, როგორც პარტნიორს და გაგაჩნიათ საერთო მიზნები, ამასთან, ცდილობთ ერთობლივად ამ მიზნების შესრულებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ დონორთან ურთიერთობა არ გქონდეთ მხოლოდ გრანტებთან დაკავშირებით, შეეცადეთ, მოიწვიოთ ის თქვენ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებსა და აქტივობებზე, დაესწროთ მათ ღონისძიებებს, გაუგზავნოთ მისალოცი ბარათები კონკრეტულ დღეებთან დაკავშირებით ან კონკრეტული წარმატებების შემთხვევაში და ა.შ.

ნუ შეაწუხებთ დონორს აპლიკაციის ჩაბარებიდან უმოკლეს ვადაში - ხშირად აპლიკანტი ორგანიზაციები უმოკლეს ვადაში სთხოვენ პასუხს დონორ ორგანიზაციას პროექტთან დაკავშირებული შედეგების შესახებ. დონორ ორგანიზაციებს აქვთ განსაზღვრული პროცედურები პროექტების განსახილველად და შედეგების შეტყობინებისთვის. შესაბამისად, არ არის რეკომენდებული დონორი ორგანიზაციის შეწუხება და შედეგების მოთხოვნა ვადაზე ადრე. თქვენ შეგიძლიათ გამოითხოვოთ დონორისგან ინფორმაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დათქმული ვადის გასვლის შემდეგ დონორი ორგანიზაცია არ მოგაწვდით ინფორმაციას პროექტთან დაკავშირებით.

გაუგზავნეთ მადლობის წერილი: დონორი ორგანიზაციის მიერ თქვენს პროექტთან დაკავშირებით მიღებული ინფორმაციის შემდეგ გაუგზავნეთ მას მადლობის წერილი, რომ განიხილეს თქვენი საპროექტო წინადადება, მიუხედავად იმისა, განხორციელდა თუ არა თქვენი განაცხადის დაფინანსება.

პროექტის განხორციელებისას და განხორციელების შემდეგ განაგრძეთ დონორთან ურთიერთობები - საპროექტო განაცხადის დაფინანსების შემთხვევაში, მისი იმპლემენტაციისას (განხორციელებისას), მუდმივად იქონიეთ კავშირი დონორ ორგანიზაციასთან, მიიწვიეთ ის ყველა დაგეგმილ ღონისძიებაზე. პროექტის დასრულებისას მნიშვნელოვანია დონორ ორგანიზაციასთან საქმიანი კავშირებისა და ურთიერთობების გაგრძელება.

4. წინასწარი საპროექტო წერილი ან განაცხადი

ხშირად დონორი ორგანიზაციები ითხოვენ წინასწარ წერილს საპროექტო განაცხადთან დაკავშირებით, რომლის განხილვის შემდეგ იღებენ გადაწყვეტილებას, მოსთხოვონ თუ არა აპლიკანტ ორგანიზაციას სრული საპროექტო განაცხადის წარდგენა. ან არის შემთხვევები, როცა აპლიკანტი ორ+ანიზაცია წინასწარი წერილით მიმართავს დონორ ორგანიზაციას და წინასწარი წერილის გაცნობის შემდგომ, დონორი ორგანიზაცია იღებს გადაწყვეტილებას გააგრძელოს თუ არა აპლიკანტ ორგანიზაციასთან მუშაობა საპროექტო განაცხადის წარმოსადგენად. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია ეფექტური წინასწარი განაცხადის ანდა წინასწარი წერილის შედგენა. აქვე გთავაზობთ ჰოლისა და ჰოვალტის მიერ ჩამოყალიბებული ეფექტური წინასწარი წერილის მახასიათებლებს და აგრეთვე იმ ფაქტორებს, რაც უნდა გაითვალისწინოთ წინასწარი წერილის შედგენისას.

ეფექტური წინასწარი განაცხადის წერილის ელემენტები:
- დამფინანსებლის საქმიანობის, მიზნების და ამოცანების, ქმედებებისა და შემუშავებული სახელმძღვანელო მითითებების ეფექტურობის ხაზგასმა;
- აპლიკანტი ორგანიზაციის სახელი და მისია, ამ დამფინანსებლის წარსულში არსებული პროექტის შემთხვევაში ამ პროექტის შესახებ მოკლე ინფორმაცია;
- საკითხის, პრობლემის ან საჭიროების მოკლედ დასმა;
- გადაჭრის გზების მოკლე აღწერა;
- სხვა ორგანიზაციების მიერ აღნიშნული პრობლემის შესახებ არსებული მოსაზრებები ან ვისთან ერთად გეგმავთ ამ პრობლემის გადაჭრაზე მუშაობას და მათი კომპეტენციის დამადასტურებელი განცხადება;
- პროექტის მიახლოებითი ღირებულება და რომელი დონორი

ორგანიზაცია იქნება ჩართული თანადაფინანსებაში ასეთის არსებობის შემთხვევაში, ან თუ იგეგმება თანადაფინანსების მოძიება რომელიმე ორგანიზაციასთან და რა პროცედურებით;
- მოთხოვნილი თანხის ოდენობა და პროექტის რა კომპონენტებზე მოხდება ამ თანხის დახარჯვა;
- საკონტაქტო პირის სახელი და გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია. საკონტაქტო პირად უნდა მიეთითოს ორგანიზაციის თანამშრომელი, რომელიც კონკრეტულ პროექტთან დაკავშირებით ყველაზე კვალიფიციურად შეძლებს შეკითხვებზე პასუხების გაცემას;
- ხელმოწერა, სასურველია, ორგანიზაციის ხელმძღვანელმა გააკეთოს წინასწარ განაცხადზე ხელმოწერა.

წყარო: ჰოლი და ჰოვალტი, 2003, გვ 46

ეფექტური წინასწარი განაცხადის წერილის შესაქმნელად შემდეგი საკითხები გაითვალისწინეთ:

- შეეცადეთ, წინასწარი წერილი იყოს მაქსიმალურად მოკლე, არაუმეტეს 2 გვერდისა;
- წერეთ მოკლედ და ლაკონიურად, არ გამოიყენოთ ვრცელი ტექსტები და ფრაზები;
- შეეცადეთ, არ გამოიყენოთ ფრაზები: „ჩვენ გვჭირდება", „გვესაჭიროება" და ა.შ. შეეცადეთ, ისაუბროთ თემის საჭიროებებზე, პრობლემებზე და ა.შ;
- გამოიყენეთ ადვილად გასაგები, გამართული ლიტერატურული ენა, არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენოთ ჟარგონები ან საზოგადოებაში დამკვიდრებული გამონათქვამები, რომლებიც სცდება წერილობითი პროფესიული ურთიერთობების ფარგლებს;
- შეეცადეთ, წერილში გამოჩნდეს თქვენი ენთუზიაზმი და მოტივაცია წამოჭრილი პრობლემის გადაჭრის მიმართ;
- დააკავშირეთ დამფინანსებელი ორგანიზაციის მიზნები და აქტივობები თქვენ მიერ განზრახული პროექტის მიზნებთან და აქტივობებთან;
- დარწმუნდით, რომ დამფინანსებელ ორგანიზაციას მოთხოვნილი თანხის გაღება შეუძლია.

აქვე გთავაზობთ დონორი ორგანიზაციისათვის გაგზავნილი წინასწარი განაცხადის მაგალითს, რომლის საფუძველზეც შეძლებთ თქვენთვის სასურველი ეფექტური წინასწარი განაცხადის წერილის შედგენას:

"ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის ფონდის"
აღმასრულებელ დირექტორს ბატონ ალექსანდრე გელაშვილს

ბატონო ალექსანდრე,
უპირველეს ყოვლისა, მინდა უღრმესი მადლობა გადაგიხადოთ თქვენი ორგანიზაციის მიერ საქართველოში ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის საქმეში შეტანილი წვლილისათვის და იმ ცვლილებებისათვის, რომელიც თქვენი

ორგანიზაციის ძალისხმევის შედეგად განხორციელდა ახალგაზრდულ საკითხებთან დაკავშირებით. აღნიშნული წერილით გვსურს ინფორმაცია მოგაწოდოთ ჩვენს ინიციატივაზე, რომლის მხარდაჭერასაც, ვფიქრობ, საინტერესოდ ჩათვლით.

გაცნობებთ, რომ ჩვენი ორგანიზაცია "ახალგაზრდული კლუბი" 2008 წლიდან აქტიურად არის ჩართული ახალგაზრდების დასაქმების პრობლემების მოგვარების საკითხში. კერძოდ, ჩვენ ვემსახურებით 1200-მდე ახალგაზრდას საქართველოში შემდეგი ღონისძიებების განხორციელების გზით:

- ახალგაზრდებისთვის სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების ორგანიზება;
- ახალგაზრდებისთვის პროფესიული განვითარების და სასიცოცხლო უნარების პროგრამების განხორციელება;
- ახალგაზრდების და ბიზნეს ორგანიზაციების დაკავშირება;
- ახალგაზრდებისთვის ბიზნეს ინკუბატორების შექმნა.

ორგანიზაცია "ახალგაზრდული კლუბი" მუშაობს საქართველოს ექვს რეგიონში და ჩვენი პროექტების ძირითადი ბენეფიციარები არიან იძულებით ადგილნაცვალი, ლტოლვილი, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი და სოციალურად ყველაზე დაუცველი ახალგაზრდები, რომელთათვისაც მათი პროფესიული განვითარებისა და ინიციატივების წახალისების გზით, ვქმნით მათი საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის ხელსაყრელ გარემოს. ამ მიმართულებით ორგანიზაციას განხორციელებული აქვს 30-ზე მეტი პროექტი.

2010 წელს მიღებულ იქნა დევნილი ახალგაზრდების ინტეგრაციის სტრატეგია, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა დევნილი ახალგაზრდებისთვის ბიზნეს ინკუბატორების შექმნა. შესაბამისად, ჩვენმა ორგანიზაციამ დაიწყო ზუგდიდის რაიონში ბიზნეს ინკუბატორის შექმნა, რომელსაც ვახორციელებთ სპორტისა და კულტურის სამინისტროს, ფონდ "ღია საზოგადოება საქართველოს" და საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმირებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური დახმარებით. მთლიანად პროექტის ღირებულებაა 200 000 ლარი და პროექტის ძირითადი კომპონენტები 150 000 ლარის ოდენობით დაფინანსებულია ზემოთჩამოთვლილი ორგანიზაციების მიერ.

თქვენი ორგანიზაციის მთავარი პრიორიტეტი გახლავთ ახალგაზრდული ინიაციატივების მხარდაჭერა. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ჩვენი პროექტის ერთ-ერთი კომპონენტი, რომელიც გულისხმობს ბიზნეს-ინკუბატორის ფარგლებში შერჩეული პროექტების და ახალგაზრდებისთვის ბიზნესის მართვის, კომუნიკაციის, საზოგადოებასთან ურთიერთობის, მარკეტინგის და ბუღალტერიის მიმართულებით პროფესიული განვითარების პროგრამების განხორციელებას შეესაბამება თქვენი ორგანიზაციის პრიორიტეტებს. აღნიშნული პროფესიული განვითარების პროგრამების ბიუჯეტი შეადგენს 50 000 ლარს, რომლის 50% დაფინანსება ხდება ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან და ჩვენი ორგანიზაციის თანადაფინანსებით. შესაბამისად, გვსურს, თქვენს ფონდში შემოვიტანოთ საპროექტო განაცხადი პროექტის დარჩენილი 20 000 ლარის დასაფინანსებლად.

დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ პროექტის "ზუგდიდის რაიონის ბიზნეს ინკუბატორების" ხელმძღვანელს ქალბატონ დალი მაღლაკელიძეს ტელეფონზე: 2-31-20-37 ან ელექტრონულ ფოსტაზე: dmaglakelidze@youthclub.ge <mail-to:dmaglakelidze@youthclub.ge>. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მინდა მოგახსენოთ თქვენი საქმიანობის გამო ახალგაზრდობის ინტეგრაციის მიმართულებით და მადლობა წინასწარ ჩვენი შეთავაზების განხილვისთვის.

პატივისცემით,
ლევან გეგეშიძე
ახალგაზრდული კლუბის თავმჯდომარე

5. ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე დონორი ორგანიზაციები

სამოქალაქო საზოგადოებისა და, განსაკუთრებით, ახალგაზრდების სამოქალაქო აქტიურობის ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ინფორმაციის უქონლობა. ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა დონორი ორგანიზაციისა და მათი საქმიანობის შესახებ ინფორმირებული არ არის საზოგადოების ფართო წრე. შესაბამისად, აღნიშნულ დონორებთან ურთიერთობებს აწარმოებენ მხოლოდ ის ორგანიზაციები, ვისთვისაც მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია. ქვემოთ გთავაზობთ ცხრილებს, რომლებიც დაგეხმარებათ დაფინანსების შესაძლო წყაროების მოძიებაში საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. პირველ ცხრილში წარმოდგენილია იმ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფონდების ნუსხა, რომლებიც საქმიანობენ საქართველოში. მეორე ცხრილში კი წარმოდგენილია ინფორმაცია საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც ახალგაზრდულ საკითხებზე მუშაობენ და ამ მიმართულებით ახორციელებენ პროგრამებს:

N	დასახელება	საქმიანობა	ვებ-გვერდები / საკონტაქტო ინფორმაცია
1	ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი	გრანტის გამცემი ორგანიზაცია საქართველოში. ძირითადი მიზანია დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა.	www.epfound.ge
2	,,ღია საზოგადოება – საქართველო	წარმოადგენს ადგილობრივ სოროსის ფონდს. ფონდის მიზანია სახელმწიფოში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრების ხელშეწყობა.	http://www.osgf.ge/
3	ფორდის ფონდი Ford foundation	ფონდის მიზანია სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისა და არასამთავრობო სექტორის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.	http://www.fordfound.org/
4	მსოფლიო ბანკი WB	ეხმარება გაეროს წევრ სახელმწიფოებს საფინანსო პოლიტიკის სწორად წარმართვაში, აფინანსებს აღნიშნულ ქვეყნებში სხვადასხვა სამთავრობო პროგრამებს, კერძოდ: სოციალურ, მუნიციპალურ, ეკოლოგიურ, უსაფრთხოების, განათლების სისტემის, ენერგო და ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ახალგაზრდულ პროექტებს.	www.worldbank.org www.worldbank.org.ge
5	გერმანიის მეცნიერებათა	გერმანიის მეცნიერებათა აკადემიის გაცვლითი პროგრამა ხელს უწყობს მათ,	http://www.daad.de/

	აკადემიის გაცვლითი პროგრამა DAAD	ვისაც უნდა სწავლის მიღება, კვალიფიკაციის ამაღლება და მეცნიერული კვლევების ჩატარება გერმანიაში.	
6	ადენაუერის ფონდი Konrad Adenaoure Shtiftung	დემოკრატიული პრინციპების ხელშეწყობა. ამჟამად ფონდის საქართველოს განყოფილების პრიორიტეტია მასმედიის განვითარება და უმაღლესი განათლების რეფორმა.	http://www.kas.de/
7	ებერტის ფონდი Friedrich Ebert Shtiftung	ფონდის ამოცანაა სახელმწიფოში დემოკრატიული პრინციპების დამყარება და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება.	http://www.fes.de/
8	ჰაინრიხ ბიოლის ფონდი	ფონდი ხელს უწყობს საჯარო დისკუსიების კულტურის ამაღლებას, ცალკეული პირებისა და ორგანიზაციების თანამშრომლობას, ამიერკავკასიის რეგიონის ჩათვლით; დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას, ეთნოპოლიტიკური და ტერიტორიული კონფლიქტების სამართლიან და არაძალადობრივ ტრანსფორმაციას.	http://www.boell.ge/
9	აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო USAID	აშშ საელჩოს პროგრამა, რომელიც ხელს უწყობს დემოკრატიული ცვლილებების დამკვიდრებას საქართველოში, აფინანსებს სხვადასხვა პროგრამას ეკონომიკის, სამართლის, ჟურნალისტიკის დარგებში. საქართველოში USAID –ის წარმომადგენლობა ახორციელებს სხვადასხვა სახის აკადემიური და პროფესიული განათლების გაცვლით პროგრამებს. მათ შორის პროგრამებს მასწავლებლებისათვის და ლექტორებისთვის.	http://www.usaid.org.g/
10	ბრიტანული საბჭო British Council	საქართველოში მუშაობს ფონდის განყოფილება, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს დიდ ბრიტანეთსა და სხვა ქვეყნებს შორის კონტაქტების დამყარებას. აქვს გაცვლითი პროგრამები.	http://www.britishcouncil.org/ge
11	საერთაშორისო კვლევებისა და გაცვლითი პროგრამების საბჭო (IREX)	ფონდის მუშაობა ფოკუსირებულია სტუდენტებისა და მკვლევრების გაცვლით პროგრამებზე აშშ-ში, დამოუკიდებელი მედიის, განათლების სფეროებში.	http://www.irex.ge/

12	The National Endowment for Democracy (NED)	ორგანიზაციის ძირითადი დანიშნულებაა, თავისი წვლილი შეიტანოს სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიულ ცვლილებებში. ფონდი ასევე ხელს უწყობს საერთაშორისო კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზებას.	http:/www.ned.org/

წყარო: **კვლევების, ტექნოლოგიების და ინოვაციების ხელშემწყობი საერთაშორისო ცენტრი** http://www.icarti.ge/HTML/funds_ge.htm

ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციების ვებ-გვერდები:

	დასახელება	**საქმიანობა**	**ვებ-გვერდები**
1	გაეროს ახალგაზრდობის პროგრამა	ახალგაზრდობის მდგომარეობის გააზრება გლობალურად; ახალგაზრდობის ეროვნული პოლიტიკის შემუშავების ხელშეწყობა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით; ახალგაზრდების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის ხელშეწყობა.	www.un.org/esa/socdev/unyin/mandate.htm
2	გაეროს ახალგაზრდობის ნდობის ფონდი	დამატებითი კვლევების დაფინანსება სრულყოფილი მოხსენებისთვის. ნდობის ფონდი უზრუნველყოფს აუთსორსინგს ან კვლევის საბოლოო სახეს.	
3	ცივილიზაციის ალიანსი (AoC)	აფინანსებს პროექტებს, რომლებიც მოიცავს ინტერკულტურულ და ინტერ-რელიგიურ გაცვლით პროგრამებს, ახალგაზრდა ლიდერების ტრენინგებს.	www.unaoc.org
4	ცივილიზაციის ალიანსის ახალგაზრდული სოლიდარობის ფონდი	ხელს უწყობს კავშირების გაღრმავებას სხვადასხვა კულტურისა და რელიგიური ბექგრაუნდის ახალგაზრდებს შორის.	www.unaoc.org/content/view/93/128/lang,english/
5	ახალგაზრდები; გაეროს დასახლების პროგრამა (UN-HABITAT)	ფონდის მიზანია, უზრუნველყოს ახალგაზრდების ჩართულობა მომავალში ადამიანებისთვის შესაბამისი საცხოვრებელი პირობების შექმნის პროცესში. ფონდი ემსახურება ახალგაზრდებში არსებული პოტენციალის სრულ ათვისებას, მათ წინსვლას მათთვის	www.unhabitat.org/content.asp?typeid=19&catid=531&cid=4421

		ცოდნის გაღრმავების, სხვადასხვა რესურსისა და ტრენინგების საშუალებით, რათა ისინი მომავალში ჩართულნი იყვნენ მსოფლიოს მოსახლეობისთვის შესაბამისი საცხოვრებელი პირობების შექმნის პროცესში.	
6	(UN-HABITAT): შესაძლებლობების ფონდი ახალგაზრდა ლიდერების განვითარების-თვის	მთავრობის აქტიური საქმიანობის ხელშეწყობა, სამოქალაქო ორგანიზაციებისა და კერძო სექტორების მჭიდრო თანამშრომლობა ახალგაზრდებთან. ახალი იდეების განხორციელების წახალისება დასაქმების, ეფექტირი მართვის, ადეკვატური საცხოვრებელი პირობების შექმნის პროცესში და მიღებული შედეგების გაზიარება ახალგაზრდებს შორის. პროფესიული ტრენინგები და საკრედიტო მექანიზმის განვითარება, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების დასაქმებას კერძო სექტორისა და გაეროს სხვადასხვა ორგანოს თანამშრომლობის საფუძველზე.	www.unhabitat.org/content.asp?typeid=19&catid=531&cid=6329
7	გაერთიანებული ერების საგანმანათ-ლებლო, სამეცნიერო და კულტურული ორგანიზაცია (UNESCO)	ახალგაზრდების აქტიური ჩართულობა განათლების, მეცნიერების, კულტურის და კომუნიკაციის განვითარებაში. იუნესკოს მიზანია, უზრუნველყოს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ახალგაზრდულ და სხვადასხვა ფორუმთან ახალგაზრდების აქტიური თანამშრომლობა. 1999 წლიდან აქტიურად ხდება მცირე გრანტების გაცემა ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის პროექტებზე, რომლებიც შეეხება შიდსსა (AIDS) და ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსს (HIV)	www.unesco.org/en/youth
8	გაერთიანებული ერების ბავშვთა ფონდი (UNICEF)	იუნისეფი ფლობს გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მანდატს, დაიცვას ბავშვთა უფლებები და დაამკვიდროს ბავშვებისადმი მოქცევის საერთაშორისო სტანდარტი. იუნისეფი ოფიციალურად მუშაობს 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდებთან,	www.unicef.org

		თუმცა ეს არ გამორიცხავს მის თანამშრომლობას ასაკოვან ადამიანებთანაც. მუშაობს რამდენიმე ფართომასშტაბიანი პროგრამა, რომლებიც ემსახურება ახალგაზრდების განვითარებასა და აქტიურ მონაწილეობას განვითარების პროცესებში.	
9	ჯუნიორების 8 სამიტი (J8)	ყოველწლიურად იუნისეფი ორგანიზებას უწევს J8. ახალგაზრდები იღებენ მონაწილეობას სემინარებში, მრგვალი მაგიდის ფორმატით გამართულ დისკუსიებში ისეთი პრიორიტეტული საკითხების გარშემო, როგორიცაა განათლება, შიდსი, ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი, კლიმატური ცვლილებები, აფრიკის განვითარება, ტოლერანტობა და ჯანდაცვა.	www.j8summit.com
10	ახალგაზრდული ხმა (VoY)	ორგანიზაციის საქმიანობა ძირითადად მოიცავს განათლებისა და სხვადასხვა საზოგადოებრივ საკითხებს. ახალგაზრდები აქტიურად არიან ჩართულნი დისკუსიებში ბავშვთა უფლებებზე და განვითარების სხვადასხვა საკითხზე. ახალგაზრდული ფორუმების, ინტერნეტსაუბრების, ინტენსიური დისკუსიების საშუალებით, ათასობით ახალგაზრდა 180-ზე მეტი ქვეყნიდან ჩართულია შიდსის, ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის და მსოლიო ახალგაზრდული სამოქმედო პროგრამების სხვადასხვა თემის განხილვაში.	www.unicef.org/voy
11	გაერთიანებული ერების მოსახლეობის ფონდი (UNFPA)	იცავს ახალგაზრდების უფლებებს, ხელს უწყობს აზრის გამოხატვის თავისუფლებას, განსხვავებული აზრის პატივისცემას, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს ძალადობისა და დისკრიმინაციის პრევენციას. ხელს უწყობს ახალგაზრდების კავშირების გაღრმავებას მომავალი დასაქმებისა და წარმატებისათვის.	www.unfpa.org/adolescents/index.htm
12	UNFPA-ს	განვითარებადი ქვეყნებიდან 20-24	www.unfpa.org/adolesce

	სპეციალური ახალგაზრდული პროგრამა.	წლამდე ახალგაზრდებისთვის ახორციელებს სპეციალურ პროგრამებს, რომლის ფარგლებშიც გასცემს მათთვის სტიპენდიებს. პრიორიტეტული მიმართულებებია რეპროდუქციული ჯანმრთელობა და გენდერული საკითხები.	nts/participation.htm
13	ახალგაზრდული კოლეგიის განათლების ქსელი (Y-PEER)	მუშაობს 600-ზე მეტ არაკომერციულ ორგანიზაციასთან, სკოლასთან, სამთავრობო ინსტიტუტთან, რომელიც აერთიანებს 7,300 ახალგაზრდას 40 ქვეყნიდან და ძირათადი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მოზარდთა სუქსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა. ორგანიზაცია ეწევა აქტიურ საგანმანათლებლო და საინფორმაციო საქმიანობას ტრენინგებისა და სხვადასხვა სემინარების საშუალებით ახალგაზრდებისთვის.	www.unpa.org/adolescents/participation.htm www.youthpeer.org/web/guest/home
14	მსოფლიო ბანკის ჯგუფი (WBG)	ბავშვებს და ახალგაზრდებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ მსოფლიო ბანკის საქმიანობაში. 2002 წლიდან ადამიანური განვითარების ქსელის ფარგლებში შეიქმნა გუნდი - ბავშვები და ახალგაზრდები (C&Y), რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლობისა და პარტნიორობის ეფექტურ განვითარებას.	http://go.worldbank.org/Z12D7RZVZO
15	სამოქალაქო საზოგადოების ფონდი (CSF)	მუშაობს ძირითადად მცირე გრანტებზე, რომლებიც ემსახურება ახალი იდეების განვითარებას კერძო და საჯარო სექტორების ეფექტურად მუშაობის ხელშესაწყობად.	http://go.worldbank.org/U7ZGIQEZ10 http://go.worldbank.org/GU6VZREZ40
16	გლობალური (საჯარო ან კერძო) პარტნიორობა ახალგაზრდული ინიციატებისთვის	აქვს ფორმალური და ხანგრძლივი ურთიერთობები პარტნიორ ორგანიზაციებთან, რომელთან ერთად იზიარებს საერთო მისიის პრინციპებს. – გააუმჯობესოს ახალგაზრდების ცხოვრება მათი ეკონომიკური წინსვლისა და სოციალური ინკლუზიის (ჩართულობის) მეშვეობით. ფლობს მანდატს, გამოიყენოს მსოფლიო ბანკის ადამიანური,	http://go.worldbank.org/NVHL1NT170 www.lac-developmentmarketplace.org

		ფინანსური და ტექნიკური რესურსები, მის რეპუტაციასთან ერთად საერთო მიზნის მისაღწევად.	
17	ახალგაზრდული საზოგადოება (Youth 2 Youth Community)	აკავშირებს ახალგაზრდებს მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებთან და ამ გზით ხელს უწყობენ მათ შორის პარტნიორობის და მომავალი წარმატებული საქმიანობის განვითარებას.	http://go.worldbank.org/HQB6GE24CO
18	ახალგაზრდული ხმა: ახალგაზრდების საკონსულტაციო ჯგუფი სამოქალაქო დონეზე	საქმიანობის მთავარი სამიზნე ჯგუფია ახალგაზრდები, რომლებიც მსოფლიო ბანკის შეთავაზებით ახორციელებენ ინოვაციურ იდეებს სხვადასხვა პროექტის ფარგლებში, მცირე გრანტების მეშვეობით.	http://go.worldbank.org/3100EZ9FI0
19	პოსტკომფლიქტური ფონდი (PCF) და დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნები ფონდის მფარველობის ქვეშ. (LICUS)	პოსტკონფლიქტური ფონდი ხელს უწყობს დაგეგმვას, პილოტირებასა და ანალიზს ინოვაციური იდეების რეალიზებაში, რომელიც ფინანსდება მთავრობისა და პარტნიორი ორგანიზაციების მიერ სხვადასხვა პრიორიტეტულ სფეროში. ფონდი ეხმარება კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქვეყნებს არსებული სირთულეების დაძლევაში, მდგრადი მშვიდობისა და მზარდი ეკონომიკის ჩამოყალიბებაში.	http://web.worldbank.org/WBSITE/EXTERNAL/TOP-ICS/EXTSOCIALDEVELOPMENT/EXTCPR/O,,contentMDK:20486203~menuPK:120916~pagePK:148956~piPK:216618~theSitePK:407740,00.html
20	მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, ბავშვთა დეპარტამენტი, მოზარდთა ჯანმრთელობა და განვითარება (CAH)	ფიზიკური და მენტალური (ფსიქიკური) ჯანმრთელობის განვითარება მოზარდებში, (2010 წლისთვის 25% შემცირდა მოზარდებში იმუნოდეფიციტის სინდრომის გამოვლინება ორგანიზაციის მუშაობის შედეგად). იმართება ტრენინგები, სემინარები, ხდება მონაცემთა შეგროვება და ანალიზი ინტენსიური მონიტორინგის შედეგად, რომელიც მიზნად ისახავს არსებული ხარვეზების გამოსწორებას მოზარდთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.	www.who.int/child_adolescent_health/en
21	ბრიტანეთის საბჭო	1934 წლიდან ემსახურება დიდი ბრიტანეთის შესახებ ინფორმაციისა და ცოდნის გავრცელებას, ხელს უწყობს ინგლისური ენის ცოდნის ამაღლებას მთელს მსოფლიოში, აყალიბებს	www.britishcouncil.org/connectyouth

		მჭიდრო კულტურულ ურთიერთობებს ბრიტანეთის სამეფოსა და სხვადასხვა ქვეყნებს შორის. ახორციელებს რამდენიმე ფართომასშტაბიან პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდების აქტიური მოღვაწეობის ხელშეწყობას საერთაშორისო დონეზე, მათი საკუთარი პროექტების ან უშუალოდ საბჭოს მიერ შეთავაზებული ინიციატივების მეშვეობით.	
22	საერთაშორისო კლიმატის დაცვა	60-ზე მეტ ქვეყანაში ახალგაზრდებთან ერთად მუშაობს კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებულ საკითხებზე, ბრიტანეთის საელჩო უზრუნველყოფს პროექტში ჩართული ახალგაზრდებისთვის ტრენინგებს ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისთვის. მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას ახალგაზრდები იყენებენ საკუთარ ქვეყნებში წარმატებული საქმიანობისთვის.	www.britishcouncil.de/icc/index.htm
23	საერთაშორისო გაცვლითი პროგრამა	ბრიტანეთის საბჭო, საერთაშოროსო გაცვლითი პროგრამის თანადაფინანსებით, როგორც საერთაშორისო, ისე ბრიტანეთიდან 18-დან 25 წლამდე ახალგაზრდა მოხალისეებს აგზავნის სხვადასხვა პროექტის ფარგლებში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.	www.globalxchange.org.uk
24	International Inspiration	9 მილიონიანი საინვესტიციო პროგრამა, რომელიც ძირითადად მუშაობს სპორტული პროექტების მხარდასაჭერად ხუთ განვითარებად ქვეყანაში. საპილოტე ქვეყნებში პროექტი ემსახურება ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების ორგანიზებას სკოლებში და ადამიანურ და სოციალურ განვითარებას სპორტის მეშვეობით.	www.britishcouncil.org/sport-international-inspiration-home.htm
25	უნარების განვითარება დასაქმებისთვის	ბრიტანეთის საბჭოს პროგრამა, რომელიც ემსახურება საერთაშორისო ეკონომიკური განვითარების პირობებში, კონკურენტუნარიანი ახალგაზრდების აღზრდას თანამედროვე გამოწვევების	www.britishcouncil.org/nepal-programmes-skills-for-employability.htm

		შესაბამისად. პროგრამა ემსახურება მტკიცე ურთიერთობების ჩამოყალიბებას მრეწველობასა და დამსაქმებელს, მთავრობასა და ტრენინგ პროვაიდერებს შორის, პროგრამა ძირითადად მუშაობს მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში დაუსაქმებელ ახალგაზრდებთან 4 მთავარი მიმართულებით: პოლიტიკური დიალოგი, პროფესიული კავშირები, ინსტიტუციური ურთიერთობები, ინფორმირება საწარმოო და ტექნოლოგიური მიმართულებით.	
26	თანამეგობრობა	1949 წლიდან 53 დამოუკიდებელი სახელმწიფოა გაერთიანებული, რომელიც ემსახურება ამ ქვეყნების ხალხის საერთო ინტერესებს, მთავრობებსა და სახელმწიფოებს შორის მტკიცე და საქმიან ურთიერთობებს. ორგანიზაციის ინვესტიციების დიდი ნაწილი ხმარდება ახალგაზრდებს.	www.thecommonwealth.org
27	თანამეგობრობის ახალგაზრდული პროგრამა (CYP)	24 წლამდე ახალგაზრდებს ეხმარება, ჩამოყალიბდნენ აქტიურ მოქალაქეებად და მოხდეს მათი ჩართულობა ქვეყნის განვითარების პროცესში. პროგრამა მუშაობს სამი მთავარი მიმართულებით: ახალგაზრდების ინიციატივის ხელშეწყობა და სიცოცხლისუნარიანობა; ხელმძღვანელობა, განვითარება, ახალგაზრდული ქსელი, ახალგაზრდების განათლება და სწავლება.	www.thecommonwealth.org/subhomepage/152816
28	ფრანკოფონიის საერთაშორისო ორგანიზაცია	ახალგაზრდული პროგრამა, რომელიც ემსახურება ახალგაზრდების აქტიურ, პასუხისმგებლიან მოქალაქეებად ჩამოყალიბებას. ძირითადად მუშაობს 30 წლამდე ახალგაზრდებთან. ორგანიზაციის საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს ფრანგულად მოსაუბრე ახალგაზრდების შეკრება სოციალური და პოლიტიკური საკითხების განსახილველად, ასევე ფრანგულენოვანი ახალგაზრდების	

		სხვადასხვა პროგრამაში ჩართვა მოხალისეებად.	
29	ASHOKA	მუშაობს რამდენიმე ძირითადი მიმართულებით: გარემო, ჯანმრთელობა, სწავლა, ადამიანის უფლებები, სამოქალაქო ჩართულობა და ეკონომიკური განვითარება.	www.ashoka.org
30	გლობალური ახალგაზრდული კოალიცია ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის (HIV) და შიდსის საკითხებზე (GYCA)	მცირე გრანტებით ეხმარება ახალგაზრდა ლიდერებს, რომლებიც ახორციელებენ ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსთან და შიდსთან დაკავშირებულ პროექტებს, ამერიკელი ებრაელების მსოფლიო სერვისის მხარდაჭერით.	www.youthaidscoalition.org/page/smallgrants
31	საერთაშორისო ახალგაზრდული ფონდი	მუშაობს 70-ზე მეტ ქვეყანაში, ახალგაზრდების მდგომარეობის და პერსპექტივების გასაუმჯობესებლად 4 ძირითადი მიმართულებით: ხარისხიანი განათლების თანაბარი შესაძლებლობების შექმნა; კონკურენტუნარიანი ახალგაზრდების ჩამოყალიბება დასაქმების თვალსაზრისით; ლიდერობა და ჩართულობა; ჯანმრთელი ცხოვრებისთვის შესაბამისი ცოდნისა და უნარების განვითარება.	www.iyfnet.org/section.cfm/5
32	W.K.KELLOGG FOUNDATION	1930 წლიდან ახორციელებს ახალგაზრდულ და საგანმანათლებლო საგრანტო პროგრამებს, რომლებიც ემსახურება სწავლის გაუმჯობესებას დაუცველ ბავშვებსა და ახალგაზრდებში.	www.wkkf.org/Default.aspx?LahguageID=0
33	ვესტმისტერის ფონდი დემოკრატიის-თვის. (WFD)	მისი მიზანია, ხელი შეუწყოს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას. ორგანიზაციის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს ახალგაზრდების ჩართვა სამოქალაქო საზოგადოების, თავისუფალი მედიისა და პროფესიული კავშირების განვითარებაში.	www.wfd.org/pages/standard.aspx?i_PagelD=144
34	ჩარლ სტუარტ	ფონდი ემსახურება სამოქალაქო	www.mott.org

	მოტის ფონდი (Charles Stewart Mott Foundation - CSM)	საზოგადოების განვითარებას - დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბების, საზოგადოების გაძლიერების, სამართლიანობის ხელშეწყობის, ადამიანის უფლებებისა და მრავალფეროვნების პატივისცემის გზით. საქმიანობის მთავარი სფეროა თანაბარუფლებიანი, მრავალფეროვანი, სამართლიანი, მიუკერძოებელი, კონკურენტუნარიანი საზოგადოების ფორმირება. სიღარიბის დაძლევის გზების ძიება დაბალშემოსავლიანი ხალხისა და საზოგადოების დასახმარებლად.	
35	ფორდ ფონდი (Ford Foundation)	ფონდის საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს გარემოსა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, ადამიანის უფლებების დაცვა, განათლება, მხატვრობაა, კულტურა, მედია და ჯანდაცვა	www.fordfound.org
36	მეფე ბაუდოუნის ფონდი (King Baudouin Foundation)	განსხვავებული და ახალი იდეების მხარდაჭერა დემოკრატიისა და მრავალფეროვნების განვითარებისათვის, ფონდის საქმიანობის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს. ფონდი ძირითადად მუშაობს ემიგრანტი და მულტიკულტურული საზოგადოების მხარდაჭერის, სიღარიბის დაძლევის და სოციალური თანასწორობის მხარდასაჭერად. ფონდი ხელს უწყობს ემიგრანტი ახალგაზრდების სოციალურ ჩართულობას ცხოვრების უნარების განვითარებისა და განათლების გზით.	www.kbs-frb.be/index.aspx?LangType=1033
37	Mama Cash Foundation	ფონდი ემსახურება რესურსების მოძიებას სხვადასხვა ინდივიდის ან ინსტიტუტისგან გრანტების მოზიდვას ქალებისა და გოგონებისთვის. ქალებსა და გოგონებს ეხმარება პარტნიორების მოძიებასა და წარმატებულ თანამშრომლობაში. ფონდის საქმიანობის ძირითადი სფეროა უსაფრთხოების, თანასწორუფლებიანობის მხარდაჭერა	www.mamacash.org

		ქალებთან და ახალგაზრდა გოგონებთან აქტიური თანამშრომლობით.	
38	ჯონსონის ფონდი	საქმიანობის ძირითადი მიზანია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, ქალებისა და ბავშვების ჯანმრთელობა, მკურნალობის ხელმისაწვდომობა და ამ მიმართულებებით არსებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება.	www.efc.be/webready/JOHN001.html
39	Skoll Awards for Social Entrepreneurship	ორგანიზაციის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს ტოლერანტობა, ადამიანის უფლებები, ჯანდაცვა, ეკონომიკა, სოციალური კაპიტალი, მშვიდობა და უსაფრთხოება, ინსტიტუციური პასუხისმგებლობა, გარემო პირობების გაუმჯობესება. ფონდი აფინანსებს ორგანიზაციებს, რომლებსაც კონკრეტულ სფეროში არანაკლებ სამწლიანი გამოცდილება აქვთ.	www.skollfoundation.org/skollawards/index.asp
40	მსოფლიო ალიანსი მოქალაქეთა ჩართულობისთვის (CIVICUS)	საერთაშორისო ქსელი, რომლის საქმიანობა ძირითადად მოიცავს სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას და თითოეული მოქალაქის ჩართულობის ზრდას.	www.civicus.org
41	სპეციალური პროექტი მოხალისეობის ინსტიტუტის განვითარებისთვის (Special project on Volunteerism)	სამოქალაქო ჩართულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია მოხალისეობა. პროექტის მიზანია აღნიშნული მიმართულებით გარკვეული ღირებულებების ჩამოყალიბება და ახალი იდეების მხარდაჭერა მოხალისეობის სქემის ფორმირებისთვის.	www.civicus.org/special-project

6. პროექტის განზრახულობათა განაცხადი

განზრახულობათა განაცხადი არის პროექტის ნაწილი, სადაც უნდა იყოს აღწერილი "რა შეიცვლება თქვენი ძალისხმევის შედეგად". მიუხედავად იმისა, რომ პროექტის ყველა ნაწილი ძალიან მნიშვნელოვანია, განზრახულობათა განაცხადი არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, რადგან თუკი პროექტის მიზნები და ამოცანები არ არის ნათელი და მკაფიო და არ შეესაბამება

დონორი ორგანიზაციის ინტერესებს, მისი დაფინანსების შესაძლებლობა მინიმალურია (ჰოლი და ჰოულეტი, 2003). მიზნებისა და ამოცანების ნაწილის ერთ-ერთი მთავარი შეცდომა, რომელიც ხშირად გამოცდილ პროექტების შემდგენლებსაც მოსდით, არის მიუღწეველი ამოცანების დასახვა. ანუ ხშირად აპლიკანტი ორგანიზაცია ისეთ ამოცანებს აყალიბებს, რომ პროექტის ფარგლებში წარმოდგენილ დროსა და თანხაში, აგრეთვე არსებული საკადრო რესურსით ამ ამოცანების დაძლევა პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ მნიშვნელოვანია რეალიზებადი ამოცანების დასახვა და არა მიუღწეველი ამოცანების გაწერა.

განზრახულობათა განაცხადის სხვადასხვა ტიპი არსებობს. ყველაზე ფართოდ გავრცელებული განზრახულობათა ტიპი მოიცავს პროექტის მიზნებს, ამოცანებს და მოსალოდნელ შედეგებს.

მაგალითი: **მიზანი:** ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა. **ამოცანა:** 2011 წლის ბოლოსთვის 30 ახალგაზრდის დასაქმების უზრუნველყოფა პროექტის ფარგლებში დაფუძნებული დასაქმების ცენტრის საშუალებით მოსალოდნელი შედეგი: (ა) სხვადასხვა ორგანიზაციაში დასაქმებული დასაქმების ცენტრის კურსდამთავრებული, სულ მცირე, ოცდაათი ახალგაზრდა.

პროექტის მიზანი:

- მიზანი არის სამომავლო ხედვა, რომლის რეალიზებისკენ იქნება ძალისხმევა მიმართული. მიზანი გვაძლევს ამოსავალ წერტილს, რომლის მისაღწევად კონკრეტული ამოცანების დაგეგმვის დაწყებაა შესაძლებელი;
- მიზანი არის ზოგადი და ფართო მნიშვნელობის, არაგაზომვადი, მაგრამ მიღწევადი;
- მიზანიში არაა გაწერილი კონკრეტულ დრო, იგი მოიცავს შორსმჭვრეტელურ იდეებს;
- პროექტებს აქვთ მხოლოდ ერთი მიზანი, ძალიან იშვიათად – მაქსიმუმ ორი მიზანი;
- მნიშვნელოვანია, რომ ჯერ განსაზღვრო ზოგადი მიზანი და შემდეგ მოიფიქრო ამ მიზნის მისაღწევი ამოცანები, მიზნის ფორმულირებისას გამოიყენება ისეთი ფრაზები, როგორიცაა: უზრუნველყოფა, ხელშეწყობა, წახალისება, დაფუძნება, განვითარება, აღმოფხვრა და ა.შ.

მიზნის ფორმულირების მაგალითები:

- უზრუნველყოს თემში წიგნიერი მოსახლეობის რაოდენობის ზრდა;
- ხელი შეუწყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ხარისხიანი განათლების მიღებას;
- ხელი შეუწყოს სკოლამდელი ასაკის ბავშვების კოგნიტურ განვითარებას.

პროექტის ამოცანები:

ნაბიჯები, რომლებიც უნდა გადაიდგას მიზნის მისაღწევად:

- რით განსხვავდება მიზანი ამოცანებისგან;
- თუ ამოცანა არის უფრო ზუსტი და სპეციფიკური, რა უნდა იქნეს მიღწეული;
- ასახავს პატარა ნაბიჯებს, რაც მიგვიყვანს მიზნის მიღწევამდე;
- იწერება გაზომვადი ფორმულირებებით;
- ხაზს უსვამს იმ ცვლილებებს, რასაც განიცდის მიზნობრივი ჯგუფი პროექტის განხორციელების შედეგად.

მიზნისა და შესაბამისი ამოცანების მაგალითები:

- *მიზანი*: უზრუნველყოს თემში წიგნიერი მოსახლეობის რაოდენობის ზრდა.
  შესაბამისი ამოცანა: 2011 წლის ბოლოსთვის ბორითის თემში მცხოვრები ზრდასრული მოსახლეობის 50%-სთვის წერა-კითხვის კურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- *მიზანი:* ხელი შეუწყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ხარისხიანი განათლების მიღებას.
  შესაბამისი ამოცანა: 2011 წლის ბოლოსთვის საბავშვო ბაღის დაარსება, რომელიც მოემსახურება ბორითის თემის 100 სკოლამდელი დაწესებულების მოსწავლეს, აღჭურვილი სათანადო სასწავლო მასალებით და სპეციალურად მომზადებული 10 პედაგოგით.

ამოცანები უნდა გამოხატავდეს ცვლილებებს სხვადასხვა მიმართულებით, ჰოლი და ჰოვლეტი (2003) გამოყოფენ პროექტის ამოცანებში განსაზღვრულ 4 ტიპის ცვლილებებს: (ა) ცვლილებები ქმედებაში; (ბ) ცვლილებები ცოდნაში; (გ) პროცესის ცვლილება; (დ) ცვლილება ახალი პროდუქტის/პროდუქტების შექმნის თვალსაზრისით.

ქმედების ცვლილების ფორმულირებისას ამოცანაში ნათლად უნდა ჩამოყალიბდეს, ვინ შეიცვლის ქმედებას, რა ტიპის ქმედებაა, რა გარემოებებში და პირობებში მოხდება ქმედების ცვლილება, როდის დადგება ცვლილებები ქმედებაში და როგორ შეიძლება გაზომვა, რომ ქმედებებში ცვლილება ნამდვილად მოხდა. მაგალითად: ტრენინგის დამთავრების შემდეგ 100 მასწავლებლიდან 70-მა შეძლოს ტესტების გამოყენება, რათა გააკონტროლოს და გაზომოს საკუთარი მოსწავლეების ენობრივი კომპეტენციების – კითხვის უნარების განვითარება.

ცვლილებები ცოდნაში. ფორმულირებისას ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რა პერიოდში რა ტიპის ცოდნის შეძენა მოხდება მიზნობრივი ჯგუფის მიერ. მაგალითად, 3-თვიანი მოსამზადებელი კურსების შემდეგ ტრენინგში მონაწილე ყველა აბიტურიენტმა უნდა შეძლოს ქართული ენის მისაღებ გამოცდებზე მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა.

პროცესის ცვლილება: პროცესის შექმნა ან პროცესის შეცვლა აგრეთვე მნიშვნელოვანი ამოცანაა. ამ შემთხვევაში ხაზგასმით უნდა იყოს აღნიშნული, რა შეიცვლება ან რა ახალი პროცესი დადგება პროექტის შედეგად და, აგრეთვე, რა მეთოდებით მოხდება ამ ახალი პროცესის შეფასება. მაგალითად, პროექტის ფარგლებში ორი ტრენინგ პროგრამის შემუშავება ახალგაზრდებისთვის, რომლის გამოყენების შემდეგ ტრენინგის შემდგომი ინტერვიუებით უფრო ეფექტური პროგრამის დადგენა.

პროდუქტის შექმნა: ამ შემთხვევაში პროექტის ამოცანად განისაზღვრება გარკვეული ხელშესახები პროდუქტის შექმნა, ამოცანის ფორმულირებამ უნდა აღწეროს, ვინ შექმნის პროდუქტს, რა ტიპის პროდუქტი იქნება, ვისთვის იქნება განკუთვნილი პროდუქტი, როდისთვის იქნება პროდუქტი ხელმისაწვდომი და როგორ გაიზომება მიღებული პროდუქტის ხარისხი. მაგალითად, ექვსი თვის შემდეგ პროექტში ჩართული ექსპერტების მიერ მართლწერის კომპიუტერული პროგრამის შექმნა, რომელიც იქნება ოპერატიულ სისტემა ვინდოუსთან ინტეგრირებული და რომელიც დაეხმარება კომპიუტერის ნებისმიერ მომხმარებელს ქართულის ენის მართლწერაში.

მოსალოდნელი შედეგები

მოსალოდნელი შედეგი განზრახულობათა განაცხადის ასევე უმნიშვნელოვანესი ელემენტია. მოსალოდნელი შედეგის ჩამოყალიბება და კონკრეტული შედეგის ფორმულირება პროექტების ფარგლებში აქტუალური გახდა მეოცე საუკუნის 90-იანი წლების შუალედიდან, როცა გრანტის გამცემმა ორგანიზაციებმა დაინახეს, რომ ხშირად მათ მიერ გაწეული ფინანსური დახმარების მიუხედავად, კონკრეტული სახის ცვლილებები არ განხორციელდა. შესაბამისად, აქტიურად დაიწყეს მოთხოვნა, რომ გრანტის მთხოვნელებს ჩამოეყალიბებინათ კონკრეტული მოსალოდნელი შედეგი, რაც დადგებოდა მათ მიერ განხორციელებული აქტივობების შემდეგ.

შედეგის ფორმულირების 3 ტიპი გვხვდება; ჯეინ რესიმანი და იუდიტ კლეგი თავის სახელმძღვანელოში “Outcomes for Success”, რომელიც ყველაზე ფართოდ გამოყენებული სახელმძღვანელოა

შედეგების შეფასების თვალსაზრისით (ნანახია ჰოლისა და ჰოვლეტის სახელმძღვანელოში, გვ 83, 2003), გამოყოფენ შედეგის ფორმულირების 3 ტიპს:

ა) შედეგის ცვლილების ფორმულირება - რაც გულისხმობს ქმედების, ცოდნის და დამოკიდებულებების ცვლილებას, შემცირებას, კლებას ან შენარჩუნებას. (მაგალითად, თბილისის 305-ე სკოლის პირველი კლასის 40 მოსწავლის კითხვის უნარის გაზრდა 2010 წლისთვის);

ბ) სამიზნე შედეგის ფორმულირება - რაც გულისხმობს მიღწევების კონკრეტულ და სპეციფიკური დონის ფორმულირებას (მაგალითად, თბილისის 305-ე სკოლის პირველი კლასის მოსწავლეებში კითხვის უნარის 20%-ით გაზრდა;

გ) განსაზღვრულ ზღვარს ზევით შედეგის ფორმულირება - რაც გულისხმობს შედარებას სხვა დროსთან ან მდგომარეობასთან და ამ შედარების კონტექსტში მიღებულ შედეგს (მაგალითად, თბილისის 305-ე სკოლის პირველ კლასელებში კითხვის უნარის გაზრდა 2009 წელს ჩატარებულ ტესტთან შედარებით;

აღსანიშნავია, რომ ამ სამივე ტიპის შედეგის ერთ შედეგში ფორმულირება მისაღებია პროექტის წერისას.

კონკრეტული შედეგი/პროდუქტი (output)

დღესდღეობით დონორთა ნაწილი მკვეთრად მიჯნავს პროექტის შედეგებს (outcomes) და პროექტის კონკრეტულ შედეგებს/პროდუქტებს (output). აღნიშნული გამიჯვნა ხშირად პრობლემად იქცევა ხოლმე პროექტის დამწყები შემდგენლებისთვის, რადგან ამ ორი ტერმინის მკაფიო გამიჯვნა საკმაოდ რთულია და ხშირად არაერთგვაროვანი. ჰოლი და ჰოვლეტი (2003) ამ ორ ტერმინს შემდეგნაირად განასხვავებენ: "გრანტის გამცემთა ნაწილი ითხოვს შედეგების (outcomes) ფორმულირებას (ანუ შედეგების, რომელთა გაზომვაც შესაძლებელია), თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში გრანტის გამცემი ორგანიზაციები ითხოვენ კონკრეტულ შედეგს/პროდუქტს (outputs) ფორმულირებას (ანუ კონკრეტული შედეგი, რომლის დათვლაც არის შესაძლებელი). მაგალითად, თუ დონორი ორგანიზაცია ითხოვს აპლიკანტისგან დაკონკრეტებას, თუ რამდენი მონაწილე შეძლებს პროექტის განხორციელების შედეგად რაღაცის გაკეთებას, ესე იგი, ამ შემთხვევაში დონორი ითხოვს კონკრეტულ შედეგს (outputs), ხოლო თუ გრანტის გამცემი ორგანიზაცია ითხოვს პასუხს კითხვაზე, რამდენად კარგად შეძლებენ პროექტის მონაწილეები რაღაცის გაკეთებას, ამ შემთხვევაში ისინი გთხოვენ მოსალოდნელ შედეგს (outcomes)" (ჰოლი და ჰოვლეტი, 2003, გვ 84). ამასთანავე,

აღსანიშნავია, რომ შესაძლებელია შედეგის იმ კუთხით ფორმულირება, რომ იგი თავის თავში მოიცავდეს, როგორც ზოგადად შედეგს (outcomes), ასევე კონკრეტულ შედეგს/პროდუქტს (outputs).

შედეგი (outcomes): 2010-11 სასწავლო წლის ბოლოსთვის 305-ე სკოლის პირველი კლასის მოსწავლეებში 1 დონეზე განვითარებული კითხვის უნარ-ჩვევები კონკრეტული შედეგი/პროდუქტი (outputs): 2010-2011 წლის ბოლოსთვის 305-ე სკოლის პირველი კლასის 30 მოსწავლე გაივლის კითხვის პროგრამას; კონკრეტული შედეგი/პროდუქტი (outputs): 2010-2011 წლის ბოლოსთვის შემუშავებული კითხვის პროგრამა და ამ პროგრამის შესაბამისი 250 გვერდიანი სახელმძღვანელო მოსწავლეებისთვის.

ინდიკატორები, რომელთა ცვლილებებში შეიძლება გამოიხატოს პროგრესი პროექტის მიზნის მისაღწევად:

- ინდივიდუალური ქცევები;
- პროფესიული პრაქტიკა;
- მომსახურების ხელმისაწვდომობა;
- თემის დამოკიდებულებები;
- მომსახურებაში ჩართულობა;
- პოლიტიკის ან კანონის აღსრულება;
- მოხალისეობითი მონაწილეობა;
- ტესტირების შედეგები;
- გამოცდების შედეგები;
- პოლიტიკასთან შესაბამისობა;
- ფაქტების რაოდენობის ზრდა ან კლება.

7. ლოგიკური ჩარჩო

განზრახულობათა განაცხადის კვალდაკვალ, ალბათ მნიშვნელოვანია ლოგიკური ჩარჩოს/მოდელის საკითხის განხილვა. ლოგიკური მოდელი წარმოადგენს პროექტის ქვაკუთხედს და პროექტის საწყის ეტაპზე ლოგიკური მოდელის კარგად შემუშავება არის პროექტის ეფექტურად დაწერისა და დაგეგმვის მნიშვნელოვანი წინაპირობა.

რა არის ლოგიკური მოდელი? (1)

ლოგიკური მოდელი გვიქმნის სურათს, თუ რამდენად იმუშავებს შენი ძალისხმევა თუ ინიციატივა, ის ხსნის, არის თუ არა შენი სტრატეგია კარგი პრობლემის მოსაგვარებლად; ეფექტური ლოგიკური მოდელი იძლევა მკაფიო, ხშირად ვიზუალურადაც აღსაქმელ განაცხადს, თუ რა ცვლილებები და შედეგები მოჰყვება შენს აქტივობებს თემისა თუ ხალხისთვის; ლოგიკური მოდელის

არსებობის პირობებში ყველამ იცის რა მიმართულებით მოდიან, გამონახულია საერთო ენა და საერთო მისწრაფებები.

ლოგიკური მოდელი იძლევა საშუალებას, შემოწმდეს დასმული ჰიპოთეზა, რატომ იმუშავებს პროგრამა ეფექტურად, რატომ არის წარმოდგენილი სტრატეგიები ეფექტური პრობლემის მოსაგვარებლად. ლოგიკური მოდელი ძირითადად წარმოდგენილია დიაგრამების ან სხვა ვიზუალური საშუალებების სახით და ასახავს კავშირს კონტექსტურ ფაქტორებსა და პრობლემებს, პროგრამულ დანახარჯებს, პროექტის განხორციელების პროცესსა და მისაღებ შედეგს შორის. ლოგიკური მოდელის საშუალებით ნათელი ხდება, თუ რა იწვევს რას?

რატომ უნდა გამოვიყენოთ ლოგიკური მოდელი პროექტის წერისას?

ლოგიკური მოდელი ხელს გიწყობთ პროექტის მთლიანი ნაწილის აგებაში, პროექტი ეფუძნება ლოგიკურ მოდელს და პროექტი აგებულია ლოგიკურად. შიდა საჭიროებების კვლევით დაადგენთ თქვენს რესურსებს და განსაზღვრავთ, გჭირდებათ თუ არა პარტნიორი; სასურველი და მოსალოდნელი შედეგი ლოგიკურად დაგაწერინებთ მიზნებსა და ამოცანებს; დასახული მიზნები და ამოცანები მოგცემთ საფუძველს ლოგიკურად განსაზღვროთ რა მეთოდოლოგიით და სტრატეგიით მიაღწევთ დასახულ მიზანსა და ამოცანებს;

ლოგიკური მოდელის ეფექტურობა/ლოგიკური ჩარჩოს დადებითი და უარყოფითი მხარეები

ლოგიკური მოდელის შედგენა და ამ მოდელის შესაბამისად პროექტის დაგეგმვა ძალიან ეფექტურია, თუმცა ლოგიკური მოდელის შექმნას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები, ამასთანავე, არაეფექტური ლოგიკური მოდელის შექმნის პირობებში შესაძლებელია მთლიანად პროექტის დაწერისა და დაგეგმვის მიმართულება არასწორად წარიმართოს.

რატომ არის ლოგიკური მოდელი ეფექტური:

- ლოგიკურადაა დაკავშირებული აქტივობები და შედეგები;
- ვიზუალურად მთელი პროექტი არის ადვილად აღსაქმელი და შესაფასებელი;
- პროვოცირებას უკეთებს აზრების, შეკითხვების გაჩენას;
- აიძულებს სწორი სტრატეგიის შერჩევას სასურველი შედეგის მისაღწევად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლოგიკურ ჩარჩოს გააჩნია გარკვეული უპირატესობები, ისევე, როგორც გარკვეული ლიმიტები. შევეცდებით, მოკლედ განვიხილოთ; ლოგიკური მოდელის უპირატესობები და უარყოფითი მხარეები.

ლოგიკური ჩარჩოს პლუსები

- ლოგიკური მოდელის შედეგად ხდება პროექტის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების ინტეგრირება;
- ლოგიკური მოდელი თავს აღწევს შეუთავსებლობას აქტივობებსა და მოსალოდნელ შედეგს შორის;
- ლოგიკური მოდელი ხელს უწყობს შედეგზე აქცენტირებას ყველა (დონორის, განმახორციელებლის, ბენეფიციარის) მხრიდან;
- ლოგიკური მოდელი ხელს უწყობს პრიორიტეტების დალაგებას არსებული რესურსების პირობებში;
- ლოგიკური მოდელი აიძულებს საგრანტო წინადადების შემდგენელს მოახდინოს მონაცემთა მოძიება, რათა შედეგების გამოხატვა შესაძლებელი გახდეს გაზომვადი მონაცემებით.

ლოგიკური მოდელის ლიმიტები

- უპირველეს ყოვლისა, რაც არ უნდა ლოგიკური ჩანდეს მოდელი, მუდამ არის უზუსტობების გაპარვის საფრთხე;
- ზუსტი ზღვარის გავლება ლოგიკურ მოდელში არის საკმაოდ რთული გამოწვევა (ამოცანები, აქტივობები, შედეგები, ზეგავლენა), ხშირად ძალიან რთულია მათი გამიჯვნა და დაკავშირება;
- წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით ლოგიკური მოდელის შექმნა დიდი დროის დახარჯვას მოითხოვს, აგრეთვე დიდ ენერგიას საჭიროებს ინიციატივის საბოლოო შედეგამდე მიყვანა.

ლოგიკური მოდელის გამარტივებული მაგალითი

პროექტის მიზანი: პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს არაქართულენოვან სკოლებს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში და განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაწყებული მულტილინგვური და ინტერკულტურული განათლების რეფორმის პროცესში.

ამოცანები	ძირითადი აქტივობები	შედეგები
1. 2009 წლისთვის სასწავლო გეგმებში, სახელმძღვანელოებსა და შეფასების სისტემაში ინტერკულტურული ასპექტების ასახვა;	1.1.ინტერკულტურული სწავლების სახელმძღვანელო პრინციპების შექმნა სასწავლო გეგმებში და შეფასების სისტემაში; 1.2. ვორქშოფის ორგანიზება ინტერკულტურული ასპექტების სახელმძღვანელოებში ასახვისთვის.	1.1. სასწავლო გეგმებში ასახული ინტერკულტურული ასპექტები; 1.2. შეფასების სისტემაში ასახული ინტერკულტურული სენსიტიურობის განვითარების ბენეტის მოდელი; 1.3. საქართველოში არსებული მრავალფეროვნება და მულტიკულტურალიზმი ასახული ადეკვატურად და სწორად სახელმძღვანელოებში.
2. 2009 წლის ბოლოსთვის მასწავლებელთათვის ინტერკულტურული სწავლებისა და ბილინგვური განათლების მეთოდიკაში მეთოდოლოგიური მასალების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.	2.1.მასწავლებელთათვის ინტერკულტურული სწავლების პრაქტიკული სახელმძღვანელოს შექმნა; 2.2.კოლინ ბეიკერის სახელმძღვანელო „**Foundations of Bilingual Education and Bilingualism“** თარგმნა ქართულ ენაზე.	2.1. 250 გვერდიანი 1600 ეგზემპლარი ინტერკულტურული სწავლების პრაქტიკული სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის; 2.2. 492 გვერდიანი კოლინ ბეიკერის სახელმძღვანელო „**Foundations of Bilingual Education and Bilingualism”** ქართულ ენაზე დაბეჭდილი 795 ეგზემპლარად და განთავსებული ვებგვერდზე.
3. 2009 წლის ბოლოსთვის 40 საპილოტე სკოლის 80 მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლება ინტერკულტურული და ბილინგვური სწავლების მეთოდიკაში.	3. ტრენინგის ორგანიზება მასწავლებელთათვის ინტერკულტურული და ბილინგვური სწავლების მეთოდიკაში.	3. ბილინგვური პროგრამის 40 საპილოტე სკოლის 80 მასწავლებელი გადამზადებული ინტერკულტურული და ბილინგვური განათლების სტრატეგიებში.

8. საჭიროებების შეფასება /საკითხის დასმა

საჭიროებების შეფასება - ეს არის დაგეგმილი პროცესი, რომლის დროსაც ხდება მონაცემთა შეგროვება ინდივიდთა ან თემის საჭიროებების შესახებ. საჭიროებების კვლევას ხშირად უწოდებენ აგრეთვე თემის ანალიზს, თემის დიაგნოსტიკას ან თემის შეფასებას. საჭიროებების კვლევა და შეფასება უნდა მოხდეს პროექტის დაგეგმვის ყველაზე ადრეულ სტადიაში, მანამდე სანამ პროექტის წერა დაიწყება.

განასხვავებენ საჭიროებების შეფასების ორ ტიპს: (ა) შიდა საჭიროებების შეფასება; (ბ) გარე საჭიროებების შეფასება: შიდა საჭიროებების შეფასება გულისხმობს აპლიკანტი ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზს. აღნიშნული ანალიზი გეხმარებათ ახალი პროგრამის განსახორციელებლად ორგანიზაციაში არსებული რესურსების იდენტიფიცირებაში, აგრეთვე განსაზღვროთ, შეძლებთ თუ არა გამოხვიდეთ პარტნიორად რომელიმე პროექტში და გარდა ამისა შეაფასოთ რაში შეიძლება დაგჭირდეთ დონორის დაფინანსება; გარე საჭიროებების შეფასება გულისხმობს ორგანიზაციის გარეთ არსებული საჭიროებების შეფასებას, რომლის მოგვარებაც იგეგმება დასაფინანსებლად წარდგენილი პროექტის ფარგლებში.

როცა საუბარია საჭიროებების შეფასებაზე, ძირითადად გარე საჭიროებების შეფასებაზე უნდა მოხდეს აქცენტის გაკეთება, შიდა საჭიროებების შეფასება საჭიროა საკუთარი რესურსების განსაზღვრისთვის და შესაბამისი დაფინანსების გამოსათხოვად; დამფინანსებლები ძირითადად დაინტერესებულნი არიან გარე საჭიროებების დაკმაყოფილების მხარდასაჭერად და არა ორგანიზაციის შიდა საჭიროებების მოსაგვარებლად. საჭიროებების კვლევისას შეიძლება დაგროვდეს ძალიან ბევრი ინფორმაცია. იმისათვის, რომ განსაზღვროთ რომელია მნიშვნელოვანი და ღირებული ინფორმაცია პროექტისთვის, იხილეთ თანდართული ფურცელი საჭიროებების შეფასების საკონტროლო სიის სახით.

როგორ შევაგროვოთ ინფორმაცია საჭიროებების შესახებ:

ზოგჯერ მონაცემი არსებობს და ხელმისაწვდომია, ზოგჯერ კი უნდა შეაგროვო ან შექმნა. შესაბამისად გამოყოფენ მონაცემების ორ ტიპს: (1) მეორადი მონაცემები, ანუ მონაცემები, რომელიც ხელმისაწვდომია სხვა წყაროდან; (2) პირველადი მონაცემი, ანუ მონაცემი, რომელიც შენ მიერ გროვდება და იქმნება. მეორადი მონაცემების მოპოვება შესაძლებელია შემდეგი წყაროებიდან:

(ა) ცენტრალური ხელისუფლების მონაცემები, რომელთა მოპოვებაც შესაძლებელია, როგორც უშუალოდ ვებ-გვერდებიდან

(მაგალითადwww.geostat.ge<http://www.geostat.ge>, <http://msy. gov.ge> <http:// mes.gov.ge/index.php?module=text&link_id=58>;<http:// www.mra.gov.ge/index.php ?lang _id=GEO&sec_id=93> და ა.შ.) აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის გზით (საჯარო ინფორმაციის მოპოვების შესახებ ინფორმაცია იხილეთ სახელმძღვანელოს მე-3 თავში);

(ბ) ადგილობრივი ხელისუფლების მონაცემები, რომელთა მოპოვებაც შესაძლებელია, როგორც ამ მუნიციპალიტეტის ან რეგიონის ვებ-გვერდებზე, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის გზით (მაგალითად: www.kvemokartli.ge<http://www.kvemokartli.ge>; <http://www. shidakartli.ge>; <http://www.akhalkalaki.ge>; <http://www.akhaltsikhe.ge>; <http: //www.nala.ge>);

(გ). საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემები - საერთაშორისო სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები წარმოადგენენ ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს. ძალიან ბევრი საერთაშორისო ორგანიზაცია ამზადებს ანგარიშებს სხვადასხვა სფეროში საქართველოს შესახებ. აღნიშნული კვლევები თუ ანგარიშები აგრეთვე მნიშვნელოვან მეორად წყაროს შეიძლება წარმოადგენენ თქვენთვის საპროექტო განაცხადის შედგენის პროცესში.

ასეთი კვლევებისა და ანგარიშების მაგალითებია:

გარდა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული ანგარიშებისა, ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო მულტილიტერატურული ორგანიზაციების მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემები. ეს ორგანიზაციები ფლობენ სტატისტიკურ მონაცემებს ყველა სახელმწიფოს შესახებ, რაც, ერთი მხრივ, იძლევა საშუალებას, მოიპოვო სტატისტიკური ინფორმაცია საკუთარი პროექტისთვის კონკრეტული ქვეყნის შესახებ და, მეორე მხრივ, შესაძლებლობას გაძლევს, გააკეთო შედარებები სხვა სახელმწიფოებში ამ მხრივ არსებულ ვითარებასთან, რაც თქვენ მიერ დასმული საკითხის აქტუალობას და მნიშვნელობას უფრო დამაჯერებელს გახდის. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემები, როგორიცაა მსოფლიო ბანკი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, გაერო, ევროპის თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია და ა.შ. ამ ორგანიზაციების სტატისტიკური მონაცემების ხილვა შემდეგ ვებ-გვერდებზეა შესაძლებელი:

<http://stats.uis.unesco.org/unesco/TableViewer/document.aspx?ReportId=143&IF_Language=eng>;www.<http://www.oecd.org/statistics>oecd<http://www.oecd.org/statistics>.org/<http://www.oecd.org/statistics>statistics<http://www.oecd.org/statistics>; <http://stats.oecd.org/Index.aspx>

ა. სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემები

ამ სფეროში მოღვაწე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემები, ანგარიშები, კვლევის შედეგები არის ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყარო, რომლის ეფექტურად გამოყენება შესაძლებელია საჭიროებების შეფასების პროცესში. მრავალი სამთავრობო ორგანიზაცია ახორციელებს კვლევასა და ანალიზს და აქვეყნებს საკუთარი კვლევის შედეგებს. ამასთანავე ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია ამზადებს წლიურ ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ, რაც აგრეთვე შესაძლებელია მნიშვნელოვანი წყარო აღმოჩნდეს თქვენი საპროექტო განაცხადის საჭიროებების ანალიზის ნაწილისთვის.

ბ. პროფესიული ლიტერატურა

რა ტიპის მონაცემებია მნიშვნელოვანი საჭიროებების შეფასებისას?

პროექტისათვის მნიშვნელოვანი მონაცემების მაგალითები მიზნობრივი ჯგუფის სტატისტიკა და ინდიკატორები: • სასიცოცხლო სტატისტიკა (მაგ: დაბადების მაჩვენებელი, სიკვდილიანობის მაჩვენებელი, სიკვდილიანობის გამომწვევი მიზეზების მაჩვენებლები და ა.შ. • დასაქმების და უმუშევრობის სტატისტიკა; • განათლების სტატისტიკა (სკოლაში სიარულის მაჩვენებელი, კლასიდან კლასში გადასვლის მაჩვენებელი, სკოლის მიტოვების მაჩვენებელი, საშუალო სკოლის დამთავრების მაჩვენებელი, უმაღლესში ჩარიცხვის მაჩვენებელი; • შემოსავლების სტატისტიკა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა მონაცემები, სიღატაკის ზღვარზე მყოფთა მონაცემები და ა.შ.) ჯანმრთელობის და დაზღვევის სტატისტიკა. მსგავსი პროგრამების შეფასებითი მონაცემები: • რამდენი მონაწილე ღებულობდა მონაწილეობას მსგავს პროგრამაში; • რამდენი მონაწილეზე აისახა პოზიტიურად განხორციელებული პროგრამა; • რამდენად წარმატებული იყო ადგილობრივი თვითმართველობა ან თემი როგორც პარტნიორი და ა.შ.

პირველადი მონაცემების შეგროვების გზების განსასაზღვრად მნიშვნელოვანია იცოდეთ, თუ რა კითხვები გაინტერესებთ და რა ინფორმაცია გჭირდებათ, არსებულ კითხვებზე პასუხისთვის.

- რაოდენობრივი მონაცემები - სტატისტიკური ანალიზის შედეგად დამუშავებული მონაცემი (ძირითადი მეთოდი გამოკითხვა კითხვარების შევსების საშუალებით);
- ხარისხობრივი მონაცემები: მიზნობრივი ჯგუფისგან, თემისგან და/ან ბენეფიციარებისგან აგროვებ ინფორმაციას მათივე პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ მათსავე საუბრებზე დაყრდნობით (გავრცელებული მეთოდები: ინტერვიუები, ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრები, დაკვირვებები და ა.შ.)

რომელი მეთოდი სჯობს – არსებულ მონაცემზე დაყრდნობა თუ პირველადი მონაცემების შეგროვება?
ცალსახა პასუხი არ არსებობს, გააჩნია:
როცა პრობლემის დასმის თავში იწყებ საჭიროებების შეფასებას, უნდა დაიწყო ზოგადი სურათით, რისთვისაც უფრო მნიშვნელოვანია ეროვნული სტატისტიკური მონაცემები;
შემდგომ სასურველია გადახვიდე რეგიონალურ ან ადგილობრივ მონაცემებზე, თუ ეს მონაცემი ხელმისაწვდომია;
როცა სოციალური მომსახურების კუთხით ხდება ინტერვენცია, მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი მონაცემების გამოყენება (ცხრილები და გრაფიკები ეროვნული სტატისტიკის შესაჯამებლად, ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვის თუ ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრებიდან ციტატები). რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემების ერთად გამოყენებას შერეული მეთოდი ეწოდება და ყველაზე ეფექტურია საჭიროებების შეფასებისას და პრობლემების ანალიზისას პროექტის წერის დროს. თუ ეს მონაცემი არ გაქვთ, პროექტის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია ამ მონაცემების შეგროვება უზრუნველყოთ;
როცა შენ შეძლებ სრულყოფილად გასცე პასუხი შეკითხვას: "რა არის პრობლემა" საჭიროებების შეფასების პროცესი დამთავრებულია.

ამის შემდგომ უნდა გაიცეს შეკითხვაზე პასუხი: "რატომ უნდა მოხდეს პრობლემის მოგვარება", რის შემდეგაც პრობლემის აღწერის ეტაპი დასრულდება პროექტის წერის პროცესში.

პრობლემის აღწერა არის პროექტის შემადგენელი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, სადაც აღწერილია საკითხი, საჭიროება ან პრობლემა, რაზეც იქნება მიმართული პროექტის აქტივობები. პრობლემის აღწერის თავი წარმოდგენას უქმნის პროექტის შემფასებელს, თუ რამდენად ღრმად იცნობს არსებულ პრობლემას და, შესაბამისად, გადაჭრის რამდენად რელევანტურ გზებს სთავაზობს.

შეგროვებული მონაცემები საჭიროებების შეფასებისას წარმოადგენს წყაროს პრობლემების აღწერის თავის შესადგენად.



წარმოდგენილი ჩარჩოს შესაბამისად, გთავაზობთ რეკომენდაციებს, როგორ უნდა იმუშაოთ და ჩამოაყალიბოთ საკითხის დასმის ნაწილი პროექტის შედგენისას:

1. ჩამოაყალიბე ეროვნული მიზანი, რაც უკავშირდება კონკრეტულ პრობლემას (მაგალითად, განათლების და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგია, განათლების ეროვნული მიზნები და ა.შ.);
2. იდენტიფიცირება მოახდინე ამ პრობლემის გლობალურ კონტექსტში ეროვნული სტატისტიკური მონაცემებისა და დიაგრამების გამოყენებით. მაგალითად:
   - სკოლის მიტოვების მაჩვენებლები;
   - სკოლის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლები;
   - მასწავლებელთა უმაღლესი განათლების მაჩვენებელი;
   - მასწავლებლის სოციალურ-ასაკობრივი სტრუქტურა;
   - სკოლის დაფინანსების მაჩვენებლები.
3. აჩვენე, რომ ეს პრობლემა აქტუალურია პროექტის მიზნობრივი ჯგუფისთვის, მოიშველიე ადგილობრივი მონაცემები მისი არსებობის შემთხვევაში;
- ადამიანთა რაოდენობა ადგილზე;
- მონაცემები სხვა ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროგრამის შეფასებიდან;
- თქვენ მიერ ჩატარებული მცირე კვლევის შედეგები.
4. მოკლედ და ზოგადად ჩამოაყალიბე შენი გადაჭრის გზები, კონკრეტული გზების დაწერა პროექტის შემდგომ თავებში მოგიწევთ; მაგალითად, შეიძლება გამოიყენო ზოგადი ფორმულირება ან განსახორციელებელი ღონისძიებების მიმართულებების დასახელება;

5. მოკლედ ჩამოაყალიბე, რატომ მიგაჩნია, რომ შენი პროექტი და შენ იქნებით წარმატებული; მაგალითად, აქ შეიძლება მოკლედ ისაუბრო საკუთარ გამოცდილებაზე მსგავსი ტიპის აქტივობების დროს წარმატების მიღწევისას, აგრეთვე მიუთითო სხვა ორგანიზაციების პროგრამები, რომელთა ინტერვენციამაც გამოიღო პოზიტიური შედეგი;
6. მთელი პრობლემის აღწერის განმავლობაში შეეცადე, მოიყვანო ბიბლიოგრაფია პროფესიული ლიტერატურიდან (მაგალითად თუ ზრდასრული მოსახლეობისთვის კეთდება საგანმანათლებლო პროგრამა, შეიძლება მოიყვანო რეფერენსები ცხოვრების მანძილზე სწავლის შესახებ ლიტერატურიდან, თუ საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის შეიძლება მოიყვანო პროფესიული ლიტერატურა, სადაც აღწერილია, თუ რა მნიშვნელობა აქვს სკოლამდელ აღზრდას ბავშვის კოგნიტური განვითარებისთვის და ა.შ.)

პროექტის დამწყებ შემდგენლებს ხშირად ექმნებათ უხერხულობა, რომ აღწერისას არ ხდება პრობლემის ანალიზი და უფრო მეტ აქცენტს აკეთებენ პრობლემის გადაჭრაზე; მაგალითად, ინკლუზიური განათლების ასახვა სასწავლო გეგმებში; დაიმახსოვრეთ, რომ ეს არ არის პრობლემა, ეს არის პრობლემის გადაჭრა. პრობლემაა, რომ სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის არ არის შექმნილი შესაბამისი სასწავლო გარემო, მათ შორის _ სასწავლო გეგმებში.

აღნიშნული ტიპის პრობლემების ასარიდებლად გთავაზობთ პრობლემის აღწერის საკონტროლო სიას, ანუ შეკითხვების ჩამონათვალს, რომელზეც უნდა გასცეთ პასუხი საპროექტო წინადადების პრობლემის აღწერის თავში:

- *გამოიყენე თუ არა ბოლოდროინდელი კვლევების შედეგები და ანალიზი პრობლემის აღწერისას?*
- *მიუთითე თუ არა შესაბამისი სტატისტიკური ინდიკატორები?*
- *მიაწოდე პროექტის წამკითხველს საკმარისი ინფორმაცია პრობლემის შესახებ? (უნდა ივარაუდოთ, რომ პროექტის წამკითხველმა საერთოდ არაფერი იცის ამ პრობლემის შესახებ);*
- *გამოიყენე თუ არა გრაფიკული სქემები და დიაგრამები, რათა პროექტის მკითხველს უფრო ახლოს გააცნო შენი თემატიკა;*
- *გამოიყენე შენ მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები (ციტატები ინტერვიუებიდან, ფოკუს ჯგუფის შეხვედრებიდან, უკუკავშირიდან, გამოკითხვის ანალიზი და ა.შ.) და ფოკუსირება მოახდინე საჭიროებების გამოკვეთაზე და გადაჭრის გზები მხოლოდ ლიმიტირებულად და ზოგადად წარმოადგინე.*

მერი ჰოლი და სუზან ჰოვლეტი (2003) მიუთითებენ რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორზე, რაც განსაზღვრავს საკითხის დასმის ეფექტურობას, კერძოდ:

მნიშვნელობა/აქტუალობა: უკიდურესად მნიშვნელოვანია, რომ გრანტის გამცემი დაარწმუნო კონკრეტული პრობლემის მნიშვნელობასა და აქტუალობაში. შესაძლებელი პროექტის შემტანის მიერ დასმული საკითხი ზოგადად იყოს პრობლემატური, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ გრანტის გამცემმა კარგად დაინახოს ამ პრობლემის მნიშვნელობა, რომ კონკრეტული სპეციფიკური პრობლემა მართლაც არაერთი დახმარების საჭიროებას უჩენს ფართო საზოგადოებას. შესაბამისად საჭიროებების ანალიზისა და საკითხის ეფექტურად დასმისათვის აუცილებელია არსებული პრობლემის მნიშვნელობასა და აქტუალობაზე აქცენტირება;

შესაბამისობა: ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია დაასაბუთოთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილი პრობლემა თუ საჭიროება მართლაც უნიკალურია და, ამასთან, თქვენი ორგანიზაციის წარსული გამოცდილება, საკითხის ცოდნა და ექსპერტიზა უმნიშვნელოვანესია ამ პრობლემის მოსაგვარებლად, ანუ მხოლოდ თქვენ საკუთარი კომპეტენციით შეგიძლიათ ამ მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული პრობლემის მოგვარება თუ საჭიროების დაკმაყოფილება.

ანალიტიკურობა: დონორებს სურვილი აქვთ, რომ საკითხის დასმის ნაწილში და პრობლემის ანალიზისას გრანტის შემტანმა კარგად და კრიტიკულად გაანალიზოს არსებული ვითარება, ამასთანავე მათთვის მნიშვნელოვანია, რომ ანალიზი დაეფუძნოს უახლეს სტატისტიკურ მონაცემებს, კვლევის შედეგებსა და ანგარიშებს.

კონკურენტულობა და თანამშრომლობა: ხშირად აპლიკანტი ორგანიზაცია მიუთითებს, რომ იგი ერთადერთია ამ კონკრეტულ სფეროში, რაც ხშირად რეალობას არ შეესაბამება. ანუ ხშირად იქმნება სიტუაცია, როდესაც დონორი იღებს რამდენიმე განაცხადს, სადაც თითოეული ორგანიზაცია უთითებს, რომ ის ერთადერთია ამ სფეროში. ასეთ ვითარებაში დონორი უარს ამბობს მსგავსი ორგანიზაციების დაფინანსებაზე. პროექტის შემტანისთვის მნიშვნელოვანია, რომ დონორს თავადვე გააცნოს თუ რომელი ორგანიზაციები მოქმედებენ ამ სფეროში, რას მოიცავს მათი საქმიანობა; როგორ განსხვავდება აპლიკანტი ორგანიზაცია და მისი საქმიანობა ამ სფეროში მოღვაწე სხვა ორგანიზაციების

საქმიანობისგან; როგორ ხედავს აპლიკანტი ორგანიზაცია სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პერსპექტივას ან მათი გამოცდილების გამოყენებასა თუ გაზიარებას. ანუ დონორისთვის მნიშვნელოვანია, რომ აპლიკანტი ორგანიზაცია კარგად იცნობდეს ამ სფეროში მოღვაწე ყველა ორგანიზაციას და ახერხებდეს, როგორც მათთან თანამშრომლობას, მათი გამოცდილების გაზიარებას, აგრეთვე მათთვის კონკურენციის გაწევას.

განხორციელებადობა: დონორისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პროექტი იყოს განხორციელებადი, ანუ თუ საკითხი იმდენად მძიმე და რთულია, დონორს შეიძლება გაუჩნდეს განცდა, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად მისი რესურსი, ისევე, როგორც აპლიკანტის კომპეტენცია და გამოცდილება, არ იქნება საკმარისი და ამიტომ თქვას უარი პროექტის დაფინანსებაზე. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საკითხი და საჭიროებები იმ კუთხით იყოს წარმოდგენილი, რომ მათი გადაჭრა რეალისტური და განხორციელებადი ჩანდეს.

მონაცემები: საჭიროებების ანალიზისას ძალიან მნიშვნელოვანია სტატისტიკური მონაცემების გამოყენება, თუმცა, ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ სტატისტიკური მონაცემები ცალსახად არ მოწმობს საჭიროებებისა თუ პრობლემის არსებობას. ამიტომ მნიშვნელოვანია, საკითხის დასმის ნაწილში სტატისტიკური მონაცემებისა და თხრობითი ნაწილის დაბალანსებულად წარმოდგენა.

საჭიროებების კვლევა: ხშირად ამ თავის შედგენისას არასამთავრობო ორგანიზაციები ეფუძნებიან პირველად მონაცემებს, რომლებიც მიღებული აქვთ საკუთარი საჭიროებების კვლევის შედეგად, ანუ დონორებს ძალიან მოსწონთ, როდესაც ანალიზი ეფუძნება საკუთარ კვლევას, ამ დროს მნიშვნელოვანია, რომ საკითხის დასმისას კვლევის შედეგები იყოს წარმოდგენილი. შესაძლებელია, საჭიროებების კვლევის მთლიანი ანგარიში დანართის სახითაც იყოს თანდართული საპროექტო განაცხადს, რათა დონორს ნათელი და სრული წარმოდგენა შეექმნას ჩატარებული კვლევის შესახებ.

საჭიროებების ანალიზისას ყველაზე ხშირად დაშვებული შეცდომები:

1. პრობლემა დასმულია გაბუქებულ და მკვეთრ ფერებში, რომლის გადაჭრაც დონორ ორგანიზაციას პროექტის ფარგლებში შეუძლებლად მიაჩნია;

2. პრობლემის ანალიზის თავში ახლად დამწყები ორგანიზაციები უფრო მეტ აქცენტს აკეთებენ სამომავლო გეგმებზე, ვიდრე რა პრობლემები და საჭიროებები არსებობს, რომელთა გადაჭრისკენაც იქნება მიმართული პროექტი;
3. ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ხარვეზი საჭიროებების ანალიზისას არის საკუთარ საჭიროებებზე აქცენტირება, ანუ ხშირად პროექტის შემტანი იყენებს ფრაზებს "ჩვენ გვესაჭიროება", "ამ პრობლემის გადასაჭრელად ჩვენთვის მნიშვნელოვანია" და ა.შ. აუცილებელია აქცენტი გაკეთდეს მიზნობრივი ჯგუფისა თუ თემის საჭიროებებზე "თემს ესაჭიროება" "მიზნობრივი ჯგუფისთვის მნიშვნელოვანია და ა.შ.;
4. საკითხის არასწორად დასმა - ხშირად საკითხის დასმისას აქცენტირება ხდება არაპირდაპირ პრობლემასა და საჭიროებებზე.

რა კითხვებს უნდა პასუხობდეს პრობლემის აღწერის თავი:
- რა არის პრობლემა?
- ვისზე მოქმედებს უარყოფითად ეს პრობლემა?
- რა არის ამ პრობლემის ზოგადი გამოძახილი?
- რა პრაქტიკული გამოძახილი აქვს პრობლემას თემისთვის?
- რატომ დადგა ეს სიტუაცია (სიტუაციის გამომწვევი მიზეზები)?
- რა გამოცდილება აქვს ორგანიზაციას ამ პრობლემის მოგვარების/ამ სფეროში მოღვაწეობის თვალსაზრისით?
- რა საინტერესო მონაცემები არსებობს გარე კვლევების შედეგად?
- კიდევ ვინ მუშაობს და რა კუთხით აღნიშნულ პრობლემაზე?
- რა პრობლემებს წააწყდნენ/ან ვერ გადაწყვიტეს თავიანთი საქმიანობის დროს?
- რა გამოწვევებს ელოდები პრობლემის გადაწყვეტისას?
- როგორ უპასუხებ აღნიშნულ გამოწვევებს?

საჭიროებების შეფასების სარეკომენდაციო ფურცელი:
- ასახე ადრეული ლიტერატურის, კვლევებისა თუ პროგრამების ცოდნა და კვალიფიკაცია, რომელიც ამ სფეროში (შესაძლებელია სხვა ადგილას ან სხვა კონტექსტში) განხორციელებულა და რა პოზიტიური შედეგები ჰქონია, როგორ აპირებ ამ პოზიტიური შედეგების გამოყენებას, როგორ აპირებ იმ ხარვეზების აღმოფხვრას, რაც სხვა პროგრამებს ჰქონდა, როგორ განავრცობ უკვე განხორციელებულ მსგავს პროექტებს;
- ჩამოთვალე ყველა ის მოთამაშე ვინც მხარს უჭერს პროექტის განხორციელებას (მთავრობა, პარტნიორი ორგანიზაცია, ადგილობრივი თვითმმართველობა, თემი და ა.შ.), დაადასტურე ეს მხარდაჭერა რა ფორმით გაქვთ მიღებული;
- მოახდინე იდენტიფიცირება, თუ დამატებით რა მონაცემები იქნება ხელმისაწვდომი პროექტის განხორციელებისას, რაც სასარგებლო იქნება

როგორც ორგანიზაციისთვის პროექტის შესრულებისას, აგრეთვე ამ სფეროში მოღვაწე ყველა დაინტერესებული ადამიანისთვის;

აქვე გთავაზობთ, რამდენიმე მაგალითს, სადაც საჭიროებების ანალიზი და საკითხის დასმა ეფექტურად არის ჩამოყალიბებული:

მაგალითი 1:

„2005 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო ეროვნული სასწავლო გეგმების რეფორმის პროცესი. ეროვნულ სასწავლო გეგმისა და სახელმძღვანელოების მიმართულება საქმიანობის ძირითად 3 ეტაპს მოიცავდა: 1) ეროვნული სასწავლო გეგმების შემუშავება; 2) ეროვნული სასწავლო გეგმების პილოტირება; 3) ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვა. ეროვნული სასწავლო გეგმები ითარგმნა ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ უმცირესობათა ენებზე და ხელმისაწვდომი გახლდათ არაქართულენოვანი სკოლებისთვის. ეროვნული სასწავლო გეგმების პილოტირება განხორციელდა 100 ქართულენოვან, 10 რუსულენოვან, 10 სომხურენოვან და 10 აზერბაიჯანულენოვან სკოლაში. 2006-07 წლიდან დაიწყო ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა საქართველოს ყველა ქართულენოვან სკოლაში, ხოლო 2007-08 წლიდან არაქართულენოვან სკოლებში.

2010 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გადახედა 2005-2009 წლებში წარმოშობილ პრობლემებს ეროვნულ სასწავლო გეგმებთან მიმართებით და შეიმუშავა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც საქართველოს სკოლებში დაინერგება და იმოქმედებს 2011-2016 წლებში. ახალი სასწავლო გეგმების შემუშავების კვალდაკვალ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა დაიწყო მუშაობა, რათა ხელი შეუწყოს სკოლებს და მასწავლებლებს ახალი სასწავლო გეგმების დანერგვაში. ასევე ამუშავებს მასწავლებელთა საგნობრივ გზამკვლევებს, რაც გაუადვილებს სკოლებსა და მასწავლებლებს 2011-2016 წლებში ახალი ეროვნული სასწავლო გეგმებით მუშაობას. გზამკვლევები შემუშავებული იქნება 2011 წლის ივლისისთვის.

2005 წლიდან დაწყებული ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვა პრობლემატურად ხორციელდებოდა არაქართულენოვან სკოლებში. არაქართულენოვანი სკოლები სკოლების საერთო რაოდენობის 10%-ს წარმოადგენენ და აღნიშნულ სკოლებში მოსწავლეთა საერთო რაოდენობა 72 000 მოსწავლეს აჭარბებს, რაც მოსწავლეთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 12%-ს შეადგენს (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2010). რეფორმის საწყის ეტაპზე (2005-2008)

არაქართულენოვანი სკოლები სარგებლობდნენ ისტორიულ სამშობლოში შემუშავებული სასწავლო გეგმებით და სახელმძღვანელოებით. რეფორმის შემდგომ ეტაპზე (2008 წლიდან) სკოლები ეტაპობრივად გადავიდნენ ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვაზე. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი თარგმნიდა სასწავლო გეგმებს არაქართულენოვანი სკოლებისთვის. მიუხედავად მშობლიურ ენაზე სასწავლო გეგმების ხელმისაწვდომობისა, დანერგვის თვალსაზრისით რამდენიმე პრობლემა აქტუალურად გამოიკვეთა: (ა) სასწავლო გეგმების დანერგვის ტრენინგებთან დაკავშირებით ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში მასწავლებლები გამოთქვამენ უკმაყოფილებას, რადგან, მათი განცხადებით, მათ არ მიეცათ დანერგვის ტრენინგებში მონაწილეობის საშუალება, რაც ახალი სასწავლო გეგმების დანერგვის ხელისშემშლელ ერთ-ერთ ფაქტორად სახელდება (გაეროს ასოციაცია, 2010); (ბ) არ არსებობდა მეთოდური საგნობრივი გზამკვლევები (მათ შორის მშობლიურ ენაზე), რაც ხელს შეუწყობდა მათ დანერგვის პროცესში (გაეროს ასოციაცია, 2010. (გ) დანერგვის ტრენინგები გაიარა მხოლოდ 30 არაქართულენოვანი საპილოტე სკოლის პედაგოგმა. სხვა მასწავლებლებს ტრენინგები არ გაუვლიათ და უჭირთ ახალი სასწავლო გეგმების დანერგვა (გაეროს ასოციაცია, 2010). 2011-2016 წლებში რეფორმის ახალი ეტაპი აგრეთვე პრობლემატური აღმოჩდნება სკოლებისთვის მათთვის დამატებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გარეშე შემდეგ გარემოებათა გამო:

(ა) მიუხედავად იმისა, რომ მუშავდება საგნობრივი გზამკვლევი მასწავლებლებისთვის, გზამკვლევები არ არის ხელმისაწვდომი არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებისთვის მათთვის მშობლიურ ენაზე (მასწავლებლებთან პირადი კომუნიკაცია, 2011);

(ბ) ახალი სასწავლო გეგმის დანერგვის ტრენინგები არ არის ხელმისაწვდომი არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებლებისთვის მათთვის მშობლიურ ენაზე (საქართველოს მთავრობის სამოქალაქო ინტეგრაციისა და ტოლერანტობის სამოქმედო გეგმა, 2009-2014, 2009).

მეორე მნიშვნელოვანი რეფორმა, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განახორციელა, სამეურვეო საბჭოების მიერ დირექტორების არჩევნებია. 2007 წლიდან ხორციელდება რეფორმა, რომელმაც 2010 წლის ახალი მიმართულება შეიძინა. კერძოდ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა სკოლის დირექტორის პროფესიული სტანდარტი და ნებისმიერი სკოლის ხელმძღვანელი, რომელიც არ არის არჩეული 2007 წელს, ვალდებულია გაიაროს სასერტიფიკატო გამოცდა, რათა შეძლოს სკოლის დირექტორის საქმიანობა და ეფექტურად უხელმძღვანელოს

სასწავლო პროცესს სკოლებში. სტანდარტის შემუშავების კვალდაკვალ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო სკოლის დირექტორის გზამკვლევის შემუშავება, რომელიც მზად იქნება 2011 წლის ივლისის თვეში.

სკოლის დირექტორთა შერჩევისა და პროფესიული განვითარების გზით არაქართულენოვან სკოლებთან მიმართებით შემდეგი პრობლემები გამოჩნდა:

(ა) არაქართულენოვანი 265 სკოლიდან დირექტორები აირჩა მხოლოდ 26 სკოლაში. ანუ არაქართულენოვანი სკოლების 89% სკოლის დირექტორები საჭიროებენ სერტიფიცირებას და პროფესიულ განვითარებას, რათა შეძლონ საკუთარი მოვალეობების განხორციელება. დირექტორების არჩევითობის შეფარდება არაქართულენოვან და ქართულენოვან სკოლებს შორის შემდეგნაირად გამოიყურება:



წყარო: საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო (2007)

(ბ) 2010 წელს დამტკიცებული სკოლის დირექტორის სტანდარტი არ არის ხელმისაწვდომი არაქართულენოვანი სკოლის დირექტორებისთვის და, შესაბამისად, მათ არ შეუძლიათ, სტანდარტის მიხედვით მოახდინონ საკუთარი პროფესიული განვითარება;

(გ) სკოლის დირექტორის გზამკვლევი არ იქნება ხელმისაწვდომი არაქართულენოვანი სკოლების დირექტორებისთვის მათთვის მშობლიურ ენაზე, ისევე, როგორც პროფესიული განვითარების ტრენინგები დირექტორის პროფესიულ სტანდარტზე დაფუძნებით ხელმიუწვდომელია მათთვის.

სასწავლო გეგმების ეფექტური განხორციელება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და მათი კვალიფიკაცია, სკოლების ადმინისტრაციის ეფექტურობა წარმოადგენს ზოგადი განათლების სისტემაში განათლების ხარისხის განმსაზღვრელ ფაქტორებს. აღნიშნული

მიმართულებების არაეფექტურობის პირობებში, შეუძლებელია გვქონდეს არაქართულენოვანი სკოლების განათლების ხარისხის თვალსაზრისით მაღალი მოლოდინები. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების და ასევე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრებთან თანამშრომლობით წარმოდგენილი საპროექტო წინადადების ფარგლებში იმუშავებს პრობლემების ეფექტურად გადასაჭრელად“.

მაგალითი 2

„ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაცია სახელმწიფოსათვის უმნიშვნელოვანეს პრობლემად არის დასახული. ამასთანავე, სახელმწიფო არაერთ ნაბიჯს დგამს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციისთვის. 2005-09 წლებში სერიოზულ პრობლემად იდგა უმცირესობების მიერ უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა: 2005-2009 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ეთნიკური უმცირესობების პრობლემატიკის გათვალისწინებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გადაწყვიტა „საშეღავათო პოლიტიკის“ განხორციელება ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებით. კერძოდ, უმაღლესი განათლების შესახებ კანონში 2009 წლის 19 ნოემბერს მიღებული ცვლილებების შესაბამისად, განისაზღვრა, რომ უმაღლესი სასწავლებლები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისათვის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულ და სომხურენოვანი ტესტის შედეგების საფუძველზე გამოყოფს ადგილებს ერთიანი ეროვნული გამოცდებით მისაღებ სტუდენტთა საერთო რაოდენობის 5-5%-ის რაოდენობით, ხოლო ოსურენოვანი და აფხაზურენოვანი სტუდენტებისთვის - 1-1%-ის რაოდენობით (მუხლი 52.5).

აღნიშნული გადაწყვეტილება უმნიშვნელოვანესია ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციისთვის, თუმცა ექსპერტები და უმცირესობათა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები რამდენიმე ტიპის პრობლემას აღნიშნავენ, რომელთა მოგვარება უმნიშვნელოვანესია აღნიშნული რეფორმის ეფექტურად განსახორციელებლად და ამ რეფორმის მიზნებისა და ამოცანების რეალიზებისთვის:

(ა) „საშეღავათო პოლიტიკის“ შედეგად ჩარიცხული სტუდენტები გადიან ერთწლიან 60 კრედიტიან პროგრამას ქართულ ენაში. ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს სწავლის გაგრძელების უფლება ექნება ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის, სტომატოლოგის, ვეტერინარის ან დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამაზე

მხოლოდ ქართულ ენაზე. ერთი წლის პროგრამა შესაძლებელია არასაკმარისი აღმოჩნდეს ამ სტუდენტებისთვის, თუ მათი სოციალური ინტეგრაციაც არ მოხდა და ქართულენოვან გარემოში მეტი ცხოვრების საშუალება არ მიეცათ. შესაბამისად, შესაძლებელია, 1 წლის შემდეგ ამ სტუდენტთა ნაწილმა ვერ შეძლოს იმ ენობრივი კომპეტენციის მიღწევა, რათა სრულყოფილად განაგრძონ სწავლა ქართულ ენაზე;

(ბ) მეცნიერები და მკვლევრები ხაზს უსვამენ ზაფხულის პერიოდს, როგორც ენობრივი ინტეგრაციის პროცესში უმნიშვნელოვანეს ხელისშემშლელ ფაქტორს ეთნიკური უმცირესობების სტუდენტთათვის: ზაფხულის პერიოდში ისინი მთლიანად წყდებიან სასწავლო პროცესს, არანაირი მხარდაჭერა არ აქვთ საკუთარ ოჯახებსა და თემში ამ მიმართულებით და, შესაბამისად, მთელი წლის განმავლობაში მიღწეული ენობრივი წარმატება სერიოზულ რეგრესს განიცდის;

(გ) აღნიშნული სტუდენტებისთვის მხოლოდ ქართული ენის შესწავლა არ არის მნიშვნელოვანი. მნიშვნელოვანია მათი სტუდენტურ თუ სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაში ინტეგრაცია. სტუდენტებს, რომლებიც იზოლირებულნი არიან სოციალურ-კულტურული თუ სტუდენტური ცხოვრებიდან, სერიოზული პრობლემები ექმნებათ აკადემიური, კოგნიტური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ერთწლიანი პროგრამა კი მხოლოდ ენის სწავლებაზეა ორიენტირებული და არანაირ აქტივობას არ ითვალისწინებს ამ სტუდენტების აკადემიური, სტუდენტურ ცხოვრებაში თუ სოციალურ-კულტურული ინტეგრაციისთვის;

(დ) სახელმწიფო ენის შესწავლა არ არის გარანტია ამ სტუდენტების სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტერკულტურული სენსიტიურობის განვითარებისთვის. სამოქალაქო ცნობიერების გარეშე მათი ინტეგრაცია და რეფორმის შედეგად დასახული მიზნების მიღწევა შეუძლებელია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ამ სტუდენტებისთვის სამოქალაქო ცნობიერებისა და სამოქალაქო აქტიურობის თვალსაზრისით სერიოზული ინიციატივების განხორციელება;

(ე) საინტერესოა, რომ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირებული აბიტურიენტები შეადგენენ მხოლოდ გამოყოფილი ქვოტის საერთო რაოდენობის 22,5 %-ს, (1301 კვოტირებული ადგილი იყო სომხურენოვანი აბიტურიენტებისთვის და დარეგისტრირებული იყო 253 აბიტურიენტი, ანუ 19,44%, ხოლო აზერბაიჯანულენოვანთათვის კვოტირებულ 1301 ადგილზე დარეგისტრირებულია 335 აბიტურიენტი, ანუ 25,75%). საინტერესო მონაცემებია თვითონ ჩაბარების თვალსაზრისით: დარეგისტრირებული 588 აბიტურიენტიდან მხოლოდ 294 გახდა სტუდენტი, ანუ დარეგისტრირებულ აბიტურიენტთა ზუსტად 50%. გამოცდების შედეგად, ეთნიკური უმცირესობისთვის კვოტირების შედეგად გამოყოფილი 2602 ადგილიდან შეივსო მხოლოდ 294, რაც

კვოტირებული ადგილების მხოლოდ 11,3%-ია. ასეთი დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია მოსახლეობის დაბალი ინფორმირებულობის ხარისხით ამ რეფორმის შესახებ ერთი მხრივ, მეორე მხრივ კი _ მოლოდინებით, თუ რამდენად გაამართლებს რეფორმა. თუ რეფორმამ ინტეგრაციის თვალსაზრისით პოზიტიური ეფექტი ვერ გამოიღო და ეს სტუდენტები არ გახდნენ აქტიური, სრულფასოვანი მოქალაქეები, რეფორმა წარუმატებლობისთვის არის განწირული. ამიტომ მნიშვნელოვნად იკვეთება ამ სტუდენტების ხელშეწყობის აუცილებლობა და, ამასთანავე, მათი სტუდენტური ცხოვრების, როგორც „წარმატებული ამბის“ ტირაჟირება ეთნიკური უმცირესობების კომპაქტური განსახლების ადგილებში.

ამ კომპლექსური პრობლემების მოსაგვარებლად, 2010 წელს „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ მიერ თქვენი ფონდის (ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“) დაფინანსებით, განხორციელდა პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა არაქართულენოვანი აბიტურიენტებისათვის აკადემიური მიზნით ქართული ენის სასწავლო კურსის შექმნას; პროექტის განხორციელების შედეგად, შემუშავდა ერთიანი სტანდარტები ქართულის, როგორც მეორე ენის შეფასებისა და ფლობის დონის განსაზღვრისთვის; შემუშავდა პროგრამა არაქართულენოვანი აბიტურიენტებისთვის; მომზადდა 60 კრედიტზე გაწერილი საგნობრივი სილაბუსები კონკრეტული მიმართულებებით (ენობრივი უნარების - წერის, კითხვის, ლაპარაკისა და მოსმენის, აგრეთვე კომუნიკაციური გრამატიკისა და ლექსიკის ათვისების კომპონენტები); სპეციალურად ამ პროგრამისთვის მომზადდნენ ის პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც ამჟამად ასწავლიან ქართულ ენას ინტენსიურ რეჟიმში; უაღრესად პრაქტიკული და საჭირო რესურსები შეიქმნა reader-ების სახით, რომლებიც მომზადდა კვალიფიციური ექსპერტების მიერ; ამ reader-ებს გამოიყენებს ყველა პედაგოგი, რომელიც ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების პროცესში იქნება ჩართული; reader-ები დაეფუძნა არსებულ რესურსებს ქართულის, როგორც II ენის სწავლების მიმართულებით.

თუმცა, ჩამოთვლილი პრობლემების სხვა ასპექტებზე აქცენტები ჯერ არ გაკეთებულა. აღნიშნული პრობლემები კი განსაკუთრებით აქტუალურია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჩვენს პარტნიორ ორგანიზაციაში, რადგან კვოტირებული სტუდენტების 61% სწორედ ამ უნივერსიტეტში სწავლობს (294 სტუდენტიდან 180 სტუდენტი თსუ-ში სწავლობს). სხვა უმაღლეს სასწავლებლებს შესაძლებლობა აქვთ ამ სტუდენტებთან ინდივიდუალური მიდგომებიც გამოიყენონ, რადგან ამ სტუდენტების რაოდენობა მერყეობს 3-დან 15-

მდე, ხოლო თსუ-ს და ამ უნივერსიტეტის მრავალრიცხოვან სტუდენტებს ამ მიმართულებით სერიოზული მხარდაჭერა ესაჭიროებათ.“

9. პროექტის განხორციელების გზებისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრა

პროექტის განხორციელების განრიგი არის ცხრილის სახით გამოხატული აქტივობების მიმართება დროსთან (დროში გაწერილი აქტივობები). პროექტის განხორციელების განრიგის შესადგენად მნიშვნელოვანია შემდეგი კომპონენტების დაცვა:

- გამოიყენე გრაფიკული გამოსახულება;
- ჩამოთვალე ყველა მნიშვნელოვანი აქტივობა;
- გააკეთე დროის ჩარჩო და აჩვენე აქტივობის განგრძობადობა დროში.

რატომ უნდა გამოვიყენოთ პროექტის განხორციელების განრიგი? განხორციელების განრიგი იძლევა შემდეგი საკითხების კარგად ილუსტრირების საშუალებას:

- რა პერიოდს მოიცავს თითოეული აქტივობა;
- როდის იწყება თითოეული აქტივობა და როდის მთავრდება;
- აქტივობა ერთჯერადად ხდება პროექტში თუ მეორდება რამდენჯერმე პროექტის განხორციელებისას;
- განხორციელების განრიგი საშუალებას გვაძლევს, ჩავრთოთ ყველა აქტივობა;
- გვაძლევს საშუალებას, განვსაზღვროთ თითოეული აქტივობის ვადები;
- გვაძლევს საშუალებას, განვსაზღვროთ აქტივობების თანმიმდევრობა.

10. პროექტის საქმიანობები და სამოქმედო გეგმა

ღონისძიებათა კალენდარული განრიგი													
	ღონისძიებების დასახელება	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
1													
2													
3													
4													
5.													

პროექტის განხორციელების მეთოდების შერჩევა

უკვე ვიცით სად ვართ (საჭიროებების შეფასებიდან და პრობლემის აღწერიდან); ვიცით სად უნდა წავიდეთ (პროექტის მიზნებიდან და ამოცანებიდან); ახლა მნიშვნელოვანია გავარკვიოთ,

როგორ მივიდეთ დასახულ მიზნებამდე და ამოცანებამდე. სწორედ ამაში გვეხმარება შესაბამისი მეთოდების შერჩევა.

მეთოდები (პროცედურები ან სტრატეგიები) არის პროექტის განმცხადებლის აღწერა: თუ "რა" გაკეთდება საგრანტო თანხით; მეთოდები გახლავთ განმცხადებლის გეგმის მონახაზი.

ჩამოთვალეთ ამოცანები. მაგალითად:

ამოცანები
2010 წლის ბოლოსთვის შინდისის თემში მცხოვრები ქალბატონების 80% შეძლებს მკერდის კიბოს გამომწვევი მიზეზების დასახელებას;

ამოცანები
- 2010 წლის ბოლოსთვის შინდისის თემის მოსახლეობის 60% მოახერხებს ღორის გრიპის და სხვა ინფექციური დაავადებების ნიშნების იდენტიფიცირებას.

პრობლემა და ამოცანები განსაზღვრავენ შერჩეულ მეთოდს, სქემატურად წარმოგიდგენთ რამდენიმე მაგალითს, სადაც ნაჩვენებია პრობლემას, ამოცანასა და გადაჭრის მეთოდს შორის არსებული ურთიერთკავშირი:

ამოცანა	მეთოდები	პრობლემა
ა) 1 წლის შემდეგ შინდისის თემის საჯარო სკოლის მოსწავლეთა 80%-ის აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება წინა წელთან შედარებით; ბ) მშობლების ჩართულობის გაზრდა სკოლის ცხოვრებაში 2009 წელთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში ძალიან ხშირად გავრცელებულია პროექტში მეთოდის არასწორად შერჩევა. ამ თვალსაზრისით საპროექტო წინადადებების შემდგენლებს ძირითადად შემდეგი ხარვეზები ეპარებათ: 1) პროექტის განხორციელების მეთოდები და მოსალოდნელი შედეგები ერთმანეთის	ა) სკოლის შემდგომი გახანგრძლივებული კლასების შექმნა; ბ) მოსწავლეების ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და გახანგრძლივებულ წრეებში განხორციელება; გ) მოსწავლეებისთვის კლასგარეშე აქტივობების ორგანიზება მათში სოციალური უნარების და მოტივაციის ასამაღლებლად;	1. მოსწავლეების განათლების ხარისხი არის დაბალი და სასწავლო პროცესი გაუმართავად მიმდინარეობს, რადგან მოსწავლეები არ ასრულებენ საშინაო დავალებებს, მოდიან მოუმზადებლები სკოლაში; მშობლების განათლების დონე ან სამუშაო გრაფიკი არ

შესაბამისი არ არის; 2) ხშირად პროექტები საერთოდ არ მოიცავს პროცედურებს და მეთოდებს და მხოლოდ შედეგებზეა საუბარი და რა მეთოდებითა და პროცედურებით მიიღწევა ეს შედეგი ძალიან სუსტად არის გადმოცემული; 3) პროექტის განხორციელების მეთოდები და პროცედურები არ შეესაბამება პროექტის განსაზღვრულ ამოცანებს და გაანალიზებულ პრობლემასა და საჭიროებებს; 4) შერჩეული მეთოდი არ არის რაციონალური პრობლემის მოსაგვარებლად და წამოჭრილი პრობლემის მოსაგვარებლად უფრო ეფექტური და რაციონალური მეთოდის შერჩევა იყო შესაძლებელი; 5) შერჩეული მეთოდი განუხორციელებელია აპლიკანტი ორგანიზაციის მიერ; 6) შერჩეული მეთოდები ეფუძნება ორგანიზაციის შესაძლებლობებსა და საჭიროებებს და არა თემის ან მიზნობრივი ჯგუფის საჭიროებებს.	გ) მშობლებისთვის საინფორმაციო კამპანიების წარმოება მათი ჩართულობის გაზრდის მიზნით.	აძლევთ საშუალებას, ჩართულნი იყვნენ შვილის სწავლების პროცესში.

ამოცანა	მეთოდები	პრობლემა
(ა) 1 წლის შემდეგ ნაგავი ნარჩენებისგან ტირძნისის თემის 80%-ის გათავისუფლება;	- დანაგვიანებისა და გარემოს მოუფრთხილებლობის შესახებ თემის ინფორმირების კამპანიის განხორციელება პოსტერების, ბროშურების და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზების გზით;	დანაგვიანება და გარემოს დაბინძურება იწვევს ანტისანიტარიას, სასმელი წყლის მოწამვლას, წყლის და საკვები რესურსების შემცირებას;

(ბ) მოსახლეობის 80% 2010 წლის ბოლოსთვის შეძლებს ინფექციის გავრცელების საფრთხეების იდენტიფიცირებას; (გ) შინდისის თემის მოსახლეობის 60%-ის ინფორმირებულობის ხარისხი გაიზრდება ინფექციური დაავა-დების გავრცელების პრევენციასთან.	- ნაგვის გატანასთან დაკავშირებით თემის მობილიზაცია და ამ პროცესში ჩართვის უზრუნველყოფა; - დახარისხებული ნაგვის გატანის უზრუნველყოფა შესაბამის ფირმასთან თანამშრომლობით; - მოსახლეობის ინფორმირების კამპანიის წარმოება ინფექციის გავრ-ცელების პრევენციის მექანიზმებთან დაკა-ვშირებით.	

11. პროექტის ბიუჯეტი

ბიუჯეტი არის ფინანსურ ეკვივალენტებში გამოხატული გეგმა. ბიუჯეტი იძლევა საშუალებას დაგეგმო და გააკონტროლო რესურსები დასახული ამოცანების მისაღწევად; ბიუჯეტის დაგეგმვაში შესაძლოა გარკვეული ხარვეზების გაპარვა, რომელიც მოსალოდნელია ნებისმიერი პროექტისთვის, თუმცა ხარვეზების რაოდენობა და ხარისხი ამ შემთხვევაში რათქმაუნდა ძალზე მნიშვნელოვანია.

ბიუჯეტის ტიპები

განასხვავებენ ბიუჯეტის ორ ტიპს: ხაზობრივსა და ფუნქციურს/პროგრამულს.

ხაზობრივი - ხაზობრივ ბიუჯეტში მოცემულია დანახარჯები საბიუჯეტო კატეგორიების მიხედვით. გთავაზობთ ხაზობრივი ბიუჯეტის მაგალითს, რომელიც გაკეთებულია ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ საბიუჯეტო ფორმის მოთხოვნების შესაბამისად.

ბიუჯეტი

N	სამუშაოს/მომსახურების დასახელება	საცალო ღირებულება	რაოდენობა	ფონდიდან მოთხოვნილი თანხა	დაფინანსების სხვა წყაროდან მოთხოვნილი თანხა	სულ
1.	**აღჭურვილობა**					
1.1	კომპიუტერი	800	5		4000	4000
1.2	პრინტერი	200	1		200	200
	სულ				**4200**	**4200**
2.	**მომსახურება**					
2.1	სასწავლო პროგრამისა და მასალების ბეჭდვის ხარჯები.	3	100 ც.	300		300
2.2	თსუ პროფესორებისთვის გზამკვლევის (150 გვ.) ბეჭდვა	2	120 ც.	240		240
2.3	სამენოვანი ბუკლეტის (16 გვ.) ბეჭდვა	0.3	2000 ც.	600		600
2.3	სამუშაო შეხვედრებისთვის მასალების გამრავლება (6 შეხვედრა)	2	20 პირი X6 შეხვედრა		240	240
2.4	ღამისთევის ხარჯები პროფესორ-მასწავლებლებისთვისა და კოორდინატორებისთვის ბათუმში	30	5 პირი X 2 0 დღე	3000		3000
2.5	საკანცელარიო საქონელი ექსპერტთა ჯგუფისათვის	30	5 თვე		150	150
2.6	პროფესორ-მასწავლებელთა/კურატორების ტრანსპორტირების ხარჯები ბათუმში	40	5 პირი X 4	800		800
2.7	სტუდენტთა ტრანსპორტირების ხარჯები თბილისიდან ბათუმამდე (2 გზა)	300	2		600	600
2.8	სტუდენტთა ტრანსპორტირების ხარჯები აჭარაში (2 ციკლი)	150	2		300	300
2.9	ვებ-გვერდის მომზადებისა და ინტერნეტში განთავსების ხარჯი	1000	1		1000	1000

2.10	სტუდენტური ასოციაციის დაფუძნების ხარჯები	200	1		200	200
2.11	სტუდენტთა პერ დიემ	7	100X10	7000		7000
2.12.	სტუდენტთა განსახლების და კვების ხარჯები	20	100X10		20 000	20 000
2.13.	სტუდენტ-ლიდერთათვის 5 დღიანი ტრენინგის ორგანიზება თბილისში	20	300X5	1500		1500
2.14.	"წარმატებული ამბების" ფორმატში ქვემო ქართლში და ჯავახეთში საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება	100	24	2400		2400
2.15.	ლიდერთა სკოლის ფართით უზრუნველყოფა	20 დღე	200		4000	4000
	სულ			**15 840**	**26 490**	**42 330**
3.	**ჰონორარები**					
3.1	პროექტის დირექტორი	350	9 თვე	3150		
3.2	პროექტის კონსულტანტი	320	8 თვე	2560		
3.3	პროექტის კოორდინატორი ბათუმში	320	2 თვე	640		640
3.4	ექსპერტების ჰონორარი (3 ექსპერტი)	120	20 დღე	3600	3600	7200
3.5	ექსპერტების ჰონორარი პროფესორ-მასწავლებლებისთვის ინტერკულტურული ასპექტების სასწავლო პროცესში ასახვის სარეკომენდაციო პაკეტის მომზადება და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება (2 ექსპერტი)	200	2 თვე	400	400	800
3.6	ჰონორარი ჯგუფების კურატორებს (6 კურატორი)	200	2 თვე	1200	1200	2400
3.6	პროექტის ბუღალტერი	200	9 თვე	1800		1800
	სულ			**13350**	**5200**	**18550**
4.	**საკომუნიკაციო ხარჯები**					
4.1	ტელეფონი	100	9 თვე		900	900
4.2	ინტერნეტის	30	9 თვე		270	270

	გადასახადი					
	სულ				**1170**	**1170**
5.	**საოპერაციო ხარჯები**					
5.1	ოფისის ქირა	500	9 თვე		4500	4500
5.2	კომუნალური გადასახადები	50	9 თვე		450	450
	სულ				**4950**	**4950**
6.*	**საბანკო მომსახურება 0,02% 75**					**75**
	სულ			**29 265**	**37810**	**67075**

2. **ფუნქციური/პროგრამული** - ფუნქციურ და პროგრამულ ბიუჯეტებში დანახარჯები დეტალურადაა გაწერილი პროექტის კონკრეტული ამოცანებისა და საქმიანობების მიხედვით. გთავაზობთ პროგრამული ბიუჯეტის მაგალითს, სადაც ხარჯები აქტივობების მიხედვითაა გაწერილი:

ბიუჯეტის მუხლი	ფონდისგან მოთხოვნილი თანხა($)	ორგანიზაციის მიერ გაწეული თანადაფინანსება ($)	სხვა წყაროების მიერ გაწეული თანადაფინანსება ($)
ა) ტრენინგები და შეხვედრები			
1. ტრენინგის მონაწილეთა ტრანსპორტირება		500 $	
2. სატრენინგო ოთახის იჯარა (22 დღე *50 $ დღეში)		1100$	
3. კვება ტრენინგებზე მიზნობრივი ჯგუფის წევრებისთვის ($5/დღე*12 დღე *20 მასწავლებელი)	1200 $		
4. კვება ტრენინგებზე მიზნობრივი ჯგუფის წევრებისთვის ($5/დღე*12 დღე *25 მოსწავლე)	1500 $		
5. მასალები ტრენინგის მონაწილეთათვის (საკანცელარიო საქონელი ტრენინგებისთვის) ($1,5/ადამ.* 45 ადამ./დღე* 12 დღე)	810$		
6. სატრენინგო მასალების ბეჭდვა (45 მონაწილე*5 $ ერთი მონაწილე)	120 $	105$	
ჯამი	**3730$**	**1705 $**	
ბ) "აქტიური მოქალაქის კლუბის" ღონისძიებები			
1. სადამფუძნებლო დოკუმენტების მომზადება და რეგისტრაცია (100 დოლარი)	100 $		
2. კლუბის კულტურული ღონისძიებების ორგანიზება (2 ღონისძიება* 200 თითო რონისძიება)	400 $		
3. კლუბის მიერ ინტელექტუალური თამაშის ორგანიზება (200* 1 თამაში)	200$		
4. კლუბის მიერ ტრენინგების, დისკუსიების დებატების ორგანიზება (ხარჯები არ გვჭირდება)		500 $	
ჯამი	**700 $**	**500 $**	
ჯამი	**6623,22**		
პროექტის მთლიანი ღირებულება $	**6623,22**		

პროექტის ხარჯები

პროექტის ხარჯების რამდენიმე ტიპის დაყოფა არსებობს. უპირველეს ყოვლისა, პროექტის ხარჯებს ყოფენ პირდაპირ და ირიბ ხარჯებად.

პირდაპირი ხარჯები არის ხარჯები, რომელიც მიმართულია კონკრეტული პროგრამის განსახორციელებლად. ირიბი ხარჯები მიეკუთვნება ინფრასტრუქტურულ ხარჯებს, რომელიც აუცილებელია პროექტის განხორციელების მხარდასაჭერად (შენობა ნაგებობა, გარკვეული პერსონალი, გარკვეული აღჭურვილობა და ა.შ.) (ჰოლი და ჰაულეტი, 2003).

პროექტის პირდაპირი ხარჯების სახეები: პირდაპირი ხარჯების შემდეგ სახეებს გამოყოფენ: (ა) პერსონალის ანაზღაურება (ხელფასები, ჰონორარები, პრემიები და ა.შ); (ბ) სხვადასხვა მომსახურებისთვის გაწეული ხარჯები; (გ) მგზავრობისა და მივლინების ხარჯები; (დ) ფასილიტატორობის ხარჯები; (ე) აღჭურვილობის და მოწყობილობების ხარჯები; (ვ) სხვადასხვა საქონლის შესაძენი ხარჯები; (ზ) კომუნიკაციის ხარჯები; (თ) სპეციფიკურად პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული პროგრამული ხარჯები (ჰოლი და ჰოვალტი, 2003). მოკლედ შევეხებით და განვიხილავთ თითოეულ ამ ხარჯს ცალ-ცალკე:

(ა) პერსონალის ანაზღაურება (ხელფასები, ჰონორარები, პრემიები და ა.შ)

ანაზღაურება მნიშვნელოვანი კომპონენტია ყველა პროექტის ბიუჯეტისთვის. პერსონალის ანაზღაურების ნაწილში შედის ყველა ხელფასი (ყოველთვიური ან ყოველწლიური ანაზღაურება), ჰონორარი (ანაზღაურება საათობრივი ან გარკვეული სამუშაოს შესრულების შესაბამისი), პრემია (წახალისება თანამშრომელთათვის) თუ სხვა ტიპის ბენეფიტები თუ მსგავსს იღებს პროექტის რომელიმე თანამშრომელი. მნიშვნელოვანია, რომ პროექტის შედგენისას გაითვალისწინოთ, რომ ხელფასები და ჰონორარები უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტულ რეალობას და სიტუაციას და შრომით ბაზარზე არსებული რეალური სურათის ამსახველი უნდა იყოს.

(ბ) სხვადასხვა მომსახურებისთვის გაწეული ხარჯები

მომსახურების შესყიდვა მნიშვნელოვანი კომპონენტია, თუმცა ის განსხვავებულია ნებისმიერი პროექტისთვის, განსხვავებულია ორგანიზაციიდან გამომდინარე და განსხვავებულია დონორის მოთხოვნებიდან გამომდინარეც. მომსახურებაში შესყიდვაში შეიძლება

შევიდეს ტრენინგების ჩატარება, კორექტურა, რედაქტირება, იურიდიული და აუდიტორული მომსახურება, ბეჭდვა და გამოცემა და ა.შ.

გ) მგზავრობისა და მივლინების ხარჯები

აღნიშნული ხარჯი ეკუთვნის პროექტის თანამშრომელთა მგზავრობასა და მივლინებაზე გაწეულ ხარჯებს. თანამშრომელთა მგზავრობა შეიძლება მოიცავდეს თვითმფრინავით, მატარებლით, ავტობუსით, ტაქსით ტრანსპორტირებას. მივლინების ხარჯებში შედის თანამშრომელთათვის მივლინებისას ცხოვრების, ჭამის და ა.შ. დასაფარავი ხარჯები. ზოგიერთი ქვეყნების კანონმდებლობით პირდაპირ არის განსაზღვრული სამივლინებო თანხის ოდენობა, ასევე საზღვარგარეთ მივლინებისას თითოეულ ქვეყანაზე განსაზღვრულია შესაბამისი სამივლინებო თანხა, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს პროექტის ბიუჯეტში შესაბამისი თანხის ჩასმა. ზოგიერთი დონორი თავადვე აწესებს სამივლინებო თანხების ოდენობას და ბიუჯეტში თანხის აკუმულირება ხდება დონორის მიერ განსაზღვრული თანხების შესაბამისად.

დ) ადმინისტრაციული და პროგრამული მართვის საშუალებები

ეს მუხლი ხშირად შეტანილია არაპირდაპირ ხარჯებში, თუმცა ხშირია როდესაც იგი პირდაპირი ხარჯების ნაწილში გვხვდება. თუ პროექტი მთლიანად საჭიროებს ახალ საოფისე ფართს და ეს ფართი მთლიანად პროექტს დაეთმობა, მაშინ მისი შეტანა პირდაპირ ხარჯებში გამართლებულია. აღნიშნული მუხლი მოიცავს საოფისე ფართთან დაკავშირებულ ხარჯებს, ეს შეიძლება იყოს საოფისე ფართის იჯარა, შესყიდვა, განახლება და ა.შ. პროექტის საბიუჯეტო ხარჯებში ხშირად გვხვდება, რომ საოფისე ფართის იჯარა შეტანილია ირიბ ხარჯებში, თუმცა საოფისე ფართის განახლება გათვალისწინებულია პირდაპირ ხარჯებში. ნებისმიერი პროექტის ბიუჯეტში, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე უნდა იყოს გათვალისწინებული აღნიშნული მუხლის ხარჯები პროექტის პირდაპირ ან ირიბ ხარჯებად. მნიშვნელოვანია პროექტის ხარჯების დაყოფა ადმინისტრაციულ და საოპერაციო ხარჯებად.

(ე) აღჭურვილობის და მოწყობილობების ხარჯები

აღნიშნულ საბიუჯეტო ხარჯებში შეტანილი უნდა იყოს ყველა ის აღჭურვილობა, მოწყობილობა თუ დანადგარები, რაც აუცილებელია პროექტის განსახორციელებლად, ეს შეიძლება იყოს საოფისე ავეჯი, კომპიუტერული ტექნიკა, საბეჭდი და საგამომცემლო

საქმიანობები, ლაბორატორიები და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ პროექტის ბიუჯეტის შედგენისას მივუთითოთ ყველას ის აღჭურვილობა, რაც გვესაჭიროება პროექტის განსახორციელებლად, ამასთანავე უნდა მიუთოთოთ ამ აღჭურვილობის შეძენა მოხდება, ქირაობა, სხვა წყაროდან შევძლებთ მის მიღებას, თუ აპლიკანტი გამოიყენებს მის საკუთრებაში არსებულ აღჭურვილობას და მოწყობილობებს.

ვ) სხვადასხვა საქონლის შესაძენი ხარჯები

ამ ტიპის ხარჯებში ძირითადად შედის საოფისე ხარჯები ანუ ოფისის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯები. ეს შეიძლება იყოს საკანცელარიო საქონელი, მასალების გამრავლება, სხვადასხვა დოკუმენტების, მასალებისა თუ კომპიუტერული პროგრამების შესყიდვა, რაც აუცილებელია ოფისის გამართულად ფუნქციონირებისთვის.

ზ) კომუნიკაციის ხარჯები

ამ ხარჯებში შედის სატელეფონო მომსახურების, მათ შორის მონტაჟისა და შემდგომი მომსახურების, ვიდეოკონფერენციის ორგანიზების, სატელიტური ანძის, უსადენო და სადენიანი ინტერნეტის ინსტალაციის და შემდგომი მომსახურების ხარჯები, აგრეთვე შეიძლება შედიოდეს მობილური ტელეფონის ანაზღაურების ხარჯები.

თ) პროგრამული ხარჯები

პროგრამული ხარჯები მიეკუთვნება ისეთ ხარჯებს, რომლებიც სპეციფიკურია თითოეული პროექტისთვის. მაგალითად, კულტურის სფეროში მოღვაწე ორგანიზაციისთვის სპეციფიკური პროგრამული ხარჯი შეიძლება იყოს საცეკვაო ფორმის შესყიდვა, ტურიზმის სფეროში მოღვაწე ორგანიზაციისთვის ლაშქრობისთვის საჭირო საძილე ტომრები და კარვები, სკოლამდელ განათლებაზე მომუშავე ორგანიზაციისთვის პატარა ბავშვებისთვის შესაბამისი გასართობი და შემეცნებითი მასალა და ა.შ (ჰოლი და ჰოვალტი, 2003).

ირიბ ხარჯებს ზოგჯერ ზედნადებ ხარჯებსაც უწოდებენ, იგი მოიცავს ყველა იმ ხარჯს, რაც საჭიროა აპლიკანტი ორგანიზაციის, როგორც ორგანიზაციის, ფუნქციონირებისთვის. ეს შეიძლება იყოს ცენტრალური ოფისის ადმინისტრაციისთვის ხარჯები, იურიდიული, ფინანსური თუ კომპიუტერული მომსახურების ხარჯები, შენობებისა და აღჭურვილობის ხარჯები. როგორც წესი, პროექტებში ირიბი ხარჯები მოჭრილი თანხის სახით არის ხოლმე შეტანილი და

შეადგენს პროექტის საერთო ღირებულების გარკვეულ პროცენტს (შეიძლება იყოს 5%, 7%, 10%, 15%). ძალიან იშვიათია 15 %-ზე უფრო მეტი ირიბი ხარჯების დაფინანსება დონორი ორგანიზაციის მიერ, თუმცა დონორთა ნაწილი იძლევა უფრო მეტი ირიბი ხარჯების დაფინანსების საშუალებას, შესაბამისად ირიბი ხარჯების ოდენობა ძირითადად დამოკიდებულია დონორი ორგანიზაციის მიერ წინასწარ განსაზღვრულ პირობებზე (ჰოლი და ჰოვალტი, 2003).
პროექტის ხარჯებს ხშირად აგრეთვე ყოფენ საოპერაციო და ადმინის-ტრაციულ ხარჯებად.

ადმინისტრაციული – პროექტის თანამშრომლების, კონსულტანტების ხელფასებსა და სხვადასხვა ჰონორარები. გთავაზობთ ადმინისტრაციული ბიუჯეტის მაგალითს:

ადმინისტრაციული ბიუჯეტი

3.	**ხელფასები/ჰონორარები**					
3.1	პროექტის დირექტორი	350	9 თვე	3150		
3.2	პროექტის კონსულტანტი	320	8 თვე	2560		
3.3	პროექტის კოორდინატორი ბათუმში	320	2 თვე	640		640
3.4	ექსპერტების ჰონორარი (3 ექსპერტი)	120	20 დღე	3600	3600	7200
3.5	ექსპერტების ჰონორარი პროფესორ-მასწავლებლებისთვის ინტერკულტურული ასპექტების სასწავლო პროცესში ასახვის სარეკომენდაციო პაკეტის მომზადება და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება (2 ექსპერტი)	200	2 თვე	400	400	800
3.6	ჰონორარი ჯგუფების კურატორებს (6 კურატორი)	200	2 თვე	1200	1200	2400
3.6	პროექტის ბუღალტერი	200	9 თვე	1800		1800
	სულ			**13350**	**5200**	**18550**

საოპერაციო – ქირის, ბეჭდვის, ტრანსპორტირების, კომუნიკაციის, ოფისის მარაგების ხარჯები. გთავაზობთ საოპერაციო ბიუჯეტის მაგალითს:

საოპერაციო ბიუჯეტი

საოპერაციო ხარჯები	სულ
ქირა	$9,360
ბეჭდვის ხარჯები	$ 2,800
აღჭურვილობა	$ 3,200
კომუნიკაცია	$ 2,400
მგზავრობა	$ 2,580
ჯამური საოპერაციო ხარჯები	**$22,140**

წყარო: ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, 2008, გვ. 80-81

თანადაფინანსება

პოტენციური დონორისთვის მნიშვნელოვანია, რომ პროექტს გააჩნდეს თანადაფინანსება. ძირითადად თანადაფინანსების 2 ფორმა არსებობს:

1. სხვა დონორი აფინანსებს გარკვეულ აქტივობებს ან ბიუჯეტის გარკვეულ კომპონენტებს და მუხლებს;
2. თანადაფინანსება ხდება აპლიკანტი ორგანიზაციის კონტრიბუციის ხარჯზე;

როდესაც ორგანიზაცია ახორციელებს პროექტს, მას შესაძლებლობა ეძლევა საპროექტო წინადადებით მიმართოს სხვა დონორ ორგანიზაციას და შეძლოს პროექტის სხვა კომპონენტებით ან დამატებით აქტივობებით გაზრდა. ამ შემთხვევაში აპლიკანტ ორგანიზაციას შეუძლია მიუთითოს, რომ რაღაც აქტივობების დაფინანსება ხდება სხვა დონორის მიერ და წარადგინოს ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

თანადაფინანსების მეორე ფორმაა, როცა თანადაფინანსება ხდება უშუალოდ აპლიკანტი ორგანიზაციის კონტრიბუციით. ამ შემთხვევაში, სავალდებულოდ არ იგულისხმება, რომ აპლიკანტმა ორგანიზაციამ უნდა გაიღოს ფინანსური თანხები პროექტის თანადასაფინანსებლად. კონტრიბუცია შეიძლება მოიცავდეს გარკვეული სამუშაოს უსასყიდლოდ განხორციელებას, ორგანიზაციის რესურსები პროექტისთვის გამოყენებას, გარკვეული სერვისების, რომელსაც აპლიკანტი ორგანიზაცია ახორციელებს შეთავაზებას, რაც

არ საჭიროებს ფინანსურ თანხებს და ა.შ. აქვე გთავაზობთ ბიუჯეტის ნიმუშს, სადაც თანადაფინანსების კომპონენტია გათვალისწინებული: აღნიშნული ნიმუშიც შედგენილია "ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს" საგრანტო განაცხადის ფორმის შესაბამისად.

ბიუჯეტის ნიმუში

N	სამუშაოს/მომსახურების დასახელება	საცალო ღირებულება	რაოდენობა	ფონდიდან მოთხოვნილი თანხა	დაფინანსების სხვა წყაროდან მოთხოვნილი თანხა	სულ
1.	**აღჭურვილობა**					
1.1	კომპიუტერი	800	1		800	800
1.2	პრინტერი	200	1		200	200
	სულ				**1000**	**1000**
2.	**მომსახურება**					
2.1	ვებ-გვერდის დიზაინი და შექმნა	2100		2100		2100
2.2	პროექტის საინფორმაციო უზრუნველყოფა (რეკლამა ინტერნეტის ვებ-გვერდებზე, პოსტერების დამზადება, რადიოში რეკლამა, მორბენალი სტრიქონი, საგაზეთო) რეკლამა	100	8 თვე	300	500	800
2.3	ვებ-გვერდის განახლება	150	6 თვე	900		900
	სულ			**3300**	**500**	**3800**

12. პროექტის შეფასება და მონიტორინგი

პროექტის შეფასება/მიზნები

პროექტის შეფასების ნაწილი ხშირად ერთ-ერთი პრობლემატურია პროექტის შემდგენლებისთვის (ჰოლი და ჰოვალტი, 2003). პროექტის ამ ნაწილის შედგენისას საკმაოდ უჭირთ პროექტის წარმდგენებს ლოგიკური და მკაფიო სისტემის შეთავაზება დონორისთვის, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის რეალურ შეფასებას კონკრეტულ

მეთოდებზე, ინდიკატორებსა და შეფასების კრიტერიუმებზე დაფუძნებით. საინტერესოა, ზოგადად, რა არის პროექტის შეფასება და რა მიზნებისთვის გამოიყენება პროექტის შეფასების ნაწილი.

პროექტის შეფასება არის კონკრეტული სისტემური მიდგომა, რომლის შესაბამისადაც ხდება ინფორმაციის მოპოვება, თუ რამდენად ეფექტურად წარიმართა საქმიანობა პროექტის ფარგლებში, როგორც პროცესის თვალსაზრისით, აგრეთვე მიღებული შედეგებისა და მოკლევადიანი და გრძელვადიანი ზეგავლენის თვალსაზრისით.

პროექტის შეფასების მიზნები

პროექტის შეფასების ნაწილი აუცილებელი კომპონენტია თითქმის ყველა დონორი ორგანიზაციის სააპლიკაციო ფორმაში. შესაბამისად, პროექტის შეფასება სავალდებულოა, როგორც პროექტის შედგენის ეტაპზე, აგრეთვე მისი განხორციელებისას. თუმცა, დონორი ორგანიზაციის სავალდებულო მოთხოვნის გარეშეც პროექტის შეფასება ძალიან მნიშვნელოვანია და საჭიროა თვითონ პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციისთვის. პროექტის შეფასება ემსახურება სამ ძირითად მიზანს:

1. ის გეხმარება, მონიტორინგი გაუკეთო და შეაფასო პროექტის დაგეგმვა და მიმდინარეობა (Formative evaluation - შუალედური შეფასება)
2. შეფასება გეხმარება განსაზღვრო, მოჰყვა თუ არა პოზიტიური ცვლილებები შენი პროექტის განხორციელებას; (Summative evaluation - შემაჯამებელი შეფასება);
3. პროექტის შეფასება გეხმარება, მიღებული შედეგებიდან გამომდინარე, დაგეგმო შენი მომავალი საქმიანობა ან საფუძვლად დაუდო მომავალ საპროექტო წინადადებას.

ზემოთ მითითებული 3 ძირითადი მიზნის გარდა, პროექტის შეფასება რამდენიმე გარემოების გამო არის მნიშვნელოვანი, კონკრეტულად:

- განვსაზღვროთ, მიღწეულია თუ არა ამოცანები;
- დავასაბუთოთ, რომ ჩვენ შევასრულეთ რაც გვქონდა დაგეგმილი;
- დავეხმაროთ სხვებს პროექტის შედეგების გავრცობაში;
- დავადგინოთ წარმოშობილი პრობლემები;
- დავადგინოთ გაუთვალისწინებელი ეფექტები;
- დავგეგმოთ მომავალი აქტივობები.

შეფასების დონეები

პროექტის შეფასების დაგეგმვისას, პროექტის შეფასების 3 დონე გამოიყოფა:

1. პროცესის შეფასება;
2. გავლენის შეფასება;
3. შედეგის შეფასება.

თითოეული ეს დონე გამოიყენება სხვადასხვა მნიშვნელობით და იზომება განსხვავებულად

შეფასების ტიპები

პროცესის შეფასებისას ვსვამთ კითხვას "რა გავაკეთეთ?". შეფასება აკეთებს შედარებას, რა იყო დაგეგმილი და რეალურად რა შესრულდა რაოდენობრივი თვალსაზრისით.

პროცესის შეფასების მაგალითები:

- განხორციელებული აქტივობების რაოდენობა;
- ღონისძიებაზე დამსწრეთა რაოდენობა;
- დამსწრეთა დემოგრაფიული მონაცემები.

შეფასების ტიპები (2)

გავლენის შეფასება აკვირდება პროგრამის მოკლევადიან შედეგებს:

- ცვლილებები ცოდნის, უნარის, დამოკიდებულების;
- ცვლილებები ქმედებების თვალსაზრისით;
- სასურველი მომსახურებისა და აქტივობების ხელმისაწვდომობის ზრდა.

მაგალითები:

- შემცირდა მწეველთა რაოდენობა;
- მოსწავლეებში გაიზარდა კითხვის უნარი;
- გაიზარდა მოსწავლეების აკადემიური მოსწრება;
- შემცირდა ინფიცირებულთა რაოდენობა.

შეფასების ტიპები (3)

შედეგის შეფასება აკვირდება პროგრამის გრძელვადიან გავლენას.
მაგალითად:

- შემცირდა თუ არა ინფიცირებულთა სიკვდილიანობის რაოდენობა;
- შემცირდა თუ არა კრიმინალურ ფაქტებში ახალგაზრდების მონაწილეობის რაოდენობა;

- გამოსწორდა თუ არა ახალგაზრდების ინტეგრაციის ხარისხი;
- გაუმჯობესდა თუ არა მოსახლეობის ყოფითი პირობები.

შენიშვნა: გრძელვადიანი შედეგების შეფასება რთულია და თითქმის წარმოუდგენელი, თუ პროექტი მოკლევადიანია.

პროექტის შეფასების ციკლი

პროექტის შეფასების ციკლი 4 ძირითად ეტაპს მოიცავს: (1) შეფასების გეგმის შემუშავება; (2) შეფასების გეგმის განხორციელება; (3) შეფასების ანალიზი და მონაცემთა ინტერპრეტაცია; (4) შეფასების ანგარიშის მომზადება და წარდგენა. ამ ციკლის თითოეული მონაკვეთი მნიშვნელოვანი სამუშაოების ჩატარებას მოითხოვს, კერძოდ: შეფასების გეგმის შემუშავების ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია, რომ პროექტის შემდგენელმა კარგად იცოდეს და ჩამოაყალიბოს შეფასების მიზანი, აგრეთვე შეფასების პროცესის დაგეგმვისთვის მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, ვისთვისაა განკუთვნილი პროექტის შეფასება (დონორისთვის, ბენეფიციარებისთვის, შიდა მოხმარებისთვის და ა.შ.). დაგეგმვის ეტაპის მნიშვნელოვანი ნაწილია, განისაზღვროს შეფასების ტიპები ანუ მხოლოდ პროცესის შეფასება ხდება თუ ვაფასებთ ზეგავლენასა და შედეგსაც. ამავე ეტაპზე ხდება შეფასების კითხვის ჩამოყალიბება, შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა, შეფასების მეთოდების შერჩევა და შეფასების პროცესისთვის საჭირო ფინანსური რესურსების გაანგარიშება.

შეფასების გეგმის განხორციელება - შეფასების გეგმის განხორციელება იწყება უშუალოდ პროექტის განხორციელებისას. პროექტში განსაზღვრული აქტივობები განსაზღვრავს შეფასების მეთოდებსაც. განხორციელების ეტაპზე მნიშვნელოვანია ვინ ახორციელებს შეფასებას, პროექტის მენეჯმენტი, გარე შეფასების ექსპერტი და ა.შ. ამავე ეტაპზე მნიშვნელოვანია განსაზღვრული ინდიკატორების ბოლომდე ჩამოყალიბება, შეფასებაში მონაწილე ჯგუფის განსაზღვრა, ამ ჯგუფთან ეთიკური საკითხების დარეგულირება და მონაცემთა შეგროვება.

შეფასების ანალიზი და მონაცემთა ინტერპრეტაცია - ამ ეტაპზე უკვე ხდება შეფასების შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავება და ანალიზი. ამ მონაცემების დაზუსტება და მისი საბოლოო ინტერპრეტაცია, რაც იძლევა უკვე საშუალებას, თვალნათელი გახდეს პროექტის შეფასების შედეგად მიღებული შედეგები.

შეფასების ანგარიშის მომზადება და წარდგენა - ყველა მონაცემის ანალიზისა და ინტერპრეტაციის შემდეგ აუცილებელია პროექტის შეფასების ანგარიშის მომზადება. შეფასების ანგარიში უნდა

წარედგინოს დამფინანსებელ ორგანიზაციას, თუმცა, ამასთანავე, მნიშვნელოვანია, თუ პროექტის შეფასების ანგარიში გაშუქდება მედიასაშუალებებით, აგრეთვე წარედგინება ამ საკითხით დაინტერესებულ სხვადასხვა მხარეს. შეფასების ანგარიში აგრეთვე შესაძლებელია მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი აღმოჩნდეს დონორებთან ახალი პროექტის შედგენისას საკითხის დასმის ნაწილისთვის.

შეფასების სტანდარტები.

შეფასების 4 სტანდარტი არსებობს, ანუ პროექტი ფასდება 4 სტანდარტის შესაბამისად:

- სარგებლიანობა;
- პრაქტიკული განხორციელება;
- შესაბამისობა;
- სიზუსტე და აკურატულობა.

აღნიშნული 4 სტანდარტის დაკმაყოფილება უმნიშვნელოვანესია და ოთხივე სტანდარტის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ითვლება, რომ პროექტი წარმატებულად განხორციელდა. რადგან უკვე განვიხილეთ, თუ რას ვაფასებთ და რა სტანდარტებით იზომება პროექტის ეფექტურობა, ალბათ, უპრიანია, განვიხილოთ, თუ რა მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენებით შეიძლება მოვახდინოთ პროექტის შეფასება.

შეფასების მატრიცა

შეფასების მატრიცა არის რთული და მრავალმხრივი შეფასების ორგანიზების ეფექტური მეთოდი. ეს გახლავთ ძალიან ეფექტური ინსტრუმენტი შენი შეფასების სისტემის დონორისათვის გასაგებად წარსადგენად.

შეფასების კითხვა	**შეფასების ეტაპი**	**მონაცემთა წყარო**	**მონაცემთა შეგროვება**	**განრიგი**
რამდენი ადამიანი დაესწრო ტრეინინგს (პროცესის შეფასება)	შუალედური და შემაჯამებელი	პროექტის თანამშრომლები	პროექტის დოკუმენტაცია და ჩანაწერები	6 თვე, 1 წელი, 1,5 წელი
შემცირდა თუ არა მწეველთა როადენობა	შუალედური და	პროექტის მონაწილეები	გამოკითხვა და ინტერვიუები	6 თვე, 1 წელი, 1,5

მიზნობრივ ჯგუფში? (გავლენის შეფასება)	შემაჯამებელი			წელი
შემცირდა თუ არა თემში გულის შეტევით დაღუპულთა რაოდენობა (შედეგის შეფასება)	საჭიროების შეფასებისას და შემაჯამებელი	ადგილო-ბრივი ჯანდაცვის დაწესებულე ბები	ჯანდაცვის დაწესებულე-ბების მონაცემთა ბაზა და დოკუმენტაცია	1,5 წელი, 2 წელი

თავი მეოთხე
სტუდენტური ორგანიზაციები

შესავალი

საქართველოში კანონმდებლობით სტუდენტების უფლებები ცალსახად დაცულია. სტუდენტებს აქვთ როგორც სწავლის, აგრეთვე სწავლის პროცესში აქტიური მონაწილეობის უფლება სტუდენტურ ცხოვრებაში. ამ თავში განვიხილავთ სტუდენტის ძირითად უფლებებსა და როგორ შეიძლება აქტიურმა სტუდენტმა მოახდინოს ამ უფლებების რეალიზება.

საქართველოში ყველა სტუდენტს გარანტირებული აქვს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება; საქართველოს ყველა სტუდენტი თანასწორია; საქართველოს ყველა სტუდენტის მონაწილეობა და ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში გარანტირებულია საქართველოს კანონმდებლობით; საქართველოში სტუდენტების მონაწილეობა სტუდენტურ თვითმმართველობასა თუ სტუდენტური ორგანიზაციის საქმიანობაში შეუზღუდავია. შესაბამისად, ყველა ეს უფლება საჭიროებს პრაქტიკულ რეალიზებას. ამ თავში განვიხილავთ, თუ როგორ შეუძლიათ სტუდენტებს ამ უფლებათა რეალიზება და აგრეთვე ამ უფლებათა რეალიზებისთვის არსებულ საუკეთესო გამოცდილებას მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტთა საქმიანობის მაგალითზე.

1. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების რეალიზების ინსტრუმენტები

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლებაა, რომელიც სტუდენტს, ისევე, როგორც ყველა მოქალაქეს გააჩნია. აღნიშნული უფლება გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს კანონმდებლობით.

სტუდენტებს, რა თქმა უნდა, გააჩნიათ სურვილი, გამოხატონ საკუთარი თავი, წარმოადგინონ საკუთარი პოზიცია ნებისმიერ საკითხზე. განსაკუთრებით, თუ ეს საკითხი მათ სტუდენტურ ცხოვრებას ეხება. ამ გზამკვლევის კონტექსტში საინტერესოა, თუ რომელია ფართოდ გავრცელებული სტუდენტების მიერ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის ყველაზე ფართოდ დამკვიდრებული ინსტრუმენტები. ამ ინსტრუმენტებიდან სამ ძირითად და ყველაზე ფართოდ გავრცელებულ ინსტრუმენტს წარმოგიდგენთ და პრაქტიკულ მაგალითებს მოგაწვდით.

ესენია: (ა) სტუდენტური კლუბები; (ბ) სტუდენტური ჟურნალები და გაზეთები; (გ) ინტერნეტმედია (ვებ-გვერდები, ონლაინ ფორუმები, ონლაინ დისკუსიები, ბლოგები და ა.შ.

(ა) სტუდენტური კლუბები

სტუდენტური კლუბები ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ფორმაა სტუდენტების საქმიანობისას. აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა კლუბები ფართოდაა გავრცელებული საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. სტუდენტურ კლუბებს ქმნიან სტუდენტები, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე და კლუბების საქმიანობის ფარგლებში ახდენენ საკუთარი ინტერესების რეალიზებას. ქვემოთ წარმოგიდგენთ საქართველოს ორი უნივერსიტეტის მაგალითზე, თუ რა ტიპის კლუბები არსებობს და რა საქმიანობას ეწევიან ეს კლუბები.

საქართველოს უნივერსიტეტის კლუბები

საქართველოს უნივერსიტეტი კერძო უმაღლესი სასწავლებელია. ამ უმაღლეს სასწავლებელში არაერთი კლუბია ჩამოყალიბებული სტუდენტების მიერ და სხვადასხვა აქტივობებს მართავენ კლუბების ფარგლებში, კერძოდ:

ტურიზმის კლუბი

ტურიზმის კლუბი არის სტუდენტთა გართობაზე და სწავლისგან განტვირთვაზე ორიენტირებული კლუბი. კლუბი შემდეგ ღონისძიებებს ახორციელებს სტუდენტებისთვის: ექსკურსიები, ლაშქრობები, ჯომარდობა, ესქტრემალური სპორტი, ქემფინგი...

კინოსა და თეატრის კლუბი

კინოსა და თეატრის კლუბის მიზანია სტუდენტებს შესთავაზოს არა მხოლოდ გემოვნებიანი ფილმები, არამედ სხვადასხვა სახის აქტივობები, რომლებიც კინემატოგრაფიასთან არის დაკავშირებული. კლუბმა ასევე ჩამოაყალიბა საუნივერსიტეტო თეატრალური დასი, სტუდენტების მონაწილეობით. დასს ხელმძღვანელობს პროფესიონალი რეჟისორი. ასევე იმართება სხვადასხვა სახის ლიტერატურული თუ შემოქმედებითი საღამოები.

მუსიკის კლუბი

მუსიკის კლუბის მიზანია, სტუდენტებისგან ჩამოაყალიბოს სხვადასხვა სახის მუსიკალური ჯგუფები, რომლებიც სტუდენტებს შესთავაზებენ სხვადასხვა სახის მუსიკალურ ღონისძიებას.

ხელოვნების კლუბი
კლუბის მიზანია სტუდენტებისთვის გახადოს მიმზიდველი ხელოვნება და ამისთვის სთავაზობს ინტენსიურ გასვლებს სხვადასხვა შემეცნებით ადგილებში. ეს იქნება მუზეუმები, გამოფენები, ფესტივალები, კონკურსები, სახლმუზეუმები და ა.შ.

მაგიდის ჩოგბურთის კლუბი
მაგიდის ჩოგბურთის კლუბში გაერთიანებულნი არიან საქართველოს უნივერსიტეტის ის სტუდენტები, რომლებიც სპორტის ამ სახეობით არიან გატაცებულნი და მის პოპულარიზაციას უწყობენ ხელს. კლუბი ატარებს სპორტის ამ სახეობაში სხვადასხვა ტურნირს და უზრუნველყოფს სტუდენტთა აქტიურ ჩართვას ამ ტურნირებში.

კლუბი კანუდოსი
კლუბ კანუდოსის მიზანია სტუდენტების გააქტიურება სხვადასხვა მიმართულებით. კლუბი მიზნად ისახავს, ჩაატაროს სხვადასხვა სახის ღონისძიებები და აქტივობები. სპორტული შეჯიბრებები, ქალაქგარეთ გასვლები, ლაშქრობა, კინო ჩვენება. სხვადსხვა სახის კონკურსები. ტრეინინგები. მოაწყოს დებატები, შექმნას კანუდოსის გაზეთი და ა.შ.

სპორტის კლუბი
სპორტის კლუბის მიზანია სტუდენტების ჩართვა სპორტულ აქტივობებში და მათთვის კლუბი გეგმავს სპორტის სხვადასხვა მიმართულებებში ჩემპიონატების მოწყობას. ასევე შექმნილია გულშემატკივართა (ფან) კლუბი, რომელიც გაამხნევებს უნივერსიტეტის ყველა სპორტულ ნაკრებს.

ექსტრემალური სპორტის კლუბი (X-sport)
"X - sports კლუბის" მიზანია, ორგანიზება გაუწიოს სხვადასხვა აქტივობას და მოუწოდოს საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტებს ჯანსაღი ცხოვრებისკენ. მოახდინოს ისეთი ექსტრემალური სპორტის სახეობების პოპულარიზაცია, როგორიცაა: აირსოფტი, ბაიკინგი, სნოუბორდინგი, ექსტრემალური კამპინგი, კლდეზე ცოცვა, კარტინგი და სხვა.

კლუბი „დახმარების ხელი“
კლუბის მიზანია, ქველმოქმედებით დაეხმაროს მზრუნველობამოკლებულ ბავშვებსა და მოხუცებს. ასევე, შემწეობა გაუწიოს სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფ მრავალშვილიან ოჯახებს. კლუბი ორგანიზებას უწევს საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტებს და საშუალებას აძლევთ მათ, შემოწირულობების სახით დაეხმარონ სოციალურად დაბალი ფენის წარმომადგენლებს. კლუბის საქმიანობით

არაერთი სოციალურად შეჭირვებული ოჯახის დახმარება ხორციელდება სტუდენტთა მიერ.

თანასწორთა განათლების კლუბი – ფალკონები

თანასწორთა განათლება არის მსოფლიოში გავრცელებული არაფორმალური განათლების ერთ-ერთი სახე, რაც გულისხმობს სტუდენტების მიერ ერთმანეთის განათლებას. კლუბი ატარებს სხვადასხვა სახის სემინარებს, ტრეინინგებს და სხვა შემეცნებით აქტივობებს სტუდენტებისათვის და არაფორმალური განათლების გზით ცდილობს სტუდენტებისთვის ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების განვითარებას.

დებატ კლუბი

დებატ კლუბის მიზანია საქართველოს უნივერსიტეტში დებატების კულტურის ამაღლება სტუდენტებში. კლუბი სხვადასხვა თემაზე მართვას დებატებს, კონფერენციებს, პრეზენტაციებს და დისკუსიებს.

პოლიტიკური კლუბი

"პოლიტიკური კლუბის" მიზანია სტუდენტების გააქტიურება, მათი გათვითცნობიერება და თვითშეგნების ამაღლება სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხზე დებატების, კონფერენციებისა და სხვა მსგავსი აქტივობების მოწყობის გზით.

ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის კლუბი (EBM)

კლუბის მიზანია სტუდენტებისთვის ეკონომიკაში მიმდინარე აქტუალურ თემებზე სემინარების მოწყობა. ასევე, სხვადასხვა სახის სიმულაციების დაგეგმვა, დებატების მოწყობა. ყოველივე ეს დაეხმარება სტუდენტებს, მუდმივად ეცნობოდნენ და აანალიზებდნენ, როგორც ეკონომიკისა და ბიზნესის სექტორის, ასევე სხვა სფეროს განვითარების ტენდენციებს საქართველოსა და მსოფლიოს მასშტაბით.

საქართველოს უნივერსიტეტი კერძო უმაღლესი სასწავლებელია და ამ სასწავლებელში არაერთი საინტერესო კლუბი ფუნქციონირებს, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების უფლებებისა და ინტერესების რეალიზებას, აგრეთვე სტუდენტთა სტუდენტურ ცხოვრებაში ჩართულობას. ანალოგიური კლუბები სხვა კერძო თუ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებშიც ფუნქციონირებს. მათ შორის საინტერესოა ილიას უნივერსიტეტში არსებული სტუდენტური კლუბები და მათი საქმიანობის სპეციფიკა.

ილიას უნივერსიტეტის კლუბები

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2011 წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა 15 სტუდენტური კლუბი, მთლიანობაში კი უნივერსიტეტში ამჟამად 22 სტუდენტური კლუბი ფუნქციონირებს.

ფილოსოფოსთა კლუბი

სტუდენტებში დიდი პოპულარობით სარგებლობს **ფილოსოფოსთა კლუბი**, რომელიც სემესტრის განმავლობაში კვირაში ერთხელ მართავს სტუდენტებთან შეხვედრებს, იწვევს გამოცდილ სპეციალისტებს ამ დარგში და ასევე თვეში ორჯერ აწყობს კინოჩვენებებსაც. კლუბი ასევე ეხმარება უნივერსიტეტის პირველკურსელებს, სავალდებულო საგნის „შესავალი თანამედროვე აზროვნებაში“ ტექსტების განხილვასა და მის დამუშავებაში.

ახალგაზრდა პოლიტოლოგთა და ევროპისმცოდნეთა კლუბი

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ბაზაზე ჩამოყალიბებულია ისეთი კლუბები, როგორიცაა: **ახალგაზრდა პოლიტოლოგთა და ევროპისმცოდნეთა კლუბი, ახალგაზრდა სოციოლოგთა კლუბი და ახალგაზრდა ფსიქოლოგთა კლუბი,** რომლებიც რეგულარულად აწყობენ შეხვედრებს და ორიენტირებულნი არიან თავიანთი სფეროს მიხედვით ცოდნის გაღრმავებასა და გამოცდილების შეძენაზე.

საპარლამენტო დებატების კლუბი

საპარლამენტო დებატების კლუბი ილიას სახელწიფო უნივერსიტეტში დააარსეს „საქართველოს დებატების და განათლების ინსტიტუტის“ წარმომადგენლებმა. კლუბის მუშაობა მოიცავს ყოველკვირეულ ორსაათიან შეხვედრებს, რომლის დროსაც მისი წევრები შეისწავლიან საპარლამენტო დებატების ფორმატს. განიხილავენ სხვადასხვა საკითხს, რომლთა განხილვა ხდება საზოგადოებაში და აქტუალურია. სწავლობენ საპარლამენტო მუშაობისა და დებატების წარმოების სპეციფიკას.

ინკლუზიური განათლების კლუბი

ილიას უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებმა ჩამოაყალიბეს **ინკლუზიური განათლების პროფესიული კლუბი,** რომლის მიზანია სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე ადამიანების ინტეგრაცია საზოგადოებაში და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართვა.

უნიკინოს კლუბი

ილიას უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ორგანიზაცია „უნიკინო.“ „უნიკინოს“ ბაზაზე ჩამოყალიბდა ასევე **„უნიკინოს კლუბი“,** რომლის მიზანია, რეგულარულად მოიწვიოს უნიკინოში სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი სტუმრები, რომლებიც გამართავენ დისკუსიას სტუდენტებთან „უნიკინოში“ გაშვებული ფილმების შესახებ. ილიას უნივერსიტეტში უნიკინოს კლუბის გარდა, ამ მიმართულებით შექმნილია **ესპანური და გერმანულენოვანი კინოკლუბები**. აღნიშნული კლუბის წევრები სემესტრის განმავლობაში მორიგეობით, ყოველ ხუთშაბათს უშვებენ ფილმებს, ხოლო სტუდენტებს სურვილის მიხედვით აქვთ საშუალება, თარგმნონ ფილმების ესპანური და გერმანული სუბტიტრები ქართულად.

შემოქმედთა კლუბი „ლემადე“

შემოქმედთა კლუბი "ლემადე" არის ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის შემოქმედთა კლუბი, რომელიც ასევე აერთიანებს სხვადასხვა უნივერსიტეტის ხელოვან სტუდენტებს. კლუბის მიზანია ნიჭიერი სტუდენტების – პროექტების, მუსიკოსების, მხატვრების და ა.შ. აღმოჩენა და შემოქმედებითი საღამოების საშუალებით მათი სხვებისთვის გაცნობა.

ფეხბურთის მოყვარულთა კლუბი

ფეხბურთის მოყვარეულთა კლუბში გაწევრიანებული არიან როგორც ადმინისტრაციის თანამშრომლები და სტუდენტები, ასევე აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებიც. წევრები კვირაში ერთხელ იკრიბებიან სპორტკომპლექს „ქარიშხალაზე“ ფეხბურთის სათამაშოდ. კლუბი ორგანიზებას უწევს სხვადასხვა ტურნირებს ფეხბურთში, აგრეთვე უზრუნველყოფს სხვადასხვა საფეხბურთო მატჩებზე სტუდენტთა დასწრების და ერთობლივი გულშემატკივრობის ორგანიზებას. **ილიაუნის სპორტული ფანკლუბის** წევრები საკმაოდ აქტიურად გულშემატკივრობენ ილიას უნივერსიტეტის სპორტულ კლუბებს სხვადასხვა შეჯიბრებასა თუ სპორტულ ღონისძიებებში.

ჩამოთვლილი კლუბების საქმიანობის აღწერა თვალნათელს ხდის, რომ სტუდენტური კლუბები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სტუდენტთა ინტერესების განსახორციელებლად და მათი გამოხატვის თავისუფლების უზრუნველსაყოფად. ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია საკუთარი შეხედულებებით გაწევრიანდეს ნებისმიერ კლუბში ან თანამოაზრეებთან ერთად, თვითონ შექმნას სტუდენტური კლუბი, რომლის ფარგლებშიც შეძლებს, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, საკუთარი თავის რეალიზაციას.

ბ. სტუდენტური გაზეთები და ჟურნალები

სტუდენტური კლუბების გარდა, სტუდენტთა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების პრაქტიკული რეალიზების ერთ-ერთი აქტიური ინსტრუმენტი სტუდენტური გაზეთებისა და ჟურნალების გამოცემა და სტუდენტებში გავრცელებაა. ამ თვალსაზრისითაც საქართველოში არსებობს ძალიან საინტერესო გამოცდილება სხვადასხვა უნივერსიტეტში, როცა სტუდენტები გამოსცემენ საკუთარ გაზეთსა და ჟურნალს და გამოხატავენ და ავრცელებენ საკუთარ პოზიციასა და მოსაზრებებს ამ ჟურნალისა და გაზეთის საშუალებით. მოკლედ, გაგაცნობთ საქართველოში სტუდენტების მიერ გამოცემულ რამდენიმე ჟურნალსა და გაზეთს, მათი საქმიანობის მიზნებსა და მიმართულებებს.

გაზეთი „თსუ თაიმსი“

"თსუ თაიმსი" დაარსდა 2008 წლის 17 აპრილს, რითაც პირველი ქართული სასწავლებლის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის სტუდენტებმა, საუნივერსიტეტო ახალგაზრდული მედიის განვითარებაში, საკუთარი წვლილი შეიტანეს. გაზეთის რედაქციას მუშაობის და გამოცდილების 10-წლიანი გამოცდილება გააჩნია, რადგანაც "თსუ თაიმსამდე" გამოიცემოდა საფაკულტეტო გაზეთი - "ახალგაზრდა იურისტი".

"თსუ თაიმსი" წარმოადგენს ყოველთვიურ გამოცემას, რედაქცია დაკომპლექტებულია სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებისაგან. სარედაქციო ურთიერთობებს არეგულირებს სამოქმედო დებულება, (ძალაშია 2009 წლის 1 მარტიდან) გაზეთს არჩეული აქვს გამოცემის ანალიტიკური პროფილი, აშუქებს ყოველთვიურად საქართველოსა და უცხოეთში მიმდინარე მთავარ ამბებს, საზოგადოების ყველაზე აქტუალურ თემებს, უნივერსიტეტისა და სტუდენტური ცხოვრების მნიშვნელოვან სიახლეებს, ქართული სამართლებრივი ცვლილებების ანალიზს, განსაზღვრავს ყოველი ნომრისთვის საჭირო რუბრიკების საჭიროებას, სპეცნომრებსა თუ საგაზეთო ჩანართებს. გარდა ამისა, რედაქცია ახორციელებს თემატურ სემინარებს, კონფერენციებს თუ სხვადასხვა სახის ახალგაზრდულ ღონისძიებებს.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტური გაზეთი „სტუდენტური ზონა და ჟურნალი „ბინული“

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტები გამოცემენ როგორც გაზეთს „სტუდენტური ზონა“, აგრეთვე ჟურნალს „ბინული“. გაზეთი და ჟურნალი სტუდენტებისთვისაა განკუთვნილი და უნივერსიტეტში მიმდინარე სტუდენტური ცხოვრების შესახებაა

წარმოდგენილი ინფორმაციები, ანალიტიკური სტატიები, ინტერვიუები და ა.შ.

სტუდენტური გაზეთი „სტუდენტური news”-ი
აღნიშნული სტუდენტური გაზეთი 2008 წლიდან გამოიცემა. გაზეთი აშუქებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე მოვლენებს - საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული და სტუდენტური ცხოვრების სიახლეებს. გაზეთი დამოუკიდებელია და თვეში ერთხელ გამოდის. "სტუდენტური news"-ის პარტნიორი 27 უმაღლესი სასწავლებელია, რომლებიც აქტიურად თანამშრომლობენ გაზეთთან.

გ. ონლაინ მედია

ონლაინ მედია ერთ-ერთი უმნიშველოვანესი ინსტრუმენტი სტუდენტური ცხოვრების გააქტიურების, სტუდენტთა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველსაყოფად. აქვე გაგაცნობთ რამდენიმე საინტერესო სტუდენტურ ინტერნეტ მედიას, რომელიც სხვადასხვა მიზნებითა და მოსაზრებებით არის შექმნილი და სხვადასხვა მიმართულებით ახორციელებს თავიანთ საქმიანობას.

სტუდენტური ბლოგი http://studentebi.com/
სტუდენტთა ჯგუფმა გადაწყვიტა თავისი მოსაზრებები გაევრცელებინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ ვითარებაზე. ამ სტუდენტებს მიაჩნდათ, რომ სტუდენტური ცხოვრების განუყრელი ატრიბუტი უნდა გახდეს სამოქალაქო აქტივობა და გარემომცველი სამყაროს პროგრესირებისკენ სწრაფვა.

ბლოგის შექმნაც ამიტომ გადაწყვიტეს. ამ ბლოგის ავტორ სტუდენტებს სურთ, გამოხატონ თავიანთი პოზიცია საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებისადმი. ამ ბლოგზე იწერება აქტუალური სტატიები სტუდენტური და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მიმართულებით.

თსუ სტუდენტური ფორუმი http://www.forum.tsu.ge
თსუ-ს სტუდენტური ფორუმი — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალური ფორუმია. იგი შექმნილია სტუდენტების მიერ სტუდენტებისათვის (და არა მარტო მათთვის), რათა გაუზიარონ ცოდნა და უკეთ გაიცნონ ერთმანეთი, ჰქონდეთ ინფორმაცია უნივერსიტეტში მიმდინარე მოვლენებზე. ფორუმი დაყოფილია ფაკულტეტებად და ინტელექტუალურ განყოფილებებად,

სადაც ფორუმელებს საშუალება ეძლევათ, მიიღონ ინფორმაცია მათთვის საინტერესო თემებზე. ფორუმი გაიხსნა 2007 წელს. ფორუმში დარეგისტრირებულია და ათვალიერებს რამდენიმე ათასი წევრი.

სტუდენტური ვებ-გვერდი www.civileducation.ge

ვებ-გვერდი www.civileducation.ge შეიქმნა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე „საშეღავათო პოლიტიკის“ ფარგლებში ჩარიცხული სტუდენტების მიერ. ამ ვებ-გვერდის მიზანია ეთნიკური უმცირესობის სტუდენტების სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა, პოზიტიური ინტერკულტურული ურთიერთობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, სტუდენტის სამოქალაქო მონაწილეობის და აქტიურობის გაზრდის მიზნით. აღნიშნულ ვებ-გვერდზე სტუდენტებს მიეწოდებათ სიახლეები სტუდენტური ცხოვრების შესახებ და სრული ინფორმაცია სამოქალაქო აქტივობასთან დაკავშირებული პროგრამების შესახებ. ვებ-გვერდზე წარმოდგენილია სტუდენტებისთვის საჭირო და აქტუალური საკანონმდებლო ბაზა. ვებ-გვერდზე არის ფორუმისა და ბლოგის ნაწილები, სადაც სტუდენტები განიხილავენ მათთვის აქტუალურ საკითხებს.

3. სტუდენტური თვითმმართველობები

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების საფუძველზე იქმნება ფაკულტეტების მიხედვით არჩეული სტუდენტური თვითმმართველობა.

ფაკულტეტებზე არჩეული სტუდენტური თვითმმართველობების ერთობლიობა წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითმმართველობას, რომელიც შეიმუშავებს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებას.

სტუდენტური თვითმმართველობა, თავისი დებულების შესაბამისად:

ა) უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში;

ბ) ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას;

გ) ირჩევს წარმომადგენლებს ფაკულტეტის საბჭოში;

დ) უფლებამოსილია შეიმუშავოს წინადადებები ფაკულტეტის ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელთაც წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს, წარმომადგენლობით საბჭოსა და აკადემიურ საბჭოს;

ე) განახორციელებს დებულებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას უფლება არ აქვს, ჩაერიოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში.

სტუდენტური თვითმმართველობების შესახებ საქართველოს კანონის შესახებაც მოგახსენებთ. ის წარმართავს უნივერსიტეტში სტუდენტურ ცხოვრებას. მისი მიზანია, სტუდენტების პრობლემებზე იყოს ორიენტირებული და მათი პრობლემები უნივერსიტეტის ადმინისტრაციამდე და აკადემიურ პერსონალამდე მიიტანოს. სტუდენტურ თვითმმართველობას აქვს მედიატორის ფუნქცია სტუდენტებსა და აკადემიურ თუ ადმინისტრაციულ პერსონალს შორის. გარდა ამისა სტუდენტური თვითმმართველობის მიზანია ხელი შეუწყოს არაფორმალური განათლების განვითარებას, სტუდენტების სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართვას. სტუდენტური თვითმმართველობა ასევე ისახავს მიზნად განახორციელოს სხვადასხვა სახის კულტურული, შემეცნებითი პროექტებიც, რაც გულისხმობს სტუდენტების თავისუფალი დროის დაგეგმვას. თვითმმართველობას აქვს ოთხი ძირითადი მიმართულება: კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, სპორტული ღონისძიებების ორგანიზება, ექსკურსიების მოწყობა და საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებების ორგანიზება.

თვითმმართველობის ძირითადი მიზანი და ამოცანაა სტუდენტთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვა და სტუდენტთა სამოქალაქო აქტიურობის გაზრდა, მათი ადმინისტრაციული და სასწავლო პრობლემების მოგვარება. სტუდენტური თვითმმართველობები ყველა უნივერსიტეტში დაახლოებით ერთსა და იმავე ღონისძიებებს ახორციელებს.

"უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის საფუძველზე შექმნილი ორგანიზაციები წარმოადგენენ სტუდენტთა მთავარ ორგანიზაციებს. სტუდენტური თვითმმართველობების საქმიანობა ხორციელდება ამ ორგანიზაციების დებულებებით. აქვე გთავაზობთ სტუდენტური თვითმმართველობების მიერ სხვადასხვა უნივერსიტეტში განხორციელებული პროექტების ჩამონათვალს და აღწერას. აღნიშნული ნათელ წარმოდგენას შეგიქმნით, თუ რა ტიპის ღონისძიებები ტარდება ამა თუ იმ თვითმმართველობის მიერ და როგორ შეუძლია სტუდენტს ამ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობა:

ქუთაისის ეროვნული სასწავლო უნივერსიტეტი

1. სტუდენტური თვითმართველობის ინიციატივითა და სტუდენტთა შემოწირულობით მოეწყო **საქველმოქმედო აქცია წყალწითელას მოხუცთა პანსიონატის ბენეფიციარებისათვის.** მოხუცებს კი გადაეცათ მრავალნაირი ნუგბარი. იგეგმება ასეთი სახის მრავალჯერადი აქციები:

1. ქესუ-ს ადმინისტრაცია და სტუდენტური თვითმმართველობა მასპინძლობდნენ საშუალო სკოლა „იმედის“ უფროს კლასელებს. ახალგაზრდების სტუმრობის მიზანი იყო მომავალი პროფესიისა და სასწავლებლის სწორად არჩევა;
2. სტუდენტურმა თვითმმართველობამ ჩაატარა მსგავსი სპორტული შეჯიბრება ფეხბურთში და გამოვლინდა გამარჯვებული გუნდი - ეკონომიკის სპეციალობის პირველი კურსი. მას გადაეცა უნივერსიტეტის გარდამავალი თასი.

საქართველოს უნივერსიტეტი

1. ჩემპიონატი ჭადრაკში - საქართველოს უნივერსიტეტში ჩატარდა ჭადრაკის ჩემპიონატი;
2. დახმარების ხელი მზრუნველობა მოკლებული ბავშვებისთვის - საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტური კლუბის, დახმარების ხელის მიერ განხორციელდა პროექტი მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის;
3. პროექტი უნარშეზღუდული ბავშვებისთვის - საქართველოს უნივერსიტეტის მოსწავლეთა კლუბის წევრებმა განახორციელეს პროექტი უნარშეზღუდული ბავშვებისთვის;
4. სამართლის ოლიმპიადა - საქათველოს უნივერსიტეტში ჩატარდა სამართლის ოლიმპიადა, რომელსაც ორგანიზება გაუწიეს, სამართლის სკოლის სტუდენტებმა;
5. ბოულინგის ჩემპიონატი - საქართველოს უნივერსიტეტის სპორტის კლუბისა და ბოულინგ ცენტრალის ორგანიზებით, მოეწყო ბოულინგის ჩემპიონატი;
6. Red Bull Jump & Freeze -კვირას, 18 მარტს, გუდაურში გაიმართა Red Bull-ის მიერ ორგანიზებული ექსტრემალური შეჯიბრი Jump & Freeze, სადაც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს უნივერსიტეტის X-Sports კლუბის წევრებმა და სხვა სტუდენტებმა;
7. სემინარი, საქართველოს სახელმწიფო ქონება და მისი მართვა - საქართველოს უნივერსიტეტის ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის კლუბის ორგანიზებით ჩატარდა სემინარი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან თანამშრომლობით;
8. ტური გუდაურში - საქართველოს უნივერსიტეტის X-Sports კლუბმა საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტებს, შესთავაზა ტური გუდაურში, რომელშიც შედიოდა მიკროავტობუსებით მგზავრობა, კვება და სპორტული ინვენტარი;

9. მსოფლიო კულტურის დღეები - გერმანია საქართველოს უნივერსიტეტის არტ-კლუბმა მოაწყო გერმანული კულტურის დღეები, მსოფლიო კულტურის დღეების ჭრილში;
10. ტურნირი გრეხედბოლში - საქართელოს უნივერსიტეტის „სხვადასხვა აქტივობების“ კლუბმა ჩაატარა ტურნირი გრეხედბოლში (ჩოგბურთი ფეხით);
11. სემინარი: საქართველოს ეკონომიკური განვითარება. მომხსენებელი ფინანსთა მინისტრი დიმიტრი გვინდაძე საქართველოს უნივერსიტეტის EBM კლუბმა ჩაატარა სემინარი: "საქართველოს ეკონომიკური განვითარება" მომხსენებელი იყო ფინანსთა მინისტრი დიმიტრი გვინდაძე;
12. Independent Party 26 მაისს, კლუბ Status-ში (ბარათაშვილის ხიდის ქვეშ), საქართველოს უნივერსიტეტი სტუდენტებისათვის გაიმართა დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავი ღონისძიება „Independent Party”, სადაც იყო უამრავი გათამაშება.

სტუდენტური თვითმმართველობა წარმოადგენს პლატფორმას სტუდენტებისთვის საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად და, ამავე დროს, სხვადასხვა სტუდენტურ ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობისთვის. სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტური თვითმმართველობები ითვლება სტუდენტების ერთადერთ წარმომადგენლობით ორგანოდ, უმაღლეს სასწავლებელთა უმრავლესობაში თვითმმართველობებმა ვერ მოიპოვეს სტუდენტებისგან ფაქტობრივი ლეგიტიმაცია. სტუდენტთა დიდი ნაწილი არ ერთვება სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში და ამ ღონისძიებებით მხოლოდ სტუდენტთა მცირე ჯგუფი სარგებლობს. შესაბამისად, სტუდენტთა ასეთი თვითმმართველობების არსებობა საზოგადოებაში კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, აქტიურად დაიწყო ალტერნატიული სტუდენტური ორგანიზაციების შექმნა, რომლებიც უფრო აქტიურად იცავენ თავიანთი წევრების უფლებებსა და ინტერესებს. მოკლედ შევეხებით ასეთი სტუდენტური ორგანიზაციების საქმიანობებს.

4. სტუდენტური ასოციაციები

ლაბორატორია 1918

„ლაბორატორია 1918“ წარმოადგენს სტუდენტთა თვითორგანიზებულ ორგანიზაციას, რომელიც ძირითადად აერთიანებს სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებს, პედაგოგებს და ყველა ადამიანს ვინც იზიარებს ლაბორატორიის პრინციპებსა და მიზნებს. გაერთიანება

მიზნად ისახავს საზოგადოებრივი აქტივობის ფორმებით ხელი შეუწყოს სრულფასოვანი, თანამედროვე სტანდარტებისა და გამოწვევების შესაბამისი საგანამათლებლო პროცესის ფორმირებას საქართველოში.

ძირითადი მიზნები:

- განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობა;
- უნივერსიტეტების ავტონომია;
- სამოქალაქო აქტივიზმი.

"საქართველოს აზერბაიჯანელ სტუდენტთა ასოციაცია" GATA

2008 წელს დაფუძნდა და მასში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები სტუდენტი ახალგაზრდები არიან გაერთიანებულნი. ასოციაცია ჩართულია სხვადასხვა პროექტის განხორციელებაში, რომლებიც საქართველოს მოქალაქე, ეროვნებით აზერბაიჯანელი ახალგაზრდების საზოგადოებაში სრულფასოვან ინტეგრაციას ისახავს მიზნად.

ასოციაციის ძირითადი მიმართულებებია: სტუდენტთა უფლებები, ახალგაზრდობა, ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის ხელშეწყობა.

"დამოუკიდებელ სტუდენტთა ასოციაცია"

„დამოუკიდებელ სტუდენტთა ასოციაცია" წარმოადგენს ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებულ სტუდენტურ გაერთიანებას, რომლის მიზანია სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტების უფლებების დაცვა.

სტუდენტური ასოციაცია „გახდი თანამონაწილე"

სტუდენტური ასოციაცია „გახდი თანამონაწილე" შეიქმნა 2011 წელს. ამ ასოციაციის წევრები არიან უმაღლეს სასწავლებლებში „საშეღავათო პოლიტიკის" შედეგად ჩარიცხული სტუდენტები. ასოციაციის ძირითად მიზანს და საქმიანობის პრიორიტეტებს წარმოადგენს:

- უმცირესობათა წარმომადგენელი სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების წარმოდგენა, როგორც უნივერსიტეტში, ისე მის ფარგლებს გარეთ;
- სტუდენტებისთვის მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების განხორციელებაში დახმარება; მათი უფლებებისა და თავისუფლებების პრაქტიკულ რეალიზაციაში ხელშეწყობა;
- სტუდენტებისთვის მაღალკვალიფიციური განათლების მიღების, თვითრეალიზებისა და დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

- სტუდენტებისთვის სწავლის პერიოდში პროფესიული უნარ-ჩვევებისა და კონკურენტუნარიან პროფესიონალად ჩამოყალიბებაში დახმარების გაწევა;
- სტუდენტებში სამართლებრივი თვითშეგნების დონისა და კანონისადმი პატივისცემის ამაღლების, საქართველოში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის ხელშეწყობა;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის საფუძველზე სასწავლო პროცესთან და მატერიალურ მხარესთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის ხელშეწყობა;

სტუდენტური ასოციაციები სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობის პარალელურად ცდილობენ, უფრო სტუდენტთა ვიწრო ჯგუფის ინტერესებისა და უფლებების დაცვასა და რეალიზებას. შესაბამისად, ასეთი ორგანიზაციების გაფართოება და საქმიანობის ხელშეწყობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სტუდენტური ცხოვრების გაჯანსაღების პროცესისთვის.

5. სტუდენტური ორგანიზაციებისა და სტუდენტური თვითმმართველობების საქმიანობა საზღვარგარეთ

საქართველოში სტუდენტური თვითმმართველობის უმრავლესობა საგანმანათლებლო, სპორტული და რეკრეაციული ღონისძიებების ორგანიზებაზეა ორიენტირებული. საზღვარგარეთის ქვეყნებში სტუდენტური თვითმმართველობები ყოველწლიურად, უფრო მეტიც, ყოველდღიურად იკვლევენ და განსაზღვრავენ თავიანთი წევრების საჭიროებებს. სწორედ სტუდენტების საჭიროებებიდან გამომდინარე იგეგმება სტუდენტური ორგანიზაციების სტრატეგია, ბიუჯეტი, ღონისძიებები და აქტივობები. ღონისძიებები და აქტივობები მუდმივად ერთი მიმართულებით არ ხორციელდება, რადგან დინამიურ 21-ე საუკუნეში ძალიან სწრაფად ხდება სტუდენტების ახალი და განხვავებული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათზე რეაგირება.

სტუდენტთა საჭიროებების მრავალფეროვნებამ ცალსახად დააყენა სტუდენტური ორგანიზაციების დეცენტრალიზაციისა და სპეციფიკური საქმიანობის წარმოების აუცილებლობა. უმაღლეს სასწავლებელში მხოლოდ ერთი სტუდენტური თვითმმართველობა ვერ უზრუნველყოფს მეტ-ნაკლებად ყველა სტუდენტის ინტერესებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებას, რაც არ უნდა ლეგიტიმურად არჩეულ სტუდენტთა წარმომადგენლობით ორგანოებს წარმოადგენდეს. შესაბამისად, უმაღლესი სასწავლებლების ფარგლებში ფუნქციონირებს არაერთი

სტუდენტური ორგანიზაცია, რომელიც კონკრეტული სტუდენტების ინტერესებს იცავს და საჭიროებებიდან გამომდინარე შესაბამის ღონისძიებებს გეგმავს (მაგალითად, საერთაშორისო სტუდენტთა ასოციაცია, ლათინოამერიკელ სტუდენტთა ასოციაცია და ა.შ.) უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ხელს უწყობს და თანამშრომლობს ყველა მსგავს სტუდენტურ ორგანიზაციებთან, რათა უმაღლესი სასწავლებლის ყველა სტუდენტის საჭიროებებიდან გამომდინარე იმოქმედონ სტუდენტურმა ორგანიზაციებმა.

ქვემოთ მოკლედ წარმოგიდგენთ საზღვარგარეთის ქვეყნების სტუდენტური ორგანიზაციების საქმიანობის ზოგიერთ მიმართულებასა და მათ აღწერას:

წარმომადგენლობა - წარმომადგენლობა გულისხმობს სტუდენტების ინტერესების წარმოადგენას უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციასთან, სხვადასხვა კომიტეტებში და ორგანიზაციებში. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას სტუდენტური ასოციაციების წევრები, საკუთარი სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებენ საკუთარი წევრი სტუდენტების უფლებებისა და ინტერესების დაცვას, მათი მოსაზრებების ლობირებას;

სტუდენტთა დასაქმება - ეს კომპონენტი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია სტუდენტური ასოციაციების საქმიანობაში. სტუდენტური ასოციაციები ცდილობენ, ხელი შეუწყონ სტუდენტთა დასაქმებას სტუდენტობისას, როგორც უნივერსიტეტში, ისე უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ სხვადასხვა სახელმწიფო, არაკომერციულ თუ ბიზნესორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით. შესაბამისად, ამ მიმართულებით ეფექტური საქმიანობა სტუდენტური ასოციაციების საქმიანობის ერთ-ერთ ქვაკუთხედს წარმოადგენს.

სტუდენტთა ადვოკატირება - ეს მიმართულებაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სტუდენტური ასოციაციის საქმიანობაში. აღნიშნული მიმართულება გულისხმობს სტუდენტების საჭიროებების და პრობლემების გადაჭრას სხვადასხვა ინოვაციუარი მიდგომებით. ეს შეიძლება იყოს სხვადასხვა საკითხის ლობირება, სხვაადსხვა საკითხის გარშემო საინფორმაციო კამპანიის წარმოება, კონკრეტულ საკითხებზე სტუდენტთა უფლებების დაცვა, კონკრეტული საკითხების სადისკუსიოდ და საჯაროდ გამოტანა და მათი გადაჭრის უზრუნველყოფა.

ცნობიერების ამაღლების კამპანიები - ესეც უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა სტუდენტური ასოციაციების საქმიანობისთვის. აღნიშნული მიმართულებით სტუდენტური ასოციაციების საქმიანობის მიზანია, ხელი შეუწყოს სტუდენტებში სხვადასხვა მიმართულებით ცნობიერების ამაღლებას და ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდას.

ორიენტაციის ღონისძიებები - ორიენტაციის ღონისძიებები არის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი სტუდენტური ორგანიზაციების საქმიანობის. სტუდენტური ორგანიზაციები ორიენტაციის ღონისძიებების საშუალებით ეხმარებიან ახალ სტუდენტებს, რათა მათ უმტკივნეულოდ შეძლონ საკუთარი სტუდენტური ცხოვრების დაგეგმვა და წარმართვა, როგორც აკადემიური, ისე სოციალური მიმართულებით. საორიენტაციო ღონისძიებები ძირითადად იმართება სასწავლო წლის დასაწყისში და ძალიან მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის ახალი სტუდენტებისთვის.

მოხალისეობა და სათემო მომსახურება - მოხალისეობის კულტურა ფართოდ გავრცელებულია სტუდენტებში. სტუდენტები ძალიან ხშირად მოხალისეობენ და აბსოლუტურად უსასყიდლოდ ასრულებენ სხვაასხვა საქმიანობას კეთილშობილური მიზნებით. აღნიშნულ სამოხალისეო თუ სათემო მომსახურებას ორგანიზებას უწევს სტუდენტური ასოციაციები. სტუდენტური ასოციეციების მიერ ორგანიზებულ სამოხალისეო და სათემო ღონისძიებებში აქტიურად ერთვებიან ასოციაციის წევრი სტუდენტები. ძალიან ბევრი კეთილშობილი და სასარგებლო საქმე სწორედ სტუდენტთა მოხალისეობით კეთდება.

უნივერსიტეტის დამთავრების ცერემონიების ორგანიზება - სტუდენტური ასოციაციები აქტიურად მონაწილეობენ და ორგანიზებას უწევენ უნივერსიტეტის დამთავრების ცერემონიებს. ამ ცერემონიების მიზანია, რომ უნივერსიტეტის დამთავრება მაქსიმალურად საზეიმო და დასამახსოვრებელი გახდეს თითოეული კურსდამთავრებულისთვის.

სტუდენტთა დაჯილდოვება და წახალისება, სწავლის დაფინანსების ორგანიზება - სტუდენტთა დაჯილდოვება და წახალისებაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმიანობაა. ხშირად სტუდენტური ასოციაციები აღიარებენ სხვაადსხვა სტუდენტის მიღწევას სხვაადსხვა მიმართულებით და ხელს უწყობენ ამ მიღწევის საჯაროდ აღიარებას და წახალისებას. ამასთანავე, ხშირად სტუდენტური ასოციაციები გასცემენ სწავლის დაფინანსებას ზოგიერთი სტუდენტისათვის. დაფინანსების მისაღებად სტუდენტების შერჩევა ხდება მკაცრად განსაზღვრული წინასწარი კრიტერიუმების შესაბამისად.

სტუდენტების დაფინანსება გადაუდებელი ვითარების შექმნისას - სტუდენტურ ასოციაციებს ხშირად აქვთ საგანგებო ფონდი. აღნიშნული ფონდი ხმარდება სტუდენტური ასოციაციის წევრი სტუდენტების საჭიროებებს, რაც შეიძლება მოულოდნელად დადგეს და გადაუდებელ დახმარებას საჭიროებდეს ესა თუ ის სტუდენტი ფინანსური თვალსაზრისით. აღნიშნული ფონდების დახმარებით, სტუდენტური ასოციაციები არაერთი მნიშვნელოვანი და სასიკეთო საქმის გაკეთებას ახერხებენ საკუთარი წევრი სტუდენტებისთვის საჭიროების შემთხვევაში.

თანასწორთა განათლება - როგორც უკვე აღვნიშნეთ, თანასწორთა განათლება არის მსოფლიოში გავრცელებული არაფორმალური განათლების ერთ-ერთი სახე, რაც გულისხმობს სტუდენტების მიერ ერთმანეთის განათლებას. სტუდენტური ასოციაციები ატარებენ სხვადასხვა სახის სემინარებს, ტრენინგებს და სხვა შემეცნებით აქტივობებს სტუდენტებისათვის და არაფორმალური განათლების გზით ცდილობენ თანატოლი სტუდენტებისთვის ცოდნის გაზიარებას, უნარებისა და ღირებულებების განვითარებას.

სტუდენტური პროექტების დაფინანსება - სტუდენტური პროექტების დასაფინანსებლად სტუდენტურ ასოციაციებს გააჩნიათ სპეციალური ფონდი. სტუდენტს შეუძლია საკუთარი იდეა თუ ღონისძიება წარადგინოს ასოციაციაში და ამ იდეის ხორცშესახმელად მიიღოს დაფინანსება. აღნიშნული ხელს უწყობს სტუდენტების უფრო აქტიურ ჩართვას სტუდენტური ასოციაციის საქმიანობაში.

სტუდენტების პროექტებისთვის და ქველმოქმედებისთვის თანხების მოძიება - სტუდენტური ასოციაციები ხშირად მართავენ სხვადასხვა ღონისძიებას, რაც უზრუნველყოფს თანხების მოძიებას სხვადასხვა პროექტის თუ საქველმოქმედო აქციების დასაფინანსებლად. თანხების მოძიება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია და ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობენ სტუდენტური ასოციაციები, რათა შეძლონ თანხების მობილიზება და ამ თანხებით სხვადასხვა პროექტის რეალიზება.

სტუდენტური კლუბები, კომიტეტებისა და საზოგადოებების მხარდაჭერა - აღნიშნული კლუბების საქმიანობა იდენტურია საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში არსებული კლუბების საქმიანობის.

სტუდენტური გაზეთებისა და ჟურნალების გამოცემა - ეს მიმართულებაც საქართველოში არსებული გამოცდილების იდენტურია, რაზეც უკვე ვისაუბრეთ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში გამოცემული გაზეთებისა და ჟურნალების ანალიზისას.

სპორტული, საგანამანთლებლო, რეკრეაციული და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება - აღსანიშნავია, რომ ეს ის მიმართულებაა, რომლითაც, ფაქტობრივად, შემოიფარგლება საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების თვითმართველობის საქმიანობა. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში კი ეს მიმართულება მხოლოდ ერთ-ერთია სტუდენტური ასოციაციების საქმიანობისთვის. ამასთანავე, სტუდენტური ასოციაციები ცდილობენ, მსგავს ღონისძიებებში ჩართონ მათი წევრი ყველა სტუდენტი.

ამ თავში შევეცადეთ წარმოგვედგინა საქართველოში არსებული ვითარება სტუდენტური ორგანიზაციების, თვითმმართველობის, კლუბების საქმიანობის შესახებ, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს, აქტიურად ჩაერთონ სტუდენტურ ცხოვრებაში და უზრუნველყონ

საკუთარი ინტერესების რეალიზება, საკუთარი უფლებებისა და საჭიროებების დაკმაყოფილება. ამასთანავე, შევეცადეთ განგვეზოგადებინა მსოფლიოში არსებული სტუდენტური ასოციაციების საქმიანობა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აქტიურობას და რეალურ საფუძველს ქმნის სტუდენტების ინტერესების რეალიზაციისთვის. ვფიქრობთ, აღნიშნული გამოცდილება დაეხმარებათ როგორც მოქმედ, ასევე მომავალ სტუდენტურ ასოციაციებს, კლუბებსა თუ თვითმმართველობებს საკუთარი საქმიანობის დაგეგმვასა და განხორციელებაში.

თავი მეხუთე
ახალგაზრდების თანამშრომლობა ადგილობრივ თვითმმართველობის სტრუქტურებთან

შესავალი

ამ თავში მიმოვიხილავთ ახალგაზრდების თანამშრომლობის გზებსა და პრინციპებს ადგილობრივ სახელისუფლებო და თვითმმართველობის სტრუქტურებთან. იმდენად, რამდენადაც ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოს მოქალაქეთათვის ის ინსტრუმენტია, რომლის მეშვეობითაც, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ისინი ცდილობენ მოაწესრიგონ და მართონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები საკუთარი პასუხისმგებლობით და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად, ახალგაზრდობის აქტიური ჩართვა თვითმმართველობის მუშაობაში საჭირო და აუცილებელიცაა. თუმცა, იმისათვის, რომ ახალგაზრდებმა შეძლონ ადგილობრივ ხელისუფლებასთან და თვითმმართელობის ორგანოებთან თანამშრომლობა, უნდა იცნობდნენ იმ უფლებებსა და მოვალეობებს, პასუხისმგებლობებისა და მართვის სფეროებს, რომლებიც ადგილობრივ დონეზე არის უწყებებს შორის გადანაწილებული.

ქვემოთ გავეცნობით საქართველოს ტერიტორიული მოწყობის პრინციპებსა და მმართველობას.

1. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტიური დაყოფისა და მართვის პრინციპები

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო. საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით, უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ.

საქართველო 9 რეგიონად არის დაყოფილი. ეს რეგიონებია: გურია, იმერეთი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სამეგრელო და ზემო სვანეთი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი და შიდა ქართლი. საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის წარმომადგენლობას საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ

ერთეულებში უზრუნველყოფს სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი, რომელსაც პრემიერ-მინისტრთან კონსულტაციის შემდეგ თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი. თავად რეგიონები ცენტრალური ხელისუფლების ნაწილს წარმოადგენენ და არ ატარებენ თვითმმართველობის სტატუსს. სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი კანონით დადგენილი წესით ახორციელებს სახელმწიფო ზედამხედველობას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე და ახორციელებს კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის რუქა

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონით თვითმმართველ ერთეულად განისაზღვრა დასახლება (თვითმმართველი ქალაქი) ან დასახლებათა ერთობლიობა (მუნიციპალიტეტი), რომელსაც ჰყავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, აქვს საკუთარი ქონება, შემოსავლები, ბიუჯეტი, ადმინისტრაციული ცენტრი და არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

თვითმმართველი ქალაქებია: თბილისი, რუსთავი ბათუმი, ფოთი და ქუთაისი. თვითმმართველი ქალაქები არ შედიან რაიონის შემადგენლობაში.

დღესდღეობით საქართველო შედგება 64 დასახელების ერთობლიობისაგან, მუნიციპალიტეტისაგან. 2008 წლის კონფლიქტის შედეგად, ერედვის, ქურთის, თიღვის, აჟარისა და ახალგორის თემებზე საქართველოს კონტროლი ვერ ხორციელდება.

თვითმმართველ ქალაქებს და მუნიციპალიტეტებს ჰყავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, გააჩნია საკუთარი ქონება, შემოსავლები, ბიუჯეტი, ადმინისტრაციული ცენტრი და არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა საკრებულო. საკრებულო შედგება შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით არჩეული წევრებისაგან.

აღმასრულებელი ორგანო არის გამგეობა. თვითმმართველ ქალაქებში კი - მერია.

მუნიციპალიტეტის გამგებელს, ხოლო თვითმმართველ ქალაქებში კი მერს ირჩევს საკრებულო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. ამასთან, "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან მუნიციპალიტეტის გამგებელს და თვითმმართველი ქალაქის მერს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თანხმობით. განსხვავებულია თბილისის, როგორც საქართველოს დედაქალაქის სტატუსი. იგი განისაზღვრება "საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ" საქართველოს კანონით. დედაქალაქში ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება წარმომადგენლობითი ორგანოს - ქალაქ თბილისის საკრებულოს და აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის - ქალაქ თბილისის მერიის (ქალაქ თბილისის მთავრობა, ქალაქ თბილისის რაიონების გამგეობების) მეშვეობით.

საქართველოს განუყოფელი ნაწილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა - ტერიტორიული ერთეული, სადაც სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი პრინციპების საფუძველზე. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ბათუმი. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს თავისი დროშა და გერბი, რომლებიც განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით. ის საკითხები, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს კონსტიტუციური კანონით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

სტატუსის შესახებ“, შესაბამისად, არ განეკუთვნება საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობას, წესრიგდება საქართველოს საკანონმდებლო აქტებით. დაუშვებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული უფლებამოსილებების დელეგირება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, რომლის კანდიდატურას წარადგენს საქართველოს პრეზიდენტი და თანამდებობაზე ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭო.

საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში შემავალი ავტონომიური ერთეულებია, ასევე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დღეს არსებული დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული.

2. თვითმმართველობის უფლებამოსილებები და ვალდებულებები

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ეფექტური თანამშრომლობის დაგეგმვისათვის, კარგად უნდა გვესმოდეს თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის ძირითადი პრინციპები, მიმართულებები და უფლებამოსილებები. საკრებულოს კანონის მიხედვით განსაზღვრული საქმიანობის პრინციპებიდან გასაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ სამი პრინციპის ცოდნა, რომელიც ახალგაზრდების მონაწილეობას და ჩართულობას განაპირობებს ადგილობრივი თვითთამმართველობის განხორციელებაში:

1. **საჯაროობის პრინციპი.** ეს პრინციპი მოითხოვს საკრებულოს საქმიანობის გამჭვირვალობას, ადგილობრივი მოსახლეობის აზრისადმი მის კონტროლდაქვემდებარებას, გადაწყვეტილების შემუშავების, მიღებასა და აღსრულებაზე კონტროლის პროცესში მოქალაქეთა მიერ საჯარო ზეგავლენის განხორციელების შესაძლებლობას.

ეს პრინციპი რეალიზდება სამი ძირითადი მიმართულებით:

- *ინფორმაციის საჯაროობა* არის საჯაროობის პრინციპის ერთ–ერთი ძირითადი მიმართულება, რომლის თანახმად, საკრებულო ვალდებულია, უზრუნველყოს თავისი საქმიანობის შესახებ

(საკრებულოსა და საკრებულოს ორგანოების სხდომის ჩატარების დრო, ადგილი და მისი დღის წესრიგი, გადაწყვეტილებების პროექტები და მიღებული გადაწყვეტილებები) ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და გამოქვეყნება;

• *გადაწყვეტილების შემუშავებისა და მიღების პროცესის საჯაროობა* გულისხმობს საკრებულოსა და მის ორგანოთა მიერ გადაწყვეტილების შემუშავებისა და მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობას. იმ მექანიზმების არსებობას, რომლებიც საშუალებას მისცემს მოქალაქეებს არა მხოლოდ ესწრებოდნენ, არამედ თავად მონაწილეობდნენ (გამოთქვან აზრი, დასვან შეკითხვები, წარმოადგინონ და დაიცვან თავიანთი წინადადებები და მოსაზრებები) საკრებულოსა და საკრებულოს ორგანოების (საკრებულოს კომისიები, საკრებულოს ბიურო, საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფები) მუშაობაში;

• *მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე კონტროლის საჯაროობა* გულისხმობს იმ მექანიზმების არსებობას, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებს საშუალებას მისცემს განახორციელონ საზოგადოებრივი კონტროლი საკრებულოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ჯეროვან შესრულებაზე. აღნიშნული დაკავშირებულია როგორც გადაწყვეტილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან, ასევე ანგარიშების საჯაროობასა და მოქალაქეთა შესაძლებლობასთან, შეაფასონ თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობა, გამოთქვან შენიშვნები და მიაწოდონ რეკომენდაციები.

2. მოსახლეობის წინაშე ანგარიშვალდებულების პრინციპი. საკრებულო თავისი საქმიანობისა და უფლებამოსილების განხორციელებაზე მხოლოდ ამომრჩეველთა წინაშეა ანგარიშვალდებული. ამ პრინციპის რეალიზება უკავშირდება, როგორც საჯაროობის დაცვას, ასევე ანგარიშვალდებულების მექანიზმების არსებობას. ეს მექანიზმები გულისხმობს საკრებულოს, საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს წევრების მიერ მოსახლეობის წინაშე სავალდებულო პერიოდულ ანგარიშგებას და თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოებისა და თანამდებობის პირების ანგარიშვალდებულებას საკრებულოს წინაშე. ანგარიშვალდებულების ამგვარი გადანაწილება მიუთითებს, რომ საკრებულო პასუხისმგებელია მოსახლეობის წინაშე არა მხოლოდ საკუთარი, არამედ თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობისთვისაც. საკრებულო უფლებამოსილია და სასურველიცაა, რომ აღმასრულებელ ორგანოსა და თანამდებობის პირებს დებულებით დაუდგინოს არა მხოლოდ

საკრებულოს, არამედ უშუალოდ მოსახლეობის წინაშე პერიოდული ანგარიშების ჩაბარების ვალდებულება, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ საკრებულო თავად განსაზღვრავს მის აღმასრულებელ ორგანოთა ფუნქციებს, უფლებამოსილებებს, საქმიანობის წესსა და კონტროლის ფორმებს, პასუხისმგებლობა მოსახლეობის წინაშე აწევს უშუალოდ საკრებულოს და არა მის მიერ შექმნილ აღმასრულებელ ორგანოებს.

აქვე განვიხილოთ ის სერვისები, რომელთაც ადგილობრივი ხელისუფლება და თვითმმართველობა უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობა ვალდებულია, საკუთარ მოსახლეობას მიაწოდოს შემდეგი სერვისები:

- ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვა, მშენებლობა და განვითარების უზრუნველყოფა;
- დასახლებებში ქუჩების დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და უტილიზაციის სამუშაოთა წარმოების დაგეგმვა და განხორციელება;
- განათება;
- ავტომანქანის პარკირების ადგილის განსაზღვრა;
- სასაფლაოების მოვლა-პატრონობა;
- სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების არასამეწარმეო (არაკომერციული) პირის ფორმით შექმნა და მათი წესდების დამტკიცება;
- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში რესურსების მობილიზება, შესაბამისი ღონისძიებების (ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ჯანმრთელობისთვის რისკფაქტორების იდენტიფიცირება) შემუშავება, განხორციელება და მოსახლეობის ინფორმირება;
- ქუჩების, მოედნების სახელდება და ნუმერაცია;
- თვითმმართველი ერთეულის მუნიციპალური სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე, გარდა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა, საგზაო მოძრაობის დაგეგმარება.

ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციები, თავის მხრივ, იყოფიან მიმართულებებად, სადაც თვითმმართველობებს

ადმინისტრირების, მომსახურების, დაფინანსების, მარეგულირებელი და საინვესტიციო (ყველა ერთად, ან მათი ნაწილი) უფლებამოსილება გააჩნიათ. ესენია:

განათლების სფერო: მოსამზადებელი, დაწყებითი, სრული, ტექნიკური და სპეციალიზებული, უმაღლესი განათლება, ასევე კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების სისტემა;

სოციალური დაცვა: ბაგა-ბაღები, საბავშვო ბაღები, მოხუცებულთა დახმარება, სპეციალური დახმარება უსახლკაროთათვის და სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის, უმუშევართა დახმარების ადგილობრივი პროგრამები, სოციალური ბენეფიტები თვითმმართველობის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის;

ჯანმრთელობის დაცვა: პირველადი/სასწრაფო სამედიცინო დახმარება, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ადგილობრივი მნიშვნელობის საავადმყოფოები;

კულტურის, სპორტისა და გართობის სფერო: ადგილობრივი (მუნიციპალური მნიშვნელობის თეატრები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები, პარკები, სპორტული მოედნები და საზოგადოებრივი გართობის ცენტრები, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებისათვის გამიზნული ობიექტები;

კომუნალური სფერო: სასმელი წყლით მომარაგება, საირიგაციო სისტემები, ელექტრომომარაგება, გაზმომარაგება, მუნიციპალური (ე.წ. ცენტრალური გათბობის სისტემები), ადგილობრივი მნიშვნელობის კავშირგაბმულობა;

გარემოს დაცვა, ჰიგიენა და მასთან დაკავშირებული საქმიანობა: ნაგვის გატანა და უტილიზაცია-გადამუშავება, ქუჩების დასუფთავება-ჩარეცხვა, ბუნების დაცვის ადგილობრივი ღონისძიებები, სასაფლაოების მოვლა-პატრონობა;

გზები და ტრანსპორტი: ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობა, შეკეთება და მოძრაობის რეგულირება, გარეგანათება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ორგანიზება და რეგულირება;

ურბანული განვითარება: ქალაქდაგეგმარება, რეგიონულ-სივრცითი დაგეგმარება, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება, ტურიზმის ხელშეწყობა;

ზოგადი ადმინისტრირება: ლიცენზირება და სხვადასხვა სახის უფლებების გაცემა, სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება (ამომრჩეველთა, სოციალურად დაუცველთა და ა.შ. რეგისტრაცია, მოქალაქეთათვის ადმინისტრაციული დოკუმენტაციის მიწოდების უზრუნველყოფა),

მუნიციპალური პოლიცია, სახანძრო სამსახური, სამოქალაქო თავდაცვა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა.

3. თანამშრომლობის მიმართულებები ადგილობრივ ხელისუფლებასა და ახალგაზრდებს შორის

ახალგაზრდების თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან 4 მიმართულებით შეიძლება განვიხილოთ:

1. *თანამშრომლობა ორგანიზაციული განვითარებისთვის* - გულისხმობს ინსტიტუციური სისტემებისა და პროცესების ცვლილებას ახალგაზრდებთან მუშაობის კუთხით. ეს კი, ახალგაზრდების ჩართულობით, მოლაპარაკებებით და სწავლით მიიღწევა. ორგანიზაციული - განვითარებისათვის თანამშრომლობა ნიშნავს ახალგაზრდების მოზიდვას შიგნით, ორგანიზაციაში, მათ გაერთიანებას საერთო ქსელში. ამ შემთხვევაში ახალგაზრდებს შეუძლიათ ახალი, ინოვაციური იდეების შემოტანა და ორგანიზაციის მუშაობის, ხედვის და სისტემის განვითარება. ახალგაზრდების ჩართულობა შეიძლება მოხდეს მოხალისეობრივ პრინციპზე. მაგალითად, ისინი გახდნენ სტაჟიორები. ყველაზე ეფექტური ფორმაა, თუ ახალგაზრდები საბჭოების, კომიტეტებისა და სამუშო ჯგუფების წევრები არიან.

მაგალითი:

• ბელგიაში, ლიმბურგის პროვინციაში, ახალგაზრდები და ზრდასრულები ინაწილებენ პასუხისმგებლობას ახალგაზრდების განვითარების ადგილობრივი ფონდის კომიტეტში, აქტივობების დაგეგმვასა და მათ ჩართულობაზე. კომიტეტის ახალგაზრდა წევრები იმუშავენ კითხვარების დიზაინს, რომლთა საშუალებითაც არკვევენ, რა პრიორიტეტები გააჩნიათ რეგიონის ახალგაზრდებს.

2. *თანამშრომლობა პოლიტიკის შემუშავებისა და დაგეგმვისას* - პოლიტიკა გულისხმობს პროცესში მონაწილეობას, სადაც ახალგაზრდები პრაქტიკულად თავად მიუთითებენ საკუთარ პრიორიტეტებს და გადაწყვეტილებების მიღებაში საკვანძო როლს თამაშობენ. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები უზრუნველყოფენ, რომ ისინი, ვისაც გადაწყვეტილება უშუალოდ ეხება, თავად მართავს და განსაზღრავს, რა არის მისთვის და მისი თანატოლებისათვის პრიორიტეტი.

მაგალითი:

• არგენტინის როსარიოს რეგიონს გააჩნია სპეციალური ახალგაზრდული ბიუჯეტი, რომელშიც ექვსი შემავალი მუნიციპალიტეტიდან 1000 ახალგაზრდა ყოველწლიურად ირჩევს საკუთარ წარმომადგენლებს. წარმომადგენლები ახალგაზრდების დელეგატები არიან და იღებენ გადაწყვეტილებას, როგორ დაიხარჯოს მიზნობრივად ახალგაზრდული ფონდი.

3. *თანამშრომლობა განხორციელების პროცესში* - ნიშნავს, რომ ახალგაზრდები ჩართულები არიან ადგილობრივი მთავრობის მიერ უზრუნველყოფილი პროგრამებისა და მომსახურების პროცესში.

მაგალითი:

სენეგალში, სანტ-ლუისის რეგიონში, ახალგაზრდები აწარმოებენ საინფორმაციო კამპანიას სკოლის მოსწავლეებისათვის ცხოვრების ჯანსაღი ცხოვრების წესისა და რეპროდუქციული ჯანმრთლობის შესახებ. საინფორმაციო კამპანია ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ინიცირებული პროგრამის ფარგლებში ხორციელდება. ახალგაზრდები გადამზადებულნი არიან საინფორმაციო საკითხებზე და კამპანიას ექსპერტების მიერ შემუშავებული პროგრამის მიხედვით ატარებენ. ახალგაზრდები მოხალისეობრივი პრინციპებით მოქმედებენ, თუმცა ამ საქმიანობისათვის, ადგილობრივი მთავრობა მათ უმაღლესი განათლების მიღების შეღავათიანი პირობებით წაახალისებს.

4. *მონიტორინგი და შეფასება* - მნიშვნელოვანი ინსტუმენტია სტრატეგიული პოზიციის, ორგანიზაციული სწავლებისა და წარმატებული მართვის მისაღწევად. ახალგაზრდები თავად განსაზღვრავენ მონიტორინგის ფორმებს, შეფასების ინდიკატორებსა და მეთოდებს. ისინი აკეთებენ ანგარიშებს და მონაწილეობენ განხილვაში.

მაგალითი:

• არგენტინის როსარიოს რეგიონში, სადაც, როგორც ზემოთ უკვე ავღნიშნეთ, ახალგაზრდობის წარმომადგენლები დელეგატები იღებენ გადაწყვეტილებას, როგორ დაიხარჯოს მიზნობრივად ახალგაზრდული ფონდი, ამომრჩეველ ახალგაზრდებს შექმნილი აქვთ ადგილობრივი მონიტორინგის ჯგუფები, რომლებიც ადგილზე ამოწმებენ, რამდენად ეფექტურად მოხდა თანხების გადაწილება და რამდენად სწორედ მიიღო დახმარება მან, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებოდა. ამისათვის, მონიტორინგის ჯგუფს 2 მონიტორინგის ინსტრუმენტი აქვს არჩეული: კითხვარები და მონიტორინგი ადგილებზე.

4. ორგანიზაციები, რომლებიც ადგილობრივ ხელისუფლებასა და ახალგაზრდებს შორის თანამშრომლობას უწყობს ხელს

1. ***კოალიცია თვითმმართველობისა და დემოკრატიისათვის*** - ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებას და ცნობიერების ამაღლებას აქტიური მონაწილეობისათვის პუბლიკაციების, კლვევების, ანალიზისა და რეკომენდაციების საშუალებით.

http://www.lsg.ge/?cat=about_project&lang=ka

2. ***პროექტი - ეფექტური მმართველობა საქართველოში (Good Governance in Georgia Project)*** დაფინანსებულია ამერიკის განვითარების ფონდის მიერ (USAID), 2011-2014 წელი. პროექტი ხელს უწყობს ადგილობრივი

ხელისუფლების განვითარებას, ინსტიტუციურ ეფექტურობისა და გამჭვირვალეობის უზრუნველყოფას მოქალაქეებისათვის უკეთესი მომსახურების უზრუნველსაყოფად. პროექტი ხელს უწყობს მოსახლეობასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის კომუნიკაციის არხებისა და ინსტრუმენტების გაუმჯობესებას, პროფესიული უნარების განვითარებას და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფას ადგილობრივი მართვის პროცესებში. პროექტის განსაკუთრებულ მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენენ ახალგაზრდები. პროექტი ხორციელდება სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებშიც.

საკონტაქტო ინფორმაცია:
ელ. ფოსტა: info@msi.georgia.com

3. საქართველოს მუნიციპალური მომსახურების უზრუნველმყოფთა ასოციაცია - აერთიანებს საქართველოში მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ქალაქების აღმასრულებელ პირებს. საქართველოს მუნიციპალური მომსახურების უზრუნველმყოფთა ასოციაციის ფარგლებში წევრები ერთობლივად ესწრაფვიან ადგილობრივი თვითმმართველობის გასაძლიერებლად, ყველა მოქალაქის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისათვის, იმ პრობლემათა გამოვლენასა და გადაწყვეტას, რომლებიც არსებობს ქალაქად და სოფლად. ასოციაცია დაარსდა მუნიციპალური მომსახურების მიმწოდებელთა, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა და დამოუკიდებელ ექსპერტთა გასაერთიანებლად, რათა იმოქმედოს, როგორც დამაკავშირებელმა რგოლმა ცენტრალურ და ადგილობრივ მთავრობებს შორის, ლობირება გაუწიოს ადგილობრივ ინტერესებს რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, ხელი შეუწყოს ადგილობრივი მმართველობის ღონისძიებებში მოქალაქეთა ჩართულობას.

საკონტაქტო ინფორმაცია:
კოსტავას I შეს. #33ა 0179, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 92 00 31 **ფაქსი:** (995 32) 92 01 20
ელ.ფოსტა: info@mspa.ge membership@mspa.ge
ვებ-გვერდი: www.mspa.ge

4. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

თბილისი 0171, 26 მაისის მოედანი2, V სართული
ტელ/Tel: (995 32) 2 365 675 ფაქსი/Fax:(995 32) 2 363 600
ელ. ფოსტა/e-mail: adm@civilin.org
ვებ-გვერდი: http://www.civilin.org/index.php

5. პრაქტიკული მაგალითები

აქვე გთავაზობთ სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის - „საქართველოში ახალგაზრდების ადგილობრივ ხელისუფლებასთან ეფექტური თანამშრომლობის რამდენიმე მაგალითს.

საქართველოს მაგალითი

კასპის დასუფთავება

http://georgia.usaid.gov/node/238

გამოწვევა: კასპში, რომლის მოსახლეობა 50 000 ადამიანს შეადგენს, ინფრასტრუქტურა არ არის სათანადოდ განვითარებული. ქალაქის ხელმძღვანელობა ცდილობს საკუთარ მოქალაქეებს მიაწოდოს ძირითადი მუნიციპალური მომსახურება, ისეთი, როგორიცაა სკვერების კეთილმოწყობა, გარე განათება, მყარი ნარჩენების შეგროვება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დაბრკოლება მომსახურების გაუმჯობესების პროცესში ადგილობრივი მოსაკრებლების შეგროვების დაბალი პროცენტი იყო. იმდენად, რამდენადაც დასუფთავების სამსახური მოუწესრიგებელი იყო, მოსახლეობა უკანონოდ ყრიდა ნარჩენებს ქალაქის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე ლეხურას ნაპირებზე.

ინიციატივა: USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტი "საზოგადოების მონაწილეობა ადგილობრივ თვითმმართველობაში" (CELD), რომელსაც ურბანული ინსტიტუტი ახორციელებს, გაუმჯობესებული მენეჯმენტის საშუალებით დაეხმარა ადგილობრივ მთავრობას ამ პრობლემის მოგვარებაში. CELD-ის პროექტის დახმარებით, კასპმა გამოიყენა შესრულებული სამუშაოს შეფასების მეთოდები, რათა შეემუშავებინა და განეხორციელებინა მომსახურების გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა. მოქალაქეთა გამოკითხვისა და სამუშაოს შესრულების შესახებ ობიექტური მონაცემების შეგროვების მიზნით, დაასაქმეს აქტიური და მოტივირებული ახალგაზრდები. სამუშაოს უკეთ დასაგეგმად, მომსახურების გაუმჯობესების მიზნით და პროგრესის მონიტორინგისათვის შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც გაერთიანდნენ თემის წევრები. კონკრეტული საქმიანობა აღნიშნული მიზნების მისაღწევად მოიცავდა შემდეგს: ნარჩენების შეგროვებისათვის მუნიციპალური ორგანიზაციის შექმნა; რვა ახალი ნაგვის მანქანის შესყიდვა და მოხალისეობრივი დასუფთავების კოორდინირება. დასუფთავების ღონისძიებებში მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასა და მასწავლებლებთან ერთად ჩართულნი იყვნენ ახალგაზრდები.

შედეგები: ახალგაზრდა მოქალაქეების საშუალებით ჩატარდა საინფორმაციო კამპანია ადგილობრივ მოსახლეობასთან, სადაც მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია

ადგილობრივ ბიუჯეტში ხარჯების განაწილების შესახებ. ამასთან, მუნიციპალიტეტმა მოახერხა სწორი მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღება და შემდეგი შედეგების მიღწევა: ძირითადად აღიკვეთა ნარჩენების უკანონო დაყრა; დასუფთავდა მდინარის ნაპირები; შეიქმნა მომხმარებელთა ზუსტი მონაცემთა ბაზა; მომსახურების მოსაკრებლის გადამხდელთა რაოდენობა გაიზარდა 500-დან 7000-მდე, ხოლო მყარი ნარჩენების შეგროვების მომსახურებით კმაყოფილი მოსახლეობის მაჩვენებელი გაიზარდა 15%-დან 88%-მდე.

ამავე დროს, ადგილობრივმა მთავრობამ ნარჩენების შეგროვების სისტემის გაუმჯობესებით, მონაცემთა პერიოდული განახლებით, ანგარიშგებისა და მოხალისეობრივი დასუფთავების დღეების მოწყობით საფუძველი ჩაუყარა ახალგაზრდებთან მჭიდრო სამომავლო პარტნიორობას.

ავსტრალიის მაგალითი

ტასმანია, სამხეთ მიდლანდის ოლქი

http://www.lgat.tas.gov.au/webdata/resources/files/FINAL_Guide_to_youth_participation.pdf

ტასმანიის სამხრეთ მიდლანდის ოლქის მაგალითი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ახალგაზრდების ჩართულობა ადგილობრივ მმართველობაში არა პროექტისა ან პროგრამის ფარგლებში ხდება, არამედ მთავრობის ინიციატივით.

2001 წლიდან სამხრეთ მიდლანდის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ახალგაზრდული სტრუქტურის - ახალგაზრდული საკონსულტაციო კომიტეტის საკუთარ სტრუქტურულ ერთეულად განხილვის შესახებ. ახალგაზრდული საკონსულტაციო საბჭო შედგება ახალგაზრდული პოლიტიკისა და დაგეგმის ჯგუფებისაგან (საბჭოს შიდა სამუშაო ჯგუფები) და ქალაქებად დაყოფილი განყოფილებებისაგან, რომლებსაც ეწოდებათ სამხრეთ მიდლანის ახალგაზრდული სამოქმედო კომიტეტები. მსგავსი კომიტეტები ჩამოყალიბებულია ქალაქებში: ბაგადა, ქემპტონი კოლებრო, ოტლანდი და ვუდსდალი. ახალგაზრდული სამოქმედო კომიტეტები კოორდინირებას უწევენ და გეგმავენ აქტივობებსა და ღონისძიებებს ადგილობრივ სათემო დონეზე.

სამხრეთ მიდლანდის ახალგაზრდული საკონსულტაციო საბჭო შედგება საქალაქო სამოქმედო კომიტეტის 2 ახალგაზრდა და 1 ზრდასრული წევრისაგან, ახალგაზრდული განვითარების ოფიცრისა და ერთი საბჭოს წევრისგან, რომელიც ამავე დროს კომიტეტის ხელმძღვანელის ფუნქციასაც არსეულებს. საბჭოს წევრობა/კომიტეტის ხელმძღვანელის პოზიცია განისაზღვრება ერთწლიანი ვადით და არჩევითია. კანდიდატურას ამ პოზიციისათვის თითოეული საქალაქო სამოქმედო კომიტეტი აყენებს. სამხრეთ მიდლანის ახალგაზრდული საკონსულტაციო საბჭოს მიერ შემუშავდა სპეციალური რეკომენდაციები, რომლებიც საშუალებას აძლევს ადგილობრივ სამოქმედო კომიტეტებს შეისწავლონ ახალგაზრდებსა და თემში არსებული პრობლემები და შესაბამისი მოთხოვნები ქალაქებისა და სამხრეთ მიდლანდის საბჭოს სხდომებზე წამოაყენონ. საგულისმოა, რომ კომიტეტების საქმიანობა საოლქო და ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. ამასთან, კომიტეტის წევრები სხვადასხვა ასაკის ახალგაზრდები არიან და მათი ასაკი 16-დან 27 წლამდე მერყეობს.

კომიტეტების მუშაობის შედეგად, რომელიც ოლქის ახალგაზრდულ პოლიტიკას განსაზღვრავს, გაიზარდა ახალგაზრდული სათემო პროგრამების რაოდენობა და დაფინანსება მიზნობრივ ქალაქებში. შეიქმნა საინიციატივო ჯგუფები, რომლებმაც სათემო რადიოსადგურები შექმნეს და ახალგაზრდებისათვის საინტერესო და აქტუალური საინფორმაციო ხელმისაწვდომობა გაზარდეს.

ჩეხეთის მაგალითი

http://www.policy.hu/karzen/archive/Research_Paper/Case_Study_1/case_study_1.html

ახალგაზრდების ჩართულობა საჯარო ადგილების მოწყობისა და რესტავრაციის პროცესში

არსებული სიტუაცია: რიჟეკა ხორვატიის ერთადერთი ქალაქია, სადაც ურბანული ისტიტუტის მიერ ხორციელდება პროექტი „სამოდელო ქალაქი". პროექტის მიზანია, შეუმუშავოს და დანერგოს მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტური მექანიზმები გადაწყვეტილების მიღების პროცესში. რიჟეკას ახალგაზრდობის გამოკითხვამ აჩვენა ნეგატიური დამოკიდებულება ადგილობრივი მთავრობისადმი. ახალგაზრდა მოქალაქეები მთავრობისადმი საკუთარ დამოკიდებულებას პასიურობით გამოხატავდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ქალაქის ახალგაზრდა მოსახლეობა მოკლებულია იმგვარ საჯარო ადგილებს, სადაც ისინი შეძლებდნენ არაფორმალური შეხვედრების ორგანიზებას, ურთიერთობას.

პროექტის მიზანი: ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობის მექანიზმების შემუშვება და დაგეგმვა ადგილობრივი მთავრობის დახმარებისათვის ქალაქის საჯარო ადგილების რეაბილიტაციის პროცესში.

პროექტის ფარგლებში, უნდა განვითარებულიყო, შეკეთებულიყო და დასუფთვებულიყო საჯარო ადგილები - პარკები, სკვერები, სპორტული მოედნები და დარბაზები ახალგაზრდების აქტიური ჩართულობით. რიჟეკაში შეიკრიბა სათემო საბჭოების, ადგილობრივი მთავრობის, არასამთავრობო ორგანიზაციების 80 წარმომადგენელი. შეკრებას ესწრებოდნენ დამოუკიდებელი ექსპერტებიც - არქიტექტორები და ურბანული დაგეგმვის სპეციალისტები. წარმომადგენლებმა გამოთქვეს სურვილი და დაგეგმეს სამომავლო ვორკშოპები ახალგაზრდებისათვის, რომელიც „სწავლა კეთებით" მიდგომაზე იყო დაფუძნებული და ახალგაზრდა მონაწილეებს მისცემდა საშუალებას მიეღოთ მეტი ინფორმაცია ტერიტორიის შეფასების, მოქალაქეების ჩართულობისა და ეფექტური თანამშრომლობის შესახებ ადგილობრივ მთავრობას, კერძო სტრუქტურებსა და სამოქალაქო სექტორთან.

პროექტის ფარგლებში ახალგაზრდებს მიეცათ საშუალება, ფორმალური და არაფორმალური გუნდების სახით დაეგეგმათ და შეექმნათ გასართობი და დასასვენებელი ადგილები, გაერემონტებინათ არსებული ობიექტები. მათ უნდა კარგად გაეანალიზებინათ, რა ტიპის საჯარო ადგილები იქნებოდა მათთვის კომფორტული და რის მიმართ ექნებოდათ პასუხისმგებლობა და კუთვნილების შეგრძნება.

ახალგაზრდებს შეეძლოთ საკუთარი იდეების პროექტებად გაწერა და ქალაქის თვითმმართველობის ოფისში შეტანა. პროექტის პირობების მიხედვით იდეის ავტორი და პოტენციური განმახორციელებელი 16-25 წლის ახალგაზრდები უნდა

ყოფილიყვნენ. იდეაში სექტორებსშორისი თანამშრომლობის მექანიზმები უნდა ყოფილიყო გაწერილი. აქტივობებს ერთჯერადი ხასიათი არ უნდა ჰქონოდათ და გრძელვადიან თანამშომლობაზე უნდა ყოფილიყო გათვლილი, როგორიცაა სპორტული, გასართობი, კულტურული აქტივობების დაგეგმვა და განხორცილება; მარგინალიზებული ჯგუფების ჩართვა აქტივობებში, საჯარო ადგილებისა და პროგრამების მართვა და ა.შ. ამასთან, ახალგაზრდების ინიციატივები არ უნდა ყოფილიყო ფოკუსირებული რთულ სამშენებლო კოსტრუქციებზე და შედარებით სწრაფი შედეგები უნდა მოეტანა.

დაინტერესებული ახალგაზრდებისათვის ადგილობრივი მთავრობისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა ვორკშოპები გამართეს, რომელსაც 500-ზე მეტი ახალგაზრდა დაეესწრო.

შემდეგ შეხვედრაზე ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლებმა 3 დღის განმავლობაში მისცეს საშუალება ახალგაზრდების ჯგუფებს, გაეკეთებინათ საკუთარი იდეების პრეზენტაცია. შეფასებას კი თვითმმართველობის, ახალგაზრდებისა და ექსპერტების ერთობლივი საბჭო აკეთებდა. საბჭოში ახალგაზრდებს ათი 14-დან 27 წლამდე ახალგაზრდა წარმოადგენდა.

გამოვლინდა 20 გამარჯვებული პროექტი. გამარჯვებული პროექტის ჯგუფებმა კი, ორკვირიანი ინტენსიური ტრენინგი გაიარეს პრეოქტის განხორციელების ფაზებისა და გზების, ადგილობრივი მოსახლეობისა და თანატოლების მობილიზაციის, სექტორებს შორის თანამშრომლობის გამყარების, თანხების მოძიებისა და მოლაპარაკებების წარმოდგების საკითხებზე.

შედეგი:

1. შეიქმნა ქალაქის თვითმმართველობასთან არსებული ახალგაზრდული საბჭო, რომელიც მოტივირებულ ახალგაზრდა პროფესიონალებს აერთიანებდა და რომელიც ეხმარებოდა ახალგაზრდა ჯგუფებს თანხების მოძიების, თანადაფინანსების, რეაბილიტაციისა და გაშენების საკითხებზე კონსულტაციებით.

2. შეკეთდა და გაშენდა 20 სხვადასხვა ტიპის საჯარო ადგილი, ამასთან სამუშაო პროცესში 300-ზე მეტი ახალგაზრდა იყო ჩართული;

3. ახალგაზრდა ჯგუფების წარმომადგენლებმა ექსპერტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით შეიმუშავეს სატრენინგო პროგრამა, რომელიც საკუთარი მიდამოს განაშენიანების დაგეგმვასა და ეფექტური თანამშრომლობის მექანიზმებს ასწავლიდა სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს.

4. დატრენინგებულმა მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა, თავის მხრივ, შეიმუშავეს სასკოლო განაშენიანების გეგმები, რომლებიც წარუდგინეს ქალაქის თვითმმართველობას. შედეგად, ქალაქის თვითმმართველობამ ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყო თანხა გრძელვადიანი ახალგაზრდული ინიციატივის „მე ვაშენებ ჩემს ქალაქს“ განხორციელებისათვის.

6. დასკვნა

ამ თავში წარმოვადგინეთ ინფორმაცია, რომელიც საშუალებას მოგცემთ უკეთ დაგეგმოთ ის მიმართულებები, რომლებიც თქვენი, თქვენი მეგობრებისა და თანატოლების, თქვენი თანასოფლებებისა და თანამოქალაქეების კეთილდღეობაზე მოახდენს პოზიტიურ გავლენას და ეს ინიციატივები ადგილობრივ ხელისუფლებასთან დიალოგისა და თანამშრომლობის გზით შეიძლება განახორციელოთ. ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რამდენად მზად არიან თვითმმართველობები ახალგაზრდულ ჯგუფებთან დიალოგისა და თანამშრომლობისათვის. მაგრამ, თქვენი აქტიურობა, მოტივაცია, იდეები და ძალისხმევა გარდამწყვეტია თქვენს რეგიონში, სოფელსა თუ ქალაქში გადაწყვეტილების მიღების, განხორციელების, დაგეგმვის თუ შეფასების პროცესებში მონაწილეობისათვის. საქართველოს მთავრობა აღიარებს ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის პრინციპებს და ევროსაბჭოს ჩარჩო ხელშეკრულებებს, რომლებიც ხაზს უსვამს ახალგაზრდა თაობის აქტიური ჩართულობის ხელშეწყობის აუცილებლობას მუნიციპალურ დონეზე ქვეყნის მართვაში და ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში მათი როლის ამაღლებას.

ჯერი თქვენზეა!

ბოლოსიტყვაობა

ამრიგად, თქვენ გაეცანით იმ რამდენიმე საკვანძო მიმართულებას, რომლებიც თქვენი მიზნიდან გამომდინარე საშუალებას მოგცემთ სწორად განსაზღვროთ, რა ნაბიჯები გადადგათ, როგორი თანმიმდევრობით დაგეგმოთ თქვენი მომავალი საქმოანობა და ვის მიმართოთ თქვენი ინტერესებისა და ამოცანებიდან გამომდინარე.

ახალგაზრდებისა მონაწილეობის სიმცირე არ შეიძლება იზოლირებულად განვიხილოთ და ისინი უგერგილობაში, დაბალ მოტივაციასა ან ნიჰილიზმში დავადანაშაულოთ. ის პრობლემები, რომლებსაც ახალგაზრდები ასახელებენ, არ არის სპეციფიკური და მხოლოდ ასაკთან დაკავშირებული. ისინი ქვეყნის კონტექსტიდან გამომდინარეობენ და ახალგაზრდებში მხოლოდ გარკვეული სპეციფიკით ხასიათდებიან.

აქვე გთავაზობთ იმ პრობლემებს, რომლებსაც ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლები ასახელებენ გამოკითხვისას.



წყარო: ახალგაზრდების მონაწილეობა დემოკრატიის პროცესებში: კვლევის შედეგები და ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ცნობარი, საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი, 2010.

როგორც ხედავთ, ახალგაზრდები საკმაოდ კრიტიკულები არიან საკუთარი თავის მიმართ და კარგი განათლებისა და დასაქმების პერსპექტივას ყველა მნიშვნელოვან საკითხებად განიხილავენ სამოქალაქო ცხოვრებაში აქტიური ჩართვისათვის.

ახალგაზრდობა მოსახლეობის ყველაზე დიდ სეგმენტს წარმოადგენს მსოფლიოში. გამონაკლისი არც საქართველოა. 15-30 წლის მოსახლეობა (23,6%) საქართველოს მთელი მოსახლეობის თითქმის მეოთხედია. შესაბამისად, კარგად უნდა გაანალიზოთ, რამდენად მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი ცხოვრების, მუშაობისა და ოჯახის შექმნისათვის მომზადება. ეს მხოლოდ თქვენთვის არ არის მნიშვნელოვანი. ეს თქვენი ქვეყნისთვისაა აუცილებელი. ეცადეთ, კარგად მოიძიოთ და გამოიყენოთ ყველა ის შესაძლებლობა, რომლებიც საქმიანი, პირადი ცხოვრებისათვის აუცილებელ რესურსებსა და უნარ-ჩვევებს შეგძენთ.

გამოდის, რომ ყველაფერი თქვენს აქტივობაზე, მონდომებაზე, სურვილსა და საჭიროებებზე მიმართულ დროულ და ადექვეტურ ქმედებებზეა დამოკიდებული.

ასე რომ, გახდით თანამონაწილე!

გამოყენებული ლიტერატურა

1. “ახალგაზრდა პოლიტიკოსთა სკოლის გზამკლევი”, 2012.

2. “აქტიურ მოქალაქეთა სკოლის გზამკვლევი”, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი, 2011.

3. ა. სვანიშვილი - სამაგიდო წიგნი საკრებულოს წევრებისთვის, თბილისი, 2010

4. Youth Participation in Development Summary Guidelines for Development Partners, Restless Development and the United Nations (UN) Programme on Youth, 2007

5. მ. თეთუაშვილი, ზ. თეთრუაშვილი, ა. თეთრუაშვილი, საკუთარი ბიზნესი: პირველი ნაბიჯები ბიზნეს-იდეიდან - ბიზნესის იურიდიულად გაფორმებამდე, დამხმარე სახელმძღვანელო, გორი, 2008

6. ბიზნეს ომბუდსმენის ოფისი, გზამკვლევი: http://www.businessombudsman.ge/cms/site_images/rogor%20daviwyo%20biznesi.pdf

7. ნანა სუმბაძე, მაია მაისურაძე, ახალგაზრდების მონაწილეობა დემოკრატიის პროცესებში: კლვევის შედეგები და ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ცნობარი, საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი, 2010